

საქართველოს მსოფლიო მემკვიდრეობის ადგილები



ენისა  
და  
ლიტერატურის  
სერია

1 · 1979



საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე

ИЗВЕСТИЯ АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

---

ენისა და ლიტერატურის  
სერია

СЕРИЯ

ЯЗЫКА И ЛИТЕРАТУРЫ

თბილისი  
ТБИЛИСИ

1. 1979

ჟურნალი გამოდის 3 თვეში ერთხელ  
Журнал выходит раз в 3 месяца

ს ა რ ე დ ა კ ტ ო რ კ ო ლ ე გ ი ა : ალ. ბარამიძე (რედაქტორი),  
თ. გამყრელიძე, ალ. გვახარია (მდივანი), ქ. ლომთათიძე, ე. მეტრეველი,  
ს. ცაიშვილი, შ. ძიძიგური (რედაქტორის მოადგილე)

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ: Барамидзе А. Г. (редактор),  
Гамкრелидзе Т. В., Гвахарია А. А. (секретарь), Дзидзигური Ш. В. (зам. редактора),  
Ломтатидзе К. В., Метрели Е. П., Цайшвили С. С..

პასუხისმგებელი მდივანი გ. გლონტი  
Ответственный секретарь Г. А. Глonti

---

რ ე დ ა კ ტ ი ი ს მ ი ს ა მ ა რ თ ი : თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., № 19  
Адрес редакции: Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19  
ტელეფონი 37-24-07 телефон

---

ხელმოწერილია დასაბეჭდად 22.3.79; შეკვ. 3521; ანაწილების ზომა 7×11<sup>1</sup>/<sub>2</sub>;  
ქაღალდის ზომა 7×108<sup>1</sup>/<sub>16</sub>; ნაბეჭდი თაბახი 16.80; სააღრიცხვო-საგამომცემლო  
თაბახი 16,22; უე 06605; ტირაჟი 2100. #  
ფასი 1 შან.

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19  
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ. 19  
Типография АН Грузинской ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

შ ი ნ ა ა რ ს ი

წ ე რ ი ლ ე ბ ა

თ. მ ა ნ გ ო შ ე ი ლ ი, თანადროულობის ასახვა ილია ჭავჭავაძის ლირიკაში . . . . .	5
ჯ. ა ფ ც ი ა უ რ ი, იდეოლოგიური ბრძოლის ზოგიერთი მომენტისათვის „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ . . . . .	18
ს. ჩ ო ხ ე ლ ი, ქორწინების უძველესი ფორმების ზოგიერთი საკითხისათვის ქართულ პოეტურ ფოლკლორში . . . . .	32
ი. გ ა გ უ ლ ა შ ე ი ლ ი, ფერთა სიმბოლიკის საკითხისათვის ქართულ შელოცვებში . . . . .	47
ლ. ა თ ა ნ ე ლ ი შ ე ი ლ ი, პირობითი ნიშნების კრიპტოგრაფიული სისტემის ანბანთა ზოგი შემდგენლის შესახებ . . . . .	54
გ. ნ ი ნ უ ა, დიდი „სჭულისკანონის“ ლექსიციდან . . . . .	73
ბ. გ ი გ ი ნ ე ი შ ე ი ლ ი, ეტიმოლოგიური დაკვირებანი ქართველურ ენებში . . . . .	77
დ. მ ე ლ ი ქ ი შ ე ი ლ ი, მოქმედებითი გვარის ზმნის უღლების სისტემა თანამედროვე ქართულში . . . . .	84
დ. ფ ხ ა კ ა ძ ე, აბსოლუტურ ზმნათა პირველი თურმეობითის ფუნქციები ძველსა და საშუალო ქართულში . . . . .	98
მ. ს ა ხ ო კ ი ა, რთული ზმნების წარმოებისა და კლასიფიკაციის საკითხისათვის ძველ სპარსულში . . . . .	111
ც. გ ო გ ლ ი ჩ ი ძ ე, პასივობის გამომხატველი არსებობითი სახელები თანამედროვე გერმანულ ენაში და მათი ქართული შესატყვისობანი . . . . .	119
ს. ქ ა მ ი რ ზ ა ე ვ ი, ჩაჩნური ენის ბარის დიალექტის ნოეაი-იურტის კილო . . . . .	129
მ. გ უ დ ა ე ვ ა, არაბული ენის შესწავლის ტრადიციების შესახებ დაღესტანში . . . . .	139
ნ. გ ი გ ა უ რ ი, ელემენტარული ზმნური ნომინაციის ზოგიერთი საკითხი თანამედროვე ინგლისურ ენაში . . . . .	148

პ ო ლ ე მ ი კ ა

ა. კ ა ლ ა ნ დ ა ძ ე, ისევ ილია ჭავჭავაძის ფსევდონიმების გარშემო . . . . .	164
----------------------------------------------------------------------------	-----

მ ე ც ნ ი ე რ ი ს ი ო უ ბ ი ლ ე

ბ. ფ ო ჩ ხ უ ა, პანს ფოგტი . . . . .	177
--------------------------------------	-----

ქ რ ო ნ ი კ ა და ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ა

ვეფხისტყაოსნის აკადემიური ტექსტის დამდგენ კომისიაში . . . . .	179
გ. შ ა რ ა ძ ე, წერილი რედაქციას . . . . .	190
<b>დ. ი მ ნ ა ი შ ე ი ლ ი</b> . . . . .	191
ა ხ ა ლ ი წ ი გ ნ ე ბ ი . . . . .	192

## СОДЕРЖАНИЕ

### Статьи

Т. Ш. Мангошвили, Современность в лирике И. Чавчавадзе . . . . .	5
Дж. В. Аnciaури, О некоторых моментах идеологической борьбы в «Житии Григория Хандтели» . . . . .	18
С. Г. Чохели, О некоторых вопросах древнейших форм брака в грузинском поэтическом фольклоре . . . . .	32
И. Ш. Гагулашвили, Некоторые вопросы символики цвета в грузинских заговорах . . . . .	47
Л. А. Атанелишвили, О некоторых составителях алфавитов криптографической системы условных знаков . . . . .	64
Г. А. Ницуа, Из лексики «Великого номоканона» . . . . .	73
Б. К. Гигинейшвили, Этимологические наблюдения в картвельских языках . . . . .	77
Д. Н. Меликишвили, Система спряжения активного глагола в современном грузинском языке . . . . .	84
Д. Т. Пхакадзе, О функциях I результативного в древне- и среднегрузинском языках . . . . .	98
М. М. Сахокиа, К вопросу образования и классификации сложных глаголов в древнеперсидском языке . . . . .	111
Ц. В. Гогличидзе, Имена существительные, выражающие пассивность в современном немецком языке, и их грузинские эквиваленты . . . . .	119
С. М. Джамирзаев, Ножай-юртовский говор плоскостного диалекта чеченского языка . . . . .	129
М. Т. Гудава, О традициях изучения арабского языка в Дагестане . . . . .	139
Н. Б. Гигаури, Некоторые вопросы элементарной глагольной номинации в современном английском языке . . . . .	148

### Полемика

А. П. Каландадзе, Еще раз о псевдонимах Ильи Чавчавадзе . . . . .	164
-------------------------------------------------------------------	-----

### Юбилей ученых

Б. А. Почхуа, Ганс Фогт . . . . .	177
-----------------------------------	-----

### Хроника и информация

В комиссии по установлению академического текста поэмы Ш. Руставели «Витязь в барсовой шкуре» . . . . .	179
Г. Шарадзе, Письмо в редакцию . . . . .	190
<b>Д. Имнайшвили</b> . . . . .	191
Новые книги . . . . .	192

## შ ე რ ი ლ ე ბ ი

თამარ მანგოზილი

### თანადროულობის ასახვა ილია ჭავჭავაძის ლირიკაში

ი. ჭავჭავაძის წერილით: „ორიოდე სიტყვა თ. რევაზ შალვას ძის ერისთავის კოზლოვიდამ შეშლილის თარგმანზედა“, რომელიც „ცისკარის“ 1861 წლის მე-4 ნომერში გამოქვეყნდა, ახალი ეპოქა დაიწყო ქართულ მწერლობაში და საზოგადოებრივ აზროვნებაში. წერილში ავტორმა მკაცრად გააკრიტიკა იდეურად და მხატვრულად სუსტი ნაწარმოებები, კერძოდ რ. ერისთავის მიერ „თარგმნილი“ შეშლილი“. ეს იყო საბაბი; არსებითად, ილიამ დღის წესრიგში დააყენა პრინციპული ლიტერატურულ-საზოგადოებრივი პრობლემები. წერილის პათოსი გამოხატავდა საზოგადოებრივ-ლიტერატურული ცხოვრების სრული გარდაქმნისა და გადახალისების მოთხოვნებს. ეს იყო დასაწყისი ჩვენს მწერლობაში კრიტიკული რეალიზმის თეორიული დასაბუთებისა და დამკვიდრებისა. ავტორი ნათელყოფდა რეალიზმის გამარჯვების გარდაუვალობას, ასაბუთებდა და მოითხოვდა ქართული სალიტერატურო ენის რეფორმას, მეტყველების გახალსურებას, ორთოგრაფიის გამარტივებას. გარდა იმისა, რომ კრიტიკოსი დღის წესრიგში სვამდა ეროვნული მნიშვნელობის პრობლემებს, წერილი გამოიჩინებდა საბრძოლო პოლემიკური ტონითა და სიმწვავეთ, რაც სრულიად მოულოდნელი იყო მაშინდელი ქართული ჟურნალისტური ცხოვრებისათვის. ამ წერილის მიმართ არავინ გულგრილი არ დარჩენილა: პროგრესული ინტელიგენცია, მოწინავე ახალგაზრდობა აღფრთოვანებით შეხვდა მას, კონსერვატორმა მოაზროვნებმა კი შეურიგებელი ბრძოლა გამოუცხადეს. დაიწყო უკომპრომისო ბრძოლა ძველსა და ახალ თაობებს შორის, მომდევნო (მაისის) ნომერში სამი წერილი გამოქვეყნდა ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგ — ბარბარე ჯორჯაძისა, გრიგოლ ბარათაშვილისა და რევაზ ერისთავისა. ისინი ახალგაზრდა კრიტიკოსს თავს ესხმოდნენ რეაქციული პოზიციიდან, მის წერილს ლანძღვას უწოდებდნენ, სწამებდნენ ქართული ლიტერატურის, სამშობლოს მტრობას, იცავდნენ საღმრთო წერილის ენას, აღშფოთებას გამოთქვამდნენ: ილია ჭავჭავაძე უდიერად იხსენიებს ქართველ მწერლებსო. ივნისის ნომერში გამოქვეყნდა ი. ჭავჭავაძის პასუხი და სარდიონ ალექსი-მესხიშვილის „უსტარი ანტიკრიტიკული“. ილიას საწინააღმდეგო წერილები სავსეა უსამართლო ბრალდებებით: „მე არ შემძლია გავიმეორო ი. ჭავჭავაძის სიტყვები, ... მე მრცხენია ამ საძაგლის ლექსის გამეორება. ლიტერატორი და ამგვარი სიტყვების შემოტანა ჩვენს მშობლიურ ენაში?“, — წერდა ბ. ჯორჯაძე<sup>1</sup>.

ილიამ მკაცრი პასუხი გასცა მოპაექრეებს, ამხილა ბ. ჯორჯაძის შეხედულებათა ჩამორჩენილობა; მოურიდებლად უთხრა, რომ საზიანოდ თვლიდა მის ნაწერებს; ურჩევდა მასა და მის მსგავსებს, ხელი აეღოთ მწერლობაზე: „თუ „ცისკარი“ უფარგისია, კიდევ თქვენგან, ყვაებო ფარშავანგის ფრთებითა, ბუღბუღებო ყორნის ჩხავილითა“<sup>2</sup>.

1861 წლის პოლემიკაში ახალმა თაობამ გაბედულად უარყო ყოველივე მოძველებული, განვითარებისა და წინსვლის შემფერხებელი. ახალგაზრდობა

ანგარიშს არ უწევდა თავადაზნაურობაში გაბატონებულ მცდარ აზრს. ახალი იდეების წარმატებით გავრცელება მოითხოვდა პრინციპულობას. ძველი თაობა გააბოროტა ი. ჭავჭავაძისა და მისი თანამებრძოლების უკომპრომისობამ. „ცისკრის“ რედაქციამ შეურაცხმყოფელი შენიშვნები დაურთო მის „პასუხს“, რომლებშიც ი. ჭავჭავაძეს ბრალად სდებდნენ წინაპართა უპატივცემულობას.

60-იანი და 70-იანი წლების დასაწყისი აღნიშნულ მიზეზებზე აღმოცენებული მწვავე იდეურ-ლიტერატურული პოლემიკის ნიშნით მიმდინარეობდა, რაც აისახა ი. ჭავჭავაძის როგორც პუბლიცისტურ-კრიტიკულ ნაწერებში, ისე პროზასა და პოეზიაში. მაშინდელი სულიერი ცხოვრების დამახასიათებელ რელიათა ანალიზი გვიჩვენებს, რამდენად ახლოს იდგა ი. ჭავჭავაძის პოეტური შემოქმედება ყოველდღიურობის მოთხოვნებთან. მის სამოქალაქო-პოლიტიკურ ლირიკაში აღბეჭდილია მიმდინარე ცხოვრების ტიპური მოვლენები და ფაქტები; პოეტის განცდებს ასაზრდოებს თანამედროვეობის მწვავე ურთიერთობანი; განმაზოგადებელი სახეები ემყარება კონკრეტულ ისტორიულ ფაქტებს. ი. ჭავჭავაძის სხვადასხვა ჟანრის ნაწარმოებთა შეპირისპირება, აგრეთვე ხელნაწერებისა და ბიოგრაფიული მასალების შედარებითი ანალიზი ნათლად ადასტურებს ავტორის პიროვნებისა და შემოქმედების მთლიანობას, გვიჩვენებს თანამედროვეობის ცოცხალ კვალს მის ლირიკულ მემკვიდრეობაში.

ი. ჭავჭავაძის 60-იანი წლების სამოქალაქო ლირიკის გაგებისათვის აუცილებელია, ანგარიში გავუწიოთ როგორც აღნიშნული პერიოდის კრიტიკულ-პუბლიცისტურ ნაწერებს: „ორიოდე სიტყვა თ. რევავ შალვას ძის ერისთავის კოზლოვიდგან „შეშლილის“ თარგმანზედა“, „პასუხი“, „საქართველოს მოამბეზედა“, „სფირიდონისა და თადეოზის ბაასი“, ისე პროზაულ თხზულებებსა და პოემებს. ამ თვალსაზრისით ყურადღებას იმსახურებს გამოუქვეყნებელი ფრაგმენტები და ჩანაწერებიც. თითოეული მათგანი გამსჭვალულია მაშინდელი პოლემიკის სულისკვეთებით და გვაზიარებს 60-იანი წლების ცხარე აზრთა შეზღა-შემოხლის პერიპეტებს. ისინი ასახავენ საკითხებისა და პრობლემების იმ წრეს, რომელიც 60-იანი წლების პოლემიკას ასულდგმულებდა, გამოხატავენ ავტორის საზოგადოებრივ-პატრიოტულ ვნებათაღელვას. თემატიკა და მოტივები თითქმის უცვლელია, იდენტურია ავტორის დამოკიდებულება ეპოქის უმნიშვნელოვანესი მოთხოვნილებებისადმი. ჩვენი აზრით, ამ მხრივ განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს „სფირიდონისა და თადეოზის ბაასი“, რომელშიც შემონახულია პოლემიკის მხურვალეობა და წამოჭრილი პრობლემებისადმი სხვადასხვა ფენის დამოკიდებულება. მასში ასახულია „საქართველოს მოამბის“ გამოსვლის წინ არსებული პოლიტიკური ვითარება, ის სულიერი განწყობილება, რომელიც წარმოიშვა „ცისკარში“ 1862 წელს ექვთიმე წერეთლისა და მის პასუხად „სამი თერგდალეულის“ წერილების გამოქვეყნების შედეგად. ორი თვალსაზრისის დაპირისპირებით ეს ნაწარმოები გაგრძელება ძველსა და ახალ თაობას შორის პოლემიკისა.

იმავე საზოგადოებრივ ემოციებზეა აღმოცენებული ილიას სამოქალაქო-პატრიოტული ლირიკის კლასიკური ნიმუშები: „მას აქეთ, რაკი შენდამი ვცან მე სიყვარული“ და „ჩემო კალამო, ჩემო კარგო, რად გვინდა ტაში?“, რომლებშიც დიდი ინტელექტუალური ვნებათაღელვითაა გადმოცემული ეპოქის სუნთქვა, პოლემიკის იდეური სიმწვავე. ამ ლექსებს ილიას სხვა ჟანრის ნაწარმოებებთან ანათესავენს არა მარტო მოტივები და განწყობილებანი, არამედ გადმოცემის მანერა, ზოგიერთ შემთხვევაში სიტყვისიტყვითი დამთხვევებით.



ლექსებშიც, კრიტიკულ-პუბლიცისტურ ნაწერებშიც ი. ჭავჭავაძე გულმხურვალედ ქადაგებს ეროვნული თვითკრიტიკის საჭიროებას. ამ მოტივს სათავე ი. კერესელიძის „სალაყბო ფურცლებში“ ეძებნება. ილიამ ის გაამახვილა, გაამწვავა, მრავალმხრივად დაასაბუთა. ეროვნული თვითკრიტიკის მოტივი რომ ნაკლის მხილებად, კრიტიკა და ლანძღვა რომ ერთი და იგივე არ არის („შეიძლება კაცს კაცი უყვარდეს და მტერსავეთ კი მოეყდოს, როცა მასში სიცუდეს შენიშნავს“), — ერთნაირი სიმწვავეითაა გამოხატული ლიტერატურულ-პუბლიცისტურ წერილებში, ლირიკასა და ეპოსში („კაცია ადამიანი?!“, „აჩრდილი“).

ი. ჭავჭავაძის ლირიკაში ამ თემისა და მოტივების აქტუალობა 1861 წლის პოლემიკის უშუალო გამოცხადებაა. ილიასა და მოწინააღმდეგეთა ნაწერებიდან შეგვიძლია, აღვადგინოთ ამ მწვავე პოლემიკის ფსიქოლოგია. რ. ერისთავი თავის „პასუხში“ წერდა: „... ენის წინააღმდეგათ ისეთი დიდი შეცდომა არა არის რა ჩვენს ნათარგმნში, რომ იმისთანას ლანძღვისა და კიცხვის ღირსი ვიყენეთ; რომელს ნამდვილს გაზრდილს კაცს ეკადრება იმ გვართ ილანძღებოდეს, ან ოზუნჯობდეს? თავ. ჭავჭავაძე ბრძანებს, „ქართველებს სამი რამ დაგვრჩენია მამაპაპათაგანა; მამული, სარწმუნოება და ენაო“ — მეოთხეს კი ივიწყებს, ჩვენ წინაპართაგან ნაანდერძევს. — ზრდილობას, — ვაი, დარბაისელთ ამოწყვეტას“<sup>3</sup> (ხაზი ჩვენია. — თ. მ.).

ამგვარ ბრალდებას უყენებდა ილიას ბ. ჯორჯაძეც: „... არა ლიტერატორს არ შეეშენის ამგვარის უშვერის ლექსებით მოხსენება. ... ლიტერატურა უნდა შეიცავდეს პატიოსნურს და დარბაისლურს ენას და არა უშვერობას... თუ მშობელს მამასაც არ უთმენს ენის მორყენას და თუ ენას სახავს საღმრთოდ, როგორ შემოურევს ამ უშვერს, მორყენილს და ბიჭ-ბუჭების სიტყვებს: წირპლიანი, მორახუნები, ავანგალა-განგალა და სხვა“<sup>4</sup>. ილიას სიტყვით: „მარტო თ. ერისთავი ცდილა ჩემი აზრების დარღვევას, მიმართულების დაწუნებას (ლანძღვა არისო)“<sup>5</sup>.

ლექსის „ჩემო კალამო, ჩემო კარგო, რად გვინდა ტაში?“ ძირითადი იდეა — „ჩემზედ ამბობენ, ის სიავეს ქართლისას ამბობს, / ჩვენს ცუდს არ მაღავეს, ეს ხომ ცხადი სიძულვილია“ — უფრო ადრე ავტორს, თითქმის იმავე სტრუქტურით, გადმოცემული აქვს წერილში „ცისკარი 1857—1862 წლამდინა“: „იმით არ ესმით, ან არ გაუგონიათ, რომ ვინც შენიშნავს მართლად ნაკლულოვანებას კაცშია, შეუძლიან, რომ იმასვე უნდოდეს იმისი გამოსწორება და სიკეთე. იმას არ ესმის, რომ რაც უფრო მკაფიოდ და დაუნდობლად არის გამოთქმული ის ნაკლულოვანება, მით უფრო ჰსჩანს გამომთქმელის გულის სიმხურვალე, მოუთმენელი ცხარი წადილი გამოსწორებისა“<sup>6</sup>.

ერთი და იგივე აზრი უცვლელადაა გამოხატული წერილებში: „ცისკარი 1857—62 წლამდინა“, „საქართველოს მოამბეზედ“, „სფირიდონისა და თადეოზის ბაასი“, ხოლო ლექსში „ჩემო კალამო...“ იგი განზოგადებულია სტრიქონებში:

„ჩემზედ ამბობენ: „ის სიავეს ქართლისას ამბობს,  
ჩვენს ცუდს არ მაღავეს, ეს ხომ ცხადი სიძულვილია,  
ბრყენი ამბობენ, კარგი გული კი მაშინვე სცნობს,  
ამ სიძულვილში რაოდენიე სიყვარულია!“

აღსანიშნავია, რომ ლექსის ამ სტრიქონებს ილია უცვლელად იმეორებს სტატიის „საქართველოს მოამბეზედ“, რასაც წინ უძღვის ამ თვალსაზრისის პუბლიცისტური არგუმენტაცია: „როდი უნდა იწყინოს ქართველმა, როცა ჩვე-

ნი „მოამბე“ ხელოვნების შემწეობით დაუნდობლად გამოჰვენს ჩვენი ცხოვრების ჭუჭყსაცა, ქართველის უსიყვარულობაში ნუ ჩამოგვართმევენ, როცა ჩვენი ჟურნალი მკაფიოდ საქვეყნოდ გამოისთქვამს მას, რაც ქართველში ცუდია და საზიზღარია“<sup>7</sup>.

ეს თვალსაზრისი ასეთივე ფორმით გადმოცემულია ი. ჭავჭავაძის „პასუხში“, „ცისკარი 1857—62 წლამდინა“, „სფირიდონისა და თადეოზის ბაასში“.

„პასუხი“: „მე ყიზილბაშობა არც მყვარებია და არც მიყვარს, მე როგორც მესმის, ისე ვლაპარაკობ და პირდაპირ ვეუბნები კაცსა: ეს ცუდია და ეს კარგი მეთქი. ჩემს განხილვას ისინი ღაარქმევენ ლანძღვას, ვისაც ანბანის თეორეტიკის მეტი არა წიგნი არ უნახავს თვალთ და ვისაც მართალი სიტყვა, პირდაპირ ნათქვამი, არ გაუგონია თავის ღლეში“<sup>8</sup>.

„ცისკარი 1857—62 წლამდინა“: „ჩვენ, საწყალ ქართველებს, სხვათაშორის ერთი საძაგელი სენიცა გვჭირს — ყიზილბაშობა. პატიოსანი გულის შემაზრზენი პირფერობა, ურცხვი ტყუილქება, კაცის ღირსების დამამდაბლებელი საძაგელი კლავცნა და ამასთანავე, პირიღამ მუღამ თაფლის ღენა, რომელსაც ქართველი ზრდილობას ეძახის. ... ლიტერატურულ განხილვასაც ისე უყურებენ ის ზოგიერთნი, როგორც საყოველღეო და საშინაო ქცევასა. თუ ქება არ არის განხილვაში, რაც უნდა კეთილსინდისიანი განხილვა იყოს, ლანძღვა იქნება... გამხილავი ცდილობს, არ უღალატოს თავის აზრს, არ გაჰყიდოს თავისი ფიქრი ზრამათა მოწონების ფასად. ის ცდილობს, გამოაჩინოს დაუნდობლად ცუდი — ცუდად, კარგი — კარგად. პირფერობა, ტყუილი ქება გლახისა და მათხოვრის საქმეა და არა ჭეშმარიტების მსახურისა“<sup>9</sup>.

„სფირიდონისა და თადეოზის ბაასი“: „— ეგ არის კიდევ ძნელი, ჩემო თადეოზ, რომა ყველანი ერთმანეთის შეცდომასა გულგრილად ვუყურებთ. კიდევ ეგ არის ცუდი, რომა ყურს უკან კი ვლაპარაკობთ ერთი ერთმანეთის ცუღხედა და კარგს მოქმედებაზე. პირში თქმას კი ვერიდებთ“<sup>10</sup>.

როგორც ლექსებში, ისე აღნიშნულ ნაწერებში ილია ცდილობს, დაარწმუნოს მკითხველი: „რონ წმინდა არის სურვილი და განზრახვა ჩვენი“. ის, რაც ლირიკაში გამოხატულია აფორისტული ლაპიდარობით, წერილებში დასაბუთებულია მკაფიოთებით და ატარებს შეგონების ზასიათს.

1861 წლის აპრილში გაჩაღებული პოლემიკა რედაქციის ჩარევით შეწყდა, თორემ არც ერთი მხარე არ აპირებდა ფარ-ხმალის დაყრას. რედაქციას შეეშინდა მკითხველთა აღშფოთებისა. მათი ერთი ნაწილი უარს ამბობდა ჟურნალის გამოწერაზე, რადგან. როგორც ისინი ამბობდნენ, იგი თავისი ლანძღვა-გინებით აფრთხობდა მათ. რეტროგრადი მკითხველები გააფთრებით იცავდნენ ჩამორჩენილ იდეებს, არ ერიდებოდნენ ცილისწამებას, დაბეზლებას, დევნასა და მუქარას. ამ ვითარებაში ი. ჭავჭავაძეს საშუალება არ ჰქონდა, პასუხი გაეცა მოწინააღმდეგეთა ყველა ბრალდებაზე. ცნობილია, რომ მას დაუწერია წერილი სარდიონ ალექსი-მესხიშვილის პასუხად: „უფ. მესხიევის ანტიკრიტიკული უსტარის პასუხად“. ეს სტატია „ცისკარის“ რედაქტორს დასაბეჭდად მოუშზადებია, მაგრამ გამოქვეყნება ვერ მოუხერხებია. ს. ალექსი-მესხიშვილი გავლენიანი პირი იყო, როგორც ილიას ერთი საარქივო მასალიდან ირკვევა, სარდიონ და იაკინთე მესხიშვილებს აღნიშნული წერილისათვის ერთად დაურთავთ შენიშვნები. უნდა ვივარაუდოთ, რომ მათ „ცისკარის“ რედაქციას მოსთხოვეს, ილიას აღნიშნული პასუხი მხოლოდ ამ შენიშვნებითურთ დაებეჭდა. როგორც ჩანს,

ეს წინადადება რედაქციამაც და ავტორმაც დამამციკრებლად მიიჩნეეს და ამის გამო წერილი საერთოდ აღარ დაბეჭდილა<sup>10</sup>.

მართალია, ი. ჭავჭავაძეს 1861 წლის ივნისიდან 1863 წლის იანვრამდე შესაძლებლობა არ ჰქონდა, თავისი შეხედულებები გამოეთქვა პოლემიკაში აღმართულ საჭირობოროტო საკითხებზე, მაგრამ ამ პერიოდის განწყობილებანი, სულიერი ტკივილები და მოსაზრებანი აისახა მის მხატვრულ შემოქმედებასა და პუბლიცისტურ-კრიტიკულ ნაწარმოებებში, რომლებიც გამოქვეყნდა „საქართველოს მოამბეში“, ე. ი. როგორც კი ავტორს შესაძლებლობა მიეცა. ამ ნაწარმოებთა რიცხვს მიეკუთვნება: „მას აქეთ, რაკი შენდამი ვცან მე სიყვარული“, „ჩემო კალამო, ჩემო კარგო, რად გვინდა ტაში?“, „კაცია ადამიანი?“, „სხარტულა“, „საქართველოს მოამბეზედ“, „სფირიდონისა და თადეოზის ბაასი“.

აღნიშნულ ნაწერებში ამა თუ იმ ფორმით ვხვდებით პირდაპირ პასუხს 1861 წლის პოლემიკაში მოწინააღმდეგეთა მიერ გამოთქმულ შენიშვნებზე, უმთავრესად სწორედ ს. ალექსი-მესხიშვილის წერილზე „უსტარი ანტიკრიტიკული“. ს. ალექსი-მესხიშვილი წერს: „რასაკვირველია, კარგათ იცით, რომ წერა არის სამგვარი: მალალი, საშუალი და მდაბალი, არ ვიცი, ამ სამში რომელს მიეთვისება თქვენი კალამი?“<sup>11</sup> ამის პასუხად უნდა მივიჩნიოთ შემდეგა აღვილი „სფირიდონისა და თადეოზის ბაასიდან“: „ბევრს აქამდინანაც ვერ გამოუბერტყია გონებიდგან ის აზრი, რომ მალალი ფრაზითა, მდაბალი ფრაზითა და საშუალი ფრაზითა წერასა სრულიად აღარაფერი მნიშვნელობა არა აქვს. თხზულებაში საქმე აზრია. მალალსა და მდაბალს ფრაზასა აღარაფერი ღირსენა არა აქვს, თუ ბრწყინვალე აზრი არ გამოსჰვივის სტატიაში“<sup>12</sup>.

ზემოთ აღნიშნულ ნაწარმოებში ამ ნიადაგზეა აღმოცენებული ანალოგიური პოლემიკური პასაჟები სალიტერატურო მეტყველების საკითხებზე, კერძოდ ქართულ ენაში საერთაშორისო ხასიათის ცნებების შემოტანის შესახებ. „პასუხში“ („ცისკარი“ 1861, № 6) ი. ჭავჭავაძე აღნიშნავდა: „ორიგინალი, სენტიმენტალური და სხვანი მაგვარი სიტყვები, ხმარებული ჩემს აპრილის სტატიაში, თქვენ უცხო სიტყვებად მიგიღიათ. ეგ, მართალია, ქართული სიტყვები არ არის, მთელი კაცობრიობა კი ხმარობს. ყოველ ხალხს, ცოტაოდენ განვითარებულს და ფუნქციონირებს ევროპიის განათლებაში, შემოუტანია და მცულია ეგ სიტყვები, როგორც თავის ღვიძლი ენის ლექსნი. მაშასადამე არც ჩვენთვის არის დასაძრახისი, რომ ვიხმაროთ“<sup>13</sup>. და იქვე განაგრძობს: „მე „ოსტროვები“, „ლინიები“ და სხვა გარმიანული სიტყვები ამისათვის დაეძრახე, რომ მაგის თანასწორი მნიშვნელობის სიტყვები არიან ჩვენს ენაში და ისინი, რომელნიც ჩემს აპრილის სტატიაში მისმარია, ვერ იპოვიან თავიანთი მნიშვნელობის სიტყვებს“<sup>14</sup>.

„სფირიდონისა და თადეოზის ბაასი“: „რასაკვირველია, მეც საშინელა წინააღმდეგი ვარ „ოსტროვებისა“, „ლინიებისა“ და „ოზერების“ ხმარებისა: ეს მეტისმეტი აზირებაა, რადგანაც ჩვენ ჩვენს სამშობლო ენაზედაც კარგად ვიტყვი და გავიგონებთ კიდევცა კუნძულსა, ხაზსა და ტბასა, მაგრამ ეს სალაპარაკოდ არა ღირს, რადგანაც უმეცრებით მოსვლია ამის დამწერსა, ვეკვობ, შემდგომ აღარ გაიმეორებს“<sup>15</sup>.

„სფირიდონისა და თადეოზის ბაასში“ და „ცისკარი 1857—62 წლამდინა“ მსგავსი აზრებია გამოთქმული ძველი ქართული ხელნაწერების მნიშვნელობასა და შეგროვებაზე. საჯულისხმოა, რომ ეს თვალსაზრისი აისახა ა. ჭავჭავაძის

მოგვიანო პერიოდის ნაწერებში და საფუძვლად დაედო მის პრაქტიკულ მოღვაწეობას ამ დარგში.

საკვლევადიებო პერიოდის პოლემიკურ ციკლში ნიშანდობლივია სამშობლოს მდგომარეობის მტკივნეული განცდა, რომელიც გამომდინარეობს მას წინაშე მოვალეობის შეგნებიდან. მამულზე ზრუნვა, მისი სიყვითის, მისი ბედნიერებისათვის შრომა, ტანჯვა — აღიარებულია ადამიანის უპირველეს ღირსებად. ეს იდეა მსჭვალავს სტრიქონებს:

„აგვიყოლია სიყრმიდანვე ჩვენ ქართლის ბედმა,  
და, დაე, გძრახონ, ჩვენ მის ძებნით დავლით დღენი...  
შენს ძარღვის ცემას უურს ვუგდებ მე სულგანაბული,  
ღამე თენდება ეგრეთ ჩემი და ღლე ღამდება...  
და შე არ ვჩივი, — მიხარია, რომ ეგრეთ ჰშვრება  
ჩემი ცხოვრება შენსა ფიქრში, შენს სიყვარულში“.

ეს პატრიოტული გზნება საყრდენია აღნიშნული ციკლის კრიტიკულ-პუბლიცისტურ ნაწერებშიც.

სამშობლოს ინტერესებისათვის თავგანწირვის, შეუპოვრობის, ყოველგვარი სიძნელის გადალახვისათვის მზადყოფნის მოტივი ერთი და იმავე მანერით არის გადმოცემული პოეტურ და კრიტიკულ-პუბლიცისტურ ნაწარმოებებში:

„ჩემო კალამო, ჩემო კარგო, რად გვინდა ტაში?  
რასაც ვმსახურებთ, მას ერთგულად კვლავ ვემსახუროთ,  
ჩვენ წმინდა სიტყვა უშიშარად მოვფინოთ ხალხში  
ბოროტთ საკლავად, — მათ სულ-ხდომის სეირს ვუყუროთ“.

ამავე აზრს გამოხატავდა ავტორი წერილში „ცისკარი 1857—62 წლამდინა“: „ჩვენში ყოველ ბრწყინვალე საქმეს სამარცხვინო ფერს მიაცხებენ ხოლმე, ყოველ კეთილშობილურ განზრახვას ლაფით მოსვრიან, ყოველს თავგამოდებითს ზალისს ადრე და მალე ჭუჭყიანის ხელით ფრთას მოჰკვეთენ ხოლმე. დიდი სულის ღონე უნდა, რომ კეთილმა კაცმა თავი შეიმავროს და საზოგადო განკიცხვის კიყინამ არ შეაყენოს თავის დანიშნულ საგნის შუაგზაზედა. ... პირველი ქვა, რომელიც თავგანმოდებულს მოხვდება ხოლმე, ქართველებისგანვე არის გამოტყორცნილი“<sup>16</sup>.

პატრიოტული მოტივის ახლებური შინაარსი ი. ჭავჭავაძის შემოქმედებაში გამომდინარეობს თანამედროვე ცხოვრების ღრმა ანალიზიდან, ერის მდგომარეობისა და მისი მომავლის ღრმა გაგებიდან.

ი. ჭავჭავაძის ეროვნულ მსოფლმხედველობას ასაზრდოებს არსებული ვითარების მთლიანობაში გააზრება. სწორედ ეს იწვევდა მის კარდინალურ დაპირისპირებას ძველ თაობასთან, რომელიც ცხოვრებაში მომხდარ ცვლილებას ვერ ამჩნევდა და რუტინის ტყვეობაში იმყოფებოდა. აზრის განახლებისაკენ მოწოდება გაისმის ილიას იმ პერიოდის ყველა ჟანრის ნაწარმოებებში. სამოქალაქო ღირიკაში პოეტი უმღერის სამშობლოზე ფიქრს, გონებრივი მოღვაწეობა, ქვეყნის მომავლის განჭვრეტა, სადღეისო და სახვალეო პრობლემებზე ჩაფიქრება მამულიშვილის, ერის მოაზროვნე ნაწილის უპირველეს ამოცანადაა გამოცხადებული:

„დაუინებთა ფიქრი ფიქრზე მოდის, გროვდება,  
გრძნობა გრძნობაზედ შეუპოვრად იჭრის ჩემს გულში“.

„სფირიდონისა და თადეოზის ბაასში“ ილიამ მკვეთრად გააანალიზა თანამედროვე ცხოვრების მოთხოვნილებანი, დაუპირისპირა ის წარსულს, დაანახა მკითხველს მსოფლმხედველობრივი წინააღმდეგობანი, რომელთაც რეალობი-

სადმი განსხვავებული დამოკიდებულება იწვევდა. ამ მხრივ, საერთოდ, ილიას შემოქმედებაში, კერძოდ კი ამ თხზულებაში, გრძელდება და დროის შესაფერ განვითარებას იღებს ქართული აზროვნების ის მარგალიტი, რომელსაც სათავე უდევს ალ. ჭავჭავაძის ლექსში „კავკასია“:

„განიხსნა გზა და ეშვათ ივერელთ სასოება,  
რომე მუნით შევიდეს მათ შორის განათლება“.

შემდგომი საფეხური ნ. ბარათაშვილის „საფლავი მეფის ირაკლისა“ იყო:  
„და ვსჭამთ ნაყოფსა მისგან ტკბილსა აწ შენნი ძენი“.

აღრეულ ნაწერებში ილია არაერთგზის უბრუნდება იმ პრობლემას, რასაც მაშინ დიდი ეროვნულ-საგანმანათლებლო მნიშვნელობა ჰქონდა: „ამ ჩვენს საუკუნეში არის მშვიდობიანობა, მაშასადამე, არის დროება სწავლისა და ხელოვნებისა, რომელიცა ადამიანმა საზოგადოებად უნდა გამოიყენოს და ამის მიზეზით შეუძლიანთ ჩვენ დაგვემდურონ, მეტადრე მომავალი შთამომავლობა, თუ ჩვენ არაფერს მოვუშნადებთ, რადგანაც ამისი შეძლება გვაქვს და გარემოება ხელს გვიწყობს“<sup>17</sup>.

სამშობლოს სიყვარული, მისი კეთილდღეობისათვის ზრუნვა — შრომა და ტანჯვა. პატრიოტისათვის არ კმარა, უყვარდეს თავისი ქვეყანა, ამყობდეს მისით, აუცილებელია, არაფერს ზოგავდეს მამულისათვის, შეეძლოს ყველაფერი, თვით საკუთარი სიცოცხლეც, შესწიროს მას:

„მას აქეთ, რაკი შენდამი ვცან მე სიყვარული,  
პოი, მამულო, გამიკრთა მე ძილი და შვება“.

„აჩრდილში“ ი. ჭავჭავაძე მამულის სიყვარულს მისი სიკეთისათვის ზრუნვასა და ტანჯვასთან აიგივებს:

„აქ არვის, დიღსა თუ პატარასა,  
ქვეყნის ტკივილით არ სტკივა გულო,  
დაპიწყვებია, რომ ქვეყნად ცასა,  
ღვთად მოუცია მარტო მამულო“.

„ბაზალეთის ტბაში“ პოეტი შენატრის იმ ვაჟკაცს, რომელიც თავს დასდებს მამულისათვის. ამით შეიძლება აიხსნას, რომ „სფირიდონისა და თადეოზის ბაასში“ მან მნიშვნელოვანი ადგილი დაუთმო ბ. ბელინსკის მოსაზრებას პატრიოტიზმზე: „ცოცხალ კაცს თავის სულში, თავის გულში და სისხლში აქვს სიცოცხლე საზოგადოებისა: ის ავად გახდება საზოგადოების ავადმყოფობით, იტანჯება იმისი ტანჯვით, ნეტარებს მისი ბედნიერებით, თავის თავისა და საკუთარ გარემოების გარეშე მყოფთათვის“<sup>18</sup>.

სამშობლოს ბედთან სისხლხორცეული კავშირის განცდა, პატრიოტული ვნება ი. ჭავჭავაძის შემოქმედების უაღრესად არსებითი თვისებაა, რაც მან „პოეტში“ გამონატა სიტყვებით:

„ერის წყლული მაჩნდეს წყლულად,  
მეწოდეს მის ტანჯვით სული,  
მის ბედით და უბედობით  
დამედაგოს მტკიცე გული“.

აღნიშნულ ციკლში გამოიყოფა თანამებრძოლთა, თანამოაზრეთა ძიების მოტივი, რომელსაც ლიტერატურაში მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. სულის თანაზიარობის მოთხოვნილება პიროვნების არსებით თვისებად წარმოგვიდგება ყველა ისტორიულ ეპოქაში. გოეთე, შილერი, ბაირონი, ჰაინე მტკიც-ნეულად გამოხატავდნენ სულის თანაზიარობის მტანჯველ მოთხოვნილებას. ეპოქის სულის აღსარება გაისმა ლერმონტოვის ლექსის სტრიქონებში:

«И скучно, и грустно, и некому руку подать

В минуту душевной невзгоды...

Желанья!.. что пользы напрасно и вечно желать?..»

ქართულ პოეზიაში სულიერი თანაზიარობის მოტივი ყველაზე შთამბეჭდავად ნ. ბარათაშვილმა გამოხატა. 60-იან წლებში ამ მოტივს სოციალური ქლეზალობა შეემატა, გაისმა, როგორც ბრძოლისაკენ მოწოდება, თანამებრძოლთა შემოკრებისა და შენობტკიცების ძანილი. ი. ჭავჭავაძის შემოქმედებაში იგი სწორედ ამ მხრივ იწვევს ინტერესს:

„მაგრამ, მამულო, ჩემი ტანჯვა მხოლოდ ის არი,  
ის არის მხოლოდ სავალალო და სამწუხარო,  
რომ შენს მიწაზედ, ამდენ ხალხში კაცი არ არი,  
რომ ფიქრი ვანდო, გრძნობა ჩემი გაუუზიარო.“

სხვადასხვა ვარიაციით, მხატვრული და სააზროვნო ნიუანსებით ილია ხშირად უბრუნდება ამ საკითხს როგორც პოეტურ, ისე პროზაულ ნაწარმოებებში. პუბლიცისტურ ნაწერებში ავტორი ამ თემას აფართოებს. საზოგადოებრივი შეგნების გასაღვივებლად, ხალხის გამოსაფხიზლებლად იგი ხან საგანმანათლებლო ხასიათს ატარებს, ხანაც საბრძოლო განწყობილებას იწვევს: „საქართველო (ზოგიერთი რამ)“: „იღებებს ბეჩავი ქართველი მწერალი ხელში კალამს თუ არა, მაშინვე გულამოსკვნით შედგება ხოლმე და თავის თავსა ჰკითხავს: ვის უნდა ველაპარაკოვო და სისხლი ძარღვებში გაუშრება ზოლმე. მართლა და, ვის უნდა ელაპარაკოს? მეტყვიან: ყველასო, დიად, კარგი და პატიოსანი, მაგრამ ჩვენ, ქართველებს რა გვაქვს საყოველთაო, რომ მწერალმა ფრთები გაშალოს და იმაზედ განაღვლოს საყოველთაო ნაღვლითა, ანუ გალხინოს საყოველთაო ღხინითა? ... ქართველი საყოველთაო სახელია და შენში რა არის საყოველთაო?.. ვაი, იმ ხალხს, რომელსაც საერთო ძარღვი გაუწყდა, ვაი, იმ ქვეყანას, საცა საერთო ძარღვი სისხლი გაშრა, საცა ყველაში თითო არ არის და თითოში ყველა, საცა თითოეული ყველასათვის არ ფიქრობს და ყველა თითოეულისათვის, საცა „მე“ ხშირია და „ჩვენ“ იშვიათი. ... დავაქციეთ ჩვენი ერთიანი სამშობლო ოჯახი, რომლის ბოძად იყო ერთიანი მხარე მთელის ქართველობისა. მის ნაშთის ნამსხვერვეებისაგან პატარ-პატარა ხუხულები ავაშენეთ, რომელსაც საზოგადო სახელი „მამული“ დავარქვით და რომელშიც ჩვენც დავეტივენი და ჩვენც ამომშრალის ტვინისა და გონების აზრიც დავეტიეთ. დავაქციეთ მამათა ჩვენთა სამარე, შვილთა ჩვენთა აკვანი, დიდი მამული დავშალეთ, პატარები გავიკეთეთ“<sup>19</sup>.

ერთიანი მამულის იდეა ი. ჭავჭავაძეს ჯერ კიდევ სტუდენტობისას ჩამოუყალიბებია. ამ იდეის კლასიკური გამოხატულებაა „აჩრდილის“ სტრიქონები: „გადასდგომიხართ თქვენ ქართველობას, დაგინგრევიათ დიდი მამული“. შემდეგ ეს თვალსაზრისი ახალ-ახალი ვარიაციებით წარმოგვიდგება მის პოეტურ, პროზაულ თუ პუბლიცისტურ შემოქმედებაში.

ი. ჭავჭავაძის ლექსმა „მას აქეთ, რაკი შენდამი ვცან მე სიყვარული“ ინტელიგენციის ყველა ფენაში ვერ პოვა მხარდაჭერა. ანტ. ფურცელაძემ, რომელიც ვალდებული იყო, ობიექტურად განემარტა ლექსის დედააზრი, „ცისკარის“ ფურცლებზე ასეთი შეფასება მისცა მას: „უფ. ჭავჭავაძე ისე შესტრფის მამულსა, ისე უყვარს, რომ რაც ის უტყვია, დაჰკარგვია და გაჰკრთომია ძილი და შეება. ... ერთი ჰკითხეთ, საყუარელნო მკითხველნო, უფ. ჭავჭავაძესა: მამ ვისთვის უკრთება ასე უწყალოდ ძილი, ვისთვის იკლავს თავსა, თუკი მთელს საქართველოში კაცი არ არის, რომ ღირსი იყვეს მაგის აზრის განზიარებისა? რო-

გორცა სჩანს, ეგ ცარიელი საქართველოს მიწისთვისა დრტვინავს და პფიქრობს<sup>20</sup>.

ლექსში „მას აქეთ, რაკი შენდამი ვცან მე სიყვარული“ არათუ ამჟამად ვლინდება თანამედროვე რეალობა, არამედ თავს იჩენს აგრეთვე ავტორის პირადი ცხოვრების ფაქტები, განცდები, ავტობიოგრაფიული ელემენტები. ლექსის დაბეჭდვის მომენტში იმ სულიერ განწყობილებას, რომლითაც არის შთაგონებული ის, ამძაფრებდა არა მარტო 1861 წლის პოლემიკის შთაბეჭდილებანი და უშუალო შედეგები, არამედ „საქართველოს მოამბის“ დაარსებასთან დაკავშირებული სიმწელებიც. ცნობილია, რა დაბრკოლებებს წააწყდა ახალგაზრდა მოღვაწე ახალი პერიოდული გამოცემის დაარსების გამო, რა მწვავე ბრძოლა გაჩაღდა თითოეული ხელმომწერისათვის და თანამშრომლისათვის. ახალგაზრდობის ერთი ნაწილი, სწორედ ანტ. ლურცელაძის მეთაურობით, გაემიჯნა მას და გადაპრით მიემხრო „ცისკარს“, ცდილობდა ჩამოეშორებინა ილიასათვის თანამებრძოლნი, მკითხველნი და ამით ხელი შეეშალა ჟურნალის გამოცემისათვის. ახალი ჟურნალის დაარსებისათვის ბრძოლამ მწვავე იდეურ-ლიტერატურული ხასიათი მიიღო. ძველი თაობა ათასგვარ ჭორს ავრცელებდა, ცილს სწამებდა ჟურნალსა და მის რედაქტორს. ეს მწვავე ვითარება გავლენას ახდენდა ჭავჭავაძის თანამებრძოლებზეც, მათგან ზოგი მერყეობდა, ზოგიერთი (განყოფილების გამგე ნ. ლოლობერიძე) განზე განუდგა „საქართველოს მოამბეს“. ასე რომ, ილია შეიძლება ითქვას, მარტო დარჩა, მარტოს მოუხდა დიდი ჭაპანის გაწევა. ამ მდგომარეობის გახსენება მკათიოდ გვიჩვენებს, რამდენად შეესატყვისებოდა კონკრეტულ ვითარებას, ავტორის უშუალო განცდებს ლექსის სტრიქონები:

„მაგრამ, მამულო, ჩემი ტანჯვა მხოლოდ ის არი,  
ის არი მხოლოდ სავალალო და სამწუხარო,  
რომ შენს მიწაზედ, ამდენ ხალხში კაცი არ არი,  
რომ ფიქრი ვანდო, ვრძნობა ჩემი განვეუზიარო!..“

თანამემამულეთათვის „ფიქრის ნღობა“, „გრძნობათა განზიარება“ სიმბოლო იყო ეროვნული მთლიანობის იდეალისა, რომელზედაც ი. ჭავჭავაძე ოცნებობდა და რომელმაც „აჩრდილში“ პოემა გამოხატულება:

„როდისღა ვნახავ შვეინიერას ამ ქვეყანასა  
თვისთა დიდების ნაშთსა ზედა კელავაც აღმდგარასა...“

ერთის ცხოვრების, ერთის სულის ძლიერსა ქროლვას,  
რომ ესე ტოტნი ერთ ცხოვრების, ერთარსებისა,  
ეხლა გაყრილნი, ერთ მდინარედ შეერთდებინ?

ერთისა აზრით, ერთის ფიქრით განდიდდებიან?<sup>21</sup>

„საქართველოს მოამბის“ დახურვის შემდეგ ძველსა და ახალ თაობებს შორის პოლემიკა ერთგვარად მიწუნარდა, მაგრამ 70-იანი წლების დასაწყისში ახალი ძალით იფეთქა, დროის შესაფერისი ნიშნები გამოავლინა, ი. ჭავჭავაძის ლირიაში კი საფუძვლად დაედო ახალ ციკლს, რომელიც გამოირჩევა შინაარსობრივ-ლიტერატურული სპეციფიკით. ამ ციკლს განეკუთვნება „გამოცანები“ და პოლემიკური ხასიათის ლექსები: „პასუხის პასუხი“, „ბედნიერი ვერი“, „რა ვაკეთეთ, რას ვშვრებოდით“ და „რჩევა“.

70-იანი წლების დასაწყისში რეაქციულ თავდაზნაურობას გამოცოცხლება დაეტყო, რამაც თავი იჩინა საქართველოში იმპერატორ ალექსანდრე II-ის შესახვედრად მზადების პერიოდში, ხოლო შემდეგ — სენატორ გ. მუხრანსკის

წიგნის („О существе в национальной индивидуальности“) გამოცემის გამო. 1871 წ. თავად-აზნაურთა ყრილობამ ახალი თაობის ზეგავლენით დაადგინა, იმპერატორისათვის ეთხოვათ თბილისში უნივერსიტეტის დაარსება, მაგრამ გუბერნიის მარშალმა რ. ანდრონიკაშვილმა, რეაქციონერთა ზემოქმედებით, ნაცვლად ამ დადგენილებისა, იმპერატორს წარუდგინა თხოვნა თბილისში კადეტთა კორპუსის გახსნის შესახებ. ამ ფაქტმა ახალი თაობის აღშფოთება გამოიწვია. ი. ჭავჭავაძემ ეს მოვლენა ასახა პამფლეტებში: „გამოცანები“ და „კიდევ გამოცანები“, რომლებიც ხელნაწერებად ვრცელდებოდა და რომელთაც დიდი რეზონანსი ჰქონდა. ერთ-ერთ ხელნაწერში „გამოცანებს“ სათაურად აქვს — „პროექტის შემდეგ გამოცანები“. „გამოცანებში“ ავტორი ამთარახებს ძველი თაობის იმ წარმომადგენლებს, რომლებმაც მოითხოვეს კადეტთა კორპუსის დაარსება და ანგარიში არ გაუწიეს ახალი თაობის წინადადებას. ასახავს რა ამ ფაქტებს, პოეტი სრულ წარმოდგენას გვაძლევს საქმის ვითარებაზე, გვიხატავს ფიზიკურ და სულიერ-ზნეობრივ პორტრეტებს. თანამედროვეთა მოგონებები და ისტორიული მასალა ადასტურებს „გამოცანებში“ გამოყვანილ პირთა ხასიათების სისწორეს. ესენი არიან: რევაზ ანდრონიკაშვილი, გიორგი მუხრან-ბატონი, ივანე მუხრან-ბატონი, პლატონ იოსელიანი, დიმიტრი ჯორჯაძე, იასე ჭავჭავაძე, ბესარიონ ღოღობერიძე, გრიგოლ ორბელიანი. პოეტი მათ სამარცხვინო ბოძზე აკრავს ეროვნული ინტერესების დალატისათვის; დაგმობილია მლიქვნელობა, ქვეყნისათვის უქმად ყოფნა, დამყაყებელი აზროვნება, ანგარება, სიფლიდე, ცბიერება, ორგულობა, მედროვეობა, ფარისევლობა, ცრუ-პატრიოტობა, რენეგატობა, უპრინციპობა, ლიბერალიზმი, ინდეფერენტიზმი.

რამდენად ზუსტია ეს სატირული სახეები, ამის ნათელსაყოფად საკმარისია გავიხსენოთ გ. მუხრან-ბატონის გარეგნული და სულიერი პორტრეტი:

„ქობტაა და ღობემჭვრალა,  
პატარა და ჩამომხმარი,  
ცხვირ-ნისკარტა, ნიკაპ-წვეტი,  
უეამური, განს გამდგარი.  
ჭკვიით და გულით გაცვეთილა,  
ქვეყანაზედ უქმად გღია,  
თვით მალა ზის, — ქვეყნის საქმე  
მასაც ფეხებზე ჰკიღია“.

ფლიდი, ცბიერი, ორგული; მტაცებელი დიდი მოხელის ეს დახასიათება წინასწარმეტყველური გამოდგა. მომდევნო წელს გაზეთმა „კავკაზმა“ გამოსცა გ. მუხრან-ბატონის წიგნი „მცირე ერების“ შესახებ, რომელშიც იგი დიდი ერებისა და მათი ენების მიერ მცირე ერების ჩაყლაპვას გარდაუვალად თვლიდა.

„გამოცანებსა“ და „კიდევ გამოცანებში“ ილია ცდილობს, მოძებნოს გასაკიცხი პირების ყველაზე დამახასიათებელი სულიერი და ფიზიკური შტრიხები. ეს სავსებით ბუნებრივია, რადგან უანრის თავისებურება მოითხოვდა, საზოგადოებას გვარისა და სახელის დაუსახელებლად გამოეცნო, თუ ვინ იგულისხმებოდა. ასეთი სიზუსტის წყალობით საზოგადოებას, მართლაც, არ გასჭირვებია მათი გამოცნობა.

ერთდროულად დაიწერა და გავრცელდა „კიდევ გამოცანები“, რომელშიც გაიკაცხულნი არიან: მიხეილ ლორის-მელიქოვი, იოსებ თარხნიშვილი, მიხეილ თუმანიშვილი, დიმიტრი ყიფიანი. აქ პოეტს კიდევ უფრო დამახასიათებელი დეტალები აქვს მოძებნილი. თითოეული გამოცანა შეიცავს პირადი, საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი საქმიანობის ტიპურ ნიშნებს, რაც გვიჩვენებს, რა



მხვილი თვალთ უკვირდებოდა პოეტი ყოველდღიურობის მოვლენებს, თანამედროვეთა ცხოვრებას, წარჩინებულ პირთა მორალურ-პოლიტიკურ საქციელს. „გამოცანებში“ არ ჩანს ზედმეტი გაზვიადება. ავტორი ცდილობს მკაცრად, მაგრამ ობიექტურად წარმოგვისახოს თითოეული მათგანის ზასიათი. მისი შეფასებანი ზუსტი და კონკრეტულია. მ. ლორის-მელიქოვზე ილია წერდა:

„ოინბაზი, ლაქათაა,  
გრძლად ვალეული მელია,  
ბაზრის ბიჭად ვაჩენილა,  
ეხლა ქვეყნის მმართველია...“

.....  
ბევრჯერ გაძერა და გამოძერა,  
მაგრამ ვერ ვახდა გრაფია,  
გრაფობისთვის ერი დაკლა,  
ცოდვა დაიდვა დიდიაჲ.

ათიოდე წლის შემდეგ ლორის-მელიქოვი მართლაც ვახდა გრაფი, ხოლო 80-იანი წლების რეაქციის პერიოდში — რუსეთის შინაგან საქმეთა მინისტრი.

ფართო პლანითაა მოხაზული მიხეილ თუმანიშვილის ლიტერატურულ-პოლიტიკური პორტრეტი, რომლის აღწერა განსაკუთრებულ ლიტერატურულ ტაქტს მოითხოვდა, რადგან საქმე ეხებოდა აღიარებულ მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს. ავტორს სამზეოზე გამოაქვს პიკანტური ლიტერატურული საიდუმლოება. 60-იანი წლების დასაწყისში გაცხოველებული ინტერესი გამოიწვია „სალაყბო ფურცლების“ ავტორობის საკითხმა. „საქართველოს მოამბეში“ ილიამ გამოაქვეყნა გაბრიელ სულხანიშვილის წერილი, რომელიც ამტკიცებდა, „მოლაყბის“ ფსევდონიმით „ცისკარში“ წერდა არა ივანე კერესელიძე, არამედ სხვა პირიო (იგულისხმებოდა მ. თუმანიშვილი). ილია მალე დარწმუნებულა, რომ ეს სიმართლეს არ შეესაბამებოდა და სინამდვილეში „სალაყბო ფურცლების“ ავტორი ი. კერესელიძე იყო. ამის გამოძახილია „გამოცანის“ სტრიქონები:

„მის ქურის ხალხს მწერლად მოსწონს,  
ვერ კი შეუტყვეს ქურდობა,  
რომ სხვის წიგნიდამ ფრაზების  
იყის ცოტა რამ ქურდობა“.

„გამოცანების“ ზემოქმედებას განაპირობებდა ქვეშაირტებისადმი ერთგულება. პოეტი მხატვრული ტაქტით წარმოსახავდა გამოყვანილ პირთა როგორც მანკიერებებს, ისე ღირსებებს. არავის უკარგავდა ხალხის წინაშე დამსახურებას. ღირსებისა და ნაკლის ასეთი შეპირისპირება ნდობით განაწყობდა მკითხველს. ამ მხრივ უნდა გამოვყოთ გამოცანები გრ. ორბელიანზე, ლ. მელიქიშვილზე და დ. ყიფიანზე. ამ უკანასკნელზე ნათქვამია:

„ამ უკაცურ კაცთა შორის  
მე იგი კაცად მგონია,  
მით, რომ საქმითაც ქვეყნისა  
მას სიყვარული ჰქონია...“

.....  
კარგის საქმისა დამთესსა  
ბევრი რამ მიეტევება“.

ი. ჭავჭავაძის „გამოცანების“ მიმართ გულგრილი არ დარჩენილა საზოგადოების არც ერთი ფენა, მით უფრო ინტელიგენციის ის წარმომადგენლები, რომლებიც 60-იანი წლების პოლემიკიდან დაწყებული მსოფლმხედველობრივ სიმპათია-ანტიპათიას იჩენდნენ „მამათა“ ან „შვილთა“ ბანაკის მიმართ. „მამები“ აღაშფოთა „გამოცანების“ მწვავე მამხილებელმა ტონმა, მსუსხავმა სატი-

რამ, მათი წარსული და დღევანდელი მოღვაწეობის გმობამ. იმ პირებმაც კი, რომელთაც 60-იანი წლების პოლემიკის დროს შორიდან მაყურებელთა პოზიცია აირჩიეს, ახლა ახალი თაობის წინააღმდეგ ბრძოლის მოთავეობაც კი იცის-რეს. ეს ანტაგონიზმი მკაფიოდ გამოვლინდა გრიგოლ ორბელიანის ლექსში „პასუხი შეილთა“ (აგრეთვე წერილში „ძველი სემინარისტის“ ფსევდონი-მით — „მგზავრობა სვანეთისაკენ“, „გ. წ. განხილვა“). ამ ნაწარმოებში, ისე, რო-გორც ამ პერიოდის სხვა პოლემიკურ თხზულებებში, საგრძნობია 60-იანი წლე-ბის პოლემიკის ექო. ეს შეეხება არა მარტო სათაურების ანალოგიას: „პასუხი“, „პასუხის პასუხი“ და სხვ., არამედ შინაარსსაც. გრ. ორბელიანი არსებითად იმა-ვე ბრალდებას უყენებს ილიას, ახალ თაობას, რაც 1861—1862 წლებში ბ. ჯორ-ჯაძემ, გ. ბარათაშვილმა, ს. მესხიშვილმა და სხვებმა გამოთქვეს: ლიბერალობა, ცრუპატრიოტობა, ენის მტრობა, მამათა „დამსახურების“ დაუფასებლობა და ა. შ. მეორე ვარიანტში გრ. ორბელიანმა ერთგვარად შეარბილა ახალი თაობი-სადმი დამოკიდებულების უაღრესად მკაცრი ტონი, მაგრამ საბოლოო ვარიან-ტიც შეურაცხყოფელი დარჩა ახალი თაობისათვის:

„სადღაც მიმალვით  
რას პროტავთ, ჰკნავით,  
გაბოროტებით რათა სწყევთ მამათ?  
უკადრისობით  
და უშეცრებით  
ვერ დააბნელებთ მათ სახსენებელს“.

ი. ჭავჭავაძე, რომელიც იმ დროს დღუმეთში მსახურობდა, დაუყოვნებლივ გამოეხმაურა გრ. ორბელიანს ლექსით „პასუხის პასუხი“, სადაც უყურადღე-ბოდ არ დატოვა არც ერთი ბრალდება. პოლემიკის საბაბით, ამ ნაწარმოებში კიდევ ერთხელ მკაფიოდაა ჩამოყალიბებული ახალი თაობის ეროვნულ-სოცია-ლური შეხედულებანი, გამოამჟღავნებელია ძველი თაობის სახე. ავტორი ხაზს უსვამს, რომ ძველ თაობას პრივილეგირებული ადგილი უკავია, ერის წარმომად-გენლობას იჩემებს, მაგრამ თავის მდგომარეობას არ ახმარს სამშობლოს კე-თილდღეობას, ანგარებით ზიანს აყენებს მის ინტერესებს. თითოეული ბრალ-დების უარყოფას მოსდევს ახალი თაობის პოზიტიური მოთხოვნა. ყოველივე ეს იმდენად ზუსტად ასახავს არსებულ პოლიტიკურ-საზოგადოებრივ სიტუაციას, ისე გარკვევითაა დადასტურებული ილიას სხვა ენარის ნაწარმოებებსა და თა-ნამედროვეთა პუბლიცისტურ-მხატვრულ შემოქმედებაში, რომ ლექსების ეს ციკლი ამ მოვლენების პოეტურ ქრონიკად წარმოგვადგება.

#### ლიტერატურა

1. ბ. ჯორჯაძე, თავ. ილია ჭავჭავაძის კრიტიკაზედ, ქართული ლიტერატურული კრიტიკის ისტორიისათვის, ჰისტორიათა ს. ხუციშვილის რედაქციით, თბ., 1955, გვ. 179.
2. ი. ჭავჭავაძე, პასუხი, იქვე, გვ. 202.
3. რ. ვრისტავეი, პასუხი თავ. ილია ჭავჭავაძის კრიტიკისა, იქვე, გვ. 184.
4. ბ. ჯორჯაძე, თავ. ილია ჭავჭავაძის კრიტიკაზედ, იქვე, გვ. 179—182.
5. ი. ჭავჭავაძე, პასუხი, იქვე, გვ. 204.
6. „ოცისკარი 1857—62 წლამდინა“, კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ი. ჭავჭავაძის პირადი საარქივო ფონდი, № 158.
7. ი. ჭავჭავაძე, პასუხი, ქართული ლიტ. კრიტიკის ისტორიისათვის, გვ. 213.
8. ი. ჭავჭავაძე, ნაწერების სრული კრებული, პ. ინგოროყვას რედ., ტ. IV, ტფილისი, 1927, გვ. 381—382.
9. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ი. ჭავჭავაძის საარქივო ფონდი, № 164.

10. ა. გაჩეჩილაძე, „ლიტერატურული გაზეთი“, 1955 წ., № 5.
11. ს. ალექსი-შენსიშვილი, უსტარი ანტიკრიტიკული, ქართული ლიტერატურული კრიტიკის ისტორიისათვის, გვ. 225.
12. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ი. ჭავჭავაძის პირადი საარქივო ფონდი, № 164.
13. ი. ჭავჭავაძე, პასუხი, ქართული ლიტერატურული კრიტიკის ისტორიისათვის, გვ. 216—217.
14. იქვე, გვ. 217.
15. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ი. ჭავჭავაძის პირადი საარქივო ფონდი, № 164.
16. ი. ჭავჭავაძე, ნაწერების სრული კრებული, ტ. IV, 1927, გვ. 373, 378.
17. ი. ჭავჭავაძე, სვირიდონისა და თადეოზის ბაასი, კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, პირადი საარქივო ფონდი, № 164.
18. იქვე.
19. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ი. ჭავჭავაძის პირადი საარქივო ფონდი, № 165.
20. ანტ. ფურცელაძე, ქართული ლიტერატურა, ქართული ლიტერატურული კრიტიკის ისტორიისათვის, გვ. 306.

Т. Ш. МАНГОШВИЛИ

## СОВРЕМЕННОСТЬ В ЛИРИКЕ И. ЧАВЧАВАДЗЕ

Резюме

Сопоставление различных по жанру литературных произведений И. Чавчавадзе 60—70-ых годов, а также сравнительный анализ рукописных и биографических материалов еще раз подтверждает неразрывную связь между личностью автора и его творчеством. Это особенно относится к его гражданско-полемической лирике, в которой получили яркое отражение основные черты современности.

В ряде произведений изображены события современной ему действительности, и создаваемые им образы основываются на конкретных исторических фактах. Произведения данного периода (как лирические, так и прозаические, а также публицистическо-критического содержания) проникнуты духом полемики 60—70-ых годов и выражают проблемы, вдохновлявшие молодежь на борьбу за возрождение и национальное освобождение грузинского народа.

С июня 1861 по январь 1863 года И. Чавчавадзе не имел возможности выражать в полемической форме свои взгляды по наиболее злободневным вопросам. Связанные с этим переживания, а также творческие замыслы поэта получили отражение в художественных и публицистических произведениях того периода, напечатанных в «Вестнике Грузии»: («С тех пор, как я тебя люблю...», «Мое перо...», «Человек ли он?!», «Беседа Спиридоны с Тадеоном»).

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის ეურნალისტიკის განყოფილება

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტმა

### ჯამალ აფციაშვილი

## იდეოლოგიური ბრძოლის წომიერთი მომენტისათვის „ბრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“

გ. მერჩულეს „ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისა“ სამართლიანად ითვლება ძველი ქართული ჰაგიოგრაფიული მწერლობის შედევრად. ეს ფართო ეპიკური ტილო კიდევ დიდხანს იქნება მეცნიერული ინტერესის საგანი, რასაც განაპირობებს არა მარტო მისი მხატვრული ღირსებანი, არამედ თავისთავად ინტერესი იმ ეპოქისადმი, რომელსაც იგი ასახავს. დასაწყისიდანვე უნდა გაირკვეს მთავარზე უმთავრესი: აზროვნების რომელ კრილში განვიხილოთ გ. მერჩულეს თხზულება — დოგმატიკურსა თუ სქოლასტიკურში. მეორეც, როცა ვეხებით „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ მსოფლმხედველობით პრობლემებს, არ შეიძლება იგი მოვწყვიტოთ წინა პერიოდის ლიტერატურული ცხოვრების განვითარების ტენდენციებს. ამ მხრივ დიდი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს სირიელი მამების „ცხოვრება“-„წამებას“, რადგან გულუბრყვილობა იქნება იმის გაფიქრებაც კი, რომ გ. მერჩულე, რომელიც წერდა თხზულებას ტაო-კლარჯეთში სამონასტრო მშენებლობის ფუძის დამდებზე, არ დაინტერესდებოდა მამათა ღვაწლით, რომელთაც საერთოდ საფუძველი ჩაუყარეს საქართველოში სამონასტრო საქმიანობას, არ დაინტერესდებოდა მათი აზროვნების სტრუქტურით.

უაღრესად საინტერესოა გ. მერჩულეს ცნობა, რომელიც გ. ხანძთელის განათლებას ეხება. გრ. ხანძთელმა, სხვათა შორის, „მწიგნობრობადაცა ისწავლა მრავალთა ენათა და საღმრთონი წიგნი ზეპირით მოიწუართნა, ხოლო სიბრძნეცა იგი ამის სოფლისა ფილოსოფოსთადაცა ისწავა კეთილად და, რომელი პოვის სიტყუადაც კეთილი, შეიწყნარის, ხოლო ჭერკული განაგდის... ხოლო გარეშესა მას სიბრძნესა სოფლისასა ჰხასრობნ სიტყუსაებრ მოციქულისა, ვითარმედ „გან-რად-მე-აცოფა ღმერთმან სიბრძნე იგი ამის სოფლისა“<sup>1</sup>.

აქ მოყვანილი ციტატის იდეოლოგიური ინტერპრეტაცია იწვევდა და იწვევს მკვლევართა შორის აზრთა სხვაობას. პირველ რიგში, უნდა გაირკვეს „სიბრძნე ამის სოფლისა ფილოსოფოსთადაც“ და „გარეშე სიბრძნე“ ფარავს ერთმანეთს, თუ სხვადასხვა ცნებებია.

როგორც ცნობილია, „გარეშენი“ „წარმართებს“ აღნიშნავს და პირველად ეს ტერმინი მათი მისამართით პავლე მოციქულმა იხმარა: „ხოლო გარეშენი იგი ღმერთმან განიკითხნეს და მოჰსპოთ უკეთური იგი შორის თქუენსა“ (პ. მოციქული, კორინთელთა, 1,5,13), ასევე „წარმართებს“, „წარმართულს“ აღნიშნავს „გარეშე“ ბაძილი დიდთადაც<sup>2</sup>.

საინტერესოა თვალსაზრისის ავითარებს „გარეშე სიბრძნის“ შესახებ პროფ. რ. სირაძე. მკვლევარი იგუგუბის ნიშნის სვამს „გარეშე სიბრძნესა“ და „სიბრძნე ამის სოფლისას“ შორის. რ. სირაძე წერს, რომ „გარეშე სიბრძნე“ და ამ რიგის სხვა ტერმინები შეიძლება გულისხმობდეს სამ სფეროს: 1. ანტიკური წარმართული სიბრძნე; 2. ქრისტიანობის თანადროული არასადღვთისმეტყველო სიბრძნე, „ბუნებითი“ მეცნიერებანი, ანუ „სასკოლო“ — სასწავლო დისციპლი-

ნები, ე. წ. „ტრივიუმ“ „ქვადრივიუმის“ 7 „თავისუფალი მეცნიერება“; 3. მწვალებელთა სიბრძნე, უფრო იშვიათად კი სწვა რელიგიათა (ისლამის, ებრაელთა) სიბრძნე<sup>3</sup>. მკვლევარი იქვე შენიშვნაში ურთავს — ხშირად „გარეშე სიბრძნეში“ არასწორად ესმით მხოლოდ და მხოლოდ ანტიკური ფილოსოფია.

მკვლევარი ამახვილებს ყურადღებას იმ გარემოებაზე, რომ V—X საუკუნეებში საქართველოში განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა სწორედ პატრისტიკულმა თვალსაზრისმა, რომლის უდიდესი წარმომადგენელი აღმოსავლეთის საქრისტიანო მწერლობაში იყო ბასილი კესარიელი. ბასილს ეკუთვნის სპეციალური ტრაქტატი ანტიკური, წარმართული სიბრძნის შეთვისების დოზირებისა და პრინციპების შესახებ. ეს დიდი საეკლესიო მოღვაწე ანტიკური კულტურის მთლიან ათვისებაზე ლაპარაკობს და არა მხოლოდ მის რომელიმე განკერძოებულ დარგზე; ათვისების და ქრისტიანული მსოფლმხედველობის მოთხოვნილების მიხედვით გადამუშავების კრიტერიუმად კი მორალურ-ეთიკური პრინციპია დადგენილი, რომელიც ადამიანს აახლოებს ღვთაებასთან. ძნელია იმის დაშვება, რომ გ. მერჩულეს ყურადღების გარეშე დაეტოვებინოს ბასილის თხზულება, არ გაეცნოს იგი ბერძნულად ან კიდევ ქართულად.

ზემოთ თქმულიდან, პირველ რიგში, ის დასკვნა გამოდის, რომ გ. ხანძთელს შეუსწავლია მთელი წარმართული სიბრძნე, შეუსწავლია პოეზია, მითოლოგია, რიტორიკა, ისტორიოგრაფია და, რა თქმა უნდა, ფილოსოფია. შეუსწავლია ყოველივე ეს კრიტიკული თვალთ, ქრისტიანული მორალური კრელოს გათვალისწინებით. თუ დავაკვირდებით „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებას“, აშკარად შევნიშნავთ, რომ მასში განსაკუთრებით მძაფრად დგას ქრისტიანული მორალის, ქრისტიანული სიკეთის პრობლემა. ეს წითელ ხაზად გასდევს მთელ ნაწარმოებს და არა მხოლოდ სასულიერო პირების, არამედ საერთო ცხოვრებასაც შეეხება. მორალურ-ეთიკური კრიტერიუმი ჩვენ ერთ-ერთ ძირითად კრიტერიუმად წარმოგვიდგება გ. ხანძთელის მიერ ანტიკური სიბრძნის შეთვისების საკითხში, მაგრამ არა ერთადერთად.

როგორც ცნობილია, ანტიკურმა სიბრძნემ ქრისტიანული რელიგიის საჭურვლის როლი იტვირთა წარმართულ მსოფლმხედველობასთან ბრძოლის საქმეში; ამიტომ, უფიქრობთ, შეცდომა იქნება იმის დაშვება, რომ X საუკუნის ფრიად განათლებულ მწერალს გიორგი მერჩულეს გააზრებული არ ჰქონოდა დასმული საკითხის განვითარების ხუთსაუკუნოვანი პერიოდი (IV—X სს.) და არ გვეძებნა ამ განვითარების ერთგვარი შედეგიც, ე. ი. მერჩულე ბოლომდე ვერ შერჩებოდა მხოლოდ პატრისტიკულ თვალსაზრისს და მის ნააზრევს უნდა მივუდგეთ იმ პოზიციებიდანაც, რომელიც უკავშირდება იოანე დამასკელის სახელს.

გრ. ხანძთელი გარეშე სიბრძნეს „ჰბასრობდა“, არ იღებდა. მაშ, რაღას სწავლობდა იგი ბერძნული წარმართული კულტურიდან, რა იგულისხმება „ამის სოფლისა ფილოსოფოსთა სიბრძნეში“. საიდანაც მომავალ დიდ აღმშენებელს „სიტყუად კეთილი აუღია?“

საკითხი ასე დაისმის — „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ მიხედვით, ის, რაც მიუღებელია ქრისტიანისთვის, არის თუ არა თავისთავად ღირებულების მქონე, არის თუ არა „სიბრძნე“ თავისთავად. აკად. შ. ნუცუბიძე არ თვლის მას სიბრძნედ, რადგან იგი „გარეშეა“, მაგრამ „ცხოვრების“ მონაცემები არ ადასტურებს ამ თვალსაზრისს — „გარეშე სიბრძნეც“ სიბრძნეა, ოღონდ თვისებრივად განსხვავებული. ღვთაებრივი სიბრძნე ჭეშმარიტი სიბრძნეა, ასე ვთქვათ,

აბსოლუტური სიბრძნე, აბსოლუტური ჭეშმარიტებაა, რაც ვერ ითქმის „გარე-შეს“ მიმართ. რა თქმა უნდა, ასეთი თვალსაზრისი ჯერ კიდევ შორსა დგას აფციანოსის (1126—1198) შეხედულებისაგან, რომლის მიხედვითაც ორივე სიბრძნე ცალ-ცალკე ჭეშმარიტია. პროფ. რ. სირაძე სამართლიანად მიუთითებს, რომ გ. მერჩულეს შესანიშნავად აქვს წარმოდგენილი სამყაროს, სიბრძნის წვდომის ორი გზა — ერთი ჭეშმარიტი გზაა — გზა ინტუიტური წვდომისა, მაგრამ „არსებობს სხვა სიბრძნეც, ოღონდ გაცილებით მდაბალი ღირსებისა“<sup>4</sup>. მაგრამ ეს არ გამორიცხავს „გარეშე სიბრძნის“ ღირსებებს საერთოდ და მისი გამოყენების შესაძლებლობას. ეს აზრი ბრწყინვალედ ჩამოაყალიბა გიორგი მერჩულემ — მეტყველება „ვერცხლი არს წმიდაა“, ხოლო დუმილი — „ოქროა რჩეული“. „წმიდა ვერცხლი“ აქ მიესადაგება სწორედ „გარეშე სიბრძნეს“ და მისი მონაცემებით სამყაროს საიდუმლოებათა რელატიურ წვდომას.

მეცნიერებაში გამოთქმულია აზრი (შ. ხიდაშელი), რომ „გარეშე სიბრძნეში“ „გრ. ხანძთელის ცხოვრებაში“ იგულისხმება ფილოსოფიის მატერიალისტური ნაკადი და კერძოდ მისი ყველაზე რადიკალური მიმართულება — ეპიკურეიზმი, რომელსაც პროფ. შ. ხიდაშელი „უსაეროესსაც“ უწოდებს. ზემოთ თქმულიდან ნათელი უნდა იყოს ასეთი თვალსაზრისის შეუსაბამობა — „გარეშე სიბრძნე“ ანტიკური წარმართული სიბრძნეა. მთლიანად, მთელი თავისი განშტოებებით და არა მხოლოდ მისი მატერიალისტური, ან კიდევ ეპიკურული ნაკადი. ეს შეუსაბამობა პროფ. შ. ხიდაშელმა, ჩვენი აზრით, დაუშვა იმიტომ, რომ მან „სიბრძნე ამის სოფლისა ფილოსოფოსთაჲ“ და „გარეშე სიბრძნე“ მიიჩნია არა ერთმანეთის დამფარავ, არამედ სხვადასხვა ცნებად<sup>5</sup>. პაველ მოციქულმა წამოაყენა მთელი ანტიკური სიბრძნის განქიქების თეზისი და არა მხოლოდ ეპიკურული, „უსაეროსი“ სიბრძნისა. ეს შემდეგში კლიმენტი ალექსანდრიელმა აქცია გაფრთხილებად ეპიკურული ფილოსოფიის წინააღმდეგ<sup>6</sup>, „ცხოვრების“ ტექსტში კი მოციქულია დასახელებული და არა კლიმენტი ალექსანდრიელი. გ. მერჩულე ერთხელ კიდევ შეგვახსენებს, რომ, მართალია, გრიგოლი ითვისებდა წარმართულ სიბრძნეს, მაგრამ იგი ტენდენციური იყო მასთან დამოკიდებულებაში — ის ზეპირად სწავლობს საქრისტიანო სიბრძნე-მოდღვრებას, ხოლო წარმართულს — კრიტიკულად, რადგან მას „ჰბასრობნ“, რაც გვახსენებს იოანე დამასკელისა და ეფრემ მცირის ცნობილ დებულებებს ამავე საკითხებზე.

ჩვენი აზრი ზემოთ დასმული საკითხის ირგვლივ ასეთ კონკრეტულ ფორმას იღებს — შეუძლებელია, გ. მერჩულეს ნააზრევი განვიხილოთ მხოლოდ პატრისტიკის დონეზე; შეუძლებელია, იგი X საუკუნის ნახევარში აზროვნებდეს მხოლოდ ბასილი კესარიელის კატეგორიებით და ყურადღებიდან საესებით გამოორჩენოდეს იოანე დამასკელის, როგორც სქოლასტიკის დამწყების, საყურადღებო ნაშრომი „წყარო ცოდნისა“ და იქ წამოყენებული სახელმძღვანელო დებულებები წარმართული სიბრძნის ათვისების ფორმების შესახებ. მართალია, ეს წიგნი შემდეგ ითარგმნა, მაგრამ ბერძნულის მცოდნე გრ. ხანძთელსა და მითუმეტეს გ. მერჩულეს, ეგზომ განსწავლულ პირებს, იგი უნდა სცოდნოდათ.

„ორგვარ სიბრძნეზე“ მსჯელობისას გასათვალისწინებელია ის დისციპლინები, რომლებსაც პროფ. რ. სირაძე გვთავაზობს. მკვლევარი „ორგვარი სიბრძნის“ განვითარების მთელ პერიოდს რამდენიმე ქვე პერიოდად ყოფს: 1. აბსოლუტური პერიოდი (I—II სს.); 2. პატრისტიკული (III—IV სს.); 3. სქოლასტიკური, რომელიც III ს-დან იწყება და X—XI საუკუნეებზე მოდის მისი კლა-

სიკუბრი სახით ჩამოყალიბდება; 4. ჰუმანისტური, 5. აღორძინების ხანა. იმავე მკვლევარის მიხედვით, III—X საუკუნეებში შერწყმულია აპოლოგეტური და პატრისტიკული პრინციპები. გარდა ამისა, სქოლასტიკა, რომელიც VIII საუკუნიდან იწყება, სწორედ X—XI საუკუნეებში აღწევს კლასიკურ ხანას. ასე რომ, წარმოდგენილი მსჯელობის საფუძველზე ჩვენთვის საინტერესო პერიოდში, III—X საუკუნეებში შეიმჩნევა როგორც აპოლოგეტური და პატრისტიკული, ისე სქოლასტიკური აზროვნების ნაკადი.

როგორც ცნობილია, აპოლოგეტიკა მთლიანად უარყოფდა წარმართულ სიბრძნეს, არ ცნობდა მასში პოზიტიურ ელემენტებსაც კი. ასეთი თვალსაზრისი წარმოდგენილია ახალ აღთქმაში, სადაც პავლე მოციქულის პირით არის განცხადებული: „განაცოფა ღმერთმან სიბრძნე ამის სოფლისაჲ“ (კორინთ., I, 20). აპოლოგეტიკას წარმართულ სიბრძნესთან დამოკიდებულების საკითხში დიდად არ შორდება პატრისტიკაც: „პატრისტიკული თვალსაზრისით, თავისთავად (პოზიტიურად) წარმართული სიბრძნე უარსაყოფია. მეტიც, ის, რაც წარმართული სიბრძნეა, არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს ჰუმანიტ სიბრძნედ“<sup>8</sup>, მაგრამ პატრისტიკული თვალსაზრისითვე, რომლის უპირველესი წარმომადგენელია ბასილი კესარიელი, დასაშვებია წარმართული სიბრძნის გამოყენება ქრისტიანობის საჭიროებისათვის, ოღონდ წარმართული სიბრძნე ალეგორიულად უნდა გააზრებულიყო — მასში „მისტიკური გზით უნდა დანახულიყო ქრისტიანული შინაარსი“<sup>9</sup>.

საყურადღებოა, რომ, გ. მერჩულეს ცნობით, გრიგოლ ხანძთელი ხელაღებლით არ უარყოფდა წარმართულ სიბრძნეს. იგი მასში პოულობდა „სიტყუასაც კეთილსა“, რაც შორდება წარმართულთან დამოკიდებულების აპოლოგეტურ მეთოდს. სწორედ ამან აფიქრებინა პროფ. რ. სირაძეს, რომ გ. მერჩულე პატრისტიკის მეთოდს იმარჯვებს — იგი წარმართული სიბრძნის მისაღებ ნაწილს გაიაზრებდა ალ ე გ რ ი უ ლ ა დ უ მ ა ლ ლ ე ს ი ს ი ბ რ ძ ნ ის წ ე ღ მ ი ს მი ზ ნ ი თ, მაგრამ ამის შესახებ რომ არაფერია ნათქვამი „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“? ამან გამოიწვია მკვლევარის შემდეგი შენიშვნა: „გავრცელებული პატრისტიკული თვალსაზრისის ზუსტი დაცვა იქნებოდა, რომ თქმულიყო: (ხაზგასმა ჩემია. — ჯ. ა.) გიორგი მერჩულე გარეშე სიბრძნიდან გამოჰყოფდა უფრო მისაღებ ნაწილს, ოღონდ მას შემდგომ გაიაზრებდა საღვთისმეტყველო შინაარსით, ე. ი. უნდა აღნიშნულიყო, რომ „ამა სოფლისა სიბრძნეს“ მომავალი ღვთისმეტყველი ითვისებდა ალეგორიულად („სახისმეტყველებით“)<sup>10</sup>. ვფიქრობთ, პატივცემული მკვლევარის ასეთი დასკვნა მოკლებულია დამაჯერებლობას, რადგან მას არ უჭერს მხარს პირველწყაროს — „ცხოვრების“ ტექსტის მონაცემები. მართალია, იქ წარმართული სიბრძნის გამოყენებაზე, ქრისტიანობის საჭიროებისათვის მისი გამორჩევით ათვისებაზეა საუბარი, მაგრამ, რომ გრიგოლ ხანძთელი „სიტყუაჲ კეთილის“ მისტიკურ-ალეგორიულ გააზრებას ახდენდა, ეს მითითებული არ არის, თუმცა, რა თქმა უნდა, ყოველივე ეს არ გამორიცხავს იმასაც, რომ გრიგოლ ხანძთელი თუ გიორგი მერჩულე იცნობდნენ უმაღლესი სიბრძნის „გამოცხადებით“, მისტიკური „ხილვით“ წვდომის გზასაც.

ჩვენი შეხედულებით, წარმართულ სიბრძნესთან გრიგოლ ხანძთელის დამოკიდებულების გარკვევისას ძირითადი სიძნელე იმაში მდგომარეობს, რომ გ. მერჩულე ერთ შემთხვევაში ამ სიბრძნის გამოყენების შესაძლებლობას ადასტურებს, ხოლო იქვე უარყოფს „გარეშე სიბრძნეს“, რომელიც ჩვენ მიგვაჩნია არა ბერძნული ფილოსოფიის მატერიალისტურ, ან უკიდურესი მატერიალიზ-

მის — ეპიკურეიზმის ნაკადად, არამედ მთლიანად წარმართული სიბრძნის სინონიმად. იგი „გარეშეა“, რადგან არ არის ქრისტიანული, წარმართულია. ყოველივე ეს გვაძლევს გარკვეულ საფუძველს ვივარაუდოთ, რომ გ. მერჩულესათვის უკვალოდ არ უნდა ჩაეველო წარმართულ სიბრძნესთან დამოკიდებულების იმ თვალსაზრისს, რომელიც აღმოსავლეთის ეკლესიის დოგმატიკის უდიდესი წარმომადგენლის იოანე დამასკელის მიერ იქნა განვითარებული. ი. დამასკელი ფილოსოფიას რელიგიის „მკველის“, მსახურის როლს მიაკუთვნებს და ეს არის მთავარი. მისი მოძღვრება ქრისტიანული დოგმატების დასაბუთებას ისახავს მიზნად. მას ფართოდ შემოაქვს არისტოტელეს ონტოლოგიური და „განსაკუთრებით ლოგიკური მოძღვრება“<sup>11</sup>. როგორც მეცნიერებაშია აღნიშნული, იოანე დამასკელის მიზანსა და მეთოდს შორის წინააღმდეგობაა, ერთი მხრივ, დაუსაბამო, უსასრულო ღმერთი, „რომელიც სცილდება დასაბუთებას, რაციონალურის, აზროვნების ფარგლებს“<sup>12</sup> და, მეორე მხრივ, წარმართული ფილოსოფიის მოხმობა დასაბუთებისათვის... იოანე დამასკელი არა მარტო რწმენის საგანს ამართლებს წარმართული აზროვნების წინაშე, არამედ მისი მოძღვრება მიმართულია რიგი მწვალებლური, ერეტიკული მოძღვრებების წინააღმდეგაც.

დავას არ იწვევს ის ვარემოება, რომ იოანე დამასკელი ფილოსოფიას არ მიიჩნევს რელიგიის სწორად და ტოლად; იგი მისთვის „მკვეალია“. დოგმატს დასაბუთება სჭირდება არა თავისთავად, არამედ იმისათვის, რათა მოვერიებულ იქნეს, ეფრემ მცირის გამოთქმა რომ ვინმაროთ, „გარეშეთა“ შემოტევები; ამ „გარეშეში“ კი იგულისხმება როგორც წარმართული ფილოსოფია, ისე ერესი; სხვა რელიგიები და ა. შ. ანგარიშგასაწევია ისიც, რომ ი. დამასკელი შესაძლებლად მიიჩნევს დოგმატის დაუმტკიცებლობასაც... მისი შეხედულებით, ადამიანის შემეცნებითი უნარი ვერ სწვდება ზოგიერთ დოგმატს, მაგრამ უარყოფა იმისა, რომ ი. დამასკელი იყენებს წარმართულ ფილოსოფიას ქრისტეს ორბუნებოვნების, სამების, დოგმატების დასაბუთებლად, შეუძლებელია, რაც სქოლასტიკურ ნაკადად გვევლინება ამ დიდი საეკლესიო მოღვაწის ნააზრეში. მაგრამ იგივე ი. დამასკელი არეოპაგტიკასა და მისთვის დამახასიათებელ მისტიკასაც ეყრდნობა „ღმერთის, როგორც რაციონალურზე ზე-აღმატებულის და „გამოუყვლევლის“ გაგებაში“<sup>13</sup>. ი. დამასკელი, მიუხედავად სქოლასტიკური მეთოდის მომარჯვებისა, უპირველესად დოგმატიკოსია. მასთან მტკიცების ყოველგვარი მეთოდი საბოლოო ჯამში დოგმატიკის მსახურად გამოდის, ასე ვთქვათ, მისთვის ჰემმარიტება თავიდანვე მოცემულია და, თუ მას მაინც სჭირდება მტკიცება, ეს გამოწვეულია ქრისტიანობის მოწინააღმდეგე იდეოლოგიის წარმომადგენელთა განქიქების სურვილით, რომელთა მოძღვრებებსაც წმინდა მამა უარყოფს, ანდა, გიორგი მერჩულის გამოთქმა რომ ვინმაროთ, „ჰბსრობნ“. ი. დამასკელის პოლემიკის ისარი მათკენ არის მიმართული, რაც ნათლად ჩანს ეფრემ მცირის შემდეგი სიტყვებიდანაც: „დალატათუ ყოველივე ვერ გულისკმა ვყოთ, გარნა ესე ხოლო სადმე უწყოდით, ვითარმედ ესევითარი არს საფილოსოფოსთა სწავლამ, რომელი-იგი აქაცა საჭიროდ საკმარად შემოულებიეს წმიდასა იოვანე დამასკელსა, რამით მიერ წინააღმდეგობოლინ შვილნი ეკლესიისანი გარეშეთა მათ ფილოსოფოსთა და მათივე ისრითა განჰჟურემდენ მათ: რთვნიერამათ სიტყუათასა სხუებრ შეუძლებელ არს სიტყვსაგებაჲ წინააღმდეგობათამ, სიტყვამ გუგებდენ რამ გარეშენი იგი“<sup>14</sup>.

აშკარაა, რომ ზემოთ ხსენებული, ციტატებში გახაზული ორი ცნება ერთი



შინაარსისაა, რომ „გარეშე სიბრძნედ“ არ შეიძლება ვიგულისხმით მხოლოდ „უსაეროესი“ სიბრძნე — ეპიკურიზმი და, რომ ეფრემ მცირეს ისევე ესმის ეს, როგორც უფრო ადრე ესმოდათ გ. მერჩულეს, გრ. ხანძთელს. მკვლარად მიგვაჩნია შ. ხიდაშელის რადიკალური დასკვნაც: ეფრემ მცირეს „გარეშეს“ ცნებით სპეციალურად ანტიკური ფილოსოფიის ის მიმდინარეობანი არ შემოუფარგლავს, რომლებიც თეოლოგიისათვის პრინციპულად, მსოფლმხედველობრივად იყვნენ მოწინააღმდეგენი და ამიტომ ამ ცნებას („გარეშე სიბრძნე“, ჟ. ა.) შეუცვლია ის შინაარსი, რომელიც გ. მერჩულესთან ჰქონდაო და შემდეგ: „განსხვავება გიორგი მერჩულესა და ეფრემ მცირეს შორის ცნება „გარეშეს“ შინაარსისა და მისი „ფილოსოფიისადმი“ დამოკიდებულების განსაზღვრაში მდგომარეობს“<sup>15</sup>.

ცნების არავითარ შეცვლას ადგილი არ ჰქონია და „გარეშე სიბრძნის“ შინაარსი ისევე ესმოდა გ. მერჩულეს, როგორც შემდეგში ესმის ეფრემ მცირეს.

ეფრემი წარმართული სიბრძნის გამოყენებას პოლემიკურ მიზანს უსახავს — განიხილავს მას პრაქტიკული საჭიროების მიხედვით, წარმართულზე შეტევის პოზიციებიდან. რაც იმას ნიშნავს, რომ იგი გრიგოლ ხანძთელივით „პბასრობნ“ მას.

ეფრემის ბრძოლა „გარეშე სიბრძნის“ წინააღმდეგ ღრმად იდეოლოგიურია, რაც კარგად გამოჩნდება აკად. შ. ნუცუბიძის შემდეგ სიტყვებში: „მზადდება მაღალი სქოლასტიკა, როგორც უკანასკნელი შებრძოლება ქართული საეკლესიო ფეოდალიზმისა თანდათანობით გაძალბებული ერთმმართველობის წინააღმდეგ“<sup>16</sup>. მაშ, თუ ეფრემ მცირეს მის წარმომადგენლად ვაღიარებთ, ცხადად გამოიკვეთება მისი, როგორც საეკლესიო მსოფლმხედველობის დიდა წარმომადგენლის პორტრეტი, რადგან მან მიზანში ამოიღო წარმართული სიბრძნე, საერო სიბრძნე, რომელსაც ალბათ ხარბად ეწაფებოდა ერთმმართველობის გზაზე დამდგარი სახელმწიფოებრიობა, საერო ფეოდალური წრე.

საფიქრებელია, რომ გრ. ხანძთელი, გ. მერჩულე წარმართული სიბრძნიდან გამოსაყენებლად მიიჩნევდნენ მხოლოდ და მხოლოდ იმ მასალას, რომლის თეოლოგიზება იქნებოდა შესაძლებელი ქრისტიანული რელიგიის მიხედვით და რომელიც ქვეყნის პირველმზივნად პირველმამოძრავებელი, „არამიზნოზიანი მიზნის“, ღმერთის დასახელებას გახდიდა შესაძლებლად. ასეთი პოზიცია შეინიშნება ასურელ მამათა რედაქტირებულ ტექსტებშიც, რომლებიც დროის მიხედვით უახლოვდებიან გ. მერჩულეს ხანას.

გ. ხანძთელს წარმართული სიბრძნიდან შეეძლო ესარგებლა როგორც პლატონური, ისე მატერიალისტური, არისტოტელური ნაკადით. პროფ. შ. ხიდაშელი ეძებს და პოულობს გრ. ხანძთელის ნააზრევში პლატონის მოძღვრების ანაზრეკლს, იდეალიზმს, მაგრამ არ ჩანს, გულისხმობს ამაში იდეალიზმს საერთოდ თუ მის ცნობილ მიმდინარეობას — ნეოპლატონიზმს. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ანტიკურ ფილოსოფიისთან უშუალოდ მისვლა გვიან პერიოდში ხდება (XI ს-დან) და მანჯანის აკადემიაში რენესანსულ სულისკვებებას ბადებს, მანამდე კი მასთან მისასვლელი გზა წმიდა საეკლესიო მამების ნააზრევზე გადიოდა. გრიგოლ ხანძთელი ამ სიბრძნესთან უშუალოდ ვერ მივიდოდა, იგი ვერ მოახდენდა პლატონზე ბაზირებას ნეოპლატონიზმის გვერდის ავლით. შეიძლება წამოვაყენოთ ჰიპოთეზა, რომ წარმართული ფილოსოფიის, ამ შემთხვევაში პლატონიზმის, ათვისების კრიტერიუმი გრ. ხანძთელისათვის, იგივე იყო, რაც ევსტრატოსისთვის, კერძოდ კი ნეოპლატონიკური ლოგიკა. ამის შესახებ სა-

ყურადღებო მოსაზრება აქვს გამოთქმული შ. ნუცუბიძეს: „ამდენად ეგსტრატოსის პოზიცია ქრისტოლოგიის ის პოზიციაა, ოსეღსაც იცნობდა ქართული მწიგნობრობა, და ამით უნდა აიხსნებოდეს, რომ სწოვრედ ეს ძეგლი იქნა გადმოღებული არაბული ტექსტიდან ქართულ ენაზე. ჩანს, ეს ტრადიცია ქართულ აზროვნებაში ასე თუ ისე ცოცხლობდა და ხელსაყრელ პირობებში ისევ ახლდებოდა“<sup>17</sup>.

გრ. ხანძთელს თეოლოგიური თვალსაზრისით ზოგი რამ საინტერესოს მონახვა შეეძლო არისტოტელეს მოძღვრებაშიც. არისტოტელით, სილოგისტიკა არის არა ჭეშმარიტების იარაღი საერთოდ, არამედ მხოლოდ იმდენად, რამდენადაც მისი ამოსავალი უდავო ჭეშმარიტებაა. ბუნებრივია, მისი სილოგისტიკა მისაღები ამოჩნდებოდა ქრისტოლოგიისათვის დოგმათა ჭეშმარიტების მტკიცებისას.

გ. მერჩულეს სიტყვებში, რომელიც წარმართული სიბრძნის ათვისებას ეხება, „შეიძლება ვინიმსოთ იგივე ანობოივი განწყობა, როგორსაც ვხვდებით „დავით გარეჯელის ცხოვრებაში“ — როგორც გ. მერჩულე, ისე დ. გარეჯელი უთუოდ აღიარებენ ცვალებადობას სამყაროში. ამისი უარყოფა არ შეიძლება — „ყოველივე ნივთი ქუეყანისანი ცვალებადნი არიან და წარმავალნი და ყოველი ჟამისა შორის აღორძინებული და მყოფობად მიჩნეული ჟამისავე თანა განიხრწნება, ვითარ დაუდგრომელი და წარმდინარე“<sup>18</sup> და მხოლოდ ღმერთია მარადიული. აქ გამოირიცხული არ არის არისტოტელეს ანალოგიური შეხედულების გამოყენება: „ზოგი საგანი იბადება, ზოგი ნადგურდება და ეს ხდება შეუწყვეტლივ“<sup>19</sup>, „ყოველგვარი ცვლილება და ყოველგვარი მოძრაობა არსებობს დროში“<sup>20</sup>.

მაშასადამე, გ. მერჩულესთვის ორივე ნაკადია (მატერიალისტურიც და იდეალისტურიც) გამოსაყენებელი ქრისტიანული მიზნებისათვის (თანაც ძნელი ხდება ამ გამოყენების მკაცრი რეგლამენტირება), მაგრამ მათში გ. მერჩულე გამოყოფს „ჭერკუალსაც“; ეს კი ორივე მიმდინარეობაში ის არის, რაც არ გამოდგება ქრისტიანული თვალსაზრისისთვის და რის უკუგდებაც საჭიროა.

ჩვენ დასაწყისში ვახსენეთ, რომ „გარეშე“ სიბრძნე არ გულისხმობს მხოლოდ რადიკალურ მატერიალისტურ მიმდინარეობას ფილოსოფიაში და რომ მასში შედის, სხვათა შორის, ერეტიკოსთა სიბრძნეც: მეცნიერებაში რატომღაც დამკვიდრდა აზრი, რომ ქართული ეკლესია სავსებით უგულვებელყოფდა მწვალებელთა სიბრძნეს, რაც სწორი არ ჩანს. საამისოდ ჩვენ გვაქვს ეფრემ მცირის კატეგორიული აზრი, რომლის მიხედვით, მწვალებელთა სიბრძნის გამოყენებაც შეიძლება. თავის მიერ კომენტირებულ ფსალმუნთა შესავალში იგი აღნიშნავს, რომ ბერძნებს ეყოთ სიბრძნე გესლიანი თხზულებებიდანაც ამოეღოთ ქრისტიანობისთვის სასარგებლო აზრები, განა გაკვირვება შეიძლება ამის შემდეგ, კითხულობს ეფრემი, რომ ისინი იყენებენ იმ კეთილსაც, რომელიც ერეტიკოსთა მიერ არის დაწერილი?

მაშასადამე, ერთხელ კიდევ ცხადი ხდება, თუ რა ფართო მასშტაბები ჰქონია „გრ. ხანძთელის ცხოვრებაში“ დამოწმებულ „სიტყუაჲ კეთილს“, რომელსაც გრიგოლი შეისისხლხორცებდა ხოლმე.

მეცნიერებაში კატეგორიული პასუხი არ არის გაცემული კითხვაზე — ითვისებდნენ თუ არა საეკლესიო პირები სხვა რელიგიების (იუდაიზმი, ისლამი, ზოროასტრიზმი) სიბრძნესაც. ვფიქრობთ, ამ საკითხის დადებითად გადაჭრის საფუძველი არსებობს. გრიგოლმა შეითვისა „მწიგნობრობაცა მრავალთა ენათაჲ“. ეს ისეთი განცხადებაა გ. მერჩულისა, რომელიც საპირისპირო შეხედულებისათვის ადგილს აღარ ტოვებს, რადგან შუა საუკუნეებისთვის ოფიციალურ

მწიგნობრობად მხოლოდ და მხოლოდ სარწმუნოებრივი იდეოლოგიით გამსჭვალული მწიგნობრობა თუ ჩაითვლება.

იოანე დამასკელმა ეკლესიას არისტოტელეს ლოგიკა მიაშველა; იგრძნობა გადასვლა რწმენიდან დარწმუნებაზე, მაგრამ განა ყველა ქრისტიანული დოგმა დამტკიცდებოდა გონებით? საკითხთა წრიდან ცალკე გამოიყოფოდა, მაგ., სულის უკვდავების, გამოცხადების ჰეშმარიტება, სამების პრობლემა. ეს ყველაფერი მხოლოდ რწმენის სფეროს დაქვემდებარებოდა. ეს საკითხი თავისთავად დადგებოდა. დასავლეთში თომა აკვინელმა იგი ერთგვარად პროგრესულად გადაჭრა: ჭერჯერობით მიუწვდომელი არ ნიშნავს საერთოდ მიუწვდომელს — მას, რასაც გონება განვითარების ამ ეტაპზე ვერ სწვდება, შემდეგ მისწვდება, მაგრამ გ. მერჩულესთვის ყოველივე ზემოთ თქმული არ ქმნის წინააღმდეგობას, რადგან, გონების, ლოგიკის გარდა, იგი ქრისტიანულ დოგმებს უდგება მისტაკური ინტუიციის პოზიციებით, რაც მას აახლოებს არეოპაგისტული ფილოსოფიური სკოლის თვალსაზრისთან. ამასთან დაკავშირებით საყურადღებოა შემდეგი აზრი: „მისტიკური ინტუიციის გაგებაც, მსგავსად ინტელექტუალური ინტუიციისა, სხვადასხვა რელიგიურ მოაზროვნებთან განსხვავებულ ელფერს იძენდა. ეს დამოკიდებული იყო როგორც ღმერთის გაგებაზე, ასევე იმაზე, თუ ღმერთთან თანაზიარების აქტისათვის ადამიანის რომელ უნარს (ქერეტას, ემოციონალურსა თუ მოქმედება-ნებელობას) ეძლეოდა უპირატესობა“<sup>21</sup>. გ. მერჩულესათვის ორგანულია ასეთი თვალსაზრისი.

დიდი ისტორიული და იდეოლოგიური შინაარსის შემცველად გვეჩვენება ჩვენთვის საინტერესო ციტატის დასკვნითი ფრაზაც: „ხოლო გარეშესა მას სიბრძნესა სოფლისასა ჰბასრობნ“. ეს X საუკუნის პირველი ნახევრის დასასრულს ითქვა. რატომ „ჰბასრობდა“ გრიგოლი იმას, რაშიც ქრისტიანული დოგმატიკის სასარგებლო ელემენტიც იყო? (ჩვენ, როგორც აღვნიშნეთ, გამოვრიცხავთ „ეპიკურეიზმს“). შეიძლება ვითქვათ, რომ გ. მერჩულეს სავსებით შეგნებული ჰქონდა, თუ რაოდენ საშიში შეიძლება აღმოჩენილიყო ქრისტიანული რწმენისთვის ლოგიკა, გონების პრიმატის წინ წამოწევა, წარმართული სიბრძნის ათვისება, რამაც საბოლოო ჯამში XI საუკუნიდან რაციონალიზმი განაპირობა.

უნდა აღინიშნოს, რომ „გარეშე სიბრძნის“ კრიტიკული ათვისება და მისი მისადაგება დოგმებისადმი ითვლებოდა ნამდვილ, ჰეშმარიტ ფილოსოფიად, სადაც ასევე გამოსკვივის ამ „გარეშეთადმი“ კრიტიკული განწყობა. მაგ., იოანე დამასკელი „გარეშე“ მოაზროვნეებს უპირისპირებს „წმიდა მამების“ ჰეშმარიტებას და ნამდვილი ფილოსოფიის მოწაფეებსა და მასწავლებლებს.

მაშასადამე, „გარეშე სიბრძნე“ მხოლოდ მაშინ იქცევა ნამდვილ „ფილოსოფიად“, როდესაც იგი შეერწყმის დოგმატიკას. ეს ჰარმონია იდეალურად ითვლება და იდეალური ფილოსოფიური სისტემის სახეს იძენს. ის, რაც ზემოთ ითქვა, არაფერ მოულოდნელსა და უცნაურს არ გულისხმობს: როდესაც საქართველოში რენესანსული იდეების დანერგვაზე ლაპარაკობენ, ერთხმად უსვამენ ხაზს იმას, რომ, სხვათა შორის, ქართული სასულიერო წოდება სხვასთან შედარებით უფრო მომზადებული იყო „ახალი აზროვნების პროგრესული იდეების შესათვისებლად“ (ე. ხინთიბიძე); X—XI საუკუნეებში ქართველებს, ნ. მარის თქმით, იგივე საკითხები აინტერესებდათ, რაც საქრისტიანო მსოფლიოს მოწინავე ადამიანებს<sup>22</sup>. თუ განსახილველ საკითხებს ასეთ პლანში გადავჭრით, მაშინ აუცილებლად გადასაჩინჯი იქნება აკად. შ. ნუცუბიძის დასკვნა, რომლის მი-

ხედვითაც შეინიშნება იდეოლოგიური წინააღმდეგობის ფაქტი: „გრიგოლ ხანკთელის ცხოვრებაში“: ერთი მხრე, მკვლევრის თქმით, აქ ხაზგასმულია ცოდნის ხელისშემშლელი როლი რწმენის საქმეში, მეორე მხრივ, ყურადღება გამახვილებულია გრიგოლის მიერ ფართო განათლების შექმნაზე. ჩვენი შეხედულებით, III—X საუკუნის საქრისტიანო აზროვნება ჩვენში უკვე იმ დონეზე მდგარა, რომ ცოდნის სიფართოვე (თუმცა შინაგანად ხელს უშლიდა რწმენას), მაინც აუცილებელი იყო. დიდი მეცნიერის მიერ მოყვანილ მაგალითს, რომლის მიხედვით ქართულ საეკლესიო წესებს დამატება-მოკლება არ სჭირდებათ, სულ სხვა კუთხით, კერძოდ ნაციონალური თვითშეგნების გაზრდისა და გავლივების თვალსაზრისით, უნდა მივუდგეთ.

XI საუკუნის პოზიცია წარმართული ფილოსოფიის მიმართ შეგვიძლია ჩავთვალოთ დოგმატიზმის განვითარების ახალ საფეხურად არა იმიტომ, რომ აქედან იწყება რწმენიდან გადასვლა დარწმუნებაზე. არამედ იმიტომ, რომ ლეთისმეტყველება ისარს მიმართავს წარმართული სიბრძნის წინააღმდეგ, ასე ვთქვათ, თავდაცვიდან შეტევაზე გადადის — ეს არის მებრძოლი ეკლესიის იდეოლოგიის ახალი, მართლაც რომ მაღალი ფორმა და, იქნებ, ეს იყოს საპირისპირო რეაქცია აზროვნების იმ ნაკადის მიმართ, რომელიც წარმართული სიბრძნის ღრმა გამოყენებამ, წარმართულ ფილოსოფიასთან მისვლამ მრავალი ქრისტიანული დოგმის საერთო უარყოფამდე მიიყვანა და შემდეგ მანგანის აკადემიაში ბიზანტიური რენესანსის ჩირაღდანი აანთო. გ. მერჩულეს მიერ ქვეტექსტში გახაზული რაციონალიზმის საფრთხე რეალობად იქცა და ქრისტიანული იდეოლოგია არ სჭერდება წარმართულის მიმართ მშრალ დამოკიდებულებას, რაც გამოხატულია სიტყვაში „შბასრობნ“. ეფრემი „წყარო ცოდნისას“ თარგმნის მეორედ და ურთავს კიდევ საყურადღებო მინაწერს: იგი ექვთიმეს ლიტერატურული მოღვაწეობის დახასიათებისას აღნიშნავს, რომ წმიდა მამა რძეში შეზავებული პურით კვებადა მკითხველს, რადგან „ქართველთა ნათესავი“ მაშინ „ჩჩული“ იყო. ეს არ გულისხმობს მხოლოდ ლიტერატურულ მეთოდს, მასში ჩანს ფილოსოფიური აზროვნების ახალი, მაღალი საფეხურიც — ქართული აზროვნება ვერ შედგებოდა ი. დამასკელის დონეზე, რომლის მიხედვით წარმართული ფილოსოფია ეკლესიის მხველის როლში გამოდიოდა. მაგრამ ჯერ კიდევ არ იდგა ამ ფილოსოფიის, როგორც ქრისტიანობის საწინააღმდეგო იდეოლოგიური ბაზის, განადგურების საკითხი. ახალ სააზროვნო საფეხურზე „გადასვლა“ არ მომხდარა ეკონომიურ-პოლიტიკური ბაზისის გარეშე.

XI საუკუნეში ეფრემის მიერ წამოყენებული ლოზუნგი წარმართული სიბრძნის განადგურებისა, რომელიც აიტაცა ქართულმა ეკლესიამ და სახელმძღვანელოდ გაიხადა, ღრმა ფესვების მქონეა: XI საუკუნეში ახალ გამარჯვებას აღწევს საერო არისტოკრატია, ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრება აღმავლობის გზით მიდის, მაგრამ ამ არისტოკრატიას არ გააჩნია თავისი იდეოლოგია, ნათლად გამოკვეთილი ტენდენციით. ბუნებრივია, რომ ამ საერო არისტოკრატიაში ჯერ კიდევ ადრიდანვე დაიწყო ბრძოლა მებრძოლი იდეოლოგიისათვის და შეეცადა ჩაზიარებოდა ეკლესიას საეკლესიო იდეოლოგიაში (გავიხსენოთ გვარამ მამფალის ეპიზოდი საეკლესიო კრებაზე), მაგრამ ეკლესია დათმობაზე არ წავიდა. ამავე დროს ამ არისტოკრატიის ცხოვრების საერო წესრიგი, საერო ინტერესები ბუნებრივად გააღვიძებდა მასში ინტერესს ანტიკური საერო სიბრძნისადმი, „გარეშე“ სიბრძნისადმი და საეკლესიო მოწოდება „არა შეიწყნარო უმირს“ პრაქტიკას დასცილდებოდა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სწორედ

წარმართული ფილოსოფიის ბაზაზე ჩამოყალიბებული ნეოპლატონური მოძღვრება უწყობს შემდგომ ხელს საერო არისტოკრატის იდეოლოგიის გაფორმებას. ასეთ ვითარებაში საესეებით გასაგები უნდა იყოს ქრისტიანული ეკლესიის დაინტერესება წარმართული სიბრძნის განადგურებისა და საკუთარი დოგმების დაცვით. ეს ეპოქის ლოგიკაა.

საეკლესიო იდეოლოგია მხოლოდ მანამდე გამოადგა ქვეყნის გაერთიანებისათვის მებრძოლ ძალებს, სანამ იგი ამ ბრძოლას აწარმოებდა, სანამ ეკლესია ფეოდალური ორგანიზაცია განდებოდა და ჩამოყალიბდებოდა გაერთიანების მოწინააღმდეგე ძალად, მკვეთრად გამოხატული საეკლესიო კონსერვატიული იდეოლოგიით. ის, რაც ადრე ხელს უწყობდა ამ საერო წრეს, ახლა მისთვის ხელისშემშლელ გარემოებად იქცა.

ამრიგად, გასაგებია, რატომ დაუწყეს ბრძოლა დიდმა ფეოდალებმა გ. ათონელს ცნობილი საეკლესიო რეფორმების საქართველოში ჩატარების დროს.

ცნობილია, რომ საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების, ცენტრალიზაციის საკითხი ძირითადად დამოკიდებული იყო „წვრილი ერის“ პოზიციაზე, რომელიც დაინტერესებულია გაერთიანებით, რათა მეფის სახით იპოვოს ერთგვარი დამცველი და მფარველი. გაერთიანებისათვის მებრძოლი ძალები სწორედ „წვრილ ერს“ ეყრდნობიან, რამაც საბოლოო ჯამში მსახურეული არისტოკრატის, „მოსაკარგავეთა“ ინსტიტუტი შექმნა. ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში შეინიშნება დემოკრატიული პრინციპი. ისტორიოგრაფიაში ეს მოვლენა შეფასებულია, როგორც პროგრესი. რა როლს თამაშობს ამ დროს ეკლესია? ეს ქცეულია რეაქციულ სარწმუნოებრივ ინსტიტუტად, რადგან მასში წოდებრიობის, ფეოდალური ძირძველობის სული ტრიალებს, თრგუნავს დემოკრატიულ პრინციპებს და მხარს უჭერს ცენტრიდანული ძალების ბრძოლას სამეფო, გამაერთიანებელი ხელისუფლების წინააღმდეგ. ამ ძალის მიერ, ბუნებრივია, მოხერხებულად გამოიყენება საკუთარი ინტერესებისათვის ქრისტიანული იდეოლოგია. ძირძველმა არისტოკრატებმა ეკლესიაში შეღწევიტ ხელთ იგდო მებრძოლი იდეოლოგია, რომლითაც ასევე იყო დაინტერესებული ქვეყნის გამაერთიანებელი პოლიტიკურ-სოციალური დასი, ე. ი. ბრძოლა გაერთიანების მომხრე და მისი მოწინააღმდეგე ძალებისა ეკლესიისათვის — ეს იყო ბრძოლა მებრძოლი იდეოლოგიისათვის; ამაში გამარჯვებას კი ხელისუფლება შეძლებდა მხოლოდ მაშინ, თუ ეკლესიაშიც იმავე დასაყრდენს გაიჩენდა, რომელიც მას პოლიტიკურ ცხოვრებაში ჰქონდა — თუ საეკლესიო სფეროში გატარდებოდა დემოკრატიზაციის პრინციპი. ეს გაგრძელდება მანამდე, სანამ გაფორმდება ამ არისტოკრატის საერო მსოფლმხედველობა. ყოველივე ეს შორს დგას „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ დახატული მდგომარეობისაგან, სადაც ეკლესია ჯერ კიდევ დემოკრატიული ტენდენციისაა, მაგრამ ისიც კარგად ჩანს, თუ როგორ აღწევს მასში ფეოდალური ელემენტი, როგორ იზზარება კედელი, როგორ ცდილობს სამეფო ხელისუფლება წილი დაიდოს ამ საერთო მოვლენებში (გვარამ მამფლის ეპიზოდი).

ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც თავისთავად შემოდის ჩვენს კვლევის სფეროში, არის გ. მერჩულეს ან თვით გრ. ხანძთელის მიმართება ნეოპლატონიზმთან. გრიგოლმა შეისწავლა „მწიგნობრობაჲცა მრავალთა ენათა“ — ეს ფრაზა გულისხმობს არა მარტო ენის, არამედ მასზე შექმნილი კულტურის დაუფლებასაც და იმავე მნიშვნელობის მატარებელია, რაც „ენაჲ და სწავლაჲ“. მაგ., პ. იბერმა ადვილად შეითვისა „ენაჲ ბერძნული და სწავლაჲ“, ან კიდევ

„ენა და სწავლა ასურებრივი“. ნუთუ ასეთი ფართო განათლების შექმნის დროს, რაც წარმართული სიბრძნის შეთვისებასაც გულისხმობს, ჩვენს მწერალს არ უფიქრია პროკლეზე, წარმართული ფილოსოფიის უკანასკნელ წარმომადგენელსა და სისტემატიზატორზე და მისი ქრისტოლოგიურად ამთვისებლას დიონისე არეოპაგელის მოძღვრებაზე? სად იყო, თუ არა ფსევდო დიონისეს მოძღვრებაში უკეთესად გარჩეული „ჯერკუალი“ და „სიტყუაჲ კეთილი“ ანტიკური სიბრძნისა?! ნეოპლატონიზმი, როგორც ანტიკური ფილოსოფიის ნამსხვრევების „ფანტასტიკური ნაერთი“ მართლაც რომ საჭიროებდა კრიტიკულ მიდგომას ქრისტოლოგი სქოლასტიკოსის მხრივ.

ასე რომ, გ. ხანძთელის ინტერესთა სფეროს ანტიკური ფილოსოფიის მიმართ მხოლოდ ქრისტიანული დოგმების მტკიცების საჭიროებით ვერ შემოვფარგლავთ. დიდ მოღვაწეს ფართო მასშტაბები ჰქონდა: მას ღრმად შეუსწავლია ქრისტიანობის წინადროინდელი კულტურა თავისი მრავალი განშტოებით ქრისტიანული კულტურის. ქრისტიანული უმადლესი სიბრძნის უკეთ შეცნობის მიზნით.

გაჭირდებოდა იმის მტკიცება, რომ ქართველი საზოგადოება მხოლოდ გ. ხანძთელისა და ეფრემ მცირის ეპოქაში ეცნობა წარმართული სიბრძნის ქრისტიანობისათვის გამოყენების შესაძლებლობას. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა იოანე პეტრიწის შეხედულება მიზეზთა შესახებ პროკლეს მოძღვრებაში. როგორც ცნობილია, იოანეს არ მოსწონდა დ. არეოპაგელის მოძღვრებაში ძირითადად ეს პუნქტი, რადგან ამ უკანასკნელმა მოკლედ გადმოიღო პროკლეს მოძღვრება „მიზეზსა და მიზეზთანზე“ და ვერ ნათელყო, თუ როგორ გადადის მიზეზი მიზეზთანში, რის გამოც იგი ვერ გამოიყენეს საღვთო წერილის ქართულად მთარგმნელებმა V საუკუნეში<sup>28</sup>. ნათელია, რომ ი. პეტრიწი შესაძლებლად მიიჩნევდა წარმართული სიბრძნის ქრისტოლოგიის ინტერესებისათვის გამოყენებას ჯერ კიდევ V საუკუნეში და ასეთად მიიჩნევდა იგი პროკლეს, დ. არეოპაგელის მოძღვრებას. ასე ესმოდა მას წარმართული კულტურის ქრისტოლოგიურად გადაშუშავების არსი. ეს არ არის ი. პეტრიწის კერძო აზრი, იგი უფრო ტრადიციის ანარეკლია. ს. რეშაინელის მითითებით, დ. არეოპაგელის მოძღვრებას მიზეზთა შესახებ აქვს კავშირი ქრისტოლოგიურ პრობლემატიკასთან და მათ შორის უმთავრესთან — ღვთის განკაცებასთან. ს. რეშაინელი დგას პეტრეს პოზიციებზე და ამ მოძღვრებას „საიდუმლოდ“, ადამიანის გონებისთვის მიუწვდომლად აცხადებს. ასე რომ, თ. აქვინელის მიერ „ქრისტოლოგიის ხსნა“, რაც ლოგიკურად დაუმტკიცებელი დოგმების გონებისათვის მიუწვდომლობაში გამოიხატება, თავის საფუძვლებს დ. არეოპაგელის მოძღვრებაში პოულობს. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ საპირისპირო რელიგიური მოძღვრებების წარმომადგენლებს მიზანში ამოღებული სწორედ ის ქრისტიანული დოგმები ჰქონდათ, რომლებიც გონებით ვერ დამტკიცდებოდა. ქართულ პაგიოგრაფიულ ძეგლებში არ არის ნათლად მოცემული, თუ როგორ ახერხებდნენ ჩვენი წინაპრები ასეთი „ბრალდებების“ გაბათილებას, მაგრამ შეიძლება ტენდენცია ისეთივე აზრობრივი განწყობისა ამ საკითხთა მიმართ, როგორიც ეს დ. არეოპაგელიდან მოკიდებული ქრისტოლოგიაში მკვიდრდება და თავის საბოლოო გაფორმებას თომა აქვინელთან იღებს. მაშასადამე, მტკიცება იმისა, რომ ქართველები არ იცნობდნენ არეოპაგისტულ კორპუსს XI საუკუნემდე, შეუძლებელი ჩანს. მართალია, ეს მოძღვრება ზოგიერთ ასპექტში მწვალებლურად ჩანდა, მაგრამ „სიტყუაჲ კეთილისა“ და „ჯერკუალის“ გარჩევის

მკაცრად დაკანონებული ტენდენცია, მის გამოყენებას მაინც შესაძლებლად გახდიდა.

VIII საუკუნიდან დაწყებული აზნაურთა სწრაფვა ეკლესია-მონასტრებისაკენ. ეს პროცესი სწრაფად ვითარდება და ტრაგიკულ შედეგს იძლევა. სწორედ ისინი თვლიდნენ საკუთარ თავს ეკლესიის ღირსეულ მეუფედ და თავისი საქციელის გამამართლებელი იდეოლოგიაც შეუმუშავებიათ. ეკლესია არა მხოლოდ ეკონომიურად ხდება მსხვილი ფეოდალური ორგანიზაცია, არამედ თავისი ცხოვრების ფორმითაც — დოკუმენტებში დამოწმებულია მონასტრების მმართველობაში დემოკრატიზმის რღვევა და მისი კრიტიკა.

ეკლესია აშკარად ქადაგებდა „მონაგებთა დამტევებელი“, ან კიდევ მონასტრების ხელისშემწყობი არისტოკრატიული პირების პატივისცემისა და „სიყუარულის“ საჭიროებას. მონაგებთა დამტევებელი ზენონი „ახოვან იქმნა“.

გამარჯვებული ფეოდალიზმი მკვიდრდება როგორც საერო, ისე სასულიერო ცხოვრებაში, მკვიდრდება სოციალური უპირატესობის გრძნობით, მაგრამ აქვე აღვნიშნავთ, რომ დიდი მნიშვნელობის ფაქტად ჩანს იდეოლოგიის სფეროში დემოკრატიზაციის გატარება, რაც თავისდაწილად ბიძგს მისცემდა საერო ცხოვრების ერთგვარ დემოკრატიზაციასაც, რაც ბოლოს მსახურეული არისტოკრატის წარმოშობამდე მიიყვანდა ქვეყანას. ეს ნათლად ჩანს გ. მცირის სიტყვებში: „ესე ნუ ვის უკვირს, რამეთუ მამათ მთავარიცა დიდი იოსებ მონა იყო და სიწმინდე მისი ყოველთა შორის იქების. რომელი იგი უკანაასკნელ მეფე იქმნა ეგვიპტისა, ხოლო დავით და ამონ არა მწყემსნი იყვნესა, რომელი ერთი მეფე იქმნა, ხოლო მეორე წინააღმართუელი“<sup>24</sup>.

დემოკრატიზაცია სასულიერო სფეროში წინ უსწრებს საერო ცხოვრების დემოკრატიზაციას, ისევე როგორც ქვეყნის კულტურული გაერთიანების იდეა წინ უსწრებს პოლიტიკურ გაერთიანებას.

სხვანაირი ინტერპრეტაცია ვერ მიეცემა ბაგრატ I-ისა და აშოტ I-ის დროინდელი ფეოდალური საქართველოს ცხოვრებას. აშოტ კურაპალატი ნიგალისხეველებმა მოკლეს 826 წლის 26 იანვარს. აშოტმა, გარდა ტაო-შავშეთ-კლარჯეთისა, შემოიერთა შიდა და ქვემო ქართლი. მან გააფართოვა სამეფოს საზღვრები და „მიიტანა ბარდავის კარამდე“ (პ. ინგოროყვა). მისი წარმატებანი ასახულია „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“: „ჰოა მეფეო ჩემო, ძლიერო და დიდებულო..., სადაჲთ-მე მოგელოდი, აღმოსავლით-მე, ანუ დასავლით, ჩრდილოთ-მე ანუ სამხრით, რამეთუ ყოველთა ზედა ნათესაეთა მფლობელი იყავ...“<sup>25</sup>. მიუხედავად პანეგირიკული ჰიპერბოლიზაციისა, რეალური სურათი მაინც ნათლად მოჩანს. ბიზანტიას დიდად არ ესიამოვნებოდა აშოტის გაძლიერება, მაგრამ მაინც ლოიალობას იჩენდა მისადმი, როგორც კავკასიაში არაბთა აგრესიის ძირითადი მოწინააღმდეგე ძალისადმი. აშოტის სიკვდილის შემდეგ არაბებმა კვლავ მიიტაცეს მის მიერ შემოერთებული მიწები, გარდა არტანუჯისა. აი, ასეთ ვითარებაში მეფდება და კურაპალატდება ბაგრატ I — აშოტის შუათანა ძე. გ. მერჩულე შემკვიდრების დადგენილი წესის დარღვევის მიზეზად თვლის ბაგრატის პირად ღირსებებს — „ბაგრატ უმთავრეს მათსა (მშათა. — გ. ა.) იყო სიბრძნითა სახითა და სიქველითა“. ვფიქრობთ, ასეთ განმარტებას უნდა ვენდოთ. ბიზანტია, მიუხედავად სურვილისა, ვერ იმოქმედებდა ვერაგულად აშოტის შემკვიდრეთა მიმართ, რადგან იგი სისხლხორცეულად იყო დაინტერესებული თავისი უშუალო მეზობელი მხარეებიდან არაბთა უკუგდებით. ასეთ შემთხვევაში ქართველთა საზიანო პოლიტიკა შინააშლილობის გამოწვევის

მიზნით (ბაგრატის გამეფება) მას არაფერს მისცემდა. ავი ზრახვით მოქმედ ბიზანტიას შეეძლო მეფობა და კურაპალატობა მიეცა ასევე გურამისათვის, მითუმეტეს, რომ, განსხვავებით ბაგრატი I-ისაგან, მას (როგორც შემდეგ გამოჩნდა) უფრო პრობიზანტიური განწყობა ჰქონია. ბაგრატი თავისი მოღვაწეობით სავსებით ამართლებს გიორგი მერჩულესეულ დახასიათებას. 826—842 წლებში თავში მოქმედი სამხედრო-პოლიტიკური საქმიანობითა და ძმის — გურამის გარჯით თითქმის აღდგა აშოტ დიდის დროინდელი ქართლი.

ცენტრალურ ქართლს (იბერიასა) და დასავლეთ საქართველოს (ლაზიკა-აფხაზეთი) შორის აღრევე არის დამყარებული პოლიტიკური კავშირი. 786—798 წლებში ლეონ II ხაზართა დახმარებით აღადგენს აფხაზეთის დამოუკიდებელ სამეფოს და იწოდება მეფედ, თუმცა ამის შემდეგ ბიზანტია არ ეშვება მის მიმართ თავის მილიტარისტულ ზრახვებს და იქ დიდი მასშტაბის ომებს აწარმოებს. ბუნებრივია, რომ ასეთ ვითარებაში წარმოიშობოდა კულტურული ემანსიპაციის მოთხოვნაც, ნაციონალური კულტურის გაღვივების საპირობება, რასაც გამოუწვევია აფხაზეთა სამეფოს ეკლესიის ნაციონალიზაცია, მისი დაკავშირება იბერიის, ქართლის საკათალიკოსოსთან, ცენტრით მცხეთაში. ეს ხდება IX ს-ის პირველ მეოთხედში და გიორგი მერჩულეს მიერ „გრიგოლ ზანძთელის ცხოვრების“ შექმნისათვის (1951 წელს) კარგა ზნის ფაქტია.

ჩვენს წინაპრებს ესმოდათ, რომ ენა და ნაციონალური კულტურა, შექმნილი ამ ენაზე, სახელმწიფოებრიობის ძირითადი კომპონენტები იყო. აზრთა ასეთი მდინარების ფონზე სავსებით ჩვეულებრივ ამბად ჩანს იოანე-ზოსიმეს მიერ იმავე X საუკუნეში ქართული ენის გატოლება ბერძნულთან და უფრო მაღლა დაყენებაც კი.

ჯავახეთის კრებაზე აღინიშნა, რომ საერო პირმა, თუნდაც განათლებულმა და რჯულისმცოდნემ, არ უნდა გაბედოს რაიმე უცხო წესის დანერგვა ეკლესიაში. შეცდომა იქნება აქ მხოლოდ სასულიეროთა და საეროთა ურთიერთდამოკიდებულებაზე ვიმსჯელოთ. აქ აშკარად ჩანს ნაციონალური თვითშეგნებაც, ნაციონალური ქრისტიანული კულტურის დაფასებაც და მისი ბიზანტიისგან ხელყოფისადმი ოპოზიციური დამოკიდებულებაც. განა ერთ-ერთ ბრალდებად ეს არ წამოუყენა ქართულ ეკლესიას 1057 წელს ანტიოქიის კრებაზე თეოდოსი პატრიარქმა? — ქართველები თვით განაგებენ საეკლესიო წესებს, თვით დაისმენ კათალიკოს-ეპისკოპოსებსო და ა. შ.

„წვრილი ერი“ ფეოდალიზმის საბოლოო გამარჯვებამდე იბრძვის თავისი თემური უფლებების შესანარჩუნებლად და კონკრეტულად ამაში მდგომარეობდა მისი სოციალური ბრძოლის არსი. ფეოდალიზმის გამარჯვების შემდეგ, VIII საუკუნის ბოლოსა და IX საუკუნის დასაწყისში, იგი იძულებულია შეცვალოს ამ ბრძოლის ფორმები და შეეგუოს ფეოდალიზმის პირობებს. ასე ვთქვათ, ისარგებლოს თვით ფეოდალიზმის შიგნით არსებული პოლიტიკური, ეკონომიური და იდეოლოგიური წინააღმდეგობებით. იგი ეძებს „სამართალს“. რა იქნებოდა მისთვის ამ პერიოდში სამართალი? — ხელუხლებლობა იმისა, რის შენარჩუნებაც მან შეძლო VIII—IX საუკუნისათვის ძველი თემური წყობილებიდან, კერძოდ, უფლება ტყეზე, სამოვარზე, წყალზე. ცენტრალიზაციის, გაერთიანებისათვის ბრძოლა კი მძიმე პროცესად იქცევა. უნდა ვიფიქროთ, რომ „წვრილი ერი“ თავისი სოციალური პრეტენზიების წაუყენებლად არ ჩაებმებოდა ამ ბრძოლაში ცენტრალიზაციის მხარეზე. შეიძლება მას ხიბლავდა ის პერსპექტივა, რომ



მელსაც ეს მიმხრობა უქმნიდა და, რაც საბოლოოდ მსახურეული ფეოდალური არისტოკრატის შექმნით დამთავრდა.

„გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებიდან“ ჩანს, რომ VIII ს-ის დასასრულსა და IX საუკუნის დასაწყისში სწრაფი ტემპით მიმდინარეობს მონასტრების ფეოდალიზაცია. მონასტერი ჯდება ვრცელ მიწებზე, რაც წვრილი ერის უკმაყოფილებას იწვევს. ცქერის მიერ დარაზმულ გლეხებს, როდესაც მონასტრების დასანგრევად მიდიან, საეკვოა, ქრისტიანობასთან იდეოლოგიური წინააღმდეგობა ამოქმედებდეთ და არა ინტერესი სამონასტრო მიწებზე დასხდომისა. საბოლოო ჯამში, წვრილი ერის უდიდესი ნაწილი მაინც მეფეს ემხრობა. იგი ვერ ნახულობს გამოსავალს თავისი მძიმე მდგომარეობიდან; იგი მეფისაგან მოელის წყალობას, დამსახურებისათვის ნიჟსა და სახელს. მაშასადამე, ერთგვარი დემოკრატიზაცია, რომელიც ფაქტია XI—XII საუკუნის საქართველოს ცხოვრებაში, იყო პირდაპირი შედეგი ცენტრალიზაციისათვის ბრძოლისა.

<sup>1</sup> ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, თბილისი, 1967, I, გვ. 250.

<sup>2-4</sup> რ. ს ი რ ა ძ ე, ძველი ქართული თეორიულ-ლიტერატურული აზროვნების საკითხები, 1975, გვ. 240, 234, 255.

<sup>5-8</sup> ფილოსოფიის ინსტიტუტის შრომები, ტ. III, თბილისი, 1951; შ. ხ ი დ ა შ ე ლ ი, გიორგი მერჩულის მსოფლმხედველობა..., გვ. 245, 53.

<sup>7-10</sup> რ. ს ი რ ა ძ ე, ძველი ქართული თეორიულ-ლიტერატურული აზროვნების საკითხები, გვ. 247, 248, 257.

<sup>11-13</sup> შ. ხ ი დ ა შ ე ლ ი, დოგმატიკური ნაკადი XI—XII ს-ის ქართულ ფილოსოფიურ აზროვნებაში (იოანე დამასკელი და ტრაქტატი „პირშმოხსათვის“), ქართული ფილოსოფიური აზრის ისტორიის ნარკვევები, თბილისი, 1977, გვ. 8.

<sup>14</sup> „მომხილველი“, ტფილისი, 1926, გვ. 184.

<sup>15</sup> შ. ხ ი დ ა შ ე ლ ი, საზოგადოებრივი და ფილოსოფიური აზრის ძირითადი მიმდინარეობები ძველ საქართველოში, თბილისი, 1952, გვ. 58—59.

<sup>16</sup> შ. ხ ე ლ ე ბ ი ძ ე, ქართული ფილოსოფიის ისტორია, თბილისი, 1956, ტ. I, გვ. 367.

<sup>17</sup> იქვე, გვ. 370.

<sup>18</sup> ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, III, თბილისი, 1971, გვ. 181.

<sup>19-20</sup> ა რ ი ს ტ ო ტ ე ლ ე, ფიზიკა, ტფილისი, გვ. 154.

<sup>21</sup> ი. გ ე გ ე შ ი ძ ე, მისტიციზმის რელიგიური ბუნება, თბილისი, 1971, გვ. 45.

<sup>22</sup> Н. М а р р, Иоанн Петрицкий — грузинский неоплатоник XI—XII века, Записки восточного отделения императорского русского археологического общества, т. XIX, в. II—III, СПб., 1909, гв. 102.

<sup>23</sup> ი. პ ე ტ რ ი წ ი, შრომები, II, ტფილისი, 1937, გვ. 223.

<sup>24</sup> ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, II, თბილისი, 1967, გვ. 170.

<sup>25</sup> ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, თბილისი, 1960, გვ. 108.

ДЖ. В. АПЦИАУРИ

## О НЕКОТОРЫХ МОМЕНТАХ ИДЕОЛОГИЧЕСКОЙ БОРЬБЫ В «ЖИТИИ ГРИГОРИЯ ХАНДЗТЕЛИ»

В освоении «нехристианской мудрости» Г. Хандзтели руководствовался интересами идеологической защиты веры. «Нехристианская мудрость» может порождать примат разума, этим и объясняется призыв Г. Мерчулэ к борьбе против этой мудрости.

В идеологии Г. Мерчулэ отражены экономическая, культурная и политическая жизнь страны, классовая борьба, тенденции ареопагитического мирозерцания.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ძველი ქართული ლიტერატურის კათედრა  
წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ა. ბარამიძემ

## სოფიო ჩოხელი

ქორწინების უძველესი ფორმების ზოგიერთი საკითხისათვის  
პართულ კოეტიურ ფოლკლორში

ქორწინებამ, ვიდრე იგი მონოგამიურ ფორმაში ჩამოყალიბდებოდა, განვითარების რთული და გრძელი გზა განვლო.

პირველყოფილი თემური წყობილების ორი დიდი ეპოქის — მატრიარქატისა და პატრიარქატის სხვადასხვა პერიოდში ქორწინების განსხვავებული ფორმები არსებობდა.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ოჯახის შექმნის პირველ საფეხურად გვევლინება სისხლით მონათესავე ოჯახი. „ოჯახის ამ ფორმაში, — როგორც ენგელსი აღნიშნავს, — ურთიერთ ცოლქმრული უფლებანი და მოვალეობანი გამორიცხულია მხოლოდ წინაპრებსა და შთამომავლებს შორის, მშობლებსა და შვილებს შორის. ძმები და დები, ბიძაშვილები პირველი, მეორე და უფრო შორეული საფეხურისა, ყველანი ერთმანეთის და-ძმანი არიან და სწორედ ამიტომ ერთმანეთის ცოლქმრებად ითვლებიან“<sup>1</sup> და ყოველივე ეს იმ ეპოქისათვის სავსებით „ზნეობრივად ითვლებოდა“<sup>2</sup>.

მაშასადამე, ამ ეტაპზე გამოირიცხა ურთიერთობა მშობლებსა და შვილებს შორის; შემდგომ პერიოდში, ე. ი. მეორე საფეხურზე, იგივე მოხდა დებსა და ძმებს შორისაც, ჯერ ცალკეულ შემთხვევებში, შემდეგ იგი თანდათანობით წესად იქცა და „დასრულდა იმით, რომ ცოლქმრობა აიკრძალა გვერდითი ხაზებითაც კი, ... ღვიძლი და-ძმების შვილებისა, შვილიშვილებისა და შვილიშვილის შვილებისათვის“<sup>3</sup>.

ისტორიული წყაროებით, ეთნოგრაფიული მონაცემებითა და მხატვრული ლიტერატურული ძეგლებით დადასტურებულია, რომ ქართველური ტომებისათვის, რომელთაც თავის დროზე გაიარეს პირველყოფილ გვაროვნული განვითარების სტადია, უცხო არ იყო ამ უკანასკნელის შესაბამისი ოჯახური ფორმები. ამ მხრივ რამდენადმე საინტერესოა ვახუშტი ბაგრატიონის ცნობა, რომ „საქართველოს ისტორიის უუძველეს ეპოქაში, — ე. წ. „მამასახლისობის პერიოდში“ ქართველებს აქვნდათ სჯულიცა უბოროტეს ყოველთა, რამეთუ არა იცოდენ ნათესაობა, არცა ცოლქმრობა“<sup>4</sup> და სხვ.

ქრისტიანული რელიგია სასტიკად ებრძოდა სისხლის აღრევის შესაძლებლობას. ამ მხრივ სპეციალური კანონებიც კი არსებობდა<sup>5</sup>. ამ კანონებს მტკიცედ იცავდნენ საქართველოშიც, თუმცა გვხვდებოდა გამონაკლისებიც, როგორც არისტოკრატიულ წრეებში (სადაც იგი სხვადასხვა მიზეზით იყო განპირობებული), ასევე საზოგადოების დაბალ ფენებში<sup>6</sup>. როგორც ჩანს, ეკლესია და რელიგია მანაც უძლური აღმოჩნდა სავსებით მოესპო ქორწინების ზემოხსენებული წესი მანამ, სანამ თვით ხალხმა არ ცნო იგი სამარცხვინოდ და სათაქილოდ.

საქართველოში სისხლის ნათესავეთა ქორწინების, როგორც უძველესი ჩვეულების, არსებობაზე მიგვანიშნებს ხალხური სიტყვიერების ნიმუშებიც — პროზაული (ზღაპარი, თქმულება, გადმოცემა, ლეგენდა) თუ პოეტური ტექსტე-

ბი; უფრო მეტიც, მათში ქორწინების იმ უქველესი ფორმების კვალიც კი შეინიშნება, რომელთა შესახებ დღეს ისტორიული დოკუმენტები თუ სხვა წყაროები, გარდა ენობრივი მონაცემებისა, არას ამბობენ (ამ მხრივ მეტად საინტერესოა ძველი ნათესაობის სისტემის გადმონაშთების შესახებ მასალები და ნათესაობის აღმნიშვნელი ტერმინები)?

დღეს ჩვენს ხელთ არსებული ფოლკლორული მასალები, რომლებიც სისხლის აღრევის, ე. ი. ინცესტის, ან მისი უპატივების მოტივის შეიძლება შინაარსობრივად რამდენიმე ჯგუფად დაიყოს: 1. მამა ცდილობს საკუთარ ქალიშვილზე დაქორწინებას; 2. და-ძმის დაქორწინებისა თუ მისი უპატივის ამსახველი ძეგლები; 3. კუზნური ქორწინება და მისგან გამოწვეული შედეგები.

პირველი რიგის ზღაპართა სიუჟეტი თითქმის ყველა ხალხთა ფოლკლორში გვხვდება. აარნე-ტომპსონის კლასიფიკაციის მიხედვით ისინი გაერთიანებულია 510B ჯგუფში. როგორც ჩანს, ამ მოტივის შემცველი ზღაპრები საკმაოდ ყოფილა გავრცელებული საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, რასაც ადასტურებს ბოლო დროს ფოლკლორული ექსპედიციების შედეგად მოპოვებული ძეგლები, რომ აღარაფერი ვთქვათ ი. კარგარეელის, თ. რაზიკაშვილისა და სხვათა მიერ ჩაწერილ და უკვე საკმაოდ ცნობილ ტექსტებზე. ამ მხრივ აღსანიშნავია სვანეთში, სოფ. უშხვანარში, 1962 წელს ჩაწერილი ზღაპარი „ცოლ-ქმარი“<sup>8</sup>, რაჭაში, ზემო ბარში 1961 წელს ფიქსირებული „ხელმწიფე“<sup>9</sup>, ასევე ჩვენ მიერ სამეგრელოში, გეგეჭკორის რაიონის, სოფელ სალხინოში, 1971 წელს, ხოლო ქართლში, სოფელ ქვიშხეთში, 1973 წელს ჩაწერილი ზღაპრები<sup>10</sup>. მათს ანალოგიას წარმოადგენს აფხაზური ზღაპარი „დათვისტყავიანი ქალიშვილი“<sup>11</sup>.

სვანური ზღაპრის სიუჟეტი ასეთია: ცოლ-ქმარს ჰყავს ერთი ქალიშვილი. გადის დრო. ცოლი კვდება, მამა-შვილი მარტონი რჩებიან. გოგონა რომ წამოიზრდება, სთხოვს ღამას, მეორე ცოლი შეირთოს, რადგან მას მარტოხელას ძალიან უჭირს ოჯახის მოვლა. მამა მართლაც მიდის ცოლის საძებრად. სამჯერ ცდის ბედს, მაგრამ სამჯერვე ხელმოცარული დაბრუნდება. „სახლში რომ მყავს, იმაზე უკეთესს სად ვიშოვიო, იტყვის ბოლოს და გადაწყვეტს საკუთარ ასულზე დაქორწინდეს. ქალიშვილი, მართალია, სიტყვიერ თანხმობას განუცხადებს, მაგრამ სინამდვილეში თავს გაქცევით შველის — ღამით სახლიდან გაიპარება და გამოქვამულს შეეფარება“.

აფხაზურ ზღაპარში კი ცოლი სიკვდილის წინ ქმარს უბარებს: „თუ მოკვდები, მხოლოდ ის შეირთე, ვისაც ჩემი ფეხსაცმელი მოერგებაო“. ქალი მართლაც გარდაიცვლება. ქმარი მთელს სამყაროს მოივლის, მაგრამ, გარდა თავისი ასულისა, ვერავის ნახავს, რომ ფეხსაცმელი კარგად ჰქონდეს, და ამიტომ მის შერთვას გადაწყვეტს. ქალიშვილი არაფრით არ თანხმდება და დათვის ტყავგადაცმული გარბის საბლიდან<sup>12</sup>.

აფხაზურ ზღაპართან სიუჟეტურად ძალიან ახლოსაა ქართული ზღაპარი „ოქროსთმიანი ვაჟი“, რომელიც თ. რაზიკაშვილის მიერ არის ჩაწერილი. ეს ზღაპარი 1914—15 წლებში დაიბეჭდა საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების კრებულში „ძველი საქართველო“ (ტ. IV, გვ. 76).

ზემოდასახელებული ზღაპრების თითქმის ანალოგიას წარმოადგენს ამ ბოლო დროს მოპოვებული და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქივში დაცული ტექსტები და ჩვენ მიერ ჩაწერილი მასალები. ამიტომ ჩვენ მათ შინაარსს აღარ მოვიყვანთ, რადგან, როგორც ცნობილია, ზღაპარში სიუჟეტური 3. მ ა ც ნ ე, ენისა და ლიტერატურის სერია, 1979, № 1

რკალები, სიუჟეტის სქემა საერთოდ სტაბილურია; ცვალებადია სიუჟეტის განვითარება და ხორცშესხმა თითოეული მოქმედების რეპერტუარში<sup>13</sup>. ჩვენ სწორედ ზღაპრის სიუჟეტი, კერძოდ მისი ერთი მოტივი — მამის მიერ საკუთარ ქალიშვილზე დაქორწინების მცდელობის საკითხი, გვიანტერესებს. ყველა ზემოდასახელებული ზღაპარი სიუჟეტურად ერთიან რკალს ქმნის — ცოლის სიკვდილის შემდეგ მამა ცდილობს ქალიშვილის ცოლად მოყვანას. გარდა სვანური ვარიანტისა, ყველა შემთხვევაში მამის მოქმედება მოტივირებულია — იგი ცოლის დანაბარებს ასრულებს. სვანური ვარიანტის მიხედვით კი მამა, როცა დაიღლება საცოლეს ძებნით, უცებ შეხედავს ქალიშვილს და გადაწყვეტს მის ცოლად მოყვანას. სწორედ ამიტომ ჩვენ სვანური ვარიანტი უძველესად და, ამასთან, ამ ჩვეულების ყოფაში არსებული რეალობის გამომხატველად გვეჩვენება, რადგან მოტივაცია საერთოდ გვიანდელი პერიოდების შედეგია.

ამგვარად, ჩვენ მიერ განხილული ნიმუშები აშკარად მიუთითებენ მშობლებისა და შვილების შეუღლების შესაძლებლობის ოდესღაც არსებულ ჩვეულებასზე. მართალია, ქორწინების შემთხვევები მათში არ ჩანს, არამედ აშკარა პროტესტია გაცხადებული, მაგრამ ეს როდი გამორიცხავს აღნიშნული წესის ყოფაში არსებობას; პირიქით, იგი ბევრ რამეზე მეტყველებს. კერძოდ, მამის მცდელობა, რომ დაქორწინდეს საკუთარ ქალიშვილზე, ჩვენ პრომისკუიტეტის (რომელიც ოჯახის შექმნის პირველი საფეხურის წინამდებელი პერიოდი იყო) შორეულ გამოძახილად გვეჩვენება, მხოლოდ ზღაპარში ეს პერიოდი კი არ ჩანს, არამედ — მისი მომდევნო საფეხური, როდესაც მსგავსი ქორწინება უკვე სამარცხვინოდ ითვლებოდა და უარყოფილი იყო. სწორედ ამასვე მეტყველებს ქალიშვილების წინააღმდეგობაც. ერთი რამ უდავოა, მსგავს ჩვეულებას ყოფაში ადგილი რომ არა ჰქონოდა (თუნდაც მცდელობის სახით), იგი არც ზღაპარში იჩენდა თავს, რადგანაც, როგორც სამართლიანად შენიშნავს ვ. პროპი, „ზღაპარში ბევრი მოტივი ობიექტური სინამდვილის მიერაა ძუძუნაწოვი და ნასაზრდოები... ზღაპარიც ისტორიულ ფესვებზეა ამოზრდილი“<sup>14</sup>.

სათქმელია, რომ მითოსური ელემენტების შემცველი ხალხური ლექსი „ია მთაზედა, თოვლიანზედა“..., რომელსაც ქართული სამონადირეო ეპოსის უძველეს ფენას აკუთვნებენ<sup>15</sup>, იმავე მოტივის ამსახველი უნდა იყოს. როგორც ტექსტიდან ჩანს, სასიამაო ნადირობის დროს უცაბედად კლავს სასიძოს. ქალიშვილი წყველის მამას და თან საყვედურობს:

შენ მამაჩემო დარბაისელო,  
შენ ჩემი ცოდვით არ მოისვენო,  
როცა ვითხარი, არ ვამთხოვე,  
ესლა მათხოვებ — მომიკალ ქმარი.<sup>16</sup>

ისმის კითხვა: რატომ წყველის ასე უღმობლად ქალიშვილი მამას და რას უნდა ნიშნავდეს მისი საყვედური? რატომ არის, რომ სიმამრი, რომელსაც ასეთი საშინელი მარცხი მოუვიდა, მკვდარი სასიძოს სხეულს ტყეში უპატრონოდ ტოვებს? ხომ არ არის მამის მოქმედება რაიმე მოტივით განპირობებული?

თუ თვალს გადავავლებთ სხვა ხალხთა მითოლოგიას, შესაძლოა ჩვენი ვარაუდი სამართლიანი მოგვეჩვენოს. მაგალითად, ამერიკის ხალხებში საკმაოდ არის გავრცელებული ესკიმოსების მითები სედნას შესახებ (მთელი ციკლაა შექმნილი). ერთ-ერთი მითის მიხედვით, მამა-ქალიშვილი ერთად ცხოვრობენ. ქალიშვილს ვერც წარმოუდგენია გათხოვება. ბოლოს იგი ძალს მიჰყვება ცოლად და ერთ-ერთ კუნძულზე სახლდება. სედნას მამას ვერ აუტანია ქალიშვილ-

თან დაშორება და ამიტომ გარკვეული დროის შემდეგ კლავს სიძეს (ძალღს). სედნა შინ ბრუნდება. მამა-შვილი კვლავ ერთად არიან. გადის დრო... სედნას გრიგალა მოეველინება მამაკაცის სახით და გაიტაცებს. მამა დაედევნება მათ და ქალიშვილს დაიბრუნებს. როდესაც ისინი ნავით უკან მოდიან, გრიგალასა და სედნას მამას შორის გაიმართება საშინელი ბრძოლა. მამა გრძნობს რა შვილის დაქარგვის საშიშროებას, მას ზღვაში გადააგდებს. სედნა ნავის კიდეს ჩამოეკიდება თითებით, მაგრამ გამწარებული მამა თითებს დააჭრის. სედნა ზღვის-ფსკერისაკენ დაეშვება და იქ დამკვიდრდება. მამა არც აქ ტოვებს თავის ქალიშვილს და ისიც ზღვის ფსკერს მიაშურებს<sup>17</sup>.

როგორც ვხედავთ, სედნას მამამ ვერ გაიმეტა ასული სხვისთვის და ყოველგვარ ღონეს ხმარობდა მისი დაბრუნებისათვის.

განვიხილოთ ინცესტის მოტივის შემცველი ის პოეტური ძეგლები, სადაც უშუალოდ და-ძმას შორის ურთიერთდამოკიდებულებაზეა საუბარი, კერძოდ იმის მცდელობაზე, რომ საკუთარი და შეირთოს ცოლად. მსგავსი სიუჟეტის შემცველი ნაწარმოებები აარნე-ტომპსონის კლასიფიკაციის მიხედვით გაერთიანებულია 313 E ჯგუფში.

აღნიშნული თვალსაზრისით მეტად საინტერესოა სევანური ზღაპარი „დაძმის“ შესახებ. სიუჟეტი ზღაპრისა ასეთია: სამ და-ძმათაგან ორნი — უფროსი და შუათანა — შეუღლდებიან. უმცროსი და კი სასტიკი წინააღმდეგია. იგი სახლიდან გაიქცევა და თავს შეაფარებს ეკლესიას. აღნიშნული ზღაპარი სათანადოდ აქვს განხილული ო. ონიანს თავის საკვალიფიკაციო ნაშრომში<sup>18</sup>. მის ქართულ ვარიანტად მკვლევარი ასახელებს „ედემის ყვავილს“, მაგრამ „სევანურ ზღაპარში, განსხვავებით ქართულისაგან დაცულია მეტად მნიშვნელოვანი მომენტი, კერძოდ, ქორწინების შესაძლებლობა და-ძმებს შორის... აგრეთვე მიზეზი უმცროსი დის სახლიდან გაქცევისა — ძმამ ცოლქმრობის პირობა მოთხოვა დას და გამოეკიდა დასაუფლებლად, უმცროსმა დამ გაქცევით უშველა თავს, თუმცა უფროსმა და შუათანამ მაშინვე თანხმობა განაცხადეს“<sup>18</sup>.

ამ მოტივის, ე. ი. და-ძმის ცოლქმრულ დამოკიდებულებას და ამასთან მის უარყოფას, — როგორც სამართლიანად შენიშნავეს მკვლევარი, — არ იცნობს ქართული ვარიანტი<sup>20</sup>. მართლაც, აღნიშნული მოტივის შემცველ ტექსტებს ვერც ჩვენ მივაკვლიეთ. მაგრამ ამ ზარევეს ნაწილობრივ მაინც გვივსებს აფხაზური და ასევე კავკასიის სხვა ხალხთა ფოლკლორი.

აფხაზური ფოლკლორის მკვლევარს ს. ზუხბას 1965 წელს ოჩამჩირის რაიონში ჩაუწერია ზღაპარი იმის შესახებ, თუ „როგორ არ გაჰყვა და ცოლად თავის ძმას“<sup>21</sup>. ამ შემთხვევაში მშობლებს, რომელთაც სამი ქალ-ვაჟი ჰყავთ, სურთ ისინი ერთმანეთზე დაქორწინონ. სევანური ზღაპრის ანალოგურად, ორი უფროსი და-ძმა მშობლებს დაემორჩილება, უმცროსი კი, მიუხედავად ძმის დიდი სურვილისა, უარს აცხადებს. მასზე არც თხოვნა სჭრის და არც მუქარა, იგი სახლიდან გარბის.

აფხაზურ ზღაპართან სიუჟეტურად ძალიან ახლოს დგას ადიღეური ფოლკლორის ბრწყინვალე ნიმუში „სიმღერა ქალიშვილისა, რომელმაც არ ისურვა ძმაზე გათხოვება“. ამ ლექსს თვით ადიღეური ფოლკლორის მკვლევარი გ. მიჟაევი ჯგუფური ქორწინების ამსახველად მიიჩნევს<sup>22</sup>.

როგორც ტექსტიდან ირკვევა, მშობლებს ქალიშვილი, რომელიც მათ სურვილს არ დამორჩილება, საშინელ თოვლსა და ყინვაში გარეთ გაუგდიათ. როგორ არ ევედრება იგი ზან დედას, ზან მამას, დას, ბიძას, ბოლოს ძმასაც კი, რომ

სახლში შეუშვან, შეიბრალონ, მაგრამ ამაოდ. მათგან მხოლოდ ერთ პასუხს იღებს:

„ღედამთილო“ უნდა გეთქვა  
გაგილებდი მაშინ...  
„მამამთილო“ უნდა გეთქვა  
გაგილებდი მაშინ...  
„საყვარელო მულო“ გეთქვა...  
გაგილებდი მაშინ...  
„სახლის თავო“ უნდა გეთქვა  
გაგილებდი მაშინ...  
უნდა გეთქვა „ჩემო ქმარო“  
გაგილებდი მაშინ“.

აღმყოფებული და სასოწარკვეთილი ქალიშვილი გაოგნებული პასუხობს:

„ჯერ ხომ სული მიღვას პირში  
ჩანაირად შეთქვა“<sup>23</sup>.

იმავე მოტივის შემცველია ადიღეური ზღაპარი აშერას შესახებ — „აშერა და ტაურინი“, სადაც ახალგაზრდა ვაჟს სურს ცოლად შეირთოს საყუთარი და. ეს უკანასკნელი ღმერთისაგან ითხოვს შველას. ღმერთი მართლაც შეიწყნარებს მის ვედრებას და ძმას ძალად აქცევს<sup>24</sup>.

მაგალითების მოყვანა კავკასიის სხვა ხალხთა ფოლკლორიდანაც შეიძლებოდა, მაგრამ ამით დავეკმაყოფილდებით. განხილულ მაგალითებშიც ჩვენ ქორწინების უძველესი სახე უნდა დავინახოთ. აქაც წინარეისტორიული საფეხურის ორი ეტაპი იჩენს თავს. ერთი მხრივ, აღნიშნული ქორწინება სავესებით ბუნებრივია და დასაშვებად ითვლება (ამ შემთხვევაში ოჯახის შექმნის პირველი საფეხურია ჩვენ თვალწინ), მეორე მხრივ კი ამ წესს სასტიკად გამოხენ და ეწინააღმდეგებიან. აქ ოჯახის შექმნის მეორე საფეხურის, კერძოდ პუნალუალური ოჯახის, შორეულ გამოძახილთან გვაქვს საქმე, რადგან ამ პერიოდში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დაძმების შეუღლება უკვე მწყობრიდან გამოდიოდა.

როცა ჩვენ ინცესტის მოტივს ვეხებით, არ შეიძლება არ გავგახსენდეს მთელი რიგი მითი და თქმულება, რომლებიც მოგვითხრობენ იმის შესახებ, რომ „პირველყოფილ ტომებში საყოველთაო სქესობრივი შერევა იყო გაბატონებული“<sup>25</sup>. ამაზე მეტყველებს ინდოელთა გადმოცემა, რომლის მიხედვით ბრამას (ბრამინების წინასწარმეტყველს) ცოლად ჰყავდა თავისი ღვიძლი ასული სარასვატი; ანალოგიური თქმულება აქვთ ეგვიპტელებსაც (ჩრდილო ედაში), რომლის მიხედვითაც ეგვიპტელთა ღმერთი ქმარი იყო თავისი ღვიძლისა და ამით თავი მოსწონდა კიდევ<sup>26</sup>. ოდინი, როგორც ედა მოგვითხრობს, ქმარი იყო თავისი ასულის — ფრიგისა; უზენაესი ღვთაებები ჰერა და ზევსიც (იზიდასა და ოზირისის ანალოგიურად) დაძმანი და ამავე დროს ცოლ-ქმარნი არიან. ნართული ებოსის გმირებიც სატანა და ურიზმაგი (ქართული ვარიანტის მიხედვით სატანეი და ორიზმეგი) დაძმანი და ამასთან ცოლ-ქმარი იყვნენ<sup>27</sup>. ზოგი ვარიანტის მიხედვით სატანა თავისი ძმის ოზირმესის მეუღლედაც კი გვევლინება<sup>28</sup>. ყოველივე ეს კი თავის დროზე დასაშვები და მიზანშეწონილი იყო, მაგრამ შემდგომ პერიოდში ამ წესებთან დაკავშირებული თვალსაზრისი იცვლება.

როგორც ყოველთვის, ასე ვთქვათ, ახალი იდეოლოგია კრიტიკულად უდგება რა ძველს, ცდილობს მწყობრიდან გამოიყვანოს იგი. ასევე ხდება საქორწინო წესებთან დაკავშირებითაც. სწორედ 'ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ჰერა და ზევსი უკვე ცდილობენ დაფარონ მშობლებისაგან თავიანთი ქორწინების ამბავი. ანალიზებს რა მათს მოქმედებას, ე. კაგაროვი აღნიშნავს: „Желания Зев-

са и Геры скрыть от родителей свой брак указывает на то, что в общественном сознании «гомеровской эпохи» такие браки стали уже рассматриваться как запретные»<sup>29</sup>.

განა იგივე თვალსაზრისი არ განაპირობებს ეოლის ქალიშვილის — კანაკას საყვედურს, რომლითაც იგი მიმართავს თავის ძმას:

«O, если бы смерть, Макарей, роковую ту ночь упредила,  
Что печистой любви наш завершила союз.  
Брат мой, зачем ты ко мне столь небратную страстью пылая,  
Тем меня сделал, чем быть брату не может сестра»<sup>30</sup>.

როგორც ვხედავთ, თანდათანობით ხალხის მსოფლმხედველობა იცვლება, და ეს იდეოლოგიური ცვლა-შესუსტება მაშინვე გამოხატულებას პოულობს ზეპირსიტყვიერებაში.

ამ თვალსაზრისით მეტად საინტერესოა სვანური ზღაპარი „სამი დის“ შესახებ<sup>31</sup>. ზღაპრის სიუჟეტი ზოგადია, აარნე-ტომპსონის კლასიფიკაციის № 707 ჯგუფს განეკუთვნება: გადაგდებულ ბავშვებს (ქალ-ვაყს) იპოვის მოხუცი მწყემსი და შინ წაიყვანს. როცა დაიზრდებიან, ვაჟი გადაწყვეტს ქალიშვილის ცოლად შერთვას. ქალიშვილი გულთმისანია. მან იცის, რომ ეს ვაჟი მისი ღვიძლი ძმაა, მაგრამ საბუთი?.. ამიტომ არის წინააღმდეგი მასთან შეუღლებისა. როცა ვაჟი არ მოეშვება, გოგონა თხოვს: „შიშველი მუცლები მივაღოთ ერთმანეთს და ნახე, რა მოხდებაო“... მართლაც, როცა ისინი მუცლით შეეხნენ ერთმანეთს, მათს შუა სანთელი აინთო. „ეს ღმერთის წყალობით მოხდაო“, — ნათქვამია ზღაპარში.

ზღაპრის სიუჟეტი შესაძლოა საკმაოდ არქაული და მოარული იყოს, მაგრამ დროთა მსვლელობაში მას ახალი პლასტები შეუძენია, რამაც ახალი გააზრება მისცა. მას აშკარად ამჩნევია ქრისტიანიზაციის კვალი (ქალიშვილს ღმერთი უფალი ევლინება შემწედ და მფარველად, რომელმაც ააცდინა იგი სისხლის აღრევის მოსალოდნელ საშიშროებას).

უფრო მოგვიანებით შექმნილ პოეტურ ნიმუშებში შესანიშნავად არის ასახული, თუ რამდენად დაუშვებლად ითვლება მსგავსი ქორწინება. უფრო მეტიც, იგი იმდენად ტაბუირებულია, რომ სასტიკად ისჯებიან ამ წესის დამრღვევნი, თუნდაც სრულიად უდანაშაულონი იყვნენ ისინი. ამ მხრივ ყურადსაღებია აკაკი წერეთლის მიერ სვანეთში მოგზაურობის დროს ჩაწერილი ლეგენდა: „ერთ სერზე რომ გავდიოდი, — მოგვითხრობს მწერალი, — ჩემმა მხლებელმა სვანმა მოიხადა ქუდი და თქვა: ღმერთო შეუხდეო!.. შემდეგ მოპყვა: — ეს სერი ყოფს თავისუფალსა და საბატონო სვანეთს. აქედან ორივე კარგად მოჩანს. ერთ დილბს ამოსულიყო საბატონოდან გოგო, გადაეხედა და ეთქვა: -- რა კარგი რამ არის ეს თავისუფალი სვანეთი. იმ დროსვე მეორე მხრიდან ვაჟი გადმოსულიყო, გადაეხედა და ეთქვა: -- რა კარგი რამ ყოფილა საბატონო სვანეთი. ორივეს გრძნობა მორეოდა... მე რე დაენახათ ერთმანეთი გრძნობამორეულზე, შეყვარებოდათ, ცოლ-ქმრობის პირობა დაედვათ და შემეცდარიყვნენ, მაგრამ მაშინვე დედამიწა გასკდომოდათ და შიგ ჩავარდნილიყვნენ. — ა, ბატონო, ხოპ ხედავთ, ტახტივით რომ მოჩანს და ზედ დიდი სასაფლაოა. თურმე, ნუ ბრძანებთ, ერთი მათგანი ტყვედ ყოფილიყო წამოყვანილი, ძმა ყოფილიყო ამ გოგოსი და კი არ იცოდა“...<sup>32</sup>.

ჯის გზით და-ძმა მიდიოდა ზემო სვანეთისაკენ. ისინი გორვაშის მთაზე ავიდნენ და იქ დაისვენეს. აქ ისინი შეცდნენ. აქ დროს მიწა ჩაუსკდათ. ამ ალაგს ამჟამადაც უჩვენებენ<sup>33</sup>.

საკვლევ საკითხთან დაკავშირებით, აღსანიშნავია 1875 წელს — „კავკაზში“ (№ 45) ი. გრძელიშვილის მიერ გამოქვეყნებული ტექსტი „გაქვავებული წყვილი“ („Окаменевшая чета“). მოკლე შინაარსი ლეგენდისა ასეთია: სოფელში თავისი სიმდიდრით განთქმულ ბარძიმსა და მის მეუღლეს კეკელას დიდხანს შეილი არ ჰყავდათ. ბოლოს ტყუპი ქალ-ვაჟი შეეძინათ. ერთ საღამოს, ეზოში თამაშის დროს ვაჟიშვილი (დათიკო) უცებ დაიკარგა. საღ არ ეძებეს, მაგრამ ამაოდ.

გავიდა ზანი. მათი ქალიშვილი მართა გასათხოვარი შეიქნა. შესანიშნავი გარეგნობის გამო მრავალი მთხოვნელი გამოუჩნდა, მაგრამ ყველას უარით ისტუმრებდა. ამ დროს ამ სოფელში მშვენიერი გარეგნობის უცხო ვაჟი მოვიდა და აქვე დაბინავდა. მას მოეწონა მართა და მშობლებს ქალიშვილის ხელი სთხოვა. ისინიც დათანხმდნენ. ქორწილის დღეც დაინიშნა. ძვირფასად გამოწყობილი ნეფე-დედოფალი მაყრიონის თანხლებით საყდრისაკენ გაემართა ჯერის დასაწერად. მაგრამ როგორც კი ნეფე-დედოფალმა ეკლესიის ზღურბლს გადააბიჯა, რაღაც უხილავმა ძალამ დაჰკრა მათ და ორივენი ქვად იქცნენ. თურმე ეს ვაჟი ძმა ყოფილიყო ასულისა, რომელიც თამაშის დროს დაიკარგა<sup>34</sup>.

აღნიშნული მოტივების კვალი შეინიშნება ქართული ხალხური პოეზიის ნიმუშებშიც. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია „დამასტეს ხენი აყოვდეს“, რომელიც ვაჟა-ფშაველას ეთნოგრაფიულ წერილშია მოტანილი:

„დამასტეს ხენი აყოვდეს,  
ძირადა ერთის ხისანი,  
შესახვევწელად მომინდეს,  
მკლავნი თუ იკო დისანი,  
რად რაით გამიწყებოდეს  
თვალნი ზეითის ღთისანი,  
არ დამფარვიდეს მიწანი  
ბარისანი და მთისანი“<sup>35</sup>.

ამ ლექსთან დაკავშირებული თქმულება ასეთი ყოფილა: სოფ. დამასტედან პატარაობიდან ტყვედ წაყვანილი და-ძმა შეხვედრია ერთმანეთს დაღესტანში; მოსწონებიან ერთმანეთი და ბიჭს შერთვა განუზრახავს დისა; მაგრამ როცა ლაპარაკი გაუბამთ ერთმანეთის ვინაობაზე და გამორკვეულა მათი და-ძმობა, მაშინ ბიჭს უთქვამს ეს ლექსი<sup>36</sup>.

ვ. კოტეტიშვილის კრებულში აგრეთვე დაბეჭდილია მეორე ლექსი „მე და ქალ შევიყარენით“, რომელიც იმავე თემაზეა შექმნილი:

„მე და ქალ შევიყარენით,  
წებამ რო ჩამოიარა,  
მე და ქალ გავიყარენით,  
წებამ რო გადაიარა,  
ეკოფილვართ ნათესავები  
გულსა რა შამოყარა...“<sup>37</sup>

მკვლევრის სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს ლექსი წარმოადგენს ძველი თქმულების ანარეკლს, რომელსაც დაუკარგავს თავისი წრე და მიუღია გარკვეული ისტორიული პერიოდის ბეჭედი. აქ საინტერესოა ფაბულის ჩანასახი თუ ნაშთი. სატრფოები ნათესავები გამოდგებიან. ეს ფაბულა წარმოადგენს გავრცელებულ ფაბულის სახეობას<sup>38</sup>. იქვე, ამ ლექსის განწილვისას მკვლევარი მიუთითებს



ლეგენდაზე „ვარდების ხარკი“ და აღნიშნავს, რომ ამავე იდეის ვარიაცია არის. ლეგენდა კი დაბეჭდილია რუსულად (იხ. გულბათი: „Сборник грузинских легенд“, 1899, გვ. 239)<sup>39</sup>.

ხალხურ სიტყვიერებას განსაკუთრებით კარგად დაუცავს კუზენური (ორთო და კროსკუზენური) ქორწინების ამსახველი ნიმუშები, როგორც გადმოცემები, ისე პოეტური ტექსტები. პირადად ჩვენ 1973 წელს ხაშურის რაიონის სოფ. ბეკაშიდან გამოთხოვილი 87 წლის მთქმელის საშა (ალექსანდრა) ხაჩიკაძე-ლონდაძისაგან ქვიშხეთში ჩაიწერეთ შემდეგი:

„ყოფილა შემთხვევები ახლო ნათესავთა, გულის ნათესავთა ქორწინებისა. კიათურაში ბიძაშვილები დაქორწინებულან, ნათესავების შეშინებით და იქიდან გამოქცეულან და უცხოებში დასახლებულან. შვილები შესძენიან, მაგრამ ღმერთი მაინც არ ასვენებდა და თითქოს დასაჯა კიდევ ისინი: ვაჟი მოკვდომიან, ერთხელ გზაზე ყოფილან და წაქცევიათ; ქალიშვილს კი მშენებლობიდან ფიცარი დასცემია. თითქოს რწმენაა ხალხში, — ღმერთმა დასაჯაო. ამგვარი შემთხვევები (ე. ი. გულის ნათესავთა ქორწილი) მაინც ხშირი ყოფილა“<sup>40</sup>.

ასევე ხშირად ქორწინდებოდნენ ახლო ნათესავები მთიულეთში (განსაკუთრებით წიკლაურები), ხევსურეთში, თუშეთში, ფშავში, აჭარაში, სვანეთში, აფხაზეთში, რაც სათანადოდაა აღნიშნული ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში<sup>41</sup>. საილუსტრაციოდ მოვიყვანთ კვლავ ბოლო დროის ჩანაწერს: 1969 წელს ხევსურეთში დეიდაშვილები დაქორწინებულან. ახალდაქორწინებულთა სახელზე მშობლებს ხევისბერისათვის შესაწირი მიუტანიათ. ხევისბერი ძალზე განრისხებულა. მიუხედავად მშობლების მუხლმოყრილი ვედრებისა — ერთი ცხვარი მაინც დაგვაკვლევინეთ დაქორწინებულთა სახელზეო, იგი სასტიკი წინააღმდეგი წასულა და თავისი სიტყვა ბოლომდე გაუტანია: ქრისტიანული კოდექსი კრძალავს სისხლით ნათესავთა ქორწინებას<sup>42</sup>.

აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ ხევსურეთშიც, ისევე როგორც ყველგან საქართველოში, საერთოდ ქორწინება ეგზოგამიურ ხასიათს ატარებს და ნათესავთა შეერთება კანონით არ შეიძლება (თუნდაც შორეული ნათესავები იყვნენ), მაგრამ ზოგჯერ ხალხი მაინც ძველ წესზე იდგა. ეს განსაკუთრებით მაშინ ხდებოდა, როცა ქალი კარგი დადგებოდა. იგი სხვაგან გასაშვებად აღარ ემეტებოდათ (ასევე ხდებოდა სვანეთშიც, აფხაზეთშიც და სხვ.). აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ უმეტესწილად ხალხი ამგვარად შეუღლებულთ მოიკვეთდა, ან სალექსოდ ხდიდა ხოლმე.

ამ მომენტის შესანიშნავ დადასტურებას წარმოადგენს ერთი ხალხური ლექსი, რომელიც თავისი წარმოშობით თუშურია, მაგრამ საკმაოდ გავრცელებული აღმოსავლეთ საქართველოს სხვა კუთხეშიც. ხევსურეთში ამ ლექსს სიმღერითაც კი ასრულებენ<sup>43</sup>. ჩვენ ამაჟამად ხელთა გვაქვს რამდენიმე ვარიანტი აღნიშნული ტექსტისა, რომლებიც ინახება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფოლკლორულ არქივებში. ერთ-ერთი მათგანი ჩაწერილია დუშეთის რაიონში, სოფ. დუმაცხოში 1971 წელს (ბოლო ვარიანტი).

როგორც ლექსის შინაარსიდან ირკვევა, ქალიშვილი ძალად გაუთხოვებიათ თავის დეიდაშვილზე. მას ეს აშბავი უდიდეს სირცხვილად მიუჩნევია და, რაკი სხვა გამოსავალი ვეღარ უნახავს, სწორედ ქორწილის დღეს, როცა სახლი სტუმრებით იყო სავსე და მეფის მოლოდინში იმყოფებოდნენ, ოთახში განმარ-

ტოებულა და თავი მოუკლავს. აი, როგორ აღაპარაკებს სახალხო მთქმელი თავის გამირს:

„ლექსის ამოთქმას ვაპირებ  
აღენში თუშის ქალია,  
მე გამათხოვეს ძალადა,  
ესლა გავიციან ქმარია,  
ვერ დაეწუნებ, რალა ექნა,  
თავი მაქ მოსაკლავია...“

მიზეზი თვითმკვლელობისა კი სრულიად მარტივადაა გადმოცემული:

„თუ გინდათ ესეც გაიგოთ,  
რისთვის მოვიკალ თავია:  
დღედა დედამთილი მყავს,  
დღედაშვილი — ქმარია,  
თავიც იმიტომ მოვიკალ  
არ შევირცხვინე თავია“<sup>44</sup>.

ამავე ლექსის სხვა ვარიანტში ქალიშვილი იმდენად შეშფოთებულია ზემო აღნიშნული ქორწინებით, რომ სიკვდილს ერთგვარ ხსნად მიიჩნევს და სიხარულით ხვდება:

„მოვდივარ, მომიხარია,  
მიწავ, გამილე კარია,  
თან უნდა ჩამოვიტანო,  
ჩემი მზითვი და ხალა;  
მოვდივარ, მომიხარია,  
მიწავ, გამილე კარია,  
თან უნდა ჩამოვიტანო  
ეს შვიდი ნაწნავ თმანია“<sup>45</sup>.

როგორც ირკვევა, ლექსს ნამდვილი ამბავი დასდებია საფუძვლად.

განა იმავე მსოფლმხედველობამ არ აიძულა დანაიდებიც გაქცეოდნენ სამარცხვინო ქორწინებას თავიანთ ბიძაშვილებთან — ეგვიპტიადებთან:

«Не пролитая кровь и не города суд,  
Нас, беглянок, прогнали из милой земли,  
Нет же! Свадьбы боялись мы с кровной родней,  
С смышьями Египта в постыдную лечь презирали постель»<sup>46</sup> —

ეუბნება თეზესს უფროსი ქალიშვილი.

გვხვდებოდა გამონაკლისებიც, როდესაც თვითონ მშობლები იყვნენ წინააღმდეგი ამგვარი ქორწინებისა. აკაკის კრებულში 1899 წელს დაბეჭდილია ზღაპარი „მოხუცი ნავეზირალის რჩევა“, სადაც ვკითხულობთ: „იცი, ძმაო, მე ქალი ვარ, ეს მკვდარი არის ჩემი ბიძაშვილი. მე და ამას გვიყვარდა ერთმანეთი, მაგრამ ჩვენმა დედ-მამამ ნება არ მოგვცა, რომ გვექორწინა“.

ჩვენი თვალსაზრისით, ზემოაღნიშნული ჩვეულება კუზენურის ქორწინებისა, რომელიც ბოლო დრომდე შემორჩა მთის მოსახლეობას, უძველესი წესის რუდიმენტად უნდა ჩაითვალოს, რომელიც, მიუხედავად ქრისტიანული ეკლესიის დიდი დევნისა, მაინც განაგრძობდა არსებობას.

ზემოთ განხილული მაგალითების გაანალიზების შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ყველა შემთხვევაში, როგორც პროზაულ ტექსტებში, ასევე პოეტურ ნიმუშებში, ოჯახის განვითარების ისტორიაში საქორწინო ურთიერთდამოკიდებულებაში არსებული ორი ეტაპი იჩენს თავს — სისხლით მონათესავე და პუნალუალური. პირველის წარმომადგენლები არიან მშობლები, მეორე-

სა კი — შვილები. აქვე გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ, როგორც ვხედავთ, ძველ ტრადიციას ყოველთვის წინააღმდეგობას უწევს დედათა სქესი.

როგორც ზემოთ აღნიშნეთ, ზოგჯერ თვით მშობლები არიან წინააღმდეგნი სისხლის აღრევისა („მოხუცი ნავეზირალის რჩევა“). ეს უკვე გვიანდელა მოვლენაა, ახალი პლასტების შედეგად წარმოქმნილი.

როცა ჩვენ ქორწინების აღრინდელ ფორმებს ვეხებით, გვერდს ვერ ავუვლით სორორატს (ლათ. „soror“ — „და“) და მის პირუკუ წესს — ლევირატს (ლათ. „levir“ — „მაზლი“, ქმრის ძმა)<sup>47</sup>. როგორც ერთი, ისე მეორე საერთაშორისო მოვლენა იყო, კაცობრიობის განვითარების გარკვეულ საფეხურზე მსოფლიოს ყველა ხალხთათვის დამახასიათებელი; კავკასიელებისათვისაც<sup>48</sup>. იგი ნიშანდობლივ მოვლენას წარმოადგენდა. სორორატის არსი იმაში მდგომარეობდა, რომ ერთი მამაკაცი ქორწინდებოდა ორ ან რამდენიმე ლეიძლ დაზე ან ბიძაშვილზე. განვითარების შემდგომ საფეხურზე კი ამ ჩვეულების მიხედვით ქვრივი მამაკაცი ვალდებული იყო (ან მას შეეძლო) ცოლად შეერთო გარდაცვლილი ცოლის ლეიძლი და და დასაც უფლება ჰქონდა, თუ იგი გაუთხოვარი იყო, გაპყლოდა თავის სიძეს. ლევირატის მიხედვით კი იმავე მოვლენას ადგილი ჰქონდა მაზლსა და რძალს შორის. „ლევირატი ჯგუფობრივი ცოლქმრობის დეკადანსს წარმოადგენს, რომელიც თავდაპირველად ამა თუ იმ ჯგუფის მამაკაცთა განუყოფელ უფლებებს გულისხმობდა, ხოლო შემდეგში მამისა და უფროსი ძმის უფლებებით განისაზღვრებოდა. ბოლოს ეს წესი ერთი რომელიმე ძმის უფლებით შემოიფარგლა“ და გულისხმობდა უკვე გარდაცვლილი ძმის ცოლთან ურთიერთობას<sup>49</sup>.

ქართულ ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში სათანადოდ არის აღნიშნული ორივე წესის არსებობის შესახებ. მისი კვალი განსაკუთრებით ბოლო დრომდე შემორჩენია მთის რაიონებს<sup>50</sup>. რაც შეეხება ფოლკლორულ მონაცემებს, სორორატის ინსტიტუტის ამსახველი ტექსტები თითქმის არ გავაჩნია, ხოლო მეორესთან დაკავშირებით მასალები საკმაოდ ძუნწად მოგვეპოვება.

„ჩვენ დავკარგეთ და, რაღატომღა დავკარგეთ სიძეც?“ — მსკელობდნენ აფხაზი ქალები და გარკვეული დროის შემდეგ ისინი უყოყმანოდ მიყვებოდნენ ცოლად დაქვრივებულ სიძეს. შ. ინალ-იფას თავის ნაშრომში მსგავსი მაგალითები საკმაოდ მოპყავს აფხაზთა ყოფიდან. იგივე ჩვეულება დასტურდება სვანეთისა და აჭარის ყოფით სინამდვილეშიც. ვინაიდან ქართული პოეტური ფოლკლორი საკითხის გაშუქების შესაძლებლობას არ იძლევა, ამიტომ მხოლოდ აღნიშნულით დავკმაყოფილდებით.

ჩანს, ეს წესი მაინც არ იყო ქართველთათვის ნიშანდობლივი და ამდენად მან არც ზეპირსიტყვიერებაში ჰპოვა ასახვა (მისი დამადასტურებელი ფაქტება ყოფაშიაც ნაკლებად მოიპოვება)<sup>51</sup>.

ლევირატის ინსტიტუტი უფრო მყარი აღმოჩნდა, ბოლო დრომდე შემორჩა ყოფით სინამდვილეს და მისი კვალი პოეტურ ფოლკლორსაც აჩვენებია. ძმას შეეძლო ძმის ცოლი შეერთო ცოლად, — წერდა ბ. ნიჟარაძე<sup>52</sup>, — სვანების შესახებ, ხოლო შ. ინალ-იფას, გარდა ეთნოგრაფიული მონაცემებისა, მისი ამსახველი მრავალი გადმოცემა მოპყავს. საილუსტრაციოდ მოვიყვანთ ერთ-ერთ მათგანს, რომლის შინაარსი ასეთია: ნიფხა კიაგუა თავის ძმასთან ერთად წასულა სანადიროდ. ეს ძმა უცაბედად კლდეზე ჩამოკიდებულა. დამე იყო, დღამდე ვერაფერს გახდებოდნენ და, რომ არ ჩასძინებოდა და ხრამში არ გადაჩეხილიყო, სასოწარკვეთილ კიაგუას სიმღერა დაუწყია. იგი სიმღერით მოუთხრობ-

და ძმას, თუ მისი სიკვდილის შემდეგ როგორ დაეპატრონებოდა მის ცოლსა და ქონებას. ამ სიტყვების გამგონეს, რა თქმა უნდა, აღარ ჩაეძინებოდა. როცა ინათა, კიაგუამ ჩამოხსნა ძმა კლდიდან და მშვიდობით გადარჩენილები სახლისაკენ გამოეშურნენ. მაგრამ გზაზე მოხდა საშინელება: თურმე გადარჩენილ ძმას გულში ღრმად ჩასჯდომია კიაგუას სიტყვები და, როდესაც ისინი ერთ-ერთ ხრამს მიუახლოვდნენ, ჰკრა ხელი და კიაგუა ხრამში გადაჩხა, რომ ამ უკანასკნელს არ ასრულებოდა თავისი ოცნება. როცა იგი შინ მივიდა, ცოლმა აუხსნა, თუ რა მიზნით უმღეროდა კიაგუა განსაცდელში მყოფ ძმას ასეთ შემზარავ სიმღერას. მიხვდა რა თავისი გამოუსწორებელი დანაშაულის მთელ საშინელებას. იგი უხმოდ გამოვიდა, იმავე ხრამისაკენ წავიდა და იქვე გადაეშვა<sup>53</sup>.

რამდენადაც გადმოცემაში ცხოვრებისეული სურათები რელიეფურად და თვალნათლივ არის გამოხატული, ამიტომ არ შეიძლება ამ შემთხვევაში სარწმუნოდ არ მივიჩნიოთ მასში მოთხრობილი ამბავი. გადმოცემა ხომ სხვა არაფერია, თუ არა „ხალხური პროზის ენარი, რომელიც სინამდვილეს ასახავს, ისტორიულ ან საყოფიერო ამბავს მოგვითხრობს უბრალოდ, შეუღლამაზებლად, უმარტივესი კომპოზიციურ-სტილისტური საშუალებების გამოყენებით“<sup>54</sup>. გადმოცემა ხომ სინამდვილის რეალისტური ასახვაა.

და მართლაც, შ. ინალ-იფას თავის ნაშრომში მოჰყავს მრავალი ფაქტობრივი მასალა, როცა ქალი მესამედ თხოვდებოდა ქმრის ძმებზე, თუ პირველი ორი მოკვდებოდა<sup>55</sup>.

იმავე ჩვეულების არსებობაზე უნდა მიგვანიშნებდეს სვანური ჯაღოსნური ზღაპარი მონადირის შესახებ („მონადირის ზღაპარი“). ამ ზღაპარში გვხვდება ასეთი ეპიზოდი: ქალი ქმარს ვირად აქცევს და თვითონ მაზლს მიჰყვება ცოლად<sup>56</sup>. მსგავსი სიუჟეტი მაქციობისა სხვა ხალხთა ფოლკლორშიც გვხვდება.

ამგვარი მაქციობის შემცველი ზღაპრები აარნე-ტომსონის კლასიფიკაციის მიხედვით გაერთიანებულია № 449 ჯგუფში იმ განსხვავებით, რომ მაზლის ნაცვლად ამ ზღაპრებში გვხვდება საყვარელი. შესაძლოა, თავდაპირველად საყვარლის ნაცვლად მაზლი ფიგურირებდა; შემდგომ პერიოდში კი მაზლის ადგილი ახალი ყოფის შედეგად საყვარელმა დაიკავა. ამ მოტივის ამსახველი პოეტური ნიმუშები ქართულ ფოლკლორშიც უხვად გვხვდება<sup>57</sup>.

ლევიატული მოვლენები შესანიშნავად არის ასახული ანტიკურ მითოლოგიაშიც. მაგალითად, ანდრომაქე თავისი მეუღლის ჰექტორის დაღუპვიდან გარკვეული დროის შემდეგ თავის მაზლს მიჰყვება ცოლად (მიუხედავად ამისა, იგი შეუდარებელი მეუღლის სახელით იყო ცნობილი); მშვენიერი ელენე პარისის სიკვდილის შემდეგ ცოლად შეირთო პარისის ძმამ დეიფობოსმა. მსგავსი მაგალიტები მსოფლიოს სხვა ხალხთა ფოლკლორშიც საკმაოდ მოგვეპოვება.

როგორც ცნობილია, ქართული სამონადირეო ეპოსის ცნობილი გმირი მონადირე დიოფალ დალის წყალობით იღუპება. ერთ-ერთი მიზეზი ტაბუს დარღვევაა: დალის ნაჩუქარი ნიშანი მონადირეს თამარის სასთუმალქვეშ დარჩა. დალის მიერ დასაღუპავად განწირული მონადირე სიცოცხლის უკანასკნელ წუთებშიც არ იფიწყებს თავის სატრფოს. იგი მის მოყვანას მოითხოვს, სიკვდილის წინ მისი სახის დანახვა სურს:

„მომგვარეთ ჩემი მიწნური, მაღლიდან გადმოვფრინდებით,  
ვახედე შორით მიწნურსაო, ერია მრავალ ხალხშიდა“<sup>58</sup>.

ისმის კითხვა: ვინ არის მისი სატრფო თამარი? პასუხს თვით ხალხურ ლექსში ვპოულობთ:

„ცოდვა ჩემი თამარს ჰქონდეს,  
თამარს ჩემს რძალს,  
უწმინდური გამიშვა სანადიროდ...“<sup>59</sup>

მაშასადამე, თამარი მონადირის რძალია და ამასთან სატრფოც, მაგრამ არა მეუღლე, თუმცა მათ შორის ფიზიკური სიახლოვე აშკარაა: ჯერ ერთი — მონადირეს დიოფალ დალისაგან ნაჩუქარი მძივი თამარის სასთუმალქვეშ რჩება, მეორეც — რელიგიური მსოფლმხედველობის მიხედვით, სანადიროდ წასვლის წინ მონადირეს არ შეეძლო ქალთან ურთიერთობის დაკერა (ტაბუ იყო), რადგან ხალხის ღრმა რწმენით, თუ ტაბუ დაირღვეოდა, მონადირეს ან რაიმე ხიფათი შეემთხვეოდა, ან ხელმოცარული დაბრუნდებოდა. ამიტომ ნიშანდობლივად გვეჩვენება მონადირის მიერ თამარის დაწყევლა, რადგან, მისი აზრით, მხოლოდ ის იყო მიზეზი დაღუპვისა, მან ზომ იგი „უწმინდური გაუშვა სანადიროდ“. მაშასადამე, მართო დალისადმი მიცემული სიტყვის გატეხა არ ყოფილა მიზეზი მონადირის დაღუპვისა.

აღნიშნული თვალსაზრისით საინტერესოა მეორე პოეტური ძეგლი — „ავთანდილი“, რომელიც ა. შანიძეს თავის კრებულში („სვანური პოეზია“) ქართულიდან გადაკეთებულ სიმღერათა ციკლში მოუთავსებია<sup>60</sup>. მართლაც, იგი თავისებურ ვარიანტს წარმოადგენს ქართული საფერხულო სიმღერისა „ავთანდილ გადინადირა“, რომელიც ცნობილია მთელს საქართველოში. სვანურ ვარიანტს სვანური კოლორიტი შეუქმნია და სწორედ ეს განმასხვავებელი უპიზოდი არის ჩვენთვის საინტერესო. სიმღერაში შემდეგი ამბავია გადმოცემული: ავთანდილი სანადიროდ ეშაადება. წასვლის წინ ტოლ-მეგობრების დაპატიყებას მოისურვებს. მისი რძალი თინათინი საგზალს გაუშაადებს. როცა ავთანდილი ცხენს დასძრავს, უცებ თინათინის ხმას გაიგონებს:

„ავთანდილ, შემოცადე,  
მგზავრობისა არა ჩანს რაო,  
ერთი სურვილი შემასრულებინე!“<sup>61</sup>

ავთანდილი მართლაც დაელოდება რძალს მინდორში და, როცა ეს უკანასკნელი მივა

„მაზლ-რძალი შეირიენენ,  
იმღერეს მინდორში“<sup>62</sup>.

„იმღერა“ აქ სიმბოლურად შეერთების აქტს უნდა გამოხატავდეს, რადგან უცნობი მონადირის მსგავსად ავთანდილიც იღუპება. მიზეზი ერთი უნდა იყოს — ალბათ ისიც „უწმინდური გაუშვა სანადიროდ“ თინათინმა. ტაბუს დამრღვევი — დაისაჯა.

როგორც ვხედავთ, ორივე ტექსტში აშკარად უნდა იგრძნობოდეს ლევირატის გადმონაშთი, რაც კიდევ უფრო ამაგრებს ეთნოგრაფთა მოსაზრებას სვანეთში ლევირატის ინსტიტუტის არსებობის შესახებ.

ლევირატის არსებობას საქართველოში ისიც ადასტურებს, რომ თვით ქართულმა სამართალმაც კი მისი მოსაზრების აუცილებლობის საკითხი მწვავედ დააყენა<sup>63</sup>.

ლევირატული თუ სორორატული მოვლენები ჩვენშიაც ატარებდნენ პატრიარქალური ცხოვრების საზოგადოებრივ-ეკონომიური ურთიერთობის შესაბამისი მოვლენების ელფერს, მაგრამ მათი ძიება ჩვენი კვლევის ფარგლებს სცილდება.

როგორც ვხედავთ, ქორწინების უძველესი ფორმების ამსახველი პოეტური ტექსტები დღესაც ცოცხალ ბრუნვაშია. მათი კვალი ამჩნევია როგორც მთის, ასევე ბარის ფოლკლორს. უფრო მეტად კი მის გადარჩენას მთას უნდა ვუმაღლოდეთ.

### შ ე ნ ი შ ე ნ ე ბ ა

<sup>1</sup> ფ. ე ნ გ ე ლ ს ი, ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა, თბილისი, 1953, გვ. 47.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 49.

<sup>4</sup> ვ ა ხ უ შ ტ ი, საქართველოს ისტორია, ნაწ. I, ტფილისი, 1885 გვ. 35.

<sup>5</sup> ი. ჭ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული სამართლის ისტორია, ტ. II, ნაკვ. II, ტფილისი, 1929, გვ. 367.

<sup>6</sup> ქართლის ცხოვრება, ტ. I, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, თბილისი, 1955; კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ზოგიერთი საკითხი ექვთიმე ქართველის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ, წიგნში: ეტრუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, I, თბილისი, 1956, გვ. 164; ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, თბილისი, 1946, გვ. 62; ივ. ჭ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ქართული სამართლის ისტორია, ნაკვ. I, თბილისი, 1928, გვ. 164; გ. ნ ა დ ა რ ე ი შ ვ ი ლ ი, ქართული სამართლის ისტორიის ნარკვევები, თბილისი, 1971, გვ. 79; თ. კ ე ო ნ ი ა, ქორწინების ინსტიტუტი მთიულეთში, თბილისი, 1955, გვ. 6, 19—32; ე. ი თ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, ქართველ მთიულთა საოჯახო ურთიერთობის ისტორიიდან, თბილისი, 1960, გვ. 29—39 და სხვ.

<sup>7</sup> არნ. ჩ ი ქ ბ ა ვ ა, კანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, თბილისი, 1938, გვ. 22.

<sup>8</sup> თბილისის სახ. უნივერსიტეტის ფოლკლორული არქივი, № 753, მთქმ. ეფრემ შამფრიანი, მოსმენილი აქვს ათმურზა კვიციანისაგან, ჩამწ. მ. მაღლაფერიძე.

<sup>9</sup> თბილისის სახ. უნივერსიტეტის ფოლკლორული არქივი, № 1488. მთქმ. ბაბილინა კერესელიძე, ჩამწერი მ. გოშაძე.

<sup>10</sup> საკუთარი კოლექცია, მთქმ. კონსტანტინე ხულორდავა. მთქმელს ზღაპრის სახელწოდება არ გაახსენდა და „არიკი“ უწოდა; მთქმ. ნუშკა გელაშვილი.

<sup>11</sup> С. А. З у х б а, Абхазская народная сказка, Тбилиси, 1970.

<sup>12</sup> იქვე, გვ. 102.

<sup>13</sup> ქართული ზღაპრები, შედგენილი ალ. ღლონტის მიერ, თბილისი, 1974, გვ. 9.

<sup>14</sup> В. Я. П р о п п, Исторические корни волшебной сказки, Л., 1946.

<sup>15</sup> ელ. ვ ი რ ს ა ლ ა ძ ე, ქართული სამონადირო ეპოსი, თბილისი, 1964, გვ. 104.

<sup>16</sup> ვ. კ ო ტ ე ტ ი შ ვ ი ლ ი, ხალხური პოეზია, თბილისი, 1961, გვ. 58; ელ. ვ ი რ ს ა ლ ა ძ ე, დასახ. შრომა, გვ. 104.

<sup>17</sup> Iensen AD. E., Mythos und Kulte bei Naturvölkern religions Nissenschaffliche Betragungen, Weesbaden, 1951.

<sup>18</sup> თ. თ ნ ი ა ნ ი, სვანური ჯადოსნური ზღაპრის სახეები, 1972, სადისერტაციო ნაშრომი, ინახება თსუ-ს ბიბლიოთეკაში.

<sup>19</sup> იქვე.

<sup>20</sup> იქვე.

<sup>21</sup> С. А. З у х б а, დასახ. შრ., გვ. 101.

<sup>22</sup> Г. И. М и ж а е в, Мифологическая и обрядовая поэзия адыгов, Черкеск, 1973, გვ. 99—100.

<sup>23</sup> იქვე, გვ. 100.

<sup>24</sup> იქვე.

<sup>25</sup> ა. ბ ე ბ ე ლ ი, დედაკაცი და სოციალიზმი, ტფილისი, 1912.

<sup>26</sup> იქვე.

<sup>27</sup> შ. ძ ი ძ ი გ უ რ ი, ნართული ეპოსის ქართული ვარიანტები, თბილისი, 1944.

<sup>28</sup> М. Г а д а г а т л ь, Героический эпос «Нарты» и его генезис, М., 1964, გვ. 121.

<sup>29</sup> Е. К а г а р о в, Пережитки первобытного коммунизма в общественном строе древних греков и германцев, I, М.-Л., 1937, გვ. 37.

<sup>30</sup> იქვე, გვ. 37—38.

<sup>31</sup> თბილისის სახ. უნივერსიტეტის ფოლკლორული არქივი, № 10133.

<sup>32</sup> ა. წ ე რ ე თ ე ლ ი, როგორ უნდა შევკრიბოთ ზეპირგადმოცემები, თხზულებანი, ტ. 13, თბილისი, 1961, გვ. 177—179.

<sup>33</sup> ო. ო ნ ი ა ნ ი, დასახ. შრომა, გვ. 101.

<sup>34</sup> Грузинские народные предания и легенды, состав. Е. Б. Вирсаладзе, М., 1973, გვ. 310—312.

<sup>35</sup> ვ ა ე ა-ფ შ ა ე ე ლ ა, ეთნოგრაფიული და პუბლიცისტური წერილები, თხზულებანი, ტ. IX, თბილისი, 1964.

<sup>36</sup> „ძველი საქართველო“, ტ. II, 1913, გვ. 335.

<sup>37</sup> ვ. კ ო ტ ე ტ ი შ ვ ი ლ ი, ხალხური პოეზია, თბილისი, 1961, გვ. 36—37.

<sup>38</sup> იქვე.

<sup>39</sup> იქვე.

<sup>40</sup> საკუთარი კოლექცია.

<sup>41</sup> რ. ხ ა რ ა ძ ე, დიდი ოჯახის გარდმონაშთები სვანეთში, თბილისი, 1939; ვ. ი თ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი; ი. კ ე ო ნ ი ა, დასახ. ნაშრომი; მ. ბ ე ქ ა ი ა, ძველი და ახალი საქორწილო ტრადიციები აჭარაში, ბათუმი, 1974; Ш. И н а л-И п а, Очерки по истории брака и семьи у абхазов, Сухуми, 1964.

<sup>42</sup> ტექსტი მოგვაწოდა ფილოლოგიურ მეცნ. კანდიდატმა ს. აბაშიძემ, რომელიც თვითონ ყოფილა მოწმე ამ ფაქტისა.

<sup>43</sup> ცნობა მოგვაწოდა თსუ-ს ფილოლოგიის ფაკ-ის სტუდენტმა ბაბუა არაბულმა.

<sup>44</sup> თსუ-ს ფოლკლ. არქივი, № 10934; ვარიანტები: № 1083, № 10825.

<sup>45</sup> ლიტ. ინსტიტუტთან არსებული ფოლკლორული არქივი, ფ. 207, 1951. შტკმელი ვ. რაიბული, ჩამწ. ი. ბეროშვილი, ქვემო ალვანი, 1951.

<sup>46</sup> Э с х и л, Трагедии, М.-Л., 1937, გვ. 171.

<sup>47</sup> მ. კ ო ს ე ე ნ ი, პირველყოფილი კულტურის ისტორიის ნარკვევები, თბილისი, 1971, გვ. 138.

<sup>48</sup> Ф. Л е о н т о в и ч, Адамы Кавказских горцев, Материалы по обычному праву Сев. и Вост. Кавказа, отд. II, 1883, გვ. 118; М. К о в а л е в с к и й, Современный обычай и древний закон, т. I, М., 1886; ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, 1941, გვ. 110.

<sup>49</sup> რ. ხ ა რ ა ძ ე, დასახ. შრომა, გვ. 70—72.

<sup>50</sup> ვ. ი თ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. შრომა; მ. ბ ე ქ ა ი ა, დასახ. შრომა, გვ. 103; Ш. И н а л-И п а, დასახ. შრ., გვ. 149.

<sup>51</sup> იქვე.

<sup>52</sup> ბ. ნ ი ე რ ა ძ ე, (თავისუფალი სვანი), ეთნოგრაფიული წერილები, თბილისი, 1962, გვ. 111.

<sup>53</sup> Ш. И н а л-И п а, დასახ. შრ., გვ. 148—149.

<sup>54</sup> ნ. შ ა მ ა ნ ა ძ ე, ხალხური პროზის ზოგიერთი საკითხი, თბილისი, 1975, გვ. 39.

<sup>55</sup> Ш. И н а л-И п а, დასახ. შრ., გვ. 148.

<sup>56</sup> ვრცლად იხ. ო. ო ნ ი ა ნ ი დასახ. შრომა, „სვანური ქაღოსნური ზღაპრის სახეები“, თავი II, § 2, ზღაპარი № 2.

<sup>57</sup> თ. რ ა ზ ი კ ა შ ვ ი ლ ი, კახეთში ჩაწერილი ზღაპრები, № 22, 35, 46; პ. უ მ ი კ ა შ ვ ი ლ ი, ხალხური სიტყვიერება, ტ. III, ზღაპარი № 14; მიხ. ჩ ი ქ ო ვ ა ნ ი, ხალხური სიტყვიერება, ტ. II, ზღაპარი № 116; მ ი ს ი ე ვ ე, ხალხური სიტყვიერება, ტ. III, ზღაპარი № 170.

<sup>58</sup> ელ. ვ ი რ ს ა ლ ა ძ ე, ქართული სამონადირო ეპოსი, თბილისი, 1964, გვ. 133.

<sup>59</sup> იქვე.

<sup>60</sup> სვანური პოეზია, შეადგინეს და თარგმნეს აკ. შანიძემ, ვ. თოფურიაშ და ე. გუჭეჩიანმა, ტ. I, თბილისი, 1939, გვ. 320—327.

<sup>61</sup> იქვე.

<sup>62</sup> იქვე.

<sup>63</sup> იხ. ქართული სამართლის ძეგლები, I, სამართალი კათალაგოსთა 2, თბილისი, 1963, გვ. 393—397.

ს. გ. ЧОХЕЛИ

О НЕКОТОРЫХ ВОПРОСАХ ДРЕВНЕЙШИХ ФОРМ БРАКА В  
ГРУЗИНСКОМ ПОЭТИЧЕСКОМ ФОЛЬКЛОРЕ

## Резюме

В работе по материалам народной словесности, собранным в различных уголках Грузии, изучены некоторые вопросы древнейших форм брака (мотив инцеста и вопросы сорорат-левирата).

На основании анализа данных материалов автор делает заключение, что в Грузии, как и в других странах, когда-то существовал обычай брака между родителями и детьми. Хотя в сказках отражается не эта ступень развития человечества, а последующий период — когда этому обычаю уже сопротивляются, но именно попытка отца жениться на собственной дочери фактически является подтверждением его бытования в далеком прошлом. Этот мотив, сохранившийся в сказках, автор считает отзвуком промисокуитета.

В текстах, отображающих брак между братом и сестрой, по мнению автора, представлены два периода предисторической ступени: первый — когда данный брак считался совершенно естественным явлением, и второй — когда он уже становится позорным актом и постепенно изгоняется из семейно-бытовых отношений.

Аналогичные явления встречаются и в памятниках, отображающих кузенный брак.

В рассматриваемых материалах подчеркиваются противоречия, имеющие место при столкновении старого и нового мировоззрения. По мнению автора, особого внимания заслуживает то обстоятельство, что против старых традиций восстают именно представители женского пола.

Что касается вопроса сорорат-левирата, то, видимо, первая форма брака (сорорат) никогда не была характерной для грузинских племен и поэтому его след в устной словесности почти стерт, тогда как пережиток левирата явен.

Выявляется, что явления сорорат-левирата в Грузии тоже были отражением соответствующих явлений общественно-экономических отношений патриархальной жизни.

Образцы устной словесности, отображающие древнейшие формы брака, в живом обращении существуют и по сегодняшний день.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფოლკლორისტიკის  
კათედრა

წარმოდგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის  
შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის  
ინსტიტუტმა



## ილია გაგულაშვილი

ფერთა სიმბოლიკის საკითხისათვის ქართულ  
შელოცვებში

ქართული საწესჩვეულებო პოეზიის, კერძოდ შელოცვების, შესწავლამ ჩვენ წინაშე დასვა ფერთა სიმბოლიკის გარკვევის აუცილებლობა, რადგან ფერთა სიმბოლოურ წარმოსახვას საკმაოდ დიდი ადგილი უჭირავს შელოცვებში. ზეპირსიტყვიერებაში ფერთა სიმბოლიკის შესწავლის თვალსაზრისით გარკვეული ნაბიჯები არის გადადგმული ქართულ ფოლკლორისტიკაში: გარდა სხვადასხვა გამოკვლევაში გაბნეულად არსებული ზოგიერთი მინიშნებისა, ფერთა სიმბოლიკის შესახებ სპეციალური წერილებიც დაიბეჭდა<sup>1</sup>.

ქართულ შელოცვებში დომინანტობს შავი, წითელი და თეთრი ფერების სიმბოლოური გააზრებანი და, რა თქმა უნდა, ჩვენც ამ ფერების შესახებ გვექნება ქვემოთ საუბარი.

შავი, წითელი და თეთრი ფერების სიმბოლოური წარმოსახვა ქართული შელოცვების (როგორც სამკურნალო, ისე სამეურნეო) დიდი ნაწილის აუცილებელი, ორგანული ნაწილია. თქმულის დასადასტურებლად მოვიყვანთ ტიპურ მაგალითს, ამ შემთხვევაში „ნათვალევის შელოცვის“ ტექსტის ერთ-ერთი ვარიანტის ფრაგმენტს, რომელიც 1971 წელს ჩვენ მიერ იქნა ჩაწერილი სოფელ ფარცხანაყანებში, 52 წლის, საშუალო განათლების მქონე მთქმელის ვალოდია კოსრეიძისაგან:

„გასკდა შავი კლდე, გამევიდა შავი კაცი<sup>2</sup>, შავი ცხენით, შავი იარაღით, წავიდა შავსა ზღვასა, ჩაუყო შავი ხელი, ამოიღო შავი გველი, გადაკრა შავსა ქვასა, ისემც კვდება, ისემც გვება შენი ავი თვალით შემხედვარე.

გასკდა წითელი კლდე, გამევიდა წითელი კაცი, წითელი თოფ-იარაღით, წავიდა წითელსა ზღვასა, ჩაუყო წითელი ხელი, ამოიღო წითელი გველი, გადაკრა წითელსა სიბსა ქვასა...

გასკდა თეთრი კლდე, გამევიდა თეთრი კაცი, თეთრი ცხენით, თეთრი იარაღით, წავიდა თეთრსა ზღვასა, ჩაუყო თეთრი ხელი, ამოიღო თეთრი გველი, გადაკრა თეთრსა სიბსა ქვასა...“<sup>3</sup>.

ფერთა ეს სიმბოლიკა დაფუძნებულია ზოგად ქართულ წარმოდგენათა კომპლექსებზე, ამიტომ მათი შესწავლაც ყოფის, წეს-ჩვეულების, აზროვნების განვითარების ისტორიის ფონზე უნდა მოხდეს, რადგან იზოლირებული კვლევა აღნიშნული საკითხისა შეუძლებლად მიგვაჩნია.

ნაშრომში მოკლედ შევეხებით ქართულ ხალხში სულეთზე დარჩენილ წარმოდგენათა ერთ ნაწილს. ეს შეხედულებები, თავის მხრივ, სხვადასხვაგვარი, რადგან ისინი სხვადასხვა ეპოქაში, სხვადასხვა ეკონომიურ და სოციალურ პირობებში შემუშავდნენ, თუმცა საერთო ხაზი ამ წარმოდგენებში გარკვევით შეინიშნება. ჩვენი მიზანი არ არის ამ წარმოდგენათა სისტემატიზაცია და მასალათა დიფერენციაცია სხვადასხვა ნიშნის მიხედვით. ვკმაყოფილდებით მხოლოდ ზოგიერთ მხარეზე მითითებებით.

ამ შემთხვევაში ყურადღება გვინდა შევაჩეროთ ქვესკნელის გაგების ზოგი-

ერთ საკითხზე, რომელთა გარკვევას პრინციპული მნიშვნელობა აქვს არა მარტო ქართული შელოცვების, არამედ ფერთა სიმბოლიკის, მისი განვითარებისა და დანიშნულებათა შესწავლისათვისაც.

სამყაროს ქართული ზღაპრების მიხედვით ორი ძირითადი განზომილება აქვს: ერთი — ვერტიკალური და მეორე — ჰორიზონტალური, არის მათი ურთიერთ შეჭერებული ფორმებიც<sup>4</sup>.

ქვესკნელში ზღაპრის გმირი ზარობს, ორმოს, ჭის და მისთ. საშუალებებით ჩადის. საცოლეების საძებრად წასული ძმობილები ეკითხებიან დედაბერს.

„— ჩვენ ესა და ეს ვართ, საცოლეებს დავეძებთ, ერთი კაცის შვილები უნდა იყვნენ და მზეთუნახავები, სხვას ვერ შევიერთავთო. თუ იცი ასეთი კაცი, რომ სამი მზეთუნახავი ქალი ჰყავდეს, დედაშვილობას, გვასწავლეო, დედაბერმა უთხრა:

— შვილებო, აგეთი კაცი როგორ არ ვიცი, მაგრამ მისი ქალები, აი, იქ რომ გზაჯვარედინი მოჩანს, მარჯვნივ, ერთ ხაროში<sup>5</sup> ჰყავს სამ დევს ცოლებად და იქ რო მიხვიდეთ, ვერც ერთი ცოცხალი ვერ დაბრუნდებითო. ხაროდან ისეთი სიცხე ამოდის, რომ ვინც მიეკარება, იწვისო.

ვაჯებმა თქვეს: ჩვენი საქმე ეს ყოფილა, რაც მოგვივა მოგვივა, წავიდეთ და ბედი ვცადოთო, რადგან აღარ იშლიდნენ, დედაბერმა ურჩია:

— შვილებო, თქვი მოიბით და თითო თითო ჩადით ქვესკნელში, ერთმა თუ ვერ გაუძლოთ ქალების სიცხეს<sup>6</sup>, მეორემ სცადეთ, ან მესამემო.

— წავიდნენ ვაჯები, მიაღწენ ქვესკნელის პირს და ნახეს, რომ ალმური ამოდის ქვესკნელიდან, მოიბა მზე-თეიმურაზმა თოკი და ჩაუშვეს ხაროში, შუაზე რომ მიატანა, იყვირა „დავიწვი, დავიწვი, ძმებო ზევით ამწიეთო“. ძმებმა ამოიყვანეს, შემდეგ მთვარე-თეიმურაზმა მოიბა თოკი, მაგრამ იმასაც ისე დაემართა. ბოლოს მიდგა ჭერი შავ-თეიმურაზზე, მოიბა თოკი და სთხოვა ძმობილებს:

— ჩამიშვით, მაგრამ თუ ვიყვირო, სულ ძირსა და ძირს ჩამიშვით, ზევით არ ამომიყვანოთო. ჩავიდა თუ არა შუამდი, იყვირა:

— დავიწვი, მიშველეთ ზევით ამომიყვანეთო, მაგრამ რას გაუგონებდნენ სულ ქვევით და ქვევით ჩაუშვეს.

შავი თეიმურაზი ჩავიდა ქვესკნელში, იარა, იარა და დაღამებისას მიაღწა ერთ დედაბრის ქოხს<sup>7</sup>...

ხარო არის შუალედი ხიდი ზესამყაროსა და ქვესამყაროს შორის. ეს უკანასკნელი კი, თავის მხრივ, მრავალსაფეხურიანია. ხარო ქვესკნელის ზედა, თუ შეიძლება ითქვას, პირველ ნაწილში ახვედრებს გმირს, ხოლო უკიდურეს ქვედა ნაწილში გმირი ზომორფული შავი ფერის არსებების: ცხენის, ცხვის, თხის და მისთ. დახმარებით ჩადის. თქმულის დასადასტურებლად მოვიყვანთ ნაწყვეტს ზემომომობილი ზღაპრიდან: ხაროში ჩასულმა ვაჟმა არ დაიჭერა ცოლის რჩევა, ძმები გიდალატებნო. მან „ჯერ ცოლი აუშვა, მერე თვითონ მოეჭიდა თოკს, მაგრამ შუაზე რო ავიდა, ძმებმა მოუჭრეს თოკი და ისევ ქვესკნელში მოადინა ბრავანი შავ-თეიმურაზმა. ქალმა ჩასძახა:

— აკი გეუბნებოდნი, რატომ არ დამიჭერეო. მერე ასწავლა, ნუ გეშინია, მანდ ბალში სამი თხაა: წითელი, შავი და თეთრი. თეთრს თუ დაიჭერ და შეგდები, მაღლა ამოგადდებს, წითელი აქეთ-იქეთ მიგახეტქებს და შავზე თუ შეგდები, მეორე ქვესკნელში ჩაგადდებსო. ირბინა, ირბინა ვაჟმა, მაგრამ ვერ დაიჭირა ვერც თეთრი და ვერც წითელი თხა. მხოლოდ შავი დაიჭირა და სთქვა:

„რა ვუყო, რაც იქნება, იქნება, ამაზე შეეჯდები“ შეჯდა და იმ წამსვე ქვედა ქვესკნელში მოადინა ზღართანნი<sup>8</sup>.

როგორც მოყვანილი ციტატებიდან ჩანს, არსებობს „ქვედა ქვესკნელი“, რაც თავისთავად გულისხმობს ზედა ქვესკნელის არსებობას. ჩვენ საშუალება გვქონდა გამოგვეთქვა მოსაზრება, რომ ქვესკნელის ამ ნაწილებს შესაბამისად ზევიდან ქვევით წითელი და შავი ფერის სიმბოლიკა შეესატყვისებოდა<sup>9</sup>. ეთნოგრაფები მ. ნადარაია და ნ. ბრეგვაძე<sup>10</sup> ძირითადად ამავე მოსაზრებას ავითარებენ.

ხაროს შესახებ ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით საყურადღებო ვარიანტს ქმნის ზღაპარი „ყარაბ-ოღლის“ ერთ-ერთი მონაკვეთი. ხსენებულ ჯადოსნურ ებოსში სამზეოსა და ქვესკნელის დამაკავშირებელი ხტილი ორმოა, ხოლო სამყარო სამ ნაწილად არის წარმოდგენილი. აქედან ორი ქვეყანა ქვესკნელშია განლაგებული. პირველი ნაწილი ხარო-ორმოთი დამაკავშირებელ ხტილზე მოდის, ხოლო მესამე — მის ქვედა, ქვესკნელის უკიდურეს ნაწილზე.

ორმოში მყოფ ყარაბ-ოღლის ქალი ეუბნება: „— ვიცი შენ მძიმე ხარ, ვერ შევძლებთ შენს აწევასო. აქ დაიციადე, სამი ცხვარი გამოივლის — ერთი თეთრი, ერთი შავი და ერთი წითელიო. მოასწარი, წითელს შემოანტი და ის ზევით ამოგიყვანსო. თუ შავს შეახტი, წაგიყვანს მესამე ქვესკნელში, ქვევითო, და თუ თეთრს<sup>11</sup>, გაგაქროლებს გვერდით, ჩრდილოეთისაკენო“ ყარაბ-ოღლი მხოლოდ შავი ცხვრის დაჭერას შეძლებს, რომელიც მესამე ქვეყანაში, ქვევით ჩაიყვანს მას.

თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ თეთრ, წითელ და შავ ფერთა სიმბოლიკით აღჭურვილი ზომორფულ არსებათა სამოქმედო არსენალი და ფუნქციები იმდენად აღრეული არაა, რამდენადაც ისინი მითოლოგიური შეხედულებების სხვადასხვა მიმართულებასა და ეტაპს ასახავენ, ხოლო ქართულ შელოცვებში წარმოდგენილი ამავე ფერთა სიმბოლიკის საწყისები არსებითად უფრო ძველ შეხედულებათა გადმოცემას წარმოადგენს, ვიდრე ზღაპრების ერთ ნაწილში დაცული მსგავსივე მოვლენა. ამიტომ დიფერენციაცია აუცილებელია, მით უფრო, რომ გარეგანი მხარეების მსგავსება საკმაოდ ძლიერია და ხელშესახები.

თეთრი, წითელი და შავი ფერების სიმბოლიკა გვხვდება (ან იგულისხმება) ქვესკნელის როგორც ვერტიკალური და პორიზონტალური, ასევე მათი შერწყმული სახის წარმოდგენის დროს. ფერთა ამ სიმბოლიკის არსებობა ქვესკნელისა და სამზეოს ასახვის დროს ზოგჯერ განვითარების სხვადასხვა ეტაპის მაჩვენებელია, ზოგჯერ — ფერთა ამ სიმბოლოების პოლიფუნქციურობისა, ზოგჯერ კი სხვადასხვა წარმოდგენათა კონტამინაციის შედეგს წარმოადგენს.

თეთრი, წითელი და შავი ფერის ზომორფული არსებანი ხან ზესკნელს, შუასკნელს და ქვესკნელს ასახავენ, ხანაც სამზეოს და ქვესკნელის ორ შესაბამის ნაწილს და ზოგჯერ, მაგალითად, ქართულ შელოცვებში სამივე მათგანი ქვესკნელის შესახებ არსებულ რწმენა-შეხედულებებს უკავშირდება და მათ ასახვას წარმოადგენენ. იმდენად ქართულ ფოლკლორში პრინციპული წინააღმდეგობა არ გვაქვს ნოცემული ამ სიმბოლოების მნიშვნელობებს შორის, რამდენადაც ასახვის სხვადასხვა სფერო. შეინიშნება ფერთა სიმბოლიკის განვითარების გარდამავალი ეტაპებიც.

წითელი ფერის ზომორფული არსება, თუკი ზღაპრის გმირი მას დაიქერს და მოაჯდება, ხან იქეთ ეცემა, ხან აქეთ<sup>12</sup> და ამ საშუალებებით სურს მხედრის თავიდან მოშორება თუ მოკვლა. ზოგჯერ იგი სამზეოდან ქვესკნელში (მის პირ-

ველ ნაწილში) და პირიქით მიმოსვლის საშუალებად არის გამოყენებული. ეს „დუალიზმი“ წითელი ფერის სიმბოლიკით აღჭურვილი არსებების სამოქმედო სფეროებისა ხალხური წარმოდგენებითაა მოტივირებული. მიწიერი, ამქვეყნიური სამყარო, როგორც ცნობილია, სამი სკნელის სახით წარმოდგენის პირობებში წითელი ფერის სიმბოლიკით გადმოიცემა. თუ გაეზხენებთ საგაზაფხულო დღეობათა ციკლს, რიტუალებს და მათთან დაკავშირებულ სიტყვიერ შემოქმედებას, ნათელი იქნება, რომ აქ წითელი ფერის სიმბოლიკა ჩვეულებრივი მოვლენაა და რომ იგი ბუნების გაცოცხლების, აღორძინების გამოსახვის ერთ-ერთი ორგანული ნიშანია, რაც მის ორმაგ ბუნებაზე მიგვანიშნებს.

წითელი ფერის სიმბოლიკა გაშუალებულია მიწიერ სამყაროსა და ქვესკნელის პირველ ნაწილს შორის. მართალია, აქ მას სრულიად სხვადასხვა გამოსახვის სფერო და შინაარსობრივი მომენტი უკავშირდება, მაგრამ ეს, როგორც ჩანს, ხალხურ წარმოდგენაში არ აღმოჩნდა ხელის შემშლელი ბარიერი იმისათვის, რომ ისინი ხშირ შემთხვევაში ერთი და იმავე ფერის სიმბოლიკით აღჭურვილი არსებით დაეკავშირებინათ.

თეთრი ფერით გამოხატული სამყარო, როგორც ეს სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაშია აღნიშნული, ზეცას უკავშირდება, ზოგჯერ იგი სამზნოს, ე. ი. ხმელეთის და, საერთოდ, ნათელის სიმბოლურ გამოხატულებას წარმოდგენს („ვა თუ გაწყრეს მანჯანო, ჩემგან მიიბრუნოს პირიო. შენი თეთრი შენვე დაგრჩესო...“<sup>13</sup>), რაც ერთ-ერთი უძველესი გაგება უნდა იყოს ამ ფერის სიმბოლიკისა.

დაპირისპირება თეთრი (ისევე, როგორც წითელი და შავი) ფერის მნიშვნელობებისა იმდენად პრინციპული არაა, რამდენადაც ისინი ამ ფერებით გამოხატულ შინაარსობრივ სფეროებს უკავშირდებიან დროის ერთ მონაკვეთში ან განვითარების სხვადასხვა ეტაპზე, ე. ი. ერთი და იმავე ფერის სიმბოლიკა სხვადასხვა დანიშნულებისაა და სხვადასხვა ეპოქის რწმენა-წარმოდგენებში ვლინდება.

ვიდრე უშუალოდ ფერთა სიმბოლიკის საკითხის გარკვევას შევუდგებოდეთ, აუცილებლად მიგვაჩნია (რადგან ამ მიმართულებით კვლევა ეთნოგრაფის მოვალეობაა) ქართული შელოცვების მიხედვით შევხვდეთ ქართველი ხალხის მიერ სულეთის შესახებ შემუშავებულ წარმოდგენათა ზოგიერთ მხარეს, რადგან სულეთთან დაკავშირებულ საკითხთა გარკვევა პირდაპირ კავშირშია შელოცვებში ნახსენები ფერთა სიმბოლიკის შინაარსის გახსნასთან. გასაანალიზებელი და საილუსტრაციო მასალა ავარჩიეთ სვანური და ფშაური სინამდვილიდან, რადგან, როგორც მეცნიერებაში დიდი ხანია აღიარებულია, მთის მასალები მეტი არქაულობით გამოირჩევიან.

ბ. ნიქარაძის წერილი „სვანების საიქიო“, ვფიქრობთ, ერთ-ერთ საგულისხმო მასალას იძლევა ამ მიმართულებით. აღნიშნული წერილის მიხედვით, სვანებს სწამთ, რომ სულეთი არის ტრიალი მინდორი, რომლის შუაში ზის ქრისტე. „აქაურობას მზე ანათებს; სადაც ქრისტე ბრძანდება, იქ უფრო გაბრწყინებულია მზით და ამიტომაც ხალხი ეფახის „მ ჟაარს“ (მზიანი). ქრისტეზე მოშორებული ადგილები სამოთხისა მკრთალადაა არის განათებული, თითქოს იქ მზე ღრუბლებიდან იყურებოდეს და ამიტომ იმ ადგილს ჰქვია „მულიირ რიპაარ“ (მკრთალი სინათლე)<sup>14</sup>.

„ქარგი სასულეთის მოშორებით არის ერთი კუნჭული, სადაც განუწყვეტილივ წყვიდადი ჰსუფევს (მუშვირ-უტკვირ). აქ არის სხვათა შორის ფისის ტბა

(ფისემიგვიბ). ეს არის გლახა სასულეთი, ანუ ჩვენებურად ჯოჯოხეთი (ხოლა ლაქუნ). ეს არის სამყოფი წაწყნედილ სულებისა; იგინი ვერა ჰხედავენ ვერც ქრისტეს, ვერც იმის ნათელსა და ტაბაკს. ისე ბნელა, რომ ერთი მეორეს ვერ არჩევს<sup>15</sup>. მართალია, სვანურ მასალას დატყობია შემდგომი ეპოქების გავლენა, მაგრამ მთავარი აქ მაინც ის არის, რომ მას კარგად შემოუნახავს წარმართული ხანის არქაული შეხედულებათა კვალი, კერძოდ, სულეთის დიფერენცირებულად, საფეხურეობრივად წარმოდგენა. ქრისტე აქ, ცხადია, გვიანდელი, ქრისტიანული ეპოქის პროდუქტია და აშკარაა, მას სულეთის მეუფის წარმართული სახე შეუცვლია. აქვე არის ერთი საყურადღებო დეტალი, რომ სულეთს მზე ანათებს, რომ სულთა დიფერენცირებული განლაგება სწორედ მზის სინათლის გავრცელების ინტენსივობით არის შედგენილი. ჩვენი ყურადღება მიიქცია ბ. ნიჟარაძის გამოთქმამ: ბნელში მყოფი სულელები „ვერც ჰხედავენ ვერც ქრისტეს, ვერც იმის ნათელსა და ტაბაკს“, რომლიდანაც იგულისხმება, რომ თავად ქრისტესთან, ე. ი. სულეთის მეუფესთან, არის სინათლის წყარო ან თვით იგი წარმოადგენს ამ წყაროს (მას ნათელი გააჩნია). ამ დეტალთან დაკავშირებით გვინდა გავისენოთ ბ. ნიჟარაძის სვანეთში ჩაწერილი გადმოცემა „სამოელი“. მოვიყვანოთ მცირე ფრაგმენტს ამ გადმოცემიდან: „... სამოელის სამყოფი ადგილი უფრო განათებულია, ვიდრე ქრისტესი და ამიტომაც მომეტებული ნაწილი კაცთა სულებისა სამოელთან მიისწრაფება, მასთან ურჩევნიათ“<sup>16</sup>. მოყვანილი ამონაწერებიდან ცხადლივ ჩანს, რომ სინათლის წყარო სულეთის მეუფესთან არის ახლო, ამჯერად სამოელთან (პერსონაჟთა ჩანაცვლება). ეს საკითხი უფრო გულდასმით გარკვეული იქნება ჩვენს შემდგომ მუშაობაში, როცა ქართულ შელოცვებში ხსენებულ პერსონაჟთა საკითხს შევეხებით.

აქვე არ შეიძლება არ მოვიყვანოთ ვაჟა-ფშაველას მიერ აღმოსავლეთ საქართველოს მთის სინამდვილიდან მოხმობილი მასალა, რომლის მიხედვით „ფშაველების წარმოდგენით საიქიო ქვეყნის შუაგულში არის, საიქიოს ის ეძახის „შავეთს“. შავეთში მართალნი არიან მკრთალ ნათელში. ეს ნათელი ისე აქვს წარმოდგენილი ფშაველს, როგორც ჩასული მზის ახლად გამქრალი სნივები მთის წვერებზედ; ყველამ იცის, რომ მთის წვერები ცოტადლა არიან ამ დროს წითლები (შდრ. სვანების მულირ რიპაარ. — ი. გ.). ამას ფშაველი ეძახის „მკვდართა მზეს“<sup>17</sup>. წარმოდგენილი გადმოცემებიდან ჩანს, რომ აშკარაა მსგავსება სულეთის შესახებ სვანურ და ფშაველურ შეხედულებათა შორის, მაგრამ განსხვავებაც არის. ვფიქრობთ, რომ სვანური მასალა მეტად ასახავს იმ მდგომარეობას, რომლითაც შეიძლება ახსნა მოეძებნოს შელოცვათა ფერთა სიმბოლიკას.

აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ ქართული ხალხური ზეპირსიტყვიერების თანახმად შეიძლება დაეუშვათ, რომ არა მარტო მწუხრის ეამს შეწითლებულა ცის კიდური და მზე წარმოადგენს სიკვდილის სიმბოლოს, დილით მზის ამოსვლის დროსაც არსებული ანალოგიური დაწითლება მნათობისა სიკვდილთან იყო ხალხის რწმენით დაკავშირებული<sup>18</sup>.

ვაჟას მონათხრობიდან ნათლად ჩანს, რომ, ფშაველის რწმენით, საიქიოს სინათლე — მზის გამქრალი შუქი არის. მართალნი არიან მკრთალ ნათელში. იგულისხმება, რომ ცოდვილნი სიბნელეში იმყოფებიან. ფშაურ შეხედულებას არ დაუცავს ერთი მომენტი, რომელსაც სვანი „მ ეაარს“ ეძახის. ეს რომ ასეა, ამის საილუსტრაციოდ მოვიყვანოთ ისევ აღმოსავლეთ საქართველოს მთის სინამდვილიდან ნ. ხიზანიშვილის მიერ მოწოდებულ მასალას, სადაც საიქიო

ისევ დიფერენცირებული, მაგრამ ციხის სახით არის წარმოდგენილი. „სულეთი“ („სამოთხე“) დიდი თეთრი მრავალსართულიანი ციხეა, სადაც მზე ანათებს. საიქიოს ალვის ხე დგას, რომელსაც ვემა წყარო ჩამოუდის. ციხის სართულებში მადლიანები ცხოვრობენ. მადლიანებშიც განსხვავებაა. „თავ მადლიანები“ ზემოთ არიან, უხვად სტკებებიან მზის შუქით (შდრ. სვ. „მ ჟაარ“. — ი. გ.). „ცოტად მადლიანები“ ქვემოთ იმყოფებიან (შდრ. სვ. „მულირ ჩიპაარ“ — ი. გ.). სულ თავში წვერის აივანზედ დახტიან უმანკო ბავშვები, მუხლამდე ბამბაში გახვეულნი<sup>19</sup>. შევადაროთ მოყვანილი შეხედულება მ. ჯანაშვილის მიერ სულეთზე ინგილოთა წარმოდგენის შესახებ მონათხრობს: „საიქიოს ერთი რძის ტბა არის, იმის შუაში თეთრად გაფოთლილი ხე დგას, იმ ხეზედ სხედან... ნორჩი ბალები, ჟივტივობენ, იცინიან, როცა კი მოჰშივთ, ხე ჩაწვდება ტბის პირამდე, ყმაწვილები დაეწაფებიან, რძით გაძლებიან და ხე ისევ აიმართება. ასე ატარებენ დროს ყოველდღე. ისინი უცოდრონი არიან და სამოთხეში ნეტარებენ“<sup>20</sup>. თეთრი ხე, რომელზედაც ბავშვები შემომსხდარან, დაახლოებით იმასვე უნდა განასახიერებდეს, რასაც ზემოთ დასახელებული თეთრი ციხე. ისიც გასათვალისწინებელია, რომ მადლიანები ღვთაებასთან, სინათლის წყაროსთან არიან ახლოს, რომ თეთრი ხე<sup>21</sup> და თეთრი ციხე, არა მარტო სიწმინდის ნიშანია, იგი ღვთაების სადგურიცაა, რასაც თეთრი ფერის სიმბოლიკაც ხაზგასმით ადასტურებს. თეთრი ფერი ქართული ფოლკლორული მონაცემების მიხედვით, და, როგორც ჩანს, საერთოდაც ღვთაებრიობის, სიწმინდის სიმბოლოა. იგი სხვა შინაარსობრივ ასპექტებსაც უკავშირდება: თეთრი ფერი ხილული სამყაროს, სინათლის ნიშანიც იყო. ხოლო ზოგჯერ მზეც გამოხატავდა („ბადრო მათხოვე თეთრონი, ზღვაში გავიდე ნგრევითა, გავიდე, გამოვიყვანო — ქალია თეთრი მზე ვითა“<sup>22</sup>). ამ უკანასკნელ გარემოებას პრინციპული მნიშვნელობა აქვს ჩვენ მიერ დასმული საკითხის გადასაწყვეტად.

მეტად საგულისხმოა მეგრული „ჩე“ (თეთრი), რომლისაგანაც უარყოფითი უ ნაწილაკის დამატებით მიღებულია „უჩა“ (არათეთრი, შავი)<sup>23</sup>. როგორც ენობრივმა მასალამაც დაადასტურა, ძეგლისძველად არჩევდნენ მხოლოდ ორ ურთიერთსაწინააღმდეგო მხარეს: ნათელსა და ბნელს<sup>24</sup>. მეგრული ენობრივი მონაცემების მიხედვით მეორე პირველისაგან დამოკიდებულად უნდა ყოფილიყო მიჩნეული.

წითელ ფერს, ქართული ფოლკლორული მასალების მიხედვით, ყველაზე მეტად ახასიათებს მრავალმნიშვნელობა და პოლიფუნქციურობა. ეს არ არის ხელის შემშლელი გარემოება იმისათვის, რომ ამ სიმრავლიდან გამოვაცალკევოთ მისი ერთი რომელიმე დანიშნულება და შევისწავლოთ მისი მნიშვნელობა.

წითელი ფერის სიმბოლიკით სიკვდილის გადმოცემის შესახებ გაკვრით აღნიშნული იყო ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში. ჩვენ შევეცდებით უშუალოდ ქართული. დამატებითი მასალის მოხმობით გაეარკვიოთ აღნიშნული დეტალების სამართლიანობა და დაავადგინოთ მისი მიმართება შელოცვებში მკვეთრად ასახული წითელი ფერის სიმბოლიკასთან.

ცისკარმა ამოანათა... მზე წითლად ამოდისათ...

ავ დედა მტერს ბიჭებო, ხმა არის ქისტებისათ,

... მაგრამ დაასწრეს სჯულძაღლთა ხან არ ეცალეს ცდისათ,

გაგმირეს ცხელი ტყვიათა, მიატყვეს გულის პირსათ<sup>25</sup>.

წითელი ფერის სიმბოლიკის ერთი, საკმაოდ ძლიერი ნაკადი, სიკვდილის შინაარსს უკავშირდება, მის გადმოცემას წარმოადგენს. თქმული თანაბრად

ენება შავი ფერის სიმბოლიკასაც. მხოლოდ დავსძენთ: „შავი“ აგრეთვე დაკავშირებული იყო მიწის ნაყოფიერებასთან, სავაზაფხულო დღეობასთან და სხვ. შავი ფერი თეთრთან ერთად პირველთაგანია, რომელსაც ჩვენი წინაპარი იცნობდა. აქედან გასაგებია ის ადგილი და მნიშვნელობა, რომელიც მას ხალხურ წარმოდგენებსა და სიტყვიერებაში უკავია.

ხალხის წარმოდგენით შელოცვებში მოხსენებული მხედრები ქვესკნელიდან მოდიან, სულეთის წარმომადგენლები არიან და საგულისხმო აქ სწორედ ის არის, რომ ამ შეხედულებამ თვით ქართულ შელოცვებში პოვა ასახვა. „უქმურის ლოცვის“ ერთ-ერთი ვარიანტის მიხედვით: „გამოვიდა მაკილაპი შავი ხელიკი ქვესკნელიდანა, /ამოიყვანა შავი ცხენი, /შავი შეკაზმულობითა, /შავ ტანზედა/შავი ჯაჭვი ჩაეცო, /შავ თავზედა/შავი ზუჩი დაეხურა, /შავსა წელზედა/შავი ხმალი შემოეყრა... /შემოეყარა დედა მარიამი: /—შენ შავო კაცო, /რათ ზიხარ შავსა ცხენსა? /...“ (ფ. არქ. № 2029), ან „ამოვიდა შავი კაცი, /შავი ზღვათა დაღმითა. /შემოეყარა მიქელ გაბრიელ — კითხა: /—სად მიხვალ, შე შავო კაცო? /...“ (ფ. არქ. № 1846, 2009). ან კიდევ: „—ბედო, ბედნიერო, /სახელ გემრიელო. /მთით მოხვედი/თუ ბარით მოხვედი? /—არც მთით მოველი, /არცა ბარითა, /შავ ზღვას ვიყავი, /შავ ზღვაში არ დამაყენეს, /...“ (ფ. არქ. № 1867).

როგორც ქართველი, ისე სხვა ხალხთა წარმართულ-მითოლოგიური შეხედულებებიდან ცნობილია, რომ სულეთსა და ხილულ ქვეყანას შორის წყალი (ზღვა, მდინარე) ძვეს, ზოგჯერ კი წყალი, მეტწილად ზღვა, ქვესკნელის შინაარსს ატარებს.

„თვალნაცემის ლოცვის“ ერთი ტექსტის მიხედვით მხედრის ვამოსელის ადგილად შავი ჭურღმულია დასახული („გამოვიდა შავი ჭურღმულიდან შავი წყალი, /მას გამოუყვა გველი შავი, /გამევიდა ცხენი შავი, /მასზე იჭდა კაცო შავი /...“ (ფ. არქ. № 1973). რაც აგრეთვე ქვესკნელის შინაარსობრივ გაგებას ატარებს.

ჩვენი მოსაზრება რომ სინამდვილეს უნდა შეეფერებოდეს, ამას კვლავ მოწმობს შელოცვის შემდეგი ფრაგმენტი: „გამოვიდა შავი უქმური ანგელოზი, /გამოიყვანა შავი ცხენი, /დაღვა უნაგირი, /გაუკეთა შავი უზანგი, /ამოჰლო შავი ლაგამი, /დაკრა შავი მათრახი, /გააჰენა შავსა ქვესკნელისკენა, /წინ დახედა მიქელ გაბრიელ მთავარანგელოზ და კითხა: /—სად მიხვალ, შე შავო უქმურო ანგელოზო?“ ა. შ. „შავი ქვესკნელი“ ორი შინაარსით შეიძლება გავიგოთ: 1. ქვესკნელი საერთოდ როგორც ბნელი ქვეყანა (გავისენოთ ხალხური სახელი „შავეთი“) და „შავი“ მთლიანად განსაზღვრავს მას, 2. მხედარი მიდის ქვესკნელის იმ ნაწილში, რომელიც სულეთის მეუფისაგან ყველაზე მოშორებით იმყოფება და შავი ფერის სიმბოლიკით არის გადმოცემული. თუკი ჩვენ მიერ წარმოდგენილ მასალებს და მათგან გამომდინარე დასკვნებს გავითვალისწინებთ, ეს უკანასკნელი გაგება უფრო ახლო უნდა იდგეს სინამდვილესთან.

სულეთში რომ ნამდვილად ეგულებოდათ სხვადასხვა ფერის სიმბოლიკით აღქურვილი მხედრები (მიცეალებულთა სულეები), ამას მოწმობს ზღაპარი „კუნძი ძისა“, რომელშიაც აღნიშნული შეხედულების ანარეკლია შემონახული: „კუნძის ძემ“ უთხრა, წადი მამი, და სადაც ეს კუნძი მოპვლიჯე, იქ ჩასძახე: ამოდი ლურჯო<sup>26</sup> კაცო, ლურჯო ცხენო, წითელო კაცო, წითელო ცხენო და ცხენო ყველა ნაირნო ამოდი-თქო“<sup>27</sup>.

ჩვენ მიერ დასმული საკითხის გადასაჭრელად უაღრესად საყურადღებო მასალას გვაწვდის ბ. ნიჟარაძე, რომელმაც 1887 წელს გაზეთ „ივერიაში“ გამო-

აქვეყნა მცირე მოცულობის თქმულება „ყვავილი და წითელა“. მოვიყვანთ მოკლედ საკითხის გარკვევისათვის აუცილებელ მომენტთა ძირითად თეზისებს აღნიშნული თქმულებიდან. „ყვავილი და წითელა ძმები არიან“. „დედა ცოცხალი ჰყავთ და სცხოვრობს ერთს მიუდგომელის და მალალის კლდის თავზე, ზღვის პირად. დედა დრო გამოშვებით ჰგზავნის თავის შვილებს ხალხში... ზღვის ტალღამ კლდის ძირას მიაგდო. (კაცი. — ი. გ.) და სიკვდილს გადაარჩინა. კაცი აპყვა ამ კლდეს და როგორც იყო დიდის გაჭირვებით ავიდა კლდეზედ. კლდის თავზე გაშლილი მინდორი დახვდა; იქვე გამოდიოდა მოზრდილი და ანკარა წყარო. წყაროზე ტიტველი ქალი იდგა და სარეცხსა რეცხავდა, ეს ქალი თოვლივით თეთრი იყო; ბუბუები უკან, ბეჭებზედა ჰქონდა გადაგდებული. ... კაცმა თავის აქ მოსვლის ამბავი უთხრა და სთხოვა. შენი სახლი მაჩვენეო. ქალმა ეს კაცსახლში მიიყვანა. სახლის შუა-გულს სვეტი იდგა, ეს სვეტი ირგვლივ კაცის თვალებით იყო მოჭედილი. კაცმა ამ სვეტის ამბავი ჰკითხა ქალს. ქალმა მიუგო, რომ რამდენ კაცსაც ჩემი შვილი — ყვავილი თვალს გაუფუჭებს, ყველა აქ მოაქვს და ამ სვეტზე ვაჭდევთო. ... ამ კლდის თავზე ყვავილსა და წითელას გარდა სხვა სნეულებათაც ჰქონდათ ბინა. მიწიდან რამდენსამე ადგილას ალი და კვამლი ამოდიოდა. ყვავილსა და წითელას დედამ თვითოეულად დაუსახელა სტუმარს კაცს სნეულებათა ბინა, სხვათა შორის, აჩვენა ეამის ბინაც, სახელდობრ, ის ადგილი, საიდანაც შავი კვამლი ამოდიოდა. აქ მარტო „სურდოს“ არა აქვს სამუდამოდ მიჩენილი ადგილიო, უთქვამს ქალს“<sup>28</sup>.

უთუოდ ბევრის მანიშნებელია ის გარემოებაც, რომ ამგვარი გადმოცემა თავის ანალოგიას პოულობს თ. რაზიკაშვილის მიერ ჩაწერილ თქმულებასთან, რომლის მიხედვით ზღვაში თევზის მიერ გატაცებული კაცის ნავს ტალღები ერთ განმარტოებულ კუნძულზე გარიყავს, სადაც სამი სახლი იდგა. ერთიდან თეთრი ბოლი ამოდიოდა, მეორედან წითელი, მესამედან კი შავი. ეს სახლებია „ბატონებს“ ეკუთვნოდათ<sup>29</sup>.

როგორც ერთი, ისე მეორე მასალიდან ჩანს, რომ დაავადებათა (ერთ შემთხვევაში — ყვავილის და წითელას, ხოლო მეორე შემთხვევაში „ბატონების“<sup>30</sup>) ადგილსამყოფელი იქეთა (потусторонний) ქვეყანა, იგივე სულეთია. სვანური თქმულების მიხედვით, ისინი დაბინავებულნი არიან კლდის თავზე, გაშლილ მინდორზე, სადაც წყარო ჩამოდის. აღწერილი გარემო გარკვეულ მსგავსებას პოულობს სულეთის შესახებ არსებულ ფოლკლორულ მასალასთან.

თეთრი ციხე იდგა სულეთში,  
წვერი ცას მიმდინარია,  
მაგანეთ (მოშორებით) ალვის ხეი დვას,  
ცაში მიუდის წვერია;  
ბოლოზედ ვეშა წყარო დის  
სასმელად გემნიერია<sup>31</sup>.

ყვავილისა და წითელას დედის თოვლივით სითეთრეც არაა შემთხვევითი. იგი მის დვთაებრივ ბუნებაზე სიმბოლური მითითებაა. ეს კი სულეთის შესახებ არსებულ სითეთრესთან კავშირში გარკვეულ აზრს იძენს. საყურადღებოა აგრეთვე, რომ დაავადებათა ძალების დედა თავად აგზავნის შვილებს ხალხში. ეს შეხედულება თავის ანალოგიას პოულობს ხალხში დარჩენილ შეხედულებებში მიცვალებულთა შესახებ (იხ. ქვემოთ).

ახლა ვეცდებით გავარკვიოთ ქართულ შელოცვებში მოხსენიებული სახეების (მხედარი, ცხენი, აბჯარ-უნაგირი, კლდე, ზღვა) საფუძვლები ხალხურ წარმოდგენებსა და ყოფაში.



თუ რა ადგილი ეკავა ცხენს მიცვალებულის კულტის წეს-ჩვეულებებსა და წარმოდგენებში, კარგადაა გარკვეული შკვლევა-რეთნოგრაფის დ. გიორგაძის ნაშრომში «Опыт «посвящения коня» у горцев восточной Грузии»<sup>32</sup>.

ქართულ ზღაპრებში ცხენს ხშირად ცხვარი, თხა და მისთ. ენაცვლება. ეს არ არის შემთხვევითი მოვლენა. იგი კანონზომიერ ხასიათს ატარებს. დასახელებული ზომორფული არსებანი მზის საკულტო ცხოველებია, რომლებაც თავის მხრივ მიცვალებულის კულტთან მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი. ამის გამო ისინი წარმოდგენენ ხილულ სამყაროსა და ქვესკნელს შორის მიმოსვლის საშუალებებს<sup>33</sup>. რაც შეეხება ზღაპრული ეპოსის გმირის მოძრაობას ორ სამყაროს შორის, ნ. ბრეგაძის შენიშვნით — «проникновение героя в подземелье подразумевает его смерть, т. е. приход в загробный мир... Впоследствии же возвращение того же героя в наш мир, должно быть, подразумевает его воскрешение»<sup>31</sup>.

ასევე კარგადაა ცნობილი სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში მიცვალებული მამაკაცის ქართული სამოსით — ჩოხით დასაფლავება და მისთვის იარაღის გატანების ტრადიციული წესი. «მიცვალებულთა სულნი, წაწყმედილნიცა და ცხონებულნიც, სვანებს წარმოდგენილი აქვსთ, როგორც ლანდები. იმათ ის ტანისამოსი აცვიათ, რომელიც ჩაპყვით საფლავში... მამაკაცს საიჭიოსაც, რასაკვირველია, თან ახლავს ყველა იარაღი...»<sup>35</sup> პარადიგმების დამოწმება დაუსრულებლად შეიძლებოდა როგორც ძველ, ისე თანამედროვე ყოფაში ჭერ კიდევ შემონახული უახლოესი ხანის ექსპედიციების მიერ მოპოვებული ფაქტობრივი მასალით.

კლდე ქართული მითოლოგიის მიხედვით არის წარმართულ ღვთაებათა ადგილსამყოფელი. ეს საკითხი ფართო მასალის ფონზე მიმოხილული აქვს ს. აბაშიძეს ნაშრომში «მითოლოგიურ არსებათა გენეზისის დუალისტური სახე ქართულ ზეპირსიტყვიერებაში»<sup>36</sup>, სადაც ავტორი შეეხოა შელოცებში ნახსენები კლდის მნიშვნელობის გარკვევის საკითხსაც. მისი აზრით, შავი, წითელი და თეთრი კლდიდან გამოსული შესაბამისი ფერის მხედრები, მათ მიერ ამავე ფერთა გველების მოკვლა — დადასტურება კლდეში კეთილი და ბოროტი ძალების არსებობისა. ეს უკანასკნელი პრინციპულად ექვს არ ბადებს, მაგრამ შავი, წითელი და თეთრი მხედრების დაყოფა «ბოროტ» და «კეთილ» ძალებად, ვფიქრობთ, მეტ სიფრთხილეს მოითხოვს. თუ მიცვალებულის სულსა (რომელსაც მხედარი განასახიერებს) და დარჩენილთა შორის კავშირის შესახებ არსებულ შეხედულებებს გავიხსენებთ, რომელთაც ასახვა პოვეს შელოცებში, შეიძლება დავუშვათ, რომ ისინი ერთსაც განასახიერებენ და მეორესაც: ერთსა და იმავე ღვთაებრივ ძალას შეეძლო როგორც კეთილი, ისე ბოროტი მოქმედების ჩადენა. ხოლო რაც შეეხება მხედრის მიერ გველის მრკველას, ეს საკითხი სათანადოდ ადგილას არის განხილული და აქ მასზე აღარ შევჩერდებით. მხოლოდ დავსძენთ ერთს, ეს მოტივი არ უნდა იძლეოდეს იმის უდავო საბაბს, რომ მისი ჩამდენი კეთილ ან ბოროტ (საკითხი ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ცალკეულ გადაწყვეტას მოითხოვს) ძალად გამოვაცხადოთ.

ქართულ ფოლკლორში ეშმაკები სხვა ათასგვარ მაგიურ საშუალებათა შორის დაავადების გავრცელების საშუალებებსაც ფლობენ, ე. ი. თავად, ან ზოგჯერ სხვისი დახმარებით, გამოდიან დაავადებათა გამავრცელებლის როლში (იხ. «ეთერიანი»). ამ გარემოებასთან დაკავშირებით მეტად საყურადღებოა, რომ ზღაპრული ეპოსის («უშვილო ვაჟარი და ეშმაკი»<sup>37</sup>) მიხედვით მათ მიუეალ

კლდეში აქვთ ბინა: „დიდი ჭოქმანის შემდეგ გაყვა ვაჭარი პატარა ეშმაკს, ის ვაჭარმა და მიიყვანა ერთ დიდ კდესთან, მიაღწა თითი პატარა ეშმაკმა კდეს, კდე წვიპუნა და ნაპრალში გამოდგა... ფლოქვებიანი ეშმაკი“<sup>38</sup>.

ამ თვალსაზრისით მეტად საყურადღებოა შელოცვის ერთი ტექსტი (-ლოცვა უქმურისა, აღისა და ეშმაკისა“): „ვიყავით სამნი ძმანი,/სამებისა ძალისანი:/მარკოზ, კუროზ, კონსტანტინე;/გავედით მთასა, ვნადირობდით/და ვერ ვიპოვეთ კვალი ნადირისა;/ვიპოვეთ კვალი აღისა და ეშმაკისა./ იჭდა კლდისა ძირსა. კუნკურაზს შიგნით/...“ (ფ. არქ. № 2014) და თუ აქვე უამების შესახებ არსებულ გადმოცემასაც გავისხენებთ, რომ მათ მაღალი, მიუღგომელი კლდის თავზე აქვთ ბინა, ნათელი გახდება, თუ რატომ გამოდის სხვადასხვა ფერის მხედარი კლდეებიდან.

როგორც ეს ზემოთაც იყო მითითებული, ქართულ შელოცვებში ნახსენები წმინდარი თუ ზღვა სულეთთან არის ორგანულად დაკავშირებული. მოვიყვანო ერთ მაგალითს ამ საკითხთან დაკავშირებით: „ინგილონი ამბობენ, — წერს მ. ჯანაშვილი, — რომ საგორეულოს ნანახიც ქნილაო, ე. ი. საგვარეულოს (სულეთის. — ი. გ.) მნახველი და დაბრუნებული კაცი ყოფილაო. ამგვარ კაცებს რამდენიმეს ასახელებენ. ქიტიანთ წუნკი დიად ავად გახდაო. ჰკუთა და გონება ერთხანად დაჰკარგაო. მერე გონს მოვიდა და ასრე ილაპარაკაო: „გორში წაველო იქ გორი-პირში (ე. ი. დასაწყისში) ერ დიდ წყალ ეყო. მითხრეს „გაღმოსტ“. ჩემ ბებრამ (ბებია) კი დამარიგა: „წყალში ფეყ არ ჩასცე. გადავხტენ, გადაველ, გორში შეველო... ლერობენ, ნაღრა ზურნას ჰუკრავენ, შუფრობენ... შენ რაა გინდა აქ ჟერ შენი დროი არ არის. წაო, წაო, აქაითია? კელ მკრა, გამმაგდა. იქ კაა ლამაზი დახატულ სახლებ-ოთახებ არის, ზეა მუდამ ანათებს“<sup>39</sup>. მოყვანილი ციტატიდან ვგებულობთ, რომ სულეთში მისასვლელ გზაზე წყალი ძევს, რომელზედაც გადახტომით (I) ხერხდება სულეთში მოხვედრა. მხოლოდ პირობა ასეთია — წყალში ფეხი არ უნდა დაგისველდეს. შეიადარე:

განაღე, გილაგეშ, სველი ნიჩბები.  
სიკვდილის წყლები ხელზე არ შეგეხოს.

(ინგილოს წარმოდგენით სულეთში „სახლებ-ოთახებ“ არის. შდრ. ჩვენ მიერ ზემოთ დამოწმებულ გადმოცემებს, სადაც ინფექციურ დაავადებებსა და „ბატონებს“ თავიანთი სახლები აქვთ). ქართულ მითოლოგიურ აზროვნებას შემოუნანავს ტექსტი საიდანაც ვგებულობთ: „ბრქანებდა დამბადებელი:/რომ დაეღვი მიწამყარიო,/სუ თავის მორთულობითა/შამხდარი მთა და ბარიო./ მურგავალთ მომავლე სამი ზღვა,/თეთრი, წითელი, შავიო,/...“<sup>40</sup>

ქართულ ფოლკლორს არა ერთი საყურადღებო გარემოება დაუცავს, რომლებიც შელოცვებში დაცულ სახეთა დანიშნულებისა და შინაარსის გახსნას უწყობს ხელს, მაგეთში:

საკერეველ ხალხნი ყოფილან, ერთსაც არ უხსნენ თვალნია,  
ჩამატყევიყო სახლ-კარი, ჩამოდიოდა წყალია,  
მუკლუბს ვეღარა კმარობდნენ, ჩატეხილს ლოდებისასა,  
თელაუბს ვერ აჭრეინებდნენ, დათხრილებს გველებისასა<sup>41</sup>.

შეიადარე:  
სიკვდილო ვასაოკრებო, რად შამაგვართვი თვალიო?  
უხაწილოებ გეოკოე, თავზე დავსურენ ცანიო<sup>42</sup>.

თვალის ამოთხრის მოტივი დაკავშირებული ჩანს უძველეს რწმენა-წარმოდგენებთან, რომელთა მიხედვით ადამიანის სული მის რომელსამე ორგანოში იმყოფებოდა და ასეთ ორგანოებად სხვადასხვა ხალხში ადამიანის სხეულის

სხვადასხვა ნაწილი იყო მიჩნეული. ერთ-ერთი მათგანი თვალი იყო. თვალის ადამიანის სულის ბინად წარმოდგენა დადასტურებულია ისეთ უძველეს მითოლოგიურ ძეგლში, როგორც „ამირანიანია“<sup>43</sup> (იხ. იამანის თვალის წამოღება დევის მიერ). ეს მოტივი უცხო არ არის არც ქართული ზღაპრებისათვის, რაც გვაძლევს იმის უფლებას, რომ დასახელებული შეხედულება ქართულ საერთო წარმართულ ერთ-ერთ უძველეს რწმენათა რიგს მივაკუთვნოთ.

საგულისხმოა, რომ სხვადასხვა ფერთა სიმბოლიკით აღჭურვილი გველთა სახეები გვხვდება ქართულ ფოლკლორში. შავი ფერის გველების შესახებ აღარაფერს ვიტყვი, რადგან იგი ხშირად გვხვდება ხალხურ სიტყვიერების ნიმუშებში. გაცილებით ნაკლებია ფოლკლორში წითელი და თეთრი გველების წარმოდგენის ინტენსივობა, მაგრამ სიტყვიერება იცნობს ამ ტიპაჟებს:

ჩამდგენ სამარეშოა, მიწას მაყრიან ბევრსაო.

მულის გველი წითელი და მოიღვრებს ყელსაო,

ქერ ხომ გადაძოვს უღუაშსა, მემრ ქოჩორს მიჰყოფს ხელსაო,

მემრ დამერჭობა გულშია, გულ დაიკვნესებს ძნელსაო<sup>44</sup>

თეთრი გველის საგულისხმო სახე დაკუთვლია ინგილოურ ზღაპარში, საიდანაც ვგებულობთ, რომ იგი არაა ჩვეულებრივი წარმოშობისა — გველთა ხელმწიფის ქალიშვილია, მისი მშობელი კი თავის მხრივ ღვთაებრივი ნიშნებით ხასიათდება. გაცილებით მეტი მაგალითის დასახელება შეიძლება, როცა შავი, წითელი და თეთრი გველები (გველუშაჟები) ერთად არიან წარმოდგენილნი. ამ სამი ფერის სიმბოლიკით აღჭურვილი მოვლენისა თუ საგნების ერთიანობაში ჩვენების ძლიერი ტრადიცია გვაფიქრებინებს, რომ ზოგჯერ, იმ შემთხვევაშიც კი, როცა ისინი ცალ-ცალკე ან სუსტად არიან წარმოდგენილი, უფრო თამამად ვივარაუდოთ მათი ერთად წარმოდგენა სიტყვიერების განვითარების არქაულ საფეხურზე.

გველები სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში ღვთაების მოციქულებად, მისი ნება-სურვილის გამტარებლად არიან ცნობილნი<sup>45</sup>. ასეთსავე მოსაზრებას ავითარებს თ. ოჩიაური<sup>46</sup>. ექვემოთხანელი ჩანს გველის კავშირი ღვთაებრივ ძალასთან. ეს კავშირი ერთი რომელიმე ღვთაებით არ უნდა ყოფილიყო შემოსაზღვრული, კერძოდ, გველებს სულეთის გამგებელთანაც ორგანული და მჭიდრო კავშირი უნდა ჰქონოდათ. ამაზე მეტყველებს სულეთისადმი მიძღვნილი ხალხური სიტყვიერების არაერთი ნიმუში, რომლებშიც გველს მყარი ადგილი აქვს მიჩნეული.

ჩიოდენ შავეთლები, გველებმა გვიყვეს ძალია,

ჩამოგვიხეთქეს საფლავი, ჩამოგვადინეს წყალია.

ბევრს ვაქაყს ჩამოუშალა როსტომისანი მხარნია,

ბევრსა ქალსა ლამაზსა შვიდნივად ნაწნავ თმანია<sup>47</sup>.

ჩვენი აზრით, ამ და ზემოხსენებული მიზეზის გამო კლავენ შავი, წითელი და თეთრი ფერის მხედრები ამავე ფერის გველებს<sup>48</sup>, რასაც ამ უკანასკნელთა სიკვდილის ანალოგიით, შესაბამისი მაგიური მოქმედების სიძლიერით დაავადების გამომწვევი ძალების დათრგუნვა და დამარცხება უნდა გამოეწვია<sup>49</sup>.

ზემოთ ვაჩვენეთ, რომ თეთრი, წითელი და შავი ფერების სიმბოლიკის ერთი ძლიერი ნაკადი ქართულ ფოლკლორში დაკავშირებულია სულეთის სამყაროსთან. შეგვიძლია ვთქვათ, რომ შელოცვებში ნახსენები შესაბამისი ფერის სიმბოლიკით აღჭურვილი მხედრები გარდაცვლილთა სულების წარმოსახვაა<sup>50</sup>, რომელთა უფლებებში შედიოდა სწორედ არათუ კავშირი ხილულ ქვეყანასა და სულეთს შორის და მბრძანებლობა დარჩენილებზე, არამედ ავადმყოფობის

გავრცელება და სიკვდილიანობაც კი. მიცვალებული სულეთის მეუფის ნება-სურვილის აღმსრულებელი ძლიერი ძალაა, რომლისადმი პატივისცემას წარმართულ საქართველოში (და ზოგან დღესაც) ერთ-ერთი წამყვანი და განმსაზღვრელი ადგილი ეკავა.

სვანეთში გავრცელებული შეხედულებების თანახმად, მომაკვდავი წინასწარმეტყველების ნიჭით არის აღჭურვილი. „სვანებს ღრმად სწამთ, — გაღმოგვემს ბ. ნიჟარაძე, — რომ მომაკვდავის სული უკანასკნელ ხანებში „საიქიოსა“ ქრისტესთან (სულეთის მეუფესთან. — ი. გ.): იგი გარეულია ნათესავ მიცვალებულთა სულებში და, მაშასადამე, სვანის წარმოდგენით ნამდვილად ხედავს და იცის „ამა სოფლის ამბები“<sup>51</sup> და ამისთანა შეხედულებებიდან გამომდინარეობს, რომ სვანი „ეხვეწება მომაკვდავს უშუამდგომლოს მის მიცვალებულლებთან, რათა მათ არ აიცრუონ გული მასზე, არ გამოიმეტონ და არ დააბეზლონ ქრისტესთან“<sup>52</sup>. თუ მან სხვა მიზეზებისა გამო საჭირო წესები (საკურთხი და სხვ.) ხანდისხან თავის დროზე ვერ აისრულოს და სხვ.“<sup>53</sup>. (შდრ. თქმულებას, რომლის მიხედვითაც ყვავილს და წითელას დედა აგზავნის ხალხში). თუკი მომაკვდავი საზოგადოებაში ცნობილი პირი იყო, მაშინ მას საზოგადოებრივ საკითხებსაც ეკითხებოდნენ, კერძოდ, სულების გაჩენის წინასწარმეტყველებას სთხოვდნენ<sup>54</sup>. განოთქმული მოსაზრების კარგ ილუსტრაციას წარმოადგენს ვ. ბარდაველიძის კვლევა ამ მიმართულებით<sup>55</sup>.

მიცვალებულზე არსებული წარმოდგენების უფრო არქაული საფეხურის მიხედვით წინაპართა კულტი გაღვთაებრივებულ კეთილისმყოფელ ძალად იყო მიჩნეული. ვფიქრობთ, რომ ჩვენ მიერ ნაშრომის დასაწყისში მოყვანილი შელოცვის ფრაგმენტის ვარიანტში მიცვალებულზე არსებული შეხედულებას სწორედ ეს ეტაპია დაცული. ამას ხაზგასმით იმიტომაც აღვნიშნავთ, რომ ქართული შელოცვების ერთ ნაწილში წარმოდგენილი თეთრ, წითელ და შავ ფერთა სიმბოლიკის შესატყვის ფრაგმენტებში მხედრები — მიცვალებულთა სულები გამოდიან დაავადების გამავრცელებლად ან ეს მხედრები თავად წარმოდგენენ დაავადებებს. „მოვიდა შავი კაცი, შავითა ზღვითა და ღამით, /წინ შემოეყარა მიჭელ გაბრიელ მთავარანგელოზი და ჰკითხა: /— სად მიხვალ, შე შავო კაცი? /— მე მივალ, კაცთა საწყენად, ძველთა სატყენად...“<sup>56</sup> ანალოგიური შემთხვევა გვაქვს თეთრი ფერის სიმბოლიკის დროსაც, სადაც ტექსტში „კაცს“ „ღვეი“ ჩანაცვლება: „თეთრი მღვეი მოდიოდა, /მთა მოჰქონდა ერი რითა/ღეღამიწა მუხლივითა. /შეემეყარა დედა მარიამი: /— თეთრო მღვეო, /სად მიხვალ, სად წახვალ? /— ადამიანის ტანში/სისხლის სასმელათ/...“ (ფ. არქ. № 2027. თ. რაზიკაშვილის ჩაწ.). ამის გამო გველს კი აღარ კლავს შემლოცველი<sup>57</sup>, არამედ თვით დაავადების წყაროს, შავ ჩოხოსან მხედარს: „გასკდა შავი კლდე, /გამევიდა შავი კაცი, /შავი ცხენით და თავის იარაღითა. /ვკარი ხელი, /გადავაგდე სიპსა ქვასა/...“ (თსუფა № 21).

ქართულ შელოცვებში წარმოდგენილი მიცვალებულთა სულების (თეთრი, წითელი და შავი მხედრები) მოქმედების ასეთი ასპარეზი და გარემო და, საერთოდ, მიცვალებულთა შესახებ არსებული წარმოდგენები მკვიდროდაა დაკავშირებული აგარაულ კულტთან, ბუნების აღორძინების, სიცოცხლის განახლების შესახებ არსებულ ერთიან შეხედულებათა ციკლთან. ამიტომაც არის, რომ გარდაცვლილის სული ხტონური ბუნებისაა. ეს წარმოდგენები გამოხატულებას პოულობს სვანური ახალი წლის ციკლის დღესასწაულში „ლიფანალი“, რომელიც მიცვალებულთა დღეობად ითვლებოდა. ყოველივე ამის გათვალის-

წინებაც აუცილებელია შელოცვებში (და არა მარტო მათში) მკაფიოდ წარმოდგენილი ფერთა სიმბოლიკის ბუნების, დანიშნულებისა და შინაარსის განხილვისათვის.

აქვე უნდა შევნიშნოთ, ფერთა სიმბოლიკა შელოცვებში და სხვაგანაც მაგიური თვისებით არის აღჭურვილი. სიძლიერე შესაბამისად შავიდან თეთრისაკენ სუსტდება. ცნობილია, რომ მზის, დღის ნათელი ბოროტი ძალების დათრგუნვის კარგი საშუალება იყო: მზის სინათლეზე ნაკლები საშუალება იყო ავი ძალების ბუნების მაქსიმალურად გამოვლენისათვის. თეთრი მხედარი, რომელიც სინათლის წყაროსთან ყველაზე ახლო მდგომი სულია, მაგიური ძალის შესაბამისი ხარისხით ხასიათდება. წითელი გაცილებით ძლიერია, რადგან იგი ოდნავ მოშორებულია ნათელს, მაგრამ სუსტია შავთან შედარებით, ხოლო შავი მხედარი მაგიურობის უმაღლესი ხარისხით არის აღჭურვილი. იგი სულეთის გამგებლისაგან ყველაზე შორს მდგომ სულს განასახიერებს.

აღნიშნულ ფერთა სიმბოლიკა დაავადებათა სიძნელე-სიადვილის შინაარსს გულისხმობს. ეს რომ ასეა, მოვიყვანოთ ფრაგმენტს თქმულებიდან უქმურთა შესახებ „უამნი მოსულან სამნი, იმათ სამი ვირი ჰყავდათ: შავი, წითელი და თეთრი. შავს ეკიდა შავთბია, წითელს წითელთბია და თეთრს თეთრთბია ისარი. იმათ რიგას უსრევაჲ ისრები, შავს ვისაც დაჰკრავდეს მაშინვე კვდებოდა, წითელს ვისაც დაჰკრავდეს ნახევრად კვდებოდა, თეთრი სულ არ კლავდა“<sup>59</sup>. ამავე ფერთა სიმბოლიკის განსხვავებული პრინციპია გატარებული „ამირანთანში“: „ამირანმა უთხრა ბიძებს: აბა, ბიძებო, მეტი ღონე აღარ არის, უნდა მაკვეშაპებს შევებნეთო. თეთრი ბადრს, წითელი უსუპს, შავი ჩემად გინებებიათო“<sup>60</sup>... სამთავემ (ძმებმა. — ი. გ.) ითათბირეს, თუ როგორ დაემარცხებიათ ეს სამი გველეშაპი... ამირანმა გაანაწილა უფრო გონიერულად, რადგან ხედავდა, რომ ყველა გველეშაპი ერთნაირი ძალისა არ იყო და ამასთანავე ძმებიც სხვადასხვა შეძლების იყვნენ“<sup>60</sup>.

ზემოთ ჩვენ შევეცადეთ მოკლედ გაგვეჩვენოთ ქართულ ხალხურ ზღაპრებში ფერთა სიმბოლიკის ერთ-ერთი მთავარი მნიშვნელობა. ასეთი ექსკურსი გამოწვეული იყო შელოცვებსა და ზღაპრებში წარმოდგენილი ფერთა სიმბოლიკის გარეგანი მსგავსებით, რაც ქმნიდა ქართული შელოცვების შესწავლით მიღებული დასკვნების ზღაპრებზე ერთგვარად გავრცელების საფუძველს (თუმცა ეს გარეგნობაც არ გამოირიცხება, მაგრამ იგი კონკრეტული სიტუაციის მიხედვით მოითხოვს საკითხის გადაწყვეტას). როგორც ვნახეთ, შავი, წითელი და თეთრი ფერები ზღაპრებში სამყაროს იერარქიულ აგებულებას (განვითარების სხვადასხვა ეტაპს) გვიჩვენებენ, ხოლო შელოცვებში ამავე ფერთა სიმბოლიკით განსხვავებული რწმენა-წარმოდგენები და შინაარსია გადმოცემული.

ჩვენ მიერ წარმოდგენილია აღნიშნული ფერთა სიმბოლიკის მთავარი მხარეები, მაგრამ იგი მაინც არასრულია. შავს, წითელს და თეთრს ფუნქციონალურ-შინაარსობრივი სხვა ნიუანსებიც მოეპოვება. ქართულ მასალაზე დაკვირვებამ და ხალხთა კულტურის ისტორიის გაცნობამ გვიჩვენა, რომ თეთრი, წითელი და შავი — ეს ის ფერებია, რომელთაც უძველესი ხანიდან იცნობდა კაცობრიობა და მათ შორის ქართველთა წინაპრებიც. ხალხი ამ ფერთა სიმბოლიკური გამით გამოხატავდა როგორც სულიერ, ისე სოციალურ სფეროში სხვადასხვა ურთიერთობებსა და მიმართებებს, რაც, როგორც ჩანს, კანონზომიერ ხასიათს ატარებს და სხვადასხვა ხალხთა ისტორიული განვითარების

სინამდვილეში სხვადასხვა ფორმითა და ინტენსივობით ვლინდება. ქართულ ფოლკლორის ამ მხრივაც ერთ-ერთი საპატრიო ადგილი უნდა მიეკუთვნოს, რადგან მისი შესწავლა სცილდება ქართველოლოგიურ საკითხთა გარკვევის ინტერესებს და თეორიულ მნიშვნელობას იძენს.

შ ე ნ ი შ ვ ე ნ ე ბ ი

<sup>1</sup> ელ. ვ ი რ ს ა ლ ა ძ ე, ბარბოლ-ბარბარი ქართულ ფოლკლორში, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. 16, 1955, № 2, დ. შ ე ნ გ ე ლ ა ი ა, თბზ., ტ. 4, თბ., 1972, გვ. 252—256; ქს. ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ე, ქართული ლირიკის სიმბოლიკის საკითხები, ნარკვევები, ტ. 1, თბ., 1958; Н. А. Б р е г а д з е. Фантастика- сказки и этнография, მეცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, 1971, № 2; М. А. Н а д а р я, О символике черного цвета по грузинским этнографическим материалам, Всесоюзная научная сессия, посвященная итогам полевых археологических и этнографических исследований 1970 г., Тезисы докладов (секция этнографии, фольклора и антропологии), Тб., 1971; თ. ო ქ რ ო შ ი ძ ე, ფერთა სიმბოლიკა ქართულ ჯაღოსნურ ზღაპრებში, „ციცქარი“, 1973, № 1; მ. ნ ა დ ა რ ა ი ა, სამყარო ხალხის უძველეს წარმოდგენებში, ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის 22-ე სამეცნიერო სესია, თბ., 1974 და სხვა.

<sup>2</sup> შელოცვებში იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება ქალი ნაცვლად მხედრისა. წინამდებარე ნაშრომში ჩვენ მიერ განვითარებული მოსაზრების ძირითადი პათოსი ეხება შელოცვის აღნიშნული ფორმულის იმ ვარიანტსაც, სადაც მხედრის ნაცვლად ქალი მოიხსენიება.

<sup>3</sup> ანალოგიური ტექსტები დასტურდება ქართველ ებრაელთა შორისაც (რ. თ ა ვ დ ი დ ი შ ვ ი ლ ი, ეთნოგრაფიული ნარკვევები ქუთაისელ ებრაელთა ძველი ყოფა-ცხოვრებიდან, თბ., 1940), რაც უფლებას გვაძლევს განვიხილოთ ისინი როგორც ქართული მოვლენა.

<sup>4</sup> მ. ნ ა დ ა რ ა ი ა, დასახ. შრომა.

<sup>5</sup> შდრ. ქართულ ზღაპრებში დავალების შესასრულებლად და ბედის საძებნელად წასულ ძმებს გზაჯვარედინზე ქვაზე წარწერა დახედებათ, სადაც წერია, რომ ერთი გზა მშვიდობით დაბრუნებისაა, მეორე ცოტა ხიფათისა, ხოლო მესამე კი არდაბრუნებისა. ეს უკანასკნელი საიჭიოს, სულელოს მიმავალი გზა უნდა იყოს, ხოლო საერთოდ, სამი გზის არსებობის მოტივი სამყაროს სქელებად დაყოფის შესახებ არსებულ წარმოდგენებს შეიძლება შევედაროთ და დაუკავშიროთ (მხოლოდ ჰორიზონტალური დაგეგმარების პირობებში). მოხმობილ ზღაპარში, როგორც ჩანს, სულეთში მიმავალი გზის მიმართულება და ამავე სულეთთან დაკავშირებული ხარო ერთად არის მოცემული. საერთოდ ამ მოტივს საუკუნეების მანძილზე დაუკარგავს ძველთაძველი შინაარსი, მაგრამ სამ გზასთან დაკავშირებული სიკოცხლის სხვადასხვა ხარისხის ნიშანი ბოლო დრომდე შემორჩა, რაც თეთრი, წითელი და შავი ფერის სიმბოლიკის შესაბამის გაგებას ძალზე უახლოვდება.

<sup>6</sup> ზღაპარში ხაროში, ქვესკნელში არსებულ სიციხე მიწერილია ქალებზე, რაც, ცხადია, შემდეგდროინდელი მოვლენაა და იგი ქალური სილამაზის აშკარა ჰიპერბოლურ გამოხატვას ემსახურება.

<sup>7</sup> ქართული ხალხური ზღაპრები, ტ. I, მიხ. ჩ ი ქ ო ვ ა ნ ი ს რედაქციით, თბ., 1938, გვ. 94—95.

<sup>8</sup> იქვე, გვ. 96.

<sup>9</sup> ი. გ ა გ უ ლ ა შ ვ ი ლ ი, ფერთა სიმბოლიკის საკითხისათვის ქართულ შელოცვებში, ფოლკლორისტთა საკორდინაციო საბჭოს მე-13 სამეცნიერო კონფერენცია, თეზისები, თბ., 1974.

<sup>10</sup> მ. ნ ა დ ა რ ა ი ა, დასახ. შრომები; ნ. ბ რ ე გ ვ ა ძ ე, დასახ. შრომა, გვ. 134.

<sup>11</sup> აქ წითელი და თეთრი ფერის სიმბოლიკით აღქურვილი ზოომორფულ არსებათა ფუნქციონირება ჩანაცვლებასთან გვაქვს საქმე, რაც ბუნებრივი მოვლენაა ფოლკლორში.

<sup>12</sup> წითელი ფერის ზოომორფული არსების ასეთი მოქმედება ქვესკნელის პირველ, წითელი ფერით გადმოცემულ ნაწილში (I) მიმდინარეობს მეტწილად, რაც ბუნებრივ, კანონზომიერ ხასიათს ატარებს და რასაც არ შეიძლება ანგარიში არ გაეწიოს.

<sup>13</sup> ქართველ მთიელთა ზეპირსიტყვიერება (მთიულეთ-გუდამაყარი), ტექსტების მომზადება, რედაქცია, გამოკვლევა და შენიშვნები ელ. ვ ი რ ს ა ლ ა შ ვ ი ლ ი ა თბ., 1958, გვ. 346.

<sup>14</sup> ბ. ნ ი ე ა რ ა ძ ე, ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, თბ., 1962, გვ. 178.

<sup>15</sup> იქვე, გვ. 179.

<sup>16</sup> იქვე, გვ. 144.

<sup>17</sup> ვ ა ე ა - ფ შ ა ე ე ლ ა, თხზ., ტ. 9, გვ. 16—17. მწუხრის მზე ქვესკნელის, ანუ იმავე მიცვალებულთა მზედ იყო მიჩნეული ძველ აღმოსავლეთსა და ეგვიპტეში: *Э. Тейлор, Первобытная культура, М., 1939, გვ. 507; С. А. Токрев, Религия в истории народов мира, М., 1964, გვ. 286.*

<sup>18</sup> იხ. ე. კ ო ტ ე ტ ი შ ვ ი ლ ი, ხალხური პოეზია, თბ., 1961, გვ. 142; ქართული ხალხური პოეზია, ტ. II, თბ., 1974, გვ. 84 (№ 27), გვ. 216 (№ 322), გვ. 258, (№ 367) და სხვ.

<sup>19</sup> ნ. ხ ი ზ ა ნ ი შ ვ ი ლ ი, ეთნოგრაფიული წერილები, თბ., 1940, გვ. 74—75.

<sup>20</sup> მ. ქ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, საინგილო, თბ., 1913, გვ. 167.

<sup>21</sup> არის თუ არა ეს თეთრი ხე დაკავშირებული იმ იფნის ხესთან, მითოლოგიური გადმოცემების მიხედვით რომ კერაში ამოდის, ძნელი სათქმელია, მაგრამ ღვთაებრიობის ნიშანი მათ უდავო მსგავსებაზე მიგვანიშნებს (თ. ო ჩ ი ა უ რ ი, მითოლოგიური გადმოცემები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, თბ., 1967, გვ. 196).

<sup>22</sup> ამირანი, მითოლოგიური პოემა, განახლებული და რესტავრირებული შალვა ნ უ ც უ ბ ი ძ ი ს მიერ, თბ., 1945, გვ. 23.

<sup>23</sup> არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ე ა, კანურ-მეგრულ-ქართული ლექსიკონი, თბ., 1938, გვ. 236.

<sup>24</sup> *К. Мегрелидзе, Основные проблемы социологии мышления, Тб., 1973, გვ. 193.*

<sup>25</sup> ვახ. კ ო ტ ე ტ ი შ ვ ი ლ ი, ხალხური პოეზია, თბ., 1961, გვ. 142. იხ. აგრეთვე: იქვე, გვ. 141, 149, 280; აკ. შ ა ნ ი ძ ე, ქართული ხალხური პოეზია, I, ხევსურული, თბ., 1931, გვ. 196 (№ 478), გვ. 59 (№ 146); ქართული ხალხური პოეზია, ტ. II, თბ., 1974, გვ. 84. (№ 27), გვ. 216 (№ 322), გვ. 245 (№ 353), გვ. 258 (№ 367) და სხვ.

<sup>26</sup> „ლურჯი“ აქ და, საერთოდ, ქართულ ფოლკლორში მეტწილად „შაეის“ მონაცვალე ფერს წარმოადგენს.

<sup>27</sup> ქართული ხალხური ზღაპრები, თ. რაზიკაშვილის მიერ შეკრებილი, თბ., 1951, გვ. 209. შდრ. მოყვანილი ფრაგმენტი ეთნოგრაფიაში კარგად ცნობილ მიცვალებულის სულების გამოხმობის, გამოძახების რიტუალს.

<sup>28</sup> ბ. ნ ი ე ა რ ა ძ ე, ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, გვ. 147—148. აღნიშნული თქმულებისა და „ბატონების“ საგალობელთა შესახებ იხ. მიხ. შ ე ნ გ ე ლ ი ა, ქართული მედიცინის ისტორია, თბ., 1970, გვ. 21—22;

<sup>29</sup> თ. რ ა ზ ი კ ა შ ვ ი ლ ი, ზღაპრები კახეთსა და ფშაეში ჩაწერილი, თბ., 1909, გვ. 135.

<sup>30</sup> შენიშვნა: „ბატონებისადმი“ მიმართულ საგალობლებსა და შელოცვებს შორის არსებული მიმართების შესახებ უაღრესად საყურადღებო მოსაზრებაა გამოთქმული ელ. ვირსალაძის გამოკვლევაში „ბარბოლ-ბარბარი ქართულ ფოლკლორში“. იმის გამო, რომ წარმოდგენილი წინამდებარე ნაშრომი ჩვენ მიერ ამ მიმართულებით გაწეული კვლევის საგრძნობლად შეკვეცილ სახეს, ერთი ტრადიციული ფორმულის ანალიზს წარმოადგენს (რადგან აღნიშნულ ფერთა სიმბოლიკა სხვა ფორმულებშიც დასტურდება, სადაც მათ ახალი შინაარსობრივი ნიუანსები გააჩნიათ), ყველა ძირითადი საკითხი, რომლებიც კი ქართულ შელოცვებში ფერთა სიმბოლიკის შესწავლისას იჩენს თავს, ვერ იქნა ნაჩვენებ, ამგვარი მიზანი უფრო ეუცეილი გამოკვლევის საგანს შეადგენს. ამ ეტაპზე შეგნებულად ავირიდეთ თავი (ევარაუდობთ, რომ აღნიშნული საკითხი უფრო საფუძვლიანად განვიხილოთ შელოცვის პერსონაჟთა შესწავლის დროს) ქართულ შელოცვებსა და „ბატონების“ საგალობელთა შორის საერთო შუხების წერტილებზე ფართოდ მსჯელობას. ელ. ვირსალაძის ზემოთ ხსენებულ ღრმამინაარსიან ნაშრომში ეს საკითხი მრავალმხრივ და საფუძვლიანად არის განხილული, თუმცა, ვფიქრობთ, მომავალი კვლევა ბევრ ახალ საინტერესო საკითხს წამოჭრის ამ მიმართულებით. იხ. აგრეთვე: ი. გ ა გ უ ლ ა შ ვ ი ლ ი, შელოცვებისა და „იიენანის“ ურთიერთობისათვის, „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე“, ტ. 82, № 1, 1976, გვ. 225—226.

<sup>31</sup> ნ. ხ ი ზ ა ნ ი შ ვ ი ლ ი, ეთნოგრაფიული წერილები, გვ. 74.

<sup>32</sup> მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, 16—17, თბ., 1972, გვ. 288—292.

<sup>33</sup> ნ. ბ რ ე გ ა ძ ე, დასახ. შრომა, გვ. 133—134, 136—137.

<sup>34</sup> იქვე, გვ. 136.

<sup>35</sup> ბ. ნ ი ე ა რ ა ძ ე, ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, გვ. 179.

<sup>36</sup> თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალგაზრდა მეცნიერ-მუშაკთა შრომები, 3—4 (კუმანიტარული და საზოგადოებრივი მეცნიერებათა სერია), თბ., 1974, გვ. 212—216.

<sup>37</sup> ქართული ხალხური ზღაპრები, I, მიხ. ჩ ი ქ ო ვ ა ნ ი ს რედაქციით, თბ., 1938, № 60.

<sup>38</sup> იქვე, გვ. 170.

<sup>39</sup> მ. ქ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, საინგილო, გვ. 166.

<sup>40</sup> ქართული ხალხური პოეზია, ტ. I, თბ., 1972, გვ. 137.

<sup>41</sup> ხალხური სიტყვიერება, III, ხალხური ლექსები თედო რაზიკაშვილის მიერ ჩაწერილი, თბ., 1953, გვ. 21 (№ 9). იხ. აგრეთვე: იქვე, გვ. 19. (№ 15), ფშავ-ხევსურული პოეზია, შეკრებილი ალ. ო ჩ ი ა უ რ ი ს მიერ, თბ., 1970, გვ. 144. ქს. ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ე, ხალხურ პოეტურ ჟანრთა გენეტიკური კავშირი (სავმირო და სამგლოვიარო პოეზია), კრ.: ქართული ფოლკლორი, I—II, თბ., 1964, გვ. 302.

<sup>42</sup> ქართული ხალხური პოეზია, ტ. I, ნაკვ. II, თბ., 1973, გვ. 74, (№ 17).

<sup>43</sup> მის. ჩ ი ქ ო ვ ა ნ ი, მიჯაჭვული ამირანი, თბ., 1947, გვ. 141—142.

<sup>44</sup> ვ ა ე ა - ფ შ ა ე ე ლ ა, თხზ., ტ. 9, თბ., 1964, გვ. 178, იხ. აგრეთვე: ქართული ხალხური პოეზია, ტ. I, ნაკვ. II, გვ. 78 (№ 9) და სხვ.

<sup>45</sup> В. В. Б а р д а в е л и д з е, Древнейшие религиозные верования и обрядовое-графическое искусство грузинских племен, Тб., 1957, გვ. 31—32.

<sup>46</sup> თ. ო ჩ ი ა უ რ ი, დასახ. წიგნი, გვ. 136.

<sup>47</sup> ქართული ხალხური პოეზია, ტ. I, ნაკვ. II, გვ. 73 (№ 15).

<sup>48</sup> შელოცვის ერთი ტექსტის მიხედვით მხედარი გველის ნაცვლად მგელს კლავს (თსუფა. № 39). ხაზგასმულ სიტყვათა ფონეტიკური მსგავსების გამო აქ ჩანაცვლებასთან, აღრევის პროცესთან ხომ არ გვაქვს საქმე? ამაზე პასუხის გაცემა სპეციალური კვლევის შემდგომ შეიძლება, რადგან მგელს ქართულ წარმართულ მსოფლმხედველობაში საგანგებო ადგილი ჰქონდა მიჩნეული და გამორიცხული არაა, აქ მგლის ტოტემის შესახებ წარმოდგენის ევოლუციის რომელიღაც საფეხურთან გვექონდეს საქმე (იხ. ვ. ბ ა რ დ ა ვ ე ლ ი ძ ე, ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან, დროშა—„ღემ“, მგელი—ძაღლი, „მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის“, 12—13, თბ., 1963, გვ. 148—153 და შემდგომი).

<sup>49</sup> თეთრი, წითელი და შავი მხედრების მიერ გველის მოკვლა ამ შემთხვევაში დაახლოებით იმ ასპექტში შეიძლება იქნეს განხილული, როგორც წმ. გიორგის მიერ გველშაპის მოკვლის მოტივი.

<sup>50</sup> შენიშვნა: ელ. ვირსალაძე „იავნანაში“ ხსენებულ წითელ ჩოხიან ვაჟებს მზეს უკავშირებს (დასახ. შრომა, გვ. 165). ხოლო შემდგომ წერს: „რატომ აცვია თვით ბარბარეს თეთრი კაბა? რატომ არის იგი თეთრ თუთაზე ასული? (შდრ. ჩვენი მიერ მოყვანილ ინიგლოთა წარმოდგენას სულეთზე. —ი. გ.). რატომ მოდიან ბატონები თეთრი ზღვიდან ან რატომ აცმევენ ბარბარესადმი შემოწირულ ბავშვს თეთრ პერანგს?“ (დასახ. შრომა, გვ. 165). ჩვენი აზრით, იმ მასალების საფუძველზე, რომლებიც წინამდებარე გამოკვლევაში წარმოვადგინეთ, შეიძლება ასეთი ახსნა მიეცეს მკვლევრის მიერ დასმულ კითხვას ბარბარე ღვთაება (ვ. ბ ა რ დ ა ვ ე ლ ი ძ ე, ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან (ბარბოლ-ბარბარ). თბ., 1941) და თეთრი ფერი სწორედ ღვთაების, სიწმინდის სიმბოლოდ იყო მიჩნეული, ამიტომაც თეთრ თუთაზე ეს მოტივი მას სულეთში არსებულ თეთრ ხეს უკავშირებს) მისი ასვლაც აქედან გამომდინარეობს. რაც შეეხება ბარბარესადმი შემოწირულ ბავშვებს, მათ თეთრ პერანგს იმიტომ აცმევდნენ, რომ ავადმყოფობა ღვთაების მოვლინებულად ითვლებოდა, ხოლო ავადმყოფი ღვთაების ხელდასმულად იყო მიჩნეული — სწორედ ამის გამო ღვთაების სადგომს (ე. ი. ავადმყოფის სხეულს) თეთრად აწყობდნენ.

თეთრი მხედარი სულეთის გამგებელთან ახლო მყოფი სულია და, ჩვენი აზრით, აქედან აიხსნება, თუ რატომ მოდიან თეთრი ზღვიდან ბატონები. თეთრი ფერის სიმბოლიკის მიხედვით ისინი შედარებით უწყინარ ძალებად არიან დასახლნი. რაც შეეხება „იავნანაში“ ხსენებულ „წითელ-ჩოხიანებს“, ეს იმის გამომხატველი უნდა იყოს, რომ ისინი საშუალო სიძლიერის დაავადებები არიან. მეცნიერებაში დადგენილად არის მიჩნეული ბარბარეს შვის კულტთან დაკავშირების საკითხი. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ სულეთში მზე ანათებს და, საერთოდ, მზე ერთ-ერთი მთავარი არსებობათაგანია (რადგან ძველად იგი პერსონიფიციკირებული, მღვდრობითი სქესის არსებულ იყო მიჩნეული) სულეთისა, საფიქრებელია, სულეთის მეუფესა და ბარბარეს შორის გარკვეული კავშირი დაიდოს.

ამ საკითხთან დაკავშირებით გვინდოდა შეგვენიშნა, რომ ბარბალეს სახელი მოიხსენიება სვანურ შელოცვაშიც, რომელსაც „წარბების ტკივილის დროს“ ულოცავდნენ. მოგვყავს ტექსტი სრულად: „მეუფალ ბარბალ მანგი შენი, / გაჰკარდიო შიში კოლოფს, / ლევსუყარი მალალური, / ღორი შენი, / კერტანი. სრინ, სრან ლაზარე, / მიქრიელ გაბროელ მოვიდა, / თეთრი გველი მოსაგვიდა, / თეთრი ფუცხვა“, (თსუფა № 493).

<sup>51</sup> ეთნოგრაფიული წერილები სვანეთზე, თბ., 1973, გვ. 65.

<sup>52</sup> ქრისტე იქ და მისთანა! კონტექსტებში სხვაგანაც შემდგომი ჩამატებული ჩანს და მას სულეთის მეუფის, ჩვენი აზრით, ქალღვთაების ადგილი დაუჭერია.

<sup>53</sup> ეთნოგრაფიული წერილები სვანეთზე, გვ. 64.

<sup>54</sup> იქვე, გვ. 64.



<sup>55</sup> ვ. ბ ა რ დ ა ე ე ლ ი ძ ე, ქართული (სენური) საწესო გრაფიკული ხელოვნების ნიმუშები, თბ., 1953.

<sup>56</sup> „ქრებული“, 1897, № 1, („ლოცვა პილნის ქარისა, სავაჟოსა“). იხ. აგრეთვე: ფ. არქ. №№ 2002, 2032 და ა. შ.

<sup>57</sup> შელოცვათა ერთი ჯგუფის მიხედვით გველს კლდიდან გამოსული მხედარი კი არ კლავს, არამედ მთქმელი: „მოვიღოდა შავი წყალი, / მას მოჰქონდა შავი გველი, / ჩავკარ შავი ყავარჯენი, / ამოვიღე შავი გველი, მოვეკიღე ქაცერა ეკალსა“. „ქრებული“, 1897, № 1, იხ. აგრეთვე: ფ. არქ №№ 1863, 1960, 1962, 2028 და სხვ.

<sup>58</sup> ა. ვ ა ჩ ი ლ ა ძ ე, გადმოცემა „ხოგაის მინდიაზე“ და პოემა „გველის მქამელი“, თბ., 1959, გვ. 24—25.

<sup>59</sup> ბადრი და უსუბი, ისე როგორც ამირანი, ნაწილიანი არიან, მათ შესაბამისად მთვარისა და მზის ნიშანი უხით ბეჭებს შორის (ბ. ნ ი ე ა რ ა ძ ე, ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, გვ. 159) მთვარეს ქართველთა წინაპრები თეთრი ფერის სიმბოლიკით წარმოსახედნენ, ხოლო მზეს ზოგჯერ წითელი ფერის სიმბოლიკა შესატყვისებოდა, რაც შეეხება ამირანს, იგი შავ ფერთან შეტოლებული გმირია, ამიტომაც ბადრისა, უსუბისა და ამირანის თეთრ, წითელ და შავ გველშაპებთან შერკინება „ამირანიანის“ მიხედვით უკვე საკმაოდ მიზანდასახული, ნათელი და გარკვეული ხდება.

ბადრის თეთრი ფერის გველშაპთან დაკავშირება არც სხვა მხრივ არის შემთხვევითი მოვლენა. სახელის ეტიმოლოგია არაბულიდან იღებს სათავეს, სადაც იგი მთვარეს ნიშნავს. ამავე მნიშვნელობით იხმარებოდა იგი ქართულშიდაც (იხ. საბას ლექსიკონი). ამასთანავე საგულისხმოა, რომ ბადრის ცხენს თეთრონი ჰქვია. მიხ. ჩიქოვანის აზრით, ბადრი ქართველთა უძველესი წინაპრის სახელს „ბარდ“-ს უნდა ჩანაცვლებოდა, მაგრამ ამ სახითაც როგორადაც დღემდე მოატანა მან „ამირანიანში“, ძალზე საინტერესო და ყურადღების ღირსია (იხ. მიხ. ჩ ი ქ ვ ა ნ ი, მიჯაჭვული ამირანი, გვ. 214, 215).

<sup>60</sup> იქვე, გვ. 379.

### И. Ш. ГАГУЛАШВИЛИ

## НЕКОТОРЫЕ ВОПРОСЫ СИМВОЛИКИ ЦВЕТА В ГРУЗИНСКИХ ЗАГОВОРАХ

### Резюме

В грузинском фольклоре значительное место занимает символика черного, красного и белого цветов. Особенно широко представлены они в сказочном эпосе и заговорах.

В статье содержится попытка комплексного изучения вопроса и указано, что не только в разных жанрах, но и в рамках одного жанра символика одного и того же цвета в разных ситуациях имеет различное содержание и функции.

Представлено дифференцированное объяснение символика цветов по сказочному эпосу и заговорам.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ფოლკლორის განყოფილება

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ს. ჯიქიამ

ლილი ათანალიოვილი

პირობითი ნიშნების კრიპტოგრაფიული სისტემის ანბანთა ზოგი შემდგენლის შესახებ

ძველი ქართული კრიპტოგრაფიული სისტემების შემდგენელთა ვინაობის შესახებ ჩვენამდე ძალზე ძუნწი ცნობებია მოღწეული. მაგალითად, არ ვიცით, ვინ იყო შემომღები უძველესი ანჩინური, სათვალავადი, სარკისებრი და სხვა კრიპტოგრაფიული სისტემებისა. შედარებით გვიან ჩამოყალიბებული ზოგი სისტემის ავტორთა შესახებ ცნობები დასტურდება ხელნაწერებში. პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის № 1 ქართულ ხელნაწერში რამდენიმე კრიპტოგრაფიულ გასაღებზე მიწერილია ამ გასაღებების შემდგენელთა ვინაობა: ანტონ კათალიკოზისა, არჩილისა, კაჭვხაური, თაქალთოიანთა, სულხანისა, ჩხეიძისა, მუხრანელთა. როგორც ე. თაყაიშვილი ვარაუდობს, აქ უნდა იგულისხმებოდეს ანტონ I, არჩილ მეფე, სულხან-საბა ორბელიანი, ისტორიკოსი სეხნია ჩხეიძე, მუხრანბატონები<sup>1</sup>. ასევე ხელნაწერი S—174 ანჯანური სისტემის შემომღებად მიიჩნევს ფარსადან გორგიჯანიძეს და სხვ.

ამჭერად შევეხებით პირობითი ნიშნების სისტემის ანბანების რამდენიმე შემდგენელს. პირობითი ნიშნების სისტემა ძალზე მრავალფეროვანია შედგენილობის თვალსაზრისით. სხვადასხვა ასო-ნიშნების მეშვეობით შეუდგენიათ მრავალგვარი სახეობის გასაღებები, რომელთა ავტორების ვინაობა ძირითადად უცნობია, თუმცაღა მაინც ხერხდება ზოგი მათგანის ვინაობის დადგენა.

სულხან-საბა ორბელიანი. პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის № 1 ხელნაწერში კრიპტოგრაფიულ გასაღებებზე მიწერილ სხვა ავტორებთან ერთად მოხსენებულია ს უ ლ ხ ა ნ ი (მე-9 გასაღები). ე. თაყაიშვილის აზრით იგი სულხან-საბა ორბელიანი უნდა იყოს<sup>2</sup> (იხ. სურ. 1). სწორია თუ არა პარიზული № 1 ხელნაწერის ცნობა? ხელნაწერში მოხსენებული სულხანი არის თუ არა მართლაც სულხან-საბა ორბელიანი და შეადგინა თუ არა მან აღნიშნული კრიპტოგრაფიული გასაღები?

კ : 4 : 0 : ≡ : 9 : 7 : 3 : H : M : 7 : V : 9 :  
 M : 7 : 6 : ს : V : 4 : 1 : 7 : 8 : 8 : 9 :  
 X : 3 : 4 : 3 : 1 : 1 : 2 : H : 4 : 7 : 8 : 8

• სურ. 1.

სათქვამებელია, რომ სულხან-საბა მართლაც იყოს ამ ანბანის შემდგენელი. „ქართული ლექსიკონის“ უძველეს ავტოგრაფულ ნუსხაში (H—416) განსამარტივი სიტყვების ერთი წყება სულხან-საბას საიდუმლო ანბანით დაუწერია. ლექსიკონის დასაწყისში ისინი ჩვეულებრივ მხედრულით ჩაუწერია, ხოლო

შემდგომ ამოუფხვცია რამდენიმე სიტყვა და ზემოდან წაუწერია იგივე სიტყვები, ამჯერად საიდუმლო ანბანით. ამ ტიპის დანარჩენ განსამარტ სიტყვებს სულხან-საბა ხელნაწერში შემდგომ ჩაწერს იმავე საიდუმლო ანბანით.

რა ხასიათისაა ეს სიტყვები, რომლებსაც სულხან-საბა გამოყოფს ცალკე რატომ წერს მათ საიდუმლო ანბანით. ეს ასო-ნიშნები რომელი სახეობის კრიპტოგრამული ანბანია? სულხან-საბა ორბელიანს საიდუმლო ანბანით ჩაუწერია ლექსიკონის ამ ნუსხაში ე. წ. „უბადლო სიტყვები“<sup>3</sup>. ამ სიტყვების ლექსიკონში შეტანის აუცილებლობას, რა თქმა უნდა, სულხან-საბა უთუოდ გრძნობდა, რათა ქართული ენის ლექსიკური მარაგი მთელი სისრულითა და სიზუსტით გადმოეცა. ამის გამო მიუთითებდა იგი თავის ანდერძში: „ამა წიგნთა შინა არიან სახელნი კეთილნი და ბოროტნი, საქებელნი და საძაგებელნი, უ ბ ა დ ო ნ ი და ც უ დ ნ ი. არაოუ კიცხევინათვის აღმიწერია, რათა საქირდლად იპყრათ, არამედ ენისა სისრულისათვის აღვსწერე“<sup>4</sup>.

II—416 ნუსხის კრიპტოგრამული ანბანის შესწავლისას გაირკვა, რომ ეს ანბანი პირობითი ნიშნების სისტემისაა და რომ მისი მსგავსი ანბანი დაცულია პარიზის № 1 ხელნაწერში (მე-6 გასაღები), რომლის ავტორად იქვე დასახელებულია არჩილი, ე. თაყაიშვილის ვარაუდით არჩილ მეფე<sup>5</sup> (იხ. სურ. 2).

ჯ: ძ: ნ: რ: თ: ც: ვ: ზ: ო: უ: ლ:  
 ს: ზ: ი: ო: ი: ტ: პ: ც: ჯ: ყ: ფ: ხ: ყ:  
 ა: ყ: ჯ: ყ: შ: შ: ს: ღ: ყ: ჯ: ზ: ს:

სურ. 2.

სულხან-საბას ავტოგრაფულ ხელნაწერში (II—416) გამოყენებული საიდუმლო ანბანის გასაღები და პარიზული № 1 ხელნაწერის მე-9 გასაღები, რომლის ავტორად დასახელებულია სულხანი, პირობითი ნიშნების სისტემისაა, მაგრამ შედგენილობით ისინი განსხვავებული არიან: ორივე გასაღებში სხვადასხვა ასო-ნიშნები უხმარიათ ანბანისათვის.

სულხან-საბას რაკი თავის ლექსიკონში გარკვეული მიზნით „უბადლო“ სიტყვების დასაფარავად გამოუყენებია საიდუმლო ანბანი, რა თქმა უნდა, შესაძლებელია, რომ მას ახალი ანბანიც მოეგონებინა, შეედგინა. არ არის გამორიცხული, რომ პარიზულ № 1 ხელნაწერში (№ 9 გასაღები) მითითებული ავტორი საიდუმლო ანბანისა სულხანი მართლაც სულხან-საბა ორბელიანი იყოს.

ამრიგად, გაირკვა, რომ სულხან-საბა ორბელიანს ლექსიკონის ერთ-ერთ უძველეს ავტოგრაფულ ნუსხაში (II—416) ე. წ. „უბადლო“ სიტყვების ჩასაწერად გამოუყენებია საიდუმლო ანბანი, რომელიც იდენტური გამოდგა პარიზული № 1 ხელნაწერის იმ გასაღებისა (№ 6), რომლის ავტორად მიჩნეულია არჩილი. მაშასადამე, სულხან-საბა საჭიროების შემთხვევაში იყენებს საიდუმლო ანბანს. ეს გარემოება კი მხარს უჭერს ე. თაყაიშვილის მიერ გამოთქმულ ვარაუდს იმის შესახებ, რომ პარიზული № 1 ხელნაწერის მე-9 გასაღების ავტორი სულხანი იყოს სულხან-საბა ორბელიანი.

თეიმურაზ ბაგრატიონი. პირობითი ნიშნების სისტემის საიდუმლო ანბანი შეუდგენიათ ძმებს თეიმურაზ და დავით ბაგრატიონებს<sup>3</sup>. თეიმურაზ ბატონ-შვილის მიერ შედგენილი კრიპტოგრამები დაცულია ლენინგრადის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ქართულ ხელნაწერთა კოლექციაში<sup>7</sup>, რამდენიმე ნიმუში დაიხებნა ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდებშიც (H—2353, S—3644, A—1763ა, A—131)<sup>8</sup>.

თეიმურაზ ბატონიშვილს, როგორც რ. ორბელი აღნიშნავს, ორი ტიპის ანბანი შეუდგენია, თუმცა იგი სარგებლობდა მხოლოდ ერთი ანბანით. მისი ყველა კრიპტოგრამა ამ ანბანითაა ნაწერი. გასაღები პირველი ტიპის ანბანისა შეადგინა და გამოაქვეყნა რ. ორბელმა<sup>9</sup> (იხ. სურ. 3).

Σ	ϯ	Η	Ϯ	ϯ	ϫ	Ϭ	ϭ	Ϯ	ϯ	ϫ	ϭ
ა	ბ	გ	დ	ე	ვ	ზ	თ	ი	კ	ლ	
Ϯ	ϫ	ϭ	Ϯ	ϯ	ϫ	ϭ	Ϯ	ϯ	ϫ	ϭ	Ϯ
მ	ნ	ო	პ	ჟ	რ	ს	ტ	ყ	ფ	ქ	ღ
Ϯ	ϫ	ϭ	Ϯ	ϯ	ϫ	ϭ	Ϯ	ϯ	ϫ	ϭ	Ϯ
ყ	ფ	ქ	ღ	ძ	წ	ჭ	ხ	ც	ძ		

სურ. 3.

მეორე ტიპის ანბანის მხოლოდ გასაღებია ცნობილი (ლენინგრადის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ხელნაწერი, C—9). როგორც რ. ორბელი აღნიშნავს, თეიმურაზ ბატონიშვილს ეს გასაღები არ გამოუყენებია კრიპტოგრამებისათვის<sup>10</sup> (იხ. სურ. 4).

ϭ	Ϯ	ϫ	ϭ	Ϯ	ϯ	ϫ	ϭ	Ϯ	ϯ	ϫ	ϭ
ა	ბ	გ	დ	ე	ვ	ზ	თ	ი	კ	ლ	
ϫ	ϭ	Ϯ	ϯ	ϫ	ϭ	Ϯ	ϯ	ϫ	ϭ	Ϯ	ϯ
მ	ნ	ო	პ	ჟ	რ	ს	ტ	ყ	ფ	ქ	ღ
ϫ	ϭ	Ϯ	ϯ	ϫ	ϭ	Ϯ	ϯ	ϫ	ϭ	Ϯ	ϯ
ყ	ფ	ქ	ღ	ძ	წ	ჭ	ხ	ც	ძ		

სურ. 4.

რ. ორბელის ვარაუდით პირველი ტიპის ანბანი, რომლითაც თეიმურაზ ბატონიშვილი წერდა კრიპტოგრამებს, მან შეადგინა პეტერბურგში გადასვლის

შემდეგ 1811—20-იან წლებში, როცა ის იწყებს ლიტერატურულ მოღვაწეობას. ხელნაწერთა შესწავლა სხვაგვარ სურათს გვიჩვენებს. როგორც აღვნიშნეთ, პირველი ტიპის კრიპტოგრამები ხელნაწერთა ინსტიტუტის ნუსხებშიც გამოვლინდა. ამთგან პირველი ტიპის გასაღების დათარიღებისათვის მნიშვნელობა აქვს A—131 ხელნაწერის კრიპტოგრამას (იგი ამოხსნა კ. გრიგოლიამ)<sup>11</sup>. თეიმურაზ ბატონიშვილი კრიპტოგრამაში აღნიშნავს, რომ მას „ქართლის ცხოვრების“ ეს ხელნაწერი საკითხავად უთხოვია წინამძღვარ ეფთვიმესაგან და კრიპტოგრამაც მიუწერია მასზე „ქქს უ ჰ ზ, წელსა ჩ ღ ჰ თ“. კ. გრიგოლიაც მიუთითებს, რომ თარიღში შეცდომაა, „ჩღთ“ წლის ნაცვლად უნდა გვექონდეს „ჩღჟ“, ვინაიდან ქორონიკონი „უჰზ“ (487) უღრის „ჩღჟ“ (1799) წელს. ამასთანავე, როგორც თვით თეიმურაზიც აღნიშნავს, ამ კრიპტოგრამის დაწერისას იგი იყო „ათჩვიდმეტისა წლისა“. თეიმურაზი კი დაბადებულა 1762 წელს (1782 + 17 = 1799 წელს). თარიღში დაშვებული ეს შეცდომა შემდეგი მიზეზით აიხსნება: როგორც გაირკვა, კრიპტოგრამის დაწერისას თეიმურაზს მოსვლია უნებლიე შეცდომა — სიტყვაში ჩ ღ ჰ თ (იხ. სურ. 5) ასო ჰ (იხ. სურ. 6) ჩაუწერია ჟ-ს (იხ. სურ. 7) ნაცვლად, რომელიც გრაფიკულად ჰ-ს მსგავსია. ასო ჟ (იხ. სურ. 7) განსხვავდებდა ჰ ასოსაგან (იხ. სურ. 6) მხოლოდ იმით, რომ იგი გადმოზრუნებულია.

ჭ ღ ღ ო

სურ. 5.

ღ

სურ. 6.

ღ

სურ. 7.

ამრიგად, 1799 წელს, როდესაც თეიმურაზ ბატონიშვილი ჯერ კიდევ საქართველოში იმყოფებოდა, დაუწერია კრიპტოგრამა პირველი ტიპის გასაღებით. ამ დროისათვის უნდა ვივარაუდოთ პირველი ტიპის საიდუმლო ანბანის შედგენაც თეიმურაზის მიერ.

რაც შეეხება ანბანის მეორე ტიპს, ამ ანბანის შედგენას რ. ორბელი ვარაუდობს XVIII ს. დასასრულს თუ XIX ს. დასაწყისში<sup>12</sup>. თეიმურაზ ბატონიშვილს, როგორც რ. ორბელი მიუთითებს, ამ ტიპის ანბანით არ დაუწერია კრიპტოგრამები და მხოლოდ ანბანი ჩაუწერია ერთ ლენინგრადულ ხელნაწერში (C—9).

ჩვენი აზრით, ამ გასაღების ავტორი თეიმურაზ ბატონიშვილი არ უნდა იყოს, რასაც ადასტურებს შემდეგი: ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდებში გამოვლინდა რამდენიმე ხელნაწერი, რომელთაც ამ ანბანით შედგენილი კრიპტოგრამები დაუცავთ (S—2684, S—390, S—1284, S—1746, S—2391, H—197, H—885, II—1655). ეს კრიპტოგრამები სხვადასხვა პირთა მიერ არის დაწერილი. მაგ., ეგნატე თუმანიშვილის ასულს ანას მის მიერ გადაწერილი ორი ხელნაწერი დაუშვვენებია ამ სახეობის კრიპტოგრამებით (S—2391, „ყარამანიანი“, 1811 წ. და S—1746, „ბარამგულანდამიანი“, XIX ს.). ამავე ანბანით დაუწერია ანდერძი ერთ ხელნაწერზე მის მფლობელს ნინო ერისთავს (II—197, XIX ს.). პეტრე ლარაძეს ლექსების ბოლოს თავისი სახელი კრიპტოგრაფიულად მიუწერია (S—390) და სხვ.

თეიმურაზ ბატონიშვილს რაკი მხოლოდ პირველი ტიპის ანბანთ უსარგებლია და არც ერთი მისი კრიპტოგრამა მეორე ტიპის ანბანით არ არის ნაწერი, ამასთანავე მეორე ტიპის ანბანით შედგენილი ყველა კრიპტოგრამა სხვა-

დასხვა პირთა მიერაა დაწერილი, იგი საქართველოში გავრცელებული ჩანს, ეს საფუძველს გვაძლევს, ვიფიქროთ, რომ თეიმურაზ ბატონიშვილი ამ ანბანის შემდგენელი არ უნდა იყოს. მართალია, თეიმურაზ ბატონიშვილს მის ერთ-ერთ ავტოგრაფულ ხელნაწერში (C.—9) ჩაუწერია ამ კრიპტოგრაფული ანბანის გასაღები, მაგრამ იგი მისი მოგონილი მაინც არ ჩანს. ეგვევ კრიპტოგრაფული ანბანი გვხვდება ერთ XVIII ს-ის სხვა-ხელნაწერშიც (S—2684)<sup>13</sup>. ეს ფაქტი გვაფიქრებინებს, რომ თეიმურაზი არ არის ამ ანბანის შემდგენელი, არამედ მას ხელთ უნდა ჰქონოდა იგი და თავის ავტოგრაფულ ხელნაწერში გადმოეღო. მეორე ტიპის ანბანი რომ არ არის თეიმურაზის შედგენილი, ეს შემდეგიდანაც ჩანს: ერთ ხელნაწერში (ლენინგრადის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტ. K—9, ანტონ I, გრამატიკა), რომელიც გიორგი XII-ის დაკვეთითაა გადაწერილი, ხოლო შემდგომ დავით და თეიმურაზ ბაგრატიონების საკუთრება ყოფილა<sup>14</sup>, სხვა მინაწერთა შორის, რომლებიც დავითს და თეიმურაზს შეუხსრულებიათ, საყურადღებო ჩანს მათ მიერვე დაწერილი ორი კრიპტოგრაფული ანბანი. თეიმურაზს ხელნაწერში ჩაუწერია კრიპტოგრაფული ანბანი, რომელიც, როგორც სამართლიანად აღნიშნავს რ. ორბელი, უცნობი ავტორის მიერაა შედგენილი (იხ. სურ. 8).

2 4 6 8 3 1 0 5 4 1 2 3 9 6  
 ა ბ გ დ ე ვ ზ თ ი ჯ ლ მ ნ  
 7 8 9 X 0 5 6 A 7 8 9 0 1 2 3 4 5 6 7 8 9  
 1 2 3 4 5 6 7 8 9 0 1 2 3 4 5 6 7 8 9  
 ს ჯ B 2 5 9 7 8 9  
 1 2 3 4 5 6 7 8 9

სურ. 8.

K—9 ხელნაწერის კრიპტოგრაფული ანბანის მსგავსი ანბანი საქართველოში ძალზე გავრცელებული ყოფილა. ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდებში ასეთი ანბანით ნაწერი მრავალი კრიპტოგრაფა დაიძებნა.

ამრიგად, თეიმურაზს თავისი კოლექციის ხელნაწერებში არა მარტო თავისი საკუთარი ანბანით შედგენილი კრიპტოგრაფები უწერია, არამედ სხვათა მიერ შედგენილი კრიპტოგრაფული ანბანებიც შეუტანია.

აღექსი და დავით მესხიშვილები. ერთ ლექსთა კრებულში (A—1164), რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში „მცირე ანთოლოგიის“<sup>15</sup> სახელითაა ცნობილი, გვხვდება კრიპტოგრაფები. გარკვეულია, რომ „ანთოლოგია“ შედგენილია მესხიშვილთა ოჯახში, კერძოდ, ალექსი და დავით მესხიშვილების მიერ. ანთოლოგია, როგორც ლ. ქუთათელაძე მიუთითებს, „სხვადასხვა დროს მოპოვებული მასალისა და გაგონილის საფუძველზე“ შეუდგენიათ მამა-შვილს საკუთარი მოთხონილებისა და საჭიროებისათვის<sup>16</sup>. კრიპტოგრაფები დასტურდება როგორც ალექსის გადაწერილ ნაწილში, ასევე დავითისაში. ისინი გაუშიფრავს თ. უორდანიას და ხელნაწერშივე ჩაუწერია მათი ამოხსნა. კრიპტოგრაფების

ერთი წყება გამოცანების ამოხსნაა. საიდუმლო ანბანითაა ნაწერი ერთი სტროფი ვახტანგ VI-ის „მაჯამიდან“<sup>17</sup>: „აღმართნა ბროლი სვეტისა...“. ამათ გარდა ხელნაწერში მივაკვლიეთ ერთ კრიპტოგრამას (იხ. სურ. 9). ამოხსნისას გაირკვა,

რ-ა-ყ-რ-გ-ყ-რ-ს : ნ : ჩ-კ-ლ. ჟ-ო-ი :

სურ. 9.

რომ დაშიფრულია თარიღი: „ნოემბერს 6. ქკს უნთ“; ე. ი. 1771 წლის 6 ნოემბერს.

ვინ არის ავტორი ამ კრიპტოგრამებისა? ყველა კრიპტოგრამა ტექსტის ხელითაა დაწერილი. დავით რექტორის ეკუთვნის კრიპტოგრამები — გამოცანების ამოხსნა 1v, 90v-ზე, ხოლო ალექსი მესხიშვილს — კრიპტოგრამულად დაწერილი ლექსი „აღმართნა ბროლი სვეტისა“ (55r) და საიდუმლო ანბანით დაშიფრული თარიღი (94r). საყურადღებოდ გვეჩვენება უკანასკნელი კრიპტოგრამა, რომელიც თარიღს აღნიშნავს. თარიღის დაშიფრვა საიდუმლო ანბანით უცხო არ ყოფილა ქართველებისათვის. ხელნაწერის 93r—94r-ზე მოთავსებულია არჩილის „ანბანლექსნი ამოცანად სათარგმანებელნი...“. ტექსტი დაწერილია ორ სვეტად. ეს ნაწილი ხელნაწერისა, როგორც ლ. ქუთათელაძე მიუთითებს, ალექსი მესხიშვილის გადაწერილია<sup>18</sup>. 94r-ზე სვეტებს შორის გერტიკალურად ჩაწერილი კრიპტოგრამა ხელის მიხედვით იდენტურია ალექსის ხელთან. მაშასადამე, იგი ალექსის დაწერილია. ლ. ქუთათელაძე „ანთოლოგიის“ შედგენას ვარაუდობს XVIII ს-ის მეორე ნახევარში. შემდგომ, XIX ს-ის 10-იან წლებში იგი შეუვსია დავით რექტორს<sup>19</sup>. ჩვენს კრიპტოგრამაში დაშიფრული თარიღი „1771 წ. 6 ნოემბერს“ უთუოდ იმის პანიშნებელია, რომ ალექსი მესხიშვილი სწორედ 1771 წელს მუშაობს აღნიშნულ ხელნაწერზე.

ამრიგად, A—1164 ხელნაწერის კრიპტოგრამები დაუწერიათ ალექსი და დავით მესხიშვილებს<sup>20</sup>. მართალია, A—1164 ხელნაწერში არსად არ გვხვდება რაიმე მინიშნება ამ ანბანის შემდგენლის ვინაობის შესახებ, მაგრამ ჩვენ შესაძლებლად მიგვაჩნია, რომ ალექსი მესხიშვილს, თავისი დროისათვის დიდად განათლებულ პიროვნებას მივაწეროთ აღნიშნული საიდუმლო ანბანის შედგენა. საგულისხმოა, რომ მამის მიერ შედგენილი ანბანი გამოუყენებია დავით რექტორსაც.

დავით თუმანიშვილი. ცნობილ კალიგრაფს დავით ეგნატეს ძე თუმანიშვილს 1805—1806 წწ. პეტერბურგში გადაუწერია II—396 ხელნაწერი, ხოლო 1807 წელს თბილისში H—382. ორივე ხელნაწერში დავითს ჩაეწერია პირობითი ნიშნების სისტემის ერთი სახეობის კრიპტოგრამული ანბანი და კრიპტოგრამები.

H—396 ხელნაწერი კრებულია: „მეტოლოღია“ თარგმნილია დავით ბატონიშვილის მიერ, ხოლო „ნუსხა წამლისა ელექსერისა, გრძლად მაცოცხლებლისა და თესებისა მისისა“ — იოანე ბატონიშვილის მიერ. ხელნაწერის ერთი მინაწერიდან (41rv) ჩანს, რომ ამ „წამლის ნუსხის“ დედანი დაბეჭდილი ყოფილა 1805 წელს პეტერბურგს და ერთი ექიმის ოჯახში მიუგნიათ მისთვის. ხელნაწერში მითითებულია, რომ წამალთა სახელწოდებები წარმოდგენილია ლათინურად, რუსულად და ქართულად. ნუსხის შესწავლამ გამოავლინა, რომ





(იხ. სურ. 12). ცხადია, აქ ა ფ ხ ა ზ უ რ ი გულისხმობს კრიპტოგრამულ ანბანს,

ჭ: ლოქიმ. ზხერქ. თხ. ხიქრქ.  
ქოქერქო. თხიჯოქრქი. ქხოქერქი.

სურ. 12.

მაგრამ რატომ შეარქვა დავითმა ამ ანბანს აფხაზური, არ არის ნათელი. დავითის ვინაობის შესახებ სხვა რაიმე ცნობა ხელნაწერში არ დაიძებნა.

შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი

<sup>1</sup> ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ქართული ხელნაწერები და ოცეულობის საიდუმლო დამწერლობის ნიშანი, პარიზი, 1933, გვ. 5—8.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 9.

<sup>3</sup> „ქართული ლექსიკონის“ H-416 ნუსხის ამ თავისებურებისათვის ყურადღება მიუქცევია ელ. მეტრეველს (სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის უძველესი ავტოგრაფი, აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. XIX B, 1956, გვ. 13), ოლონდ. მისი აზრით, ეს სიტყვები სულხან-საბას ბერძნული ტრანსლიტერაციით შეუტანია.

<sup>4</sup> ს.-ს. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, ლექსიკონი ქართული, თხზულებანი, ტ. IV, 1, თბ., 1965, გვ. 33—34.

<sup>5</sup> ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 9.

<sup>6</sup> Р. Р. Орбелли, Из криптографированных записей Теймураза Багратиони, Ученые записки Института Востоковедения. XVI, 1958, гв. 393—403.

<sup>7</sup> იქვე, გვ. 396.

<sup>8</sup> თეიმურაზ ბაგრატიონისადმი მიძღვნილ მონოგრაფიაში (თეიმურაზ ბაგრატიონი, ცხოვრება, 1972, გვ. 175) გ. შარაძეს ჩამოთვლილი აქვს თეიმურაზის კრიპტოგრაფები. ლენინგრადის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ხელნაწერებთან ერთად მითითებულია ხელნაწერთა ინსტიტუტის ერთადერთი ნუსხა S—371 (მონტესკიე, გულისხმისყოფისათვის სჯულთასა). ხელნაწერი S—371 დავით ბატონიშვილის ავტოგრაფია. დავით ბატონიშვილს S—371 და S—370 ხელნაწერი (რომელიც ამ თხზულების ნაწილია) უთარგმნია და დაუწერია, ხოლო შემდგომ ორივე ხელნაწერი თეიმურაზ ბატონიშვილს მიუერთებია დავით დადიანისათვის (ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, S კოლექცია, თბ., 1, 1960, გვ. 428—430). ხელნაწერში მოთავსებული კრიპტოგრამა არ ეკუთვნის თეიმურაზ ბატონიშვილს, იგი დაუწერია იაკობ ზუბალოვს მას შემდეგ, როდესაც ხელნაწერი უკვე დავით დადიანის ოჯახისთვის გადაუციათ.

<sup>9</sup> რ. ო რ ბ ე ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 396.

<sup>10</sup> იქვე.

<sup>11</sup> კ. გ რ ი გ ო ლ ი ა, ნარკვევები საქართველოს ისტორიის წყარომცოდნეობიდან, წ. 1, ახალი ქართლის ცხოვრება, თბ., 1954, გვ. 171.

<sup>12</sup> რ. ო რ ბ ე ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 397.

<sup>13</sup> S—2684 ხელნაწერში ანბანს მოსდევს კრიპტოგრამა, საიდანაც ჩანს, რომ კრიპტოგრამა 1801 წელსაა დაწერილი. მაშასადამე, ანბანიც ამავე წლით დათარიღდება.

<sup>14</sup> Р. Р. Орбелли, Грузинские рукописи Института Востоковедения АН СССР, 1956, II., гв. 149.

<sup>15</sup> ლ. ქ უ თ ა თ ე ლ ა ძ ე, დავით რექტორისეული ანთოლოგია 1821—1823 წწ., მრავალთავი, IV, 1975, გვ. 106.

<sup>16</sup> იქვე.

<sup>17</sup> კ. ქ ე კ ე ლ ი ძ ე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, II, თბ., 1952, გვ. 491.

<sup>18</sup> ლ. ქ უ თ ა თ ე ლ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 106.

<sup>19</sup> იქვე.

<sup>20</sup> პირობითი ნიშნების სისტემის კრიპტოგრამული ანბანის ის სახეობა, რომელიც მესხიშვი-

ლებს გამოუყენებიათ. დასტურდება გვიანდელ, XIX ს-ის რამდენსამე სხვა კრიპტოგრაფიაშიც (S—1582, S—1613, A—1123, Q—820, H—2358).

<sup>21</sup> მე-6 დასახელებაში დავით თუმანიშვილს ლათინური სახელწოდებაც კრიპტოგრაფით დაუწერია.

<sup>22</sup> მ. ჯანაშვილი, Описание, III, 1908, გვ. 251.

Л. А. АТАНЕЛИШВИЛИ

## О НЕКОТОРЫХ СОСТАВИТЕЛЯХ АЛФАВИТОВ КРИПТОГРАФИЧЕСКОЙ СИСТЕМЫ УСЛОВНЫХ ЗНАКОВ

### Резюме

До нас не дошло никаких сведений о древних составителях грузинских криптографических систем. Нам не известно, кто были изобретателями самых древних систем: так называемой «анцинури», счетной, зеркальной и др.

В статье рассматриваются сведения о некоторых составителях более позднего времени (XVII—XIX вв.), которые являются авторами разных видов криптографической системы условных знаков.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის  
ხელნაწერთა ინსტიტუტის არქეოგრაფიის განყოფილება  
წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის  
სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტმა



ნარდ-ე, მე-ფუნდუკ-ე, მე-ქნარ-ე; მე-ქრთილ-ე, მე-პაზრ-ე, მე-მამულ-ე, მე-მკვდრ-ე, მე-მცნებ-ე და სხვა.

2. ὁ πατριάρχης. ეს არის ერთ-ერთი საეკლესიო თანამდებობის აღმნიშვნელი ტერმინი. პერიოდვეტი ბერძნულ ეკლესიაში ერქვა ხუცესს, რომელიც დიდი ქალაქის ეპისკოპოსის სახელით მიმოივლიდა ეპარქიის პატარა სოფლებსა და დაბებს, სადაც მრევლის სიმცირის გამო ეპისკოპოსი არ ინიშნებოდა, და ანგარიშს აბარებდა ეპარქიის თავს — ეპისკოპოსს. შემდეგ ეს თანამდებობა მოისპო და პერიოდვეტის ფუნქცია დაეკისრა სხვადასხვა ხარისხის მქონე სასულიერო პირს.

„დიდი სჯულისკანონის“ ქართულ თარგმანში ამ ტერმინს სამი შესატყვისა აქვს: სისტემატურ ნაწილში (სარჩევში) ორგზის ერთნაირი ფორმით არის ხმარებული: „მიმომავალთათვს და დაბათა შინა მდგომარეთა ეკლესიათათვს“ (112,8). იგივე სათაური მეორდება 135-ე გვერდზე: აქაც გვაქვს „მიმომავალთათვს“ (შდრ. ბერძნული: „πατριάρχης, και τῶν ἐν ταῖς ἀρχαῖς ἐκκλησιῶν“). Pitra, III, 454, 480). ლაოდიკიის კრების 57-ე კანონი განსაზღვრავს ამ თანამდებობის პირის უფლება-მოვალეობას. ამ კანონის ქართულ ტექსტში ბერძნულ ὁ πατριάρχης-ს შეესატყვისება უკვე სხვა სიტყვა — მომხილველი: „ვეითარმედ არა ჭერ-არს დაბათა შინა და სოფელთა დადგინებამა ეპისკოპოსთამ, არამედ მომხილველთამ. ხოლო რომელნიცა ეგერა პირველვე განჩინებულისა ამის დადგინებულ არიან, ნუმცა რას იქმან თვნიერ კითხვისა ქალაქსა მათსა შინა მჭლონისა ეპისკოპოსისა“.

პერიოდვეტის შესატყვისად სულ სხვა ლექსიკური ერთეულია დადასტურებული გენადი კონსტანტინეპოლელის „მრგულივ მოსავლელ ეპისტოლეში“, რომელიც აგრეთვე „დიდი სჯულისკანონის“ შემადგენლობაში შედის: „ბიწიანქმნილისათვს ეპისკოპოსისა, ანუ ხორებისკოპოსისა, ანუ ჳელადისა, ანუ ხუციისა, ანუ დიაკონისა“... (536,10). ცოტა ქვემოთ ბერძნული ტექსტის ὁ πατριάρχης-ის შესატყვისად ნახმარია ისევე „ჳელადი“ ფორმა: „იზრუნენ უკუე ღირსებამანცა შენმან თვთ დაცეამ (განჩინებათა) ყოვლითა კრძალულებითა და კუალად რაათა მიმდგომთაცა შენთა ეპისკოპოსთა და ჳელადთა და ჳოგად ყოველთა აუწყნე ესენიცა“... (536,29).

მაშასადამე, ბერძნულ ტერმინს ὁ πατριάρχης ქართულ თარგმანში შეესატყვისება სამი სემანტიკურად იდენტური ტერმინი: მიმომავალი, მომხილველი და ჳელად-ი.

აღსანიშნავია, რომ ეს სიტყვები თავიდანვე სემანტიკურად იდენტურნი არ იყვნენ: ჳელად-ი სიტყვა აღნიშნავდა მოხელეს, ხელჳეითს, სახელმწიფო სამსახურში მყოფ პიროვნებას. „დიდი სჯულისკანონის“ ჳოგ ხელნაწერში (II 1670, ჳუთ. 17) სისტემატურ ნაწილში შეტანილია მოგვიანებით თარგმნილი სამოქალაქო სამართლის ტექსტი (იხ. გ. ნინუა, „დიდი სჯულისკანონის“ სისტემატური ნაწილი, მრავალთავი, III, თბ., 1973, გვ. 15—17). სწორედ აქ, სამოქალაქო სამართლის ტექსტში გვაქვს ასეთი კონტექსტი: „ხოლო მონაზონმან თვსთა ანუ ეკლესიათათვს, უკუეთუ ენებოს თავით თვსით ანუ მემცნებისა მიერ ისაჯოს, ხოლო უკუეთუ გარეგან ამისსა იქმნნეს, მსაჯული უსართყო იქმენინ და ხუთი ლიტრამ მისცეს ჳელადთა“ (160,48). ბერძნულში ჩვენთვის ცნობილი ყველა გამოცემის მიხედვით ეს ადგილი ასე იკითხება: „...και παυτε λιτρας τινς πριχταις βιβασι“ (P. II, 540).

ზემოთ მოყვანილ კონტექსტში კელადი ბერძნული  $\alpha\pi\beta\alpha\tau\omicron\rho\omicron\varsigma$ -ის ნაცვლად არის გამოყენებული. სხვა შემთხვევაში ეს ტერმინი ქართულად უთარგმნელად არის გადმოტანილი: პრივატი (იხ. 179,4). პრივატი არის იმპერატორის კერძო საზინა. კელადის ამ კონტექსტში გამოყენება უნდა აიხსნას იმით, რომ ამ ლექსიკურ ერთეულს ძველ ქართულში ჰქონდა ზოგადად მოხელის მნიშვნელობა და ამ შემთხვევაში კელადი ეკლესიის მსახური კი არ არის, არამედ სამოქალაქო სამსახურში მყოფი პირია. ზემოთ მოყვანილი კონტექსტიც ხომ სამოქალაქო სამართლის, ე. წ. „ნომოსების“ ტექსტიდან არის ამოწერილი. კელადი აქ ეწოდება იმპერატორის ხაზინის მოხელეს.

კელად- სიტყვის ამ მნიშვნელობას ადასტურებს ლეონტი მროველის „ცხოვრება ქართველთა მეფეთას“ ერთი კონტექსტი. ამ თხზულების ერთ-ერთ თავში, რომელსაც ჰქვია „გამოსლვა ხაზართა“, ლაპარაკია სპარსელთა გაძლიერების შესახებ ქართლში და ნებროთიან გმირ აფრიდონზე, რომელიც „ეუფლა ყოველსა ქუეყანასა სპარსთასა, ხოლო რომელთამე ქუეყანათა შეგზავნნა ერისთავნი, კელადნი მისნი და რომელიმე ქუეყანა მოხარკე ყო“ (ქართ. ცხ., I, 13,4)<sup>2</sup>. ერთ-ერთი ასეთი ერისთავი, სახელად არდანი, დიდი ჯარით წარმოგზავნა აფრიდონმა ქართლში. მან შემუსრა ქართლის ციხე-ქალაქნი და ამოხოცა ხაზარები. როგორც ვხედავთ, ამ კონტექსტის მიხედვით კელად-ი სასულიერო პირი არ არის. სიტყვა იხმარება ჯარის მეთაურის, სამხედრო მოხელის აღმნიშვნელად.

„დიდ სჯულისკანონში“ ქართულ ტრადიციულ ტერმინს — კელადს მიმომავალ და მომხილველ სიტყვებთან ერთად დაეკისრა პერიოდვეტის მნიშვნელობა. რაც შეეხება სიტყვის ფორმას, კელად-ი იმავე ტიპის წარმოებაა, როგორც თავადი, დიდადი და სხვა. კელად- სიტყვა უნდა შევიტანოთ კელ- ძირიდან ნაწარმოებ ლექსიკურ ერთეულთა რიგში. კელ-, გაფორმებული ვითარებითი ბრუნვის მაწარმოებლით, გასუბსტანტივებულია და აღნიშნავს ეპისკოპოსის კელის(უფლების, ნების) აღმასრულებელს, მის ხელქვეითს, მოხელეს.

მიმომავალ-ი შეტანილია პროფ. ი. აბულაძის „ძველი ქართული ენის ლექსიკონში“, ოღონდ აქ მოყვანილი კონტექსტის მიხედვით (საქ. მოც., 19, 13) სიტყვას აქვს ჩვეულებრივი მნიშვნელობა: „ვინც მიდი-მოდის“. ამავე ლექსიკონში შედის აგრეთვე ამ ძირის პასიური მიმღებობის ფორმა: „მივისავალი -- სახეტიალო (მ. ცხ., 79)“ კონტექსტი მოყვანილია A 1105 ხელნაწერიდან.

„დიდი სჯულისკანონის“ ტექსტში მიმომავალ-ს დაკისრებული აქვს ახალი თუნქცია. მიმომავალ-ი და მომხილველ-ი ზუსტად ასახავს იმ მნიშვნელობას, რომელიც ბერძნულ  $\alpha\pi\beta\alpha\tau\omicron\rho\omicron\varsigma$ -ს ეკისრებოდა (შდრ.  $\alpha\pi\beta\alpha\tau\omicron\rho\omicron\varsigma$  — შემოვლა, დათვალაიერება), განსაკუთრებით მიმომავალი, რომელსაც ორმაგი ზმნისწინი მი-მო- (საიქეთო და სააქეთო) ანიჭებს მნიშვნელობის ზუსტ ნიუანსს.

3.  $\alpha\pi\beta\alpha\tau\omicron\rho\omicron\varsigma$ . ეს ტერმინი აღნიშნავს სასამართლო აღმასრულებელს. ტერმინს ქართულ თარგმანში ხუთი შესატყვისი აქვს: მოურნე (336,8); მაწუფველ-ი (156,32); მიმგურელ-ი (167,14); დამაზავებელ-ი (163,38) და მიმომწლონავ-ი (363,6). ყველა შესატყვისი აღნუსხულია და შედის მანანა დოლაქიძის მიერ შედგენილ იურიდიულ ტერმინთა საძიებელში, რომელიც „დიდი სჯულისკანონის“ ტექსტს ერთვის.

<sup>2</sup> ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. 1, თბილისი, 1955.

აღსანიშნავია, რომ „დიდი სჯულისკანონისავე“ ტექსტში გვაქვს ზავ-ძირიდან ნაწარმოები ორი მსგავსი მნიშვნელობის ტერმინი: მაზავებლობა (160, 39, 165, 6) — სასამართლო აღმასრულებლის მოვალეობის შესრულება და დაზავებელი ზელისწერილი (165, 31) — ქონებრივი დავის დასრულების აღმნიშვნელი საბუთი, გაცემული მხარის მთავრის მიერ.

ეს იმაზე მიუთითებს, რომ ზავ ძირი ობიექტუალური გადმოსაცემად უფრო მოხერხებულია და მისი ტერმინად დამკვიდრების მეტი შესაძლებლობა არის.

ბიქავაჲ; ერთ-ერთი შესატყვისი — მიმომწლონავ-ი იმავე პრინციპითაა ნაწარმოები, როგორც მიმომზილველ-ი. მიმო- ფორმანტი და ძირითადი მნიშვნელობის მატარებელი ლექსემა ერთგვარადაა შეერთებული. ამ ძეგლის რუსულ თარგმანში მიმომწლონავის შესატყვისი არის „Клирик исследователь“.

„დიდი სჯულისკანონის“ ტექსტში დაწვრილებით გამოკითხვის მნიშვნელობით დადასტურებული გვაქვს ერთი ზმნური ფორმა: „უკუეთუ ვინჲ მათგანნი თუნიერ სათნო-ყოფისა ეპისკოპოსისა სახლებსა შინა მიმოიწულილვიდენ და ეამისწირვისა შეხებასა იკადრებდენ, იგინი უკუე განიკუეთენ“ (444, 18). მიმოწულილვა ნიშნავს დაწვრილებით გამოკითხვა-გამოძიებას. „დიდი სჯულისკანონის“ ჩვენ მიერ შედგენილ ლექსიკონში სიტყვას სწორი განმარტება არა აქვს მიცემული.

თუ მიმომწლონავის რუსულ შესატყვისსაც მივიღებთ მხედველობაში, მაშინ მიმოწულილვისა და მიმომწლონავის ძირი ერთმანეთთან უნდა იყოს კავშირში, თუმცა გასაკვევია, მიმო-მ-წლ-ონ-ავ ფორმაში რა ინტერპრეტაცია უნდა მიეცეს -ონ- ელემენტს.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ გარდა ზემოთ განხილულისა „დიდი სჯულისკანონში“ უხვად დაიძებნება მაგალითები, სადაც ერთ ბერძნულ ტერმინს აქვს რამდენიმე ქართული შესატყვისი. ამის სავარაუდო მიზეზად უნდა ჩაითვალოს ქართულ სინამდვილეში შესაბამისი თანამდებობების არ არსებობა: ბუნებრივია, რადგან თანამდებობა არ იყო, მთარგმნელს არ გააჩნდა ზუსტად შესატყვისი ტრადიციულად არსებული ქართული ტერმინიც. ამიტომაც, რომ იგი ბერძნულ ერთეულს უფარდებს რამდენიმე ქართულ შესატყვისს და მისი არჩევანი ეყრდნობა ან ბერძნული ძირის სინონიმურ მნიშვნელობათა ქართულ თარგმანებს (პარამიზა — შემოვლა, დათვალიერება) ან ამ თანამდებობის პირის ფუნქციათა შესაბამისი მნიშვნელობის მქონე ქართულ ლექსიკურ ერთეულებს (მოურნე, მაწუფელი, მიმგურელი, დამზავებელი, მიმომწლონავი).

Г. А. НИНУА

### ИЗ ЛЕКСИКИ «ВЕЛИКОГО НОМОКАНОНА»

Основной канонический кодекс православной христианской церкви «Великий номоканон» был переведен на грузинский язык в начале XII века Арсением Икалтоели.

Из разнообразной и богатой лексики этого переводного памятника права особый интерес представляет отраслевая (юридическая) терминология.

В статье рассматривается структура-семантика (на уровне лексики) грузинских соответствий следующих греческих терминов: ὁ βασιλικός, ὁ περιεπιτοχός, ὁ ἐκμύθευτος.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ზელნაწერთა ინსტიტუტის ძველი ქართული ფილოლოგიის განყოფილება  
წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ე. მეტრეველმა

## ბაპარ ბიბინიშვილი

## ეტიმოლოგიური დაკვირვებანი ქართულურ ენებში

1. ძვ. ქართ. მ ც ხ უ ე დ ი. ძველ ქართულში სიტყვა მცხუედი ცნობილია ძირითადად მნიშვნელობით „გვიანი“. საბას ლექსიკონში სწორედ ეს მნიშვნელობაა წარმოდგენილი. ილ. აბულაძის „ძველი ქართული ენის ლექსიკონში“ ხსენებული მნიშვნელობის გვერდით მოცემულია მნიშვნელობანი — „მცირე“, „ზარმაცი“. ეს უკანასკნელი მნიშვნელობა არ ჩანს ავტორის მიერ მოყვანილ საილუსტრაციო მასალაში. ილ. აბულაძის ლექსიკონში მოყვანილი ადგილები ძველი აღთქმის ტექსტებიდან ჩვენ შევუდარეთ ბიბლიის ბერძნულ და სომხურ თარგმანებს, რამაც დაადასტურა მხოლოდ ორი მნიშვნელობის არსებობა მცხუედი-სათვის: „გვიანი“ (ძირითადი) და „მცირე“, „უმცირესი“. პირველი მნიშვნელობის ნათლად წარმოჩენას მხარს უჭერს ზოგჯერ ტექსტებში დადასტურებული დაპირისპირება მცხუედი-სა მსთუაჲ-სთან, რაც „ადრეულს“ ნიშნავს.

მაგალითები: 1. ამა ესერა მუშაკი მოელის პატროსანსა ნაყოფსა ქუეყანისასა და სულგრძელ არს მას ზედა. ვიდრემდის მოილოს წუმაჲ მსთუაჲ და მცხუედი (იაკობ. ეპ. 5,7). ბერძნ. ἄψαυθ „გვიანი“, სომხ. *դ-սնաչան* „გვიანი“. 2. „სელი და ქრთილი იგუემა რამეთუ ქრთილი წარმოდგომილ იყო და სელი თესლოოდა, ხოლო იფქლი და ასლი არა იგუემა, რამეთუ მცხუედ იყო“ (გამ. 9,31—32(0). ბერძნ. ἄψαυθ, სომხ. *სნაչან*. 3. „... რომელნი სათნო არიან მისა, ვითარცა ღრუბელი მცხუედი“ (იგ. 16,15(0). ბერძნ. ἄψαυθ, სომხ. *სნაչან*. 4. „გურგენსა ვამსგავსო საშქელი ჩენი: არცა უკუნაჲსკნელ — მცხუედთათჳს ხოლო, და არცა პირველ — მსთუათათჳს ხოლო“ (ესრა სუთ. 5,42).

მოყვანილი მაგალითებიდან „გვიანი“-ს მნიშვნელობა კარგად ჩანს. ამასვე უჭერს მხარს ბერძნული ἄψαυθ/ἄψαυθ და სომხ. *სნაչან*.

„მცირე“-ს მნიშვნელობით მცხუედი გვხვდება ესაიას წინასწარმეტყველების იერუსალიმურ ნუსხაში: „ნუ გეშინინ... მცხუედო ჩემო ისრაჳლ“ (ეს. 41,14).

ოშკური ხელნაწერი მცხუედის ნაცვლად მცირე-ს გვიჩვენებს. ბერძნულში შესაბამის ადგალას იკითხება *μικροτέρως* „უმცირესი“, „უმცირესთავანი“, ხოლო სომხურში — *դսածսծ* „მცირე“, „უმნიშვნელო“.

ვფიქრობთ, ეს მნიშვნელობა გამოიყვანება ძირითადისაგან („გვიანი“) და ამდენად მეორეულია. შესაძლოა, ეს მნიშვნელობა წარმოიქმნა მისი ხმარებისას შვილის მსაზღვრელად. შვილის მიმართ მცხუედი ეპითეტი იხმარებოდა, თუ ეს შვილი იყო გვიანი, ნაბოლარა, სხვებზე უმცროსი. სწორედ ასეთი სემანტიკური გადასვლის საბუთად გამოდგება, ჩვენი აზრით, ქართულ გეარისსახელებში გაჩენილი ფუძე ცხვედ- (ცხვედა-ძე, ცხვედ-იანი). გვარი ცხვედა-ძე ნაწარმოებია ცხვედა-საგან, რომელიც უნდა ყოფილიყო არა ნამდვილი საკუთარ სახელა, არამედ — მეტსახელი, შერქმეული ნაგვიანევი შვილის ან ნაბოლარასათვის. ცხვედა-ში გამოიყოფა კნინობითობის -ა სუფიქსი, რომელიც ჩვეულებრივია

საკუთარ სახელთათვის (შდრ. ბერ-ი — ბერ-ა — ბერ-ა-ძე, გიორგ-ი — გიორგ-ა — გიორგ-ა-ძე, ქველ-ი — ქველ-ა — ქველ-ა-ძე და სხვ.).

მცხუედი-საგან გვაქვს ძველ ქართულში ნასახელარი ზმნა დამცხუედება „დაგვიანება“. „ჩამორჩენა“: „ქუხილის წინა ისწრაფის ელვამან და მორცხუესა წინა უძღუნ მადლი. ესმსა განილძე და ნუ დაიმცხუედებ...“ (ზირაქ. 35,15).

ბერძნული ტექსტი შესაბამის ადგილას გვაწვდის იკითხვისს *μη* ὀπάρχει „ნუ ჩამორჩები“, „ბოლოში ნუ მოექცევი“, რომლის ზოგადი მნიშვნელობაა „ნუ დაიგვიანებ“.

ამრიგად, ძირითადი და ამოსავალი მნიშვნელობა მცხუედი-სა არის „გვიანნი“. თანამედროვე ქართულში ეს სიტყვა არ შემოგვრჩა, მაგრამ მის არსებობას ძველი ქართულის მონაცემთა გარდა გვიდასტურებს, როგორც ითქვა, გვარებიც ცხვედაძე და ცხვედიანი.

მცხუედი რომ ძირეული ქართველური სიტყვა უნდა ყოფილიყო, ამაზე მიუთითებს, ჩვენი აზრით, მისი კანონზომიერი ფონეტიკური შესატყვისის არსებობა მეგრულში ზმნური ცხად-ფუძის სახით. მეგრული ცხად-ინ-ი ნიშნავს „დაგვიანება“-ს, რომელსაც აქვს პირიელი ფორმები: ვ-ი-ცხად-უ-ან-ქ „ვიგვიანებ“, დი-ბ-ცხად-ი „დავიგვიანე“, დე-მ-ე-ცხად-უ „დამავიანდა“. მეგრული ცხად ძირი ქართული მცხუედ-ის კანონზომიერი ფონეტიკური ეკვივალენტი ჩანს, რამდენადაც რეგულარულია ფარდობანი: ქართ. მ-მეგრ. Ø (ანლაუტში თანხმოვნის წინ — ტ. გუდავა), ქართ. ცხ:მეგრ. ცხ, ქართ. ე:მეგრ. ა, ქართ. დ:მეგრ. დ. ერთგვარ დაბრკოლებას ქმნის თითქოს ქართული უ სონანტის შესატყვისი ვ-ს უქონლობა მეგრულში, მაგრამ მეგრულისათვის ვ-ს ფაქულტატიური დაკარგვა თანხმოვნის მომდევნო პოზიციაში ნიშანდობლივია. ამგვარი დაკარგვის აშკარა შემთხვევები გვაქვს სიტყვებში: შქა „შუა“ (ნაცვლად მოსალოდნელი \*შქვა-სი), სქანი „შენი“ (ნაცვლად მოსალოდნელი \*სქვანი-სა), ჩქინი „ჩვენი“ (ნაცვლად მოსალოდნელი \*ჩქვანი-სა), თუგი „თავი“ (ნაცვლად მოსალოდნელი \*თუგვი-სა), სქირი „შვილი“ (ნაცვლად მოსალოდნელი \*სქვირი-სა) და სხვა. ცხად ძირშიც დაკარგული ჩანს ვ, რამდენადაც ამოსავალი სახე ამ ძირისა \*ცხვად უნდა ყოფილიყო. მეგრ. ცხად-ინ-ი აგრეთვე ნასახელარი ზმნა ჩანს. ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს ამ ზმნისთვის ამოსავალი სახელის დადასტურება მეგრულ გვარში ცხადაია, სადაც \*ცხადა ფორმას იგივე მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა, რაც ქართ. \*მცხუედა/\*ცხუედა-ს გვარში ცხვედა-ძე, ანუ — ნაბოლარასი, ნავგიანევი (სიბერის) შვილისა.

კანონზომიერი ფონემური ფარდობა ქართ. მცხუედ- და მეგრ. ცხად-ძირებს შორის საფუძველს გვაძლევს ქართულ-ზანური ქრონოლოგიური დონისათვის აღვადგინოთ ზედსართავი სახელი \*მცხუედ-ი „გვიანი“-ს მნიშვნელობით. ქართულში ამოსავალ ფორმას არაერთარი ცვლილება არ განუცდია, მეგრულში კი მისი კანონზომიერი ეკვივალენტი მცირეოდენი ცვლილებით შემოგვენახა ზმნურ ფორმაში ცხად-ძირის სახით.

თავკიდური მ ქართულ ფორმაში პრეფიქსად ვერ განიხილება, რადგან ცხუედ უპრეფიქსო ფორმასთან შეპირისპირების საშუალებას მასალა არ იძლევა. საფიქრებელია, ეს მ იყოს იმ ტიპისა, რომელიც თავისუფლად მონაცვლეობს ნულთან ზოგ ქართულ სიტყვაში: მჭადი||ჭადი, მდევი||დევი, მწავი||წავი, მთხლე||თხლე, მდოგვი||დოგვი (იხ. [1], გვ. 15).

2. მეგრ. დ ი ნ ჯ გ ი ნ ი „ღრეჯა“. ამ სიტყვას სამეცნიერო ლიტერატურაში ეტიმოლოგიურად ქართულ ღრეჯა ზმნასთან აკავშირებენ. არნ. ჩიქობავას



აზრით, მეგრ. ი-ღინჯგინ-ან-ს „იღრიჯება“, „იკრიკება“ ნაწარმოებია ღინჯგიღ სახელისაგან, რომელიც „ღრძილს“ ნიშნავს. თავად ღრეჯა-ც, მისი ვარაუდით. ქართულ ღრძილ-ში გამოვლენილ ღრძ- ძირისა უნდა იყოს ([2], გვ. 55). გ. კლი- მოვი ამგვარივე აზრისაა, ოღონდ მისთვის ნათელი არაა ქართულ ღრეჯა-ში გა- მოვლენილი რ-სა და მეგრულ-ქანურ ფორმებში ფიქსირებული ნ-ს ფარდობა, რომელიც რეგულარულად ვერ ჩაითვლება ქართულ-ზანურ ბგერათშესატყვი- სობათა თვალსაზრისით ([3], გვ. 206, 207). მართლაც, ღინჯგ- ძირი ღრეჯ- ამო- სავალი ერთეულის ნულოვანი \*ღრჯ საფეხურიდან ვერ გამოიყვანება: რ-ს შე- ცვლა ნ-თი მეგრულ-ქანურში, ან პირიქით -ნ-ს გადასვლა რ-ში ქართულში არ იყო მოსალოდნელი. მართალია, გვაქვს გამონაკლისი შემთხვევები ამგვარი ფარდობისა (ქართ. გრძელი: მეგრ გირძე/გინძე:ქან. გუნძე), მაგრამ ასეთ იშ- ვიათ შემთხვევებს თვით სჭირდება ახსნა. აქასთანავე, აქ მოყვანილ მაგალითში მეგრულის ზუგდიდურ კილოკავს დაცული აქვს კანონზომიერი შესატყვისო ქართული რ-სი თანხმოდანთა შორის ირ მიმდევრობის სახით.

ჩვენი აზრით, მეგრულ-ქანური ღინჯგ- ძირისათვის ამოსავალი უნდა იყოს გახმოვანების ნულოვან საფეხურზე მდგომი ფორმა \*ღნჯგ. ამ ფორმის შესა- ტყვისად ქართულში უნდა გექნონოდა \*ღნჯ ან მისი ვარიანტი ტიპისა \*ღღნჯ.

ვეფხისტყაოსანში [4] ორგანაა დადასტურებული ფუძედრეკადი ზმნა ზღნეჯა. ორსავე შემთხვევაში მისი მნიშვნელობაა „დაღრეჯა“, გამოწვეული მწუხარებით. პირველ შემთხვევაში აღწერილია ავთანდილის მიერ დაბნედილი ტარიელის პოვნა და მისი შესახედაობა:

რა ტარიელ დაინახა, განაღამცა დაეღრიჯა:  
ახლოს მყოფი სიკვდილისა ჯდა და პირი დაებღნიჯა,  
საყელონი გარდებხინეს, თავი სრულად გაეგლოჯა,  
მას აღარა შეესმოდა, სოფლით გაღმა ვაეზიჯა (868-ე სტროფი).

ამჟამად, აქ ტარიელის დაღმეკილ პირზეა ლაპარაკი. ამავე მნიშვნელობი- თაა ნახმარი ზღნეჯა 950-ე სტროფში, სადაც საუბარია ტარიელისა და ავთან- დილის გამოთხოვებაზე, როცა ავთანდილი ფრიდონთან მიემგზავრება:

გაიყარნეს ტირილით და პირსა ხოკით, თმათა გლეჯით,  
ერთი აღმა, ერთი ჩაღმა, უგზოდ მივლენ შამბთა ეკით;  
ვირე უჩნდა ერთმანერთი, იზახლიან პირსა ბ ღ ნ ე ჯ ი თ;  
იგი ნახნეს დაღრეჯილნი, მზე დაიღრეჯს მისით ღრეჯით.

ორსავე შემთხვევაში მეზობელ სტრიქონებში გამოყენებულია ზღნეჯ-ის სინო- ნიმი ღრეჯა, რაც გვარწმუნებს საბა ორბელიანისეული განმარტების („ავად პი- რის დაღრენა“) სისწორეში.

ზღნეჯა ზმნა შემონახულია მხოლოდ გარდამავალი ფორმებით, რომლებიც ძირეულ მორფემას მოაბლაუტე ზღნეჯ/ზღნიჯ საფეხურებით წარმოვვიდგენენ. ისევე როგორც ღრეჯა ზმნას, ზღნეჯა-საც უნდა ჰქონოდა გარდაუვალი კორე- ლატები, რომელთა აღდგენა შესაძლებელია შინაგანი რეკონსტრუქციის გზით. მოდელი, რომელიც დაცული აქვს ღრეჯა ზმნას, გვიკარნახებს ზღნეჯა ზმნის შე- საბამისი ფორმების აღნაგობას პასივის აწმყოსა და აორისტში:

ა წ მ ყ ო  
ვ-ღრეჯ  
ვ-ღრე-ებ-ი  
შესაბამისად:  
ვ-ზღნეჯ  
\*ვ-ზღნე-ები

ა ო რ ი ს ტ ი  
ვ-ღრეი-ე  
ვ -ღერეჯ  
(ღრე-ა)  
ვ-ზღნიჯ-ე  
\*ვ-ზღნეჯ  
(იგი \*ზღნე-ა)

ამრიგად, ნულოვანი საფეხური ჩვენთვის საინტერესო ზმნისა უნდა ყოფილიყო \*ბღნჯ. იგი ამოსავალი ჩანს მეგრულ-ქანური ღინჯგ- ძირისათვის, რამდენადაც თავკიდური ბ უნდა დაკარგულიყო თანხმოვნის წინ ზანურში (ტ. გუდავა), ხოლო ფარდობანი ქართ. ღ:ზან. ღ, ქართ. ჯ:ზან. ჯგ კანონზომიერია. თანხმოვანთა შორის მოხვედრილ \*ნ-ს კი ზანურ დიალექტებში უნდა მოეცა ის ან უნ მიმდევრობა, რაც აგრეთვე ასახულია ღინჯგ ფორმაში, რომელიც იზომორფულია ისეთი ზანური ფორმებისა, როგორცაა: ღირკ- (ქართ. ღრკ-), ჩირთ- (ქართ. \*ცლთ), ღირტ (ქართ. \*ღლტ), ჭყირტ (ქართ. ჭყლტ)<sup>1</sup> და სხვა.

3. ჭან. ო ნ ტ უ ლ ე „ბაღი“, „ბოსტანი“. ქანური ონტულე-ს შესატყვისად სხვა ქართველურ ენებში მიჩნეულია: ქართული მტილი, მეგრული ორტვინი|| ორტილი, სვანური ლერტჷშ ([6], გვ. 99; [2], გვ. 147; [3], გვ. 138). ი. ჯავახიშვილის ვარაუდით, ონტულე სიტყვის ნტულე შესაძლოა ქართულ მდგელო-სთან იყოს დაკავშირებული ([6], გვ. 100). ამ ვარაუდს არ იზიარებს არც ჩიქობავა. მისი აზრით, ქართულ მტილი სიტყვაში ძირეული მასალაა მტ-. მისი ნაირსახეობანი წარმოდგენილია ქანურში ნტ-, მეგრულსა და სვანურში კი -რტ-ს სახით. -ილ, -ულ, -ინ და -წმ ელემენტები შესაბამისად ქართულში, ქანურში, მეგრულსა და სვანურში სუფიქსებადაა მიჩნეული ([2], გვ. 147—148). მაგრამ ქართ. მტილი, ჭან. ონტულე, მეგრ. ო-რტვინი და სვან. ლერტჷშ ამგვარი დანაწევრების საფუძველს არ გვაძლევს. მხოლოდ ერთი რამ არის აშკარა: ქანურ-მეგრული თავკიდური ო პრეფიქსული ელემენტი ჩანს, როგორც ეს შენიშნული აქვს ი. ჯავახიშვილს ([6], გვ. 100). რაც შეეხება სვანურ ფორმას, ლე- პრეფიქსის გამოყოფა და მისი ზანურ ო-სთან შესატყვისობა უდავო არაა.

ქანურ ონტულე-ს აგებულება საკმაოდ გამჭვირვალეა. ესაა ო—ე ცირკუმფიქსით ნაწარმოები ფორმა. ო—ე-ს ფუნქცია არის ადგილის სახელების გადმოცემა, თუ ამოსავალი ფუძე სახელურია: ო-ფუტ-ე „ადგილი სახლის არგვლივ“, ო-ჯუმალ-ე|| ო-ნჯუმალ-ე „სამარხი“ ([7], გვ. 75). ამგვარად ო-ნტულ-ე ფორმაში ო-ე უნდა მიუთითებდეს ნტულ-ის მდებარეობის ადგილზე, მის სამყოფელზე. თვით ნტულ რაღა? ჩვენი აზრით, ის უნდა აღნიშნავდეს „ნაყოფს“, „ხილს“ და ნასესხები ჩანს სომხურიდან, სადაც ფიქსირებულია ყուიღ (პტულ) სახით. ქანურში ბაგისმიერი ყრუ ხშულის მაგიერ ნ-ს არსებობა კომპინატორულად აიხსნება: სავარაუდებელია, რომ ქანურისათვის უჩვეულო პტ კომპლექსი რეგრესული ასიმილაციით გარდაიქმნა სავსებით ნორმალურ ნტ-დ. ამასთანავე შესაძლოა პტ—ნტ გაშუალებული იყო პტ საფეხურით. ამ მხრივ, საინტერესოა ძველ ქართულში ამავე მნიშვნელობის სიტყვის დადასტურება სწორედ პტ ფონემური ჯგუფით. ილ. აბულაძის მიერ გამოცემულ ანდრიანესა და ანატოლეს მარტვილობაში იკითხება: შენდა შეკრებად არს ბტული ესე ძლევისაჲ ([8], გვ. 210, 20). გამოცემელს მოაქვს პარალელური სომხური ტექსტი, რომელშიაც ჩვენთვის საინტერესო ბტულის ფარდად სომხური გვიჩვენებს ყუიღ ფორმას. დამხვევა გვაქვს როგორც გამოხატულებრი, ისე შინაარსის მხრივ. ერთადერთი განსხვავება ქართულსა და სომხურს შორის არის ქართულში თავკიდური ბ-ს არსებობა ნაცვლად პ-სი, რაც პტ კომპლექსის დისიმილაციურ ცვლას მიეწერება. ქართული ბტული სომხურიდან ნასესხებად მიაჩნია პ. ფოგტს ([1], გვ. 33), რომლისათვისაც, როგორც ჩანს, დაწერილობა ბტული არის წმინდა ორთოგრაფიული მოვლენა, რომელიც წარმოთქმას არ

<sup>1</sup> ჩამოთვლილ ფორმათა ანალიზი იხ. ([5], გვ. 187—195).

შეესაბამება. ჩვენი აზრით, ბტ შეიძლებოდა მეტყველების ნორმაც ყოფილიყო. შემთხვევითი არ უნდა იყოს მუდგრი + გლოტალიზებული მიმდევრობის საკმაო სიხშირე აველ ქართულ ძეგლებში (განსაკუთრებით გამოსაყოფია, ამ მხრივ, ძწ ჯგუფი).

ამრიგად, სომხურ *ստուղ* ფორმას ქანურში უნდა განეცადა ასეთი ევოლუცია: პტულ — ბტულ — ნტულ. \*ნტულ („ნაყოფი“) სახელისაგან ო—ე (<\*ო-ა-ჲ) ცირკუმფიქსით არის ნაწარმოები ო-ნტულ-ე „ბალი“, „ბოსტანი“ (ეტიმოლოგიურად — „სანაყოფე“, „სახილე“).

თუ გავიზიარებთ ქანური ონტულე-ს აქ წარმოდგენილ ეტიმოლოგიას, უნდა გამოვრიცხოთ მისი კავშირი მეგრ. ორტვინი||ორტილი და სვან. ლერტჷმ ფორმებთან, რადგან სვანურისათვის ამოსავალი რტჷმ და მეგრულისათვის ამოსავალი რტვინ/რტილ ფუძეების დაკავშირება ქანურ \*ნტულ-თან გარკვეულ დაბრკოლებებს აწყდება ფონემათა რეგულარული ფარდობის თვალსაზრისით (ქან. ნ:მეგრ., სვან. რ<sup>2</sup>; ქან. უ:მეგრ. ვი, სვან. ა; ქან. ლ:მეგრ. ნ/ლ, სვან. მ). არაა მთლად ნათელი არც ქართული მტილ-ისა და ქანური ნტულ-ის მიმართების საკითხი (შესაძლოა: ბტული — \*მტული — მტილი?). ყოველ შემთხვევაში, ცხადია, რომ ქართ. მტილი (← \*ბტული) ქან. \*ნტულ-ის შესატყვისად ვერ ჩაითვლება, რადგან ქართ. ულ/ილ:ქან. ულ ფარდობა კანონზომიერი არაა. როგორც ძველი ქართული ბტული/პტული, ისე ქან. \*ნტულ-ი (← \*პტული) სომხურიდანაა ნასესხები. სავარაუდებელია, რომ ეს სესხება ზეპირი გზითაა მომხდარი და საკმაოდ ადრე. ამას მოწმობს ის, რომ სომხურ შესაბამის სიტყვაში ძველი უქანანისმიერი ლ (ჟ) ჯერ კიდევ არ იყო გადასული ლ-ში, რადგან ქართულ და ქანურ ნასესხებ ფორმებში ლ გვაქვს და არა ლ (ქართული ბტული და არა \*ბტული, ქან. ონტულე და არა \*ონტულე). სომხური ჟ-ს ველარიზაციას ჰ. აქარიანი ვარაუდობს XI საუკუნეში [9]. ამაზე გვიან ხსენებული სომხური სიტყვის სესხება ქართულსა და ქანურში არაა მოსალოდნელი.

4. სვან. ლ ი შ გ ტ ე მ „თხოვნა“, „მოთხოვნა“. სვანური ზმნა ლიშგტემ ზოგ შემთხვევაში გამოავლენს სრულხმოვნინან პირიელ ფორმებს ხტიშგტემ „ვთხოვლობ“, იშგტემ „თხოვლობ“, „ითხოვს“, ხეშგტემ „სთხოვს“, ზოგჯერ კი ნარედუქციალ ფორმებს, რაც გამოწვეულია -ინ სუფიქსის დართვით: ხაშგტემინ „სთხოვა“, ხაშგტემინე „ითხოვს“ და სხვა. ვ. თოფურიას აზრით, -ინ ელემენტის არაძირეულობას ამტკიცებს შგომ „თხოვნა“ სიტყვის არსებობა ([10], გვ. 253). მისივე აზრით, იშგტემ ← \*იშგომე (ე. ი. ძირეული ო-ს უმლაუტით [10], გვ. 253). ვფიქრობთ, ძირეული მორფემის თავდაპირველი საბე შგტემ უნდა იყოს, ამგვარსავე გადასვლას (ტე — ო) ადგილი უნდა ჰქონოდა სხვა სვანურ ზმნურ ძირშიც: შტემ — შომ (ლიშტემ „სვენება“ [5], გვ. 286). შგტემ და შგომ ძირებს შორის მიმართება ისეთივეა, როგორც შუემ-/შომ- („სვენება“) ვარიანტების მიმართება: ისტორიულად უწინარესია ამ წყვილთა პირველი წევრები, როგორც ამას სხვა ქართველურ ენებთან შედარება გვიჩვენებს.

საინტერესოა, რომ შგტემ- ძირიდან ნაწარმოებ ზმნურ ფორმებს ერთი მხრივ „თხოვნის“, ხოლო მეორე მხრივ „მოთხოვნის“ უფრო კატეგორიული მნიშვნელობა უდასტურდება სვანური პოეზიის არქაულ ენაშიც: კვეცენ ხაშ-

<sup>2</sup> ამ დაბრკოლების არსებობა აღნიშნული აქვთ თ. გამყრელიძესა და გ. შაჰვართან ([5], გვ. 129).

გუმინ იურსალში „ხორბალი სთხოვა იერუსალიმის“ (სვ. პ. 10,78). ლტელაჟ დაკვლს მატყის ზეშგუმე „ცხვარი თხას მატყლსა სთხოვს“ (სვ. პ. 250,12).

შდრ. მესხა ძულტას ბერალ ხეზგვხ,  
ლტინლ-ზედშე ეჩხან ი შ გ ტ მ ი ნ.

„შავ ზღვაზე ბერები სახლობენ,  
ღვინო-ზედაშე იქიდან მოითხოვა“. (სვ.  
10, 85).

„მოთხოვნის“ მნიშვნელობა სემანტიკურად სავსებით შესაძლებელია უკავშირდებოდეს „დაჩემებას“, „მისაკუთრებას“, „თავისთვის მოთხოვნას“. ამ თვალსაზრისით გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ „მისაკუთრება“ სვანურში ზოგჯერ აღწერიტად გადმოიცემა მიშგოჭედ ლისყო სინტაგმით, რაც ნიშნავს სიტყვასიტყვით „ჩემად ქმნა“-ს. საფიქრებელია, ეს მნიშვნელობა, რომლის გადმოსაცემად სვანური მიშგოჭე „ჩემი“ კუთვნილებით ნაცვალსახელს იყენებს, ჰქონოდა ლიშგუმე/ლიშგუმინე ზმნასაც. ეს შესაძლებლობას მოგვეცემდა დაგვეკავშირებინა იგი ქართულ ჩემება/მიჩემება/დაჩემება ფორმებთან, რომლებიც ნაწარმოებია კუთვნილებითი ნაცვალსახელის ჩემი ფუძისაგან. სვანური და ქართული ზმნური ფორმების ძირეული მორფემები შგუმე- და ჩემ- წარმოგვიდგება როგორც ერთმანეთის კანონზომიერი შესატყვისები გამოხატულების პლანში (ქართ. ჩ:სვ. შგ, ქართ. ე:სვან. ე, ქართ. მ:სვან. მ).

თ. გამყრელიძის მიერ ქართველურ ენათა ნაცვალსახელურ ფორმებში აღდგენილია ჟე კომპლექსი, რომელიც „გარკვეულ ფუნქციას ასრულებდა და იწვევდა პირისა და კუთვნილებით ნაცვალსახელთა გაერთმინებულსახელებს. ნაცვალსახელურ ფუძეთა ეს საერთო [-ჟე-] ნორფემა მათ ერთ კატეგორიად აერთიანებდა და უპირისპირებდა მესამე პირის ფორმებს, რომლებიც წარმოშობით ჩვენებით ნაცვალსახელებს წარმოადგენენ“ ([11], გვ. 43). ამგვარი დაშვების საფუძველზე ავტორი შესაძლებლად მიიჩნევს საერთო-ქართველური \*ჩუმე ფორმის რეკონსტრუქციას პირველი პირის კუთვნილებითი ნაცვალსახელისათვის ([11], გვ. 42). ქართულში ამ ფორმამ მოგვეცა ისტორიულად დამოწმებული ჩემი, ხოლო სვანურში კი — მი-შგუ-ი ([11], გვ. 42). ზმნურმა ლიშგუმე ფორმამ შემოგვინახა პირველი პირის კუთვნილებითი ნაცვალსახელის უძველესი ფორმა. ამრიგად, სვანური შგუმე- ზმნური ძირი ისტორიულად ნაცვალსახელურია და ამოსავალი \*ჩუმე- ოდენობის კანონზომიერი რეფლექსი. თუ თვით ნაცვალსახელებმა სვანურში აგებულების თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადეს (პრეფიქსული მი-, გუ- ელემენტების დართვა, აუსლაუტში -ემ-ის დაკარგვა), ლიშგუმე ზმნამ, ჩვენი აზრით, დაიცვა ქართული ჩემ- ძირის უძველესი სვანური შესატყვისი.

#### დამოწმებული ლიტერატურა

1. პ. ფოგტი, ქართული ენის ფონემატური სტრუქტურა, თბილისი, 1961.
2. არნ. ჩიქობავა, ჰანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, ტფილისი, 1938.
3. Г. А. Климов, Этимологический словарь картвельских языков, Москва, 1964.
4. შოთა რუსთველი, ვეფხისტყაოსანი, ტექსტი ძირითადი ვარიანტებით, კომენტარებითა და ლექსიკონითურთ ორ ტომად, ა. შანიძისა და ა. ბარამიძის რედაქციით, I, ტექსტი და ვარიანტები, თბილისი, 1965.
5. თ. გამყრელიძე, გ. მაკავარიანი, სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, თბილისი, 1965.
6. ივ. ქავთაძე, საქართველოს ეკონომიური ისტორია, II, ტფილისი, 1934.
7. Н. Марр, Грамматика чанскаго (лазскаго) языка с хрестоматией и словарем, С.-Пб., 1910.

8. ილ. აბულაძე, ქართულ-სომხური ფილოლოგიური შტუდიები: „მრავალთავის“ ზოგი წყარო, VI: ძველი ქართული მწერლობის ოთხი ძეგლი, თბილისი, 1965.
9. Р. Ачарян, Когда звук л превратился в звук ъ — Изв. АН Арм. ССР (обществ. науки), 1948, № 5.
10. ვ. თოფურიია, შრომები, I, თბილისი, 1967.
11. თ. გამყრელიძე, სიბილანტთა შესატყვისობანი და ქართველურ ენათა უძველესი სტრუქტურის ზოგი საკითხი, თბილისი, 1959.

Б. К. ГИГИНЕИШВИЛИ

## ЭТИМОЛОГИЧЕСКИЕ НАБЛЮДЕНИЯ В КАРТВЕЛЬСКИХ ЯЗЫКАХ

Резюме

В работе дана попытка этимологизации следующих слов из разных картвельских языков: груз. *მსხვედი* «поздний»; мегр. *ჟიპჭგინი* «скалить (зубы)»; чан. *ontule* «сад», «огород» и сван. *lišgwem* «просить», «требовать». Во всех случаях предполагается та или иная исходная форма, которая закономерно дифференцирована в картвельских языках, или же (в случае заимствования) адаптирована согласно фонологической структуре заимствующего языка.

Груз. *მსხვედი* связывается с мегрельским *схад-იპ-ი* «опаздывать»; мегр. *ჟიპჭგ* является результатом развития исходного \**ბჟიპჭ* (нулевая ступень аблаута основы *ბჟიპჭ-*); чан. *ontule* образовано циркумфиксом *o—e* от заимствованного из армянского слова *բլու*; сван. *lišgwem* этимологизируется как производное от \**šgwem* «я», который в сванском не сохранился в качестве местоимения.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზოგადი  
ენათმეცნიერების კათედრა  
წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა თ. გამყრელიძემ

## დავანა გელიჯივილი

მოქმედებითი გვარის ზმნის უღლების სისტემა  
თანამედროვე ქართულში

ქართული ზმნის უღლების სისტემა ისტორიული თვალსაზრისით. ცნობილია, რომ ზმნა ქართული ენის გრამატიკის ყველაზე რთული უბანია. ქართული ენის შესწავლისას ზმნური ფორმების წარმოება არაქართველთათვის ერთ მთავარსა და ძირითად სიძნელეს წარმოადგენს.

ეს სირთულე მდგომარეობს ქართული ზმნის არა მხოლოდ პირისა და რიცხვის გამოხატვის სისტემის თავისებურებაში, რასაც მოსდევს მთელი რიგი თავისებურებებისა სინტაქსშიც, არამედ სირთულე თავს იჩენს ისეთი ზმნური კატეგორიების წარმოებაშიც, როგორცაა გვარი, ქცევა, კონტაქტი და სხვ. ამჯერად ჩვენ გვინტერესებს ქართული ზმნის უღვლილების სისტემა, კერძოდ კი შემოვიფარგლებით მხოლოდ მოქმედებითი გვარის ზმნებით. (თუმცა ტაბულაში წარმოვადგენთ მოქმედებითი გვარის ზმნათა შესაბამისი ვნებითი ფორმების უღლების ცხრილსაც).

ქართული ზმნის უღვლილების სისტემა ენის განვითარების თანამედროვე ეტაპზე ერთი შეხედვით თითქოს ისტორიულად გამომუშავებულ გარკვეულ ყალიბში ზის და რამდენადმე სტაბილურია (ამას ხელს უწყობს სალიტერატურო ენის მტკიცედ გამომუშავებული და მოქმედი ნორმები). მაგრამ, ცნობილია, რომ ენა ისტორიული კატეგორიაა და განუწყვეტლად ვითარდება, განიცდის ცვალებადობას. ეს ცვალებადობა, მართალია, ყველაზე მეტად ეხება ენის ლექსიკურ შემადგენლობას და ყველაზე ნაკლებ კი მის გრამატიკულ წყობას, სისტემას, მაგრამ დღეს ჩვენ ქართული ზმნის უღვლილების სისტემაში ენის განვითარების შინაგანი კანონის სწორედ ამ იშვიათი ტენდენციის გამოვლენის მოწმენი ვართ.

თუ გადავხედავთ ქართული ზმნის უღვლილების სისტემას, ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ ზმნის ძირითად ფორმათა — აწმყო-წყვეტილის თემათა წარმოება ორ სისტემას, ორ ფორმულას ექვემდებარება: 1. აფიქსურ სისტემას (კერძოდ სუფიქსურს): აწმყოს და მასზე დაყრდნობილი ფორმების თემას აწარმოებენ თემატური სუფიქსები: -ი, -ავ, -ამ, -ებ, -ობ და 2. ფუძის ხმოვნის ფუნქციონალურ მონაცვლეობას — აბლაუტს (აწმყოს ფუძეში ე, აორისტისაში — ი, ან აწმყოს ფუძეში Ø, აორისტისაში კი ა ან ე). აქედან პირველი სისტემა გაბატონებულია და ზმნათა აბსოლუტურ უმრავლესობას მოიცავს. მეორე კი, როგორც ჩანს, ისტორიულად გავრცელებული, დღეს იშვიათია და ზოგჯერ აფიქსურ წარმოებასთან თანაარსებობს (შლ-ი—შალ; კლ-ავ—კალ; ძრ-ობ—ძერ), რაც მეორეული მოვლენა უნდა იყოს.

თანამედროვე ქართულში ამჟამად იგრძნობა ტენდენცია ზმნის უღვლილების სისტემაში ოდესღაც ფართოდ გავრცელებული აბლაუტური ხმოვანთ-მონაცვლეობის ნაშთების გადაშენებისა და თემათა განსხვავების ერთიან, აფიქსურ სისტემაზე გადასვლისა.

აბლაუტის ფუნქციონირების თანდათანობითი მოშლისა და აფიქსაციის

ფუნქციონირების გაძლიერების პროცესი, როგორც ჩანს, ჩასახულა ქართული ენის განვითარების უძველეს საფეხურებზე და დღემდე გრძელდება. ამ პროცესმა ფართოდ მოიცვა ზმნის უღვლილების სისტემა, რომელშიც რეგულარული თუ გამონაკლისების სახით ჯერ კიდევ ვხვდებით ძველი სისტემის ნაშთებს.

ეს პროცესი კარგად ჩანს ძველ ქართულშიც, სადაც შემორჩენილა ისეთი შემთხვევები, როდესაც ერთმანეთს აბლაუტის წესით უპირისპირდება გარდაუვალი (პასივის) აორისტი (CVC—C: ღერ-ვ; ეერ-ბ) და გარდამავალი (აქტივის) აწყო (CC—VC: ღრ-ეკ, კრ-იბ)<sup>1</sup>.

მაგრამ ძველი ქართულის სინქრონიულად მოქმედ სისტემაში, ჩვეულებრივ, ამგვარი კორელაციის მხოლოდ ერთი წევრილაა ხოლმე შემორჩენილი. ასე მაგ.: გვაქვს „უნიშნო ვნებითი“, მაგრამ არ მოგვეპოვება იმავე ფუძის დრეკადი გარდამავალი ზმნა: გვაქვს ვ-ტფები — გან-ვ-ტფ, მაგრამ არ დასტურდება ვ-ტფ—ვ-ტიფ<sup>2</sup>... რითი შეიცვალა აქტივ-პასივის ფუძეთა აბლაუტის წესით დაპირისპირება? უფრო ახალი, აფიქსური წარმოების წესით. კერძოდ ფეორიულად მოსალოდნელი გარდამავალი ფუძედრეკადი ფორმები აფიქსურმა, კაუზატიურმა წარმოებამ შეცვალა (ვ-ა-ტფ-ობ).

თავის მხრივ, ტფ ტიპიც ძველსავე ქართულში უძველესი სისტემის გადმონაშთია და მთელ რიგ შემთხვევებში ფუძედრეკად გარდამავალ ზმნას (აქტივის) არ გააჩნია თავისი შესაბამისი ტფ ტიპის („უნიშნო ვნებითის“) აორისტის ფორმები. ისინი შეცვლილია მეორეული წარმოებით: გარდამავალი ფუძედრეკადი ზმნის შესაბამისი კონვერსიული პრეფიქსიანი ვნებითით. მაგ., გვაქვს აქტ. ვ-ფენ—ვ-ფინ-ე. მაგრამ არ არის პასივი ვ-ფნ-ებ-ი—ვ-ფენ; ვ-ტფ-ებ-ი—ვ-ტფ<sup>3</sup>. მათი ადგილი დაიკავა აქტივის სასუბიექტო ქცევის აორისტის ფორმისაგან ტრანსფორმირებულმა ვნებითმა: აქტივის სასუბიექტო ვერსია: ვ-ი-ფინ-ე; ვნებითი: ვ-ი-ფინ-ე, საიდანაც შემდეგ საერთო წესის მიხედვით (თემატური ნიშნის დართვით) იქნა წარმოებული ღინამიკური ვნებითის აწყოს ფორმები: ვ-ი-ფინ-ებ-ი. ეს პროცესი დღეს კიდევ უფრო შორს წავიდა. ძველი ქართული ენისათვის ნორმალური გან-ვ-ტფ, გან-ვ-ქემ ტიპის ფორმები (სადაც აქტივ-პასივის ფორმათა დაპირისპირების აბლაუტური სისტემის ნაშთი, როგორც ვნახეთ, კენტად იყო დარჩენილი, რადგანაც საპირისპირო აქტივის კანონიერი ვ-ტფ—ვ-ტიფ-ე ფორმები შეცვალა კაუზატიურმა წარმოებამ: ვ-ატფ-ობ—ვ-ატფ-ე), დღეს აორისტში სუფიქსურ წარმოებაზე გადავიდნენ: გან-ვ-ტფ—გან-ვ-ტფ-ი—გა-ვ-თბ-ი, ასევე: ვა-ვ-შრ-ი, და-ვ-ღნ-ი, ვა-ვხმ-ი და სხვ.

ამგვარად, აქაც აბლაუტის ოდინდელი სისტემა შეცვალა ახალმა, სუფიქსურმა სისტემამ და ძველი ქართულიდან დღემდე დაიკარგა კიდევ ერთი კვალი აბლაუტის სისტემის არსებობისა ქართულ ენაში. თუმცა ამ ტიპის ზმნებში ახალ, სუფიქსურ წარმოებასთან ერთად ზოგჯერ აბლაუტის ძველი წესიც არსებობს, როგორც ე. წ. უნიშნო ვნებითებში (და-ვ-თფერ-/ი/), ისე პრეფიქსიანებში (და-ვ-ი-ჭერ-/ი/).

ეს პროცესი შედეგაა დიდი ხნის წინათ დაწყებული იმ პროცესისა, რომლის შედეგადაც გარდაუვალ ტფ ფორმაში დაიჩრდილა ე-ს მორფოლოგიური

<sup>1</sup> იხ. თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართულურ ენებში, თბილისი, 1965, გვ. 179—187.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 206.

<sup>3</sup> იქვე.

ფუნქცია, დაიკარგა აბლაუტური ხმოვანთმონაცვლეობის წყვილიდან ერთ-ერთი საპირისპირო წევრი გარდამავალი ფორმის სახით. დაპირისპირების ძველი წესი შეიცვალა: ერთ-ერთი წევრი დაემორჩილა სხვა, ახალ სისტემას, რის შედეგადაც მის საპირისპირო ცალში გარკვეული დროის მანძილზე შემორჩენილი ძველი სისტემის ნაშთი ე თანდათან კარგავს ფუნქციას და ბოლოს თვითონაც იკარგება იმ -ო სუფიქსის გავლენით, რომელიც დაერთო პასივის უნიშნო აორისტს: გან-ვ-ტფჟ—გან-ვ-ტფჟ-ო—გან-ვ-ტფ-ო.

ამგვარად, აფიქსური წესი თანდათან ბატონდება დრო-კილოთა წარმოების სისტემაშიც. გარდა აორისტისა, თანამედროვე ქართულში ამ ტენდენციას იჩენენ აწმყოს ფორმებიც.

ფუძედრეკადი ზმნები, რომელთა აწმყო-აორისტის დაპირისპირება, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, აბლაუტურ, ხმოვანთმონაცვლეობას ემყარებოდა, დღეს საერთო ტენდენციას ექვემდებარებიან. მათ აწმყოში დაერთვის თემატიური სუფიქსი -ავ (-ებ თემატიური სუფიქსის შემდეგ ყველაზე პროდუქტიული) და, ამგვარად, ისინი ემსგავსებიან „რეგულარულ“ ფორმებს, რომლებშიც აწმყოს ფუძეს თემატიური სუფიქსი აწარმოებს. ამასთან, -ავ თემატიური სუფიქსის დართვისას აბლაუტის ერთ-ერთი ძირითადი წესის თანახმად სრულსაფეხურიანი ფორმისაგან მიიღება არა ნულსაფეხურიანი ფორმა, არამედ რედუცირებულსაფეხურიანი, ანუ **ო-საფეხურიანი: ვ-დრ-ეკ—ვ-დრ-იკ-ავ, ვ-წყვე-მეტ—ვ-წყვ-იტ-ავ** და სხვ.

სუფიქსური წარმოებისადმი მიდრეკილებას იჩენენ აგრეთვე **ე. წ.** ერთ-თემიანი ზმნებიც. მათგან უმეტესობა დღეს მხოლოდ -ავ სუფიქსით იხმარება და ორთემიანთა კლასშია გადასული. მაგ., ბერტყავს, რეკავს, თიბავს, კენკავს, პენტავს, ლესავს, ლეწავს, წეწავს და სხვ. პარალელურ ფორმებს გვიჩვენებენ: კვეთს||კვეთავს, ხეთქს||ხეთქავს, ყეფს||ყეფავს და სხვ.

მართალია, დღეს სალიტერატურო ენის ნორმების მიხედვით ამ პარალელურ ფორმათაგან ისტორიული, უსუფიქსო ფორმებია მიღებული სწორ ფორმად, მაგრამ ენის განვითარების ტენდენციები მეორე რიგის ფორმათა სასარგებლოდ ლაპარაკობს.

ამგვარად, თანამედროვე ქართული ენის ზმნის უღვლილების სისტემაში წარმოდგენილია როგორც აფიქსაცია, ისე აბლაუტი. პირველი გაბატონებულია და გავლენას ახდენს მეორეზე.

**2. გარდამავალ ზმნათა უღვლილების კლასები დრო-კილოთა ჯგუფებში თემის ცვლილების მიხედვით.** ქვემოთ წარმოდგენილ ტაბულაში მოცემულია ქართული გარდამავალი ზმნის უღვლილების სისტემის მთლიანი სურათი. აწმყო-წყვეტილის (აორისტის) დაპირისპირების მიხედვით გამოყოფილია 9 ძირითადი კლასი, რომელიც 24 ქვეკლასად იყოფა (გამონაკლისების ჩათვლით) იმისდა მიხედვით, თუ: 1. რა წესს ეყრდნობა აწმყო-წყვეტილის დაპირისპირება: აბლაუტს თუ აფიქსაციას; 2. წყვეტილის ნიშანი არის -ე სუფიქსი თუ  $\emptyset$  სუფიქსი; 3. რა ნიშანი აქვს წყვეტილში  $S_3$  პირს -ებ თემისნიშნიან ზმნებში. -ა სუფიქსი თუ -ო სუფიქსი, და, მაშასადამე, განივითარებს თუ არა ზმნა აწმყოს თემატიურ სუფიქსს III სერიაში.

**I კლასი. ერთთემიანი ზმნები.** ამ კლასს განეკუთვნება ერთ-თემიანი ზმნები, რომლებსაც აწმყოსა და აორისტის თემა ერთნაირი აქვთ. მათი რაოდენობა სულ 44-ით განისაზღვრება. ეს ზმნები იჩენენ -ავ სუფიქსის დართვის ტენდენციას.



1. მათგან უმეტესობა დღეს მხოლოდ -ავ სუფიქსით იხმარება და ორთემიანთა კლასშია გადასული, ესენია: ბერტყავს, რეკავს, თიბავს, კენკავს, კეტავს, კეცავს, ლესავს, ლეწავს, პენტავს, ყეჟავს, რეცხავს, ქეკავს, წალეკავს, წეწავს, ჭედავს, ხეხავს, ხოცავს, კვებავს, წვეთავს.

2. პარალელურ ფორმებს გვიჩვენებენ: კვეთს—კვეთავს; კვეცს—კვეცავს; ტეხს—ტეხავს; ჩეხს—ჩეხავს; ჭეკს—ჭეკავს; ხეთქს—ხეთქავს; იხვეჭს—იხვეჭავს; ჩეჩს—ჩეჩავს (მატყლს), იჩეჩავს (შხრებს); იღელს—იღელავს (მკერდს), ყეფს—ყეფავს, ხვეწს—ხვეწავს, წერს—წერავს.

საერთო წესის მიხედვით ეს პროცესი, ცხადია, მომავალში მეორე რიგის ფორმების გაძარკვებით დამთავრდება. თუმცა თანამედროვე სალიტერატურო ენის ნორმების მიხედვით პარალელური ფორმებიდან დასაშვებია მხოლოდ პირველი რიგის (კვეთს, ტეხს) ფორმები, მაგრამ აღსანიშნავია, რომ ამათგან განსაკუთრებით ყურს ჭრის და იღვენება მხოლოდ ერთადერთი — წერს ზმნის -ავ სუფიქსიანი ფორმა წერ-ავს-, რაც, როგორც ჩანს, გამოწვეულია ამ ზმნის ძირითადად ლიტერატურულ და მეცნიერულ ნაშრომებში ხშირი ფიგურირებით (სადაც ნორმების კონტროლი ძლიერია).

3. ამ კლასის ზმნათგან მხოლოდ ორი დაირთავს -ო სუფიქსს: იკვებ-ო-ს, (ი)მღერ-ო-ს.

4. მცირერიცხოვანი ჯგუფი (ძირითადად უძვ. სუფიქსებზე ან-ზე და ოვ-ზე დაბოლოებულნი) კი საერთოდ არ დაირთავს თემატურ სუფიქსს და არც უჩანს ტენდენცია როდისმე ორთემიანთა კლასში გადასვლისა (ეს, როგორც ჩანს, მიუთითებს იმაზე, რომ -ან და -ოვ სუფიქსთა გაგება ჯერ კიდევ არ გამქრალა). ესენია: ბან, ფხან, (ი)ტან, (ი)ყვან, თხოვ, ქსოვ, ძოვ, წოვ, ჭამ, იქმ (იქამ), რაცხ, (ი)ხმარ.

ამ კლასის ზმნებს წყვეტილის ნიშნათ აქვთ -ე, კავშირებითისა კი შესაბამისად -ო.

II კლასი. ფ უ ძ ე დ რ ე კ ა დ ი ზ მ ნ ე ბ ი. ფუძედრეკად ზმნათა რაოდენობა დაახლოებით 240-მდეა. ძირის ბოლოკიდურ პოზიციაში დასტურდება ყველა თანხმოვანი, გარდა გ, უ, ღ, ყ, ჰ-სი.

ზმნათა ეს კლასი აწმყო-წყვეტილში აბლაუტური ხმოვანთმონაცვლეობით ხასიათდება. ისინი აწმყოს ფუძეში გვიჩვენებენ ე გახმოვანებას, წყვეტილისაში კი ი გახმოვანებას (წყვეტ-წყვიტბ). წყვეტილის მაწარმოებელია -ე სუფიქსი, II კავშირებითისა კი შესაბამისად -ო. III სერიაში, როგორც წესი, I თურმეობითი ცვრდნობა აწმყოს ფუძეს ე გახმოვანებით (მოუწყვეტბა), II თურმეობითი და III კავშირებითი კი სტატიკური ვნებითის (||დინამიკური ვნებითის) II სერიის ფუძეს (მოეწყვეტბა, მოეწყვიტოს).

გამოიყოფა სამი ქვეჯგუფი: 1. -ევ სუფიქსზე დაბოლოებულნი, 2. -ენ სუფიქსზე დაბოლოებულნი, 3. ყველა დანარჩენ (გარდა გ, უ, ღ, ყ, ჰ) თანხმოვანზე დაბოლოებულნი. ამ უკანასკნელისაგან -ეტ, -ეკ, -ედ, -ებ უძველესი ზმნურ სუფიქსებადაა მიჩნეული. სხვა ფორმებთან შეპირისპირების საფუძველზე (ნ. მარი, ა. შანიძე, ვ. თოფურია, პ. ფოგტი, გ. მაქავარიანი) არ არის გამორიცხული, რომ სხვათა სუფიქსური წარმომავლობაც დადასტურდეს.

-ევ და -ენ სუფიქსებზე დაბოლოებულ ზმნათგან უმეტესობას თავში მაკაუზირებელი ა- პრეფიქსი დაერთვის. ა—ევ; ა—ენ (ე-ა-ღ-ენ; ვ-ა-ძ-ენ, ვ-ა-წ-ენ, ვ-ა-კ-ევ, ვ-ა-მ-ევ, ვ-ა-რ-ევ და სხვ.), რაც ამ სუფიქსთა კაუზატიურ წარმომობაზე მიუთითებს.

აღსანიშნავია, რომ II სერიის ფორმებში -ივ კარგავს ვ-ს II კავშირები-  
თის -ო სუფიქსის გავლენით, რაც ანალოგიით წყვეტილზეც ვრცელდება.  
(ვამტვრევ—ღავამტვრივო—ღავამტვრიო—ღავამტვრივო—ღავამტვრიე).

III ქვეჯგუფის ფუძედრეკადი ზმნები საერთო წესის თანახმად აწმყოში  
-ავ თემატური სუფიქსის დართვის ტენდენციას იჩენენ და, ამგვარად, ემსგავ-  
სებიან „რეგულარულ“ ფორმებს, რომლებშიც აწმყოს ფუძეს თემატური სუ-  
ფიქსი აწარმოებს. ამასთან, -ავ სუფიქსის დართვა იწვევს ფუძის ე ხმოვნის  
ი-ში გადასვლას: ვდრეკ—ვდრიკ-ავ, ვწვეტ—ვწვეტ-ავ, ვკლეჭ—ვკლიჭ-ავ  
(შესაბამისად I თურქობითში იქნება დამიგლიჭავს).

სალიტერატურო ენის ნორმების მიხედვით სწორ ფორმად მიღებულია  
უსუფიქსო ფორმები.

III კლასი. -ი თ ე მ ი ს ნ ი შ ნ ი ა ნ ნ ი. აწმყოში თემატური -ი სუფიქ-  
სის მქონე ზმნათა უმეტესობის ფუძისეული ხმოვანი მკვიდრია, ნაწილი კი შე-  
კუმშული ფუძითაა წარმოდგენილი. II სერიაში ამათ ფუძე სრული გახმოვა-  
ნებით აქვთ წარმოდგენილი: ა ა ნ ე ხმოვნით. ამ კლასის ზმნათა საერთო რაო-  
დენობა 220-მდეა. გამოიყოფა 3 ქვეტიპი:

1. ძირითადი ბოლოვდება რ, ლ სონატებზე, იშვიათად ვ(1), ღ(4), ჯ(1)  
თანხმოვნებზე. აწმყოში ფუძე შეკუმშული აქვთ (ჯ გახმოვანებით), წყვეტილ-  
ში კი ა გახმოვანება ახასიათებთ. წყვეტილის სუფიქსია -ე, კავშირებითისა -ო  
(ვთლი—ვთაღე—ვთაღო; ვზრდი—ვზარდე—ვზარდო). აღსანიშნავია, რომ -ე  
და -ო სუფიქსები და S<sub>3</sub> -ა სუფიქსი ფუძისეულ ა ხმოვანს არ კუმშავს. ამათი  
რაოდენობა დაახლოებით 23-ია.

2. ბოლოკიდურ პღზიციაში აქვთ ნ ან რ, აწმყოში შეკუმშული ფუძე,  
წყვეტილის ფუძეში ე გახმოვანებით (მხოლოდ S<sub>1</sub> და S<sub>2</sub> პირებში). წყვეტილი  
ნიშნინანია ან კიდევ ფუძეს დაერთვის უფუნქციო „ნართაულა“-ი (გაჩენილი  
მრავლობითში თანხმოვანთ გასაყარად და ანალოგიით გავრცელებული მხო-  
ლობითის ფორმებშიც). წყვეტილში S<sub>3</sub>-ის ნიშანია -ა სუფიქსი, რომელიც გან-  
სხვავებით წინა ქვეჯგუფებისაგან, ფუძისეულ ე ხმოვანს ამოაგდებს. II კავ-  
შირებითში შესაბამისად -ა სუფიქსი (რომელიც ფუძისეულ ე ხმოვანს ამოაგ-  
დებს) აქვთ: ვცრი—(გა)ვცერ—(გა)ვცრა; ვფშვი—(და)ვფშვენ—(და)ვფშვნა.  
მათი რიცხვი დაახლოებით 25-ია.

3. როგორც ვთქვით, ამ კლასის ზმნათა უმეტესობას აწმყოში ხმოვანი სტა-  
ბილური აქვთ. ამათ თემატური ნიშნის წინ აქვთ ნ, რომელსაც აკაკი შანიძე  
ინფიქსად თვლის<sup>4</sup>. (ვთოხნი, ვგზავნი, ვთხუზნი...) მათი რაოდენობა. 135-ს აღ-  
წევს. სულ რამდენიმეა დაბოლოებული ლ, რ, ზ-ზე (ვწველი—ვწვეღე, ვამად-  
ლი—ვამადღე, ვმარგლი—ვმარგღე, ვასწავლი—ვასწავღე, ვწაივლი—ვწაივ-  
ღე; ავაციცლი—ავაციცღე; ვმწყსი—ღავმწყსე (ავიანია), ვაკაწრი—ვაკაწრე  
(ავიანია), მაგრამ მათგან ზოგი წარმოშობით ავიანია, ზოგი — ებიანია.

ორი ზმნა: ვიშოვნი—ვიშოვი და ვიპოვნი—ვიპოვი მყოფადის ფუნქციით  
იხმარება. აწმყო მათ საობიექტო მიმღობის ფორმისაგან აქვთ ნაწარმოები -ობ  
თემის ნიშნით: ვშოულობ, ვპოულობ. მათი მსგავსია ვითხოვ—ვთხოულობ.  
როგორც ვხედავთ, სამივე -ოვ სუფიქსიანია. პირველ ორს -ი სუფიქსი გვიან  
დაერთო, უკანასკნელს კი იგი არა აქვს განვითარებული. აღსანიშნავია, რომ

<sup>4</sup> ა. შ ა ნ ი ძ ე, კართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბილისი, 1973, § 454, გვ. 394.

ამ ზმნების სასუბიექტო ქცევის ფორმა გაგებულ იქნა მომავალი დროისად ისევე, როგორც ეს მოხდა ე. წ. მედიოაქტივეზში (ვტირი—ვ-ი-ტირ-ებ).

ამათვე ჰგავს ვ-ი-ყიდ-ი ზმნაც, რომელიც აგრეთვე მომავალი დროის ფუნქციით იხმარება და რომელიც ვ-ყიდი ზმნის საპირისპირო მნიშვნელობისაა. ამასაც აწმყოს ფორმა ისევე ეწარმოება, როგორც ზემოთ დასახელებულ ზმნებს (აწმყო: ვ-ყიდ-ულ-ობ; წყვეტილი: ვ-ი-ყიდ-ე).

გამონაკლისს წარმოადგენს აგრეთვე ვჰკი—(მო)ვჰკე, რომელსაც II კავშირებითში მოსალოდნელი -ო სუფიქსის ნაცვლად აქვს -ა სუფიქსი (მოვჰკა—მოჰკა—მოჰკა-ს). თუმცა იშვიათად შეგვხვდება -ო სუფიქსიანი კავშირებითი (მოვჰკა-ო).

IV კლასი. -ავ თ ე მ ი ს ნ ი უ ნ ი ა ნ ე ბ დ. -ავ თემისნიშანი პროდუქტიულობის თვალსაზრისით მეორე ადგილზეა -ებ თემისნიშნის შემდეგ. ამ სუფიქსს დაირთავს 960-მდე ზმნა. როგორც ზემოთ ვნახეთ, თანამედროვე ქართულში -ავ სუფიქსის დართვის ტენდენციას იჩენენ აწმყოს ათემატური და ფუძედრეკადი ზმნებიც, რაც -ავ სუფიქსის სიცოცხლისუნარიანობაზე მიუთითებს.

ამ კლასის ზმნები წყვეტილის წარმოების მიხედვით 2 ძირითად ტიპად შეიძლება დაეყოთ.

1. „ნორმალური“ წარმოების ზმნები, რომელთაც ზმნური ფუძე არ ეცვლება, წყვეტილის ნიშანი არის -ე, შესაბამისად II კავშირებითის ნიშანი არის -ო სუფიქსი, წყვეტილში S<sub>2</sub>-ში — -ა (ვხატე—ხატა—ვხატო). ამათგან გამონაკლისია ორი ზმნა: ვწვავ (ვწუთავ) და ვჭვავავ, რომლებსაც წყვეტილის ნიშნად დღეს აქვთ -ი სუფიქსი: და-ვ-წვავ-ი, და-ვ-ჭვავავ-ი.

2. რ, ლ, ნ სონანტებზე დაბოლოებულ -ავ თემატურ სუფიქსიან ზმნათა უმეტესობას აწმყოში ფუძე შეკუმშული აქვს: ამოვარდნილია (ძირისეული) -ა, რასაც წყვეტილის S<sub>1</sub> და S<sub>2</sub> ფორმები ადასტურებენ (S<sub>2</sub>-ში კი პირას ნიშანი -ა კვლავ კუმშავს ფუძეს), ვკრავ—შეგვარ-ო/ი/—შეგრა. აღსანიშნავია, რომ ამ ზმნებს წყვეტილი ათემატური აქვთ, ∅ ნიშნიანი. პარალელურად „უფუნქციო“ -ი-ც დაერთვის, თანხმოვანთვასაყარად გაჩენილი მრავლობითის ფორმაში (მოგვალთ—მოგვალ-ი-თ, შეგვართ—შეგვარ-ი-თ). II კავშირებითში, როგორც მოსალოდნელია, მათ აქვთ სუფიქსი -ა, რომელიც აგრეთვე კუმშავს ძირს: მოგვალ-ა, შეგვარ-ა, მოვხნ-ა.

ცალკე უნდა გამოვეყოთ 2 ზმნა, რომელიც არ ბოლოვდება სონანტებზე, მაგრამ მაინც შეკუმშული ფუძითაა წარმოდგენილი აწმყოში: ვ-თხზავ, ვ-ხზავ. ძველ ქართულში მათ წყვეტილში სრული გახმოვანება ჰქონდათ (და შესაბამისად ნულოვანი აორისტი): შევთხზუ, დავკაუ. თანამედროვე ქართულში კი მათ -ე ნიშანი დაირთეს და შესაბამისად ხმოვანი დაკარგეს: შევთხზ-ე, დავახზ-ე.

აქვე აღსანიშნავია ვიც(ვ)-ავ ზმნაც, რომელიც წყვეტილში ე გახმოვანებას გვიჩვენებდა: და-ვ-ი-ცევ; დღეს კი ძირითადად იხმარება და-ვ-ი-ც-ავ-ა ფორმით. „ნართაული“ უფუნქციო ი-ს მუდმივი თანხლებით, რადგანაც უინო ფორმა და-ვ-ი-ც-ავ ემთხვევა მყოფადს.

გამონაკლისის სახით უნდა აღვნიშნოთ კიდევ რამდენიმე ზმნა, რომელიც წყვეტილის S<sub>3</sub> პირში -ა სუფიქსის პარალელურად -ო სუფიქსსაც დაირთავს: მორწყა-ა||მორწყა-ო; დარგა-ა||დარგა-ო; და(ა)რთ-(ა) და(ა)რთ-ო. ამათგან ორა უკანასკნელი უფრო ხშირად სწორედ -ო ნიშნით იხმარება. ფუძეკუმშვადთა-

გან ჩა-ვ-ფალ ზმნაც -ა-ს პარალელურად -ო სუფიქსს გვიჩვენებს S<sub>3</sub> პირში: ჩაფლ-ა||ჩაფლ-ო.

დღეს ამ ზმნათა შორისა ვნთქ-ავ და ვსუნთქ-ავ (—სულთქუმა) ზმნები, რომელნიც წინათ -ამ თემისნიშნითა რიგს ეკუთვნოდნენ.

V კლასი. -ებ თ ე მ ი ს ნ ი შ ნ ი ა ნ ე ბ ი. -ებ თემატურსუფიქსიანი ზმნები მეტად მრავალრიცხოვანია. მათი რიცხვი 2060-ს აღწევს. ეს იმითაა გამოწვეული, რომ -ებ სუფიქსი (-ა პრეფიქსთან ერთად) გარდამავალ ზმნებს აწარმოებს სახელთაგან. უმეტესობა გარდამავალ -ებთან ზმნათაგან სწორედ ნასახელარი ზმნებია. საჭიროების შემთხვევაში ნებისმიერი სახელისაგან შეგვიძლია ვაწარმოოთ გარდამავალი ზმნა ა-—-ებ კონფიქსის საშუალებით. საინტერესოა, რომ ა-—-ებ კონფიქსით ნაწარმოებ ზმნებს (პირველადსაც და ნასახელარსაც) სისტემატურად შეესაბამება სუფიქსიანი, დონიანი (ძველ ქართულში პარალელურად — ნარიანი) ვნებიტები (ვ-ა-სუქებ—ვ-სუქ-დ-ებ-ი; ვ-ა-ბარ-ებ—ვ-ბარ-დ-ებ-ი, ვ-ა-ცილ-ებ—ვ-ცილ-დ-ებ-ი). ზოლო ოდენ -ებ სუფიქსიანებს კი პრეფიქსიანი ვნებიტები: ვბადებ—ვიბადები, ვდებ—ვიდები, ვკიდებ—ვიკიდებ. როგორც ცნობილია, -დ(||-ნ) სუფიქსიც ძირითადად ნასახელარი ზმნების მწარმოებელია. აქედან, ცხადია, დონიანი ვნებიტები არ არის მიღებული მოქმედებითი გვარის ზმნათაგან კონვერსიის შედეგად. ეს სუფიქსი ე. წ. „უნიშნო“ ვნებიტების (წარმოშობით უგვარო დინამიკური ზმნების) ყალიბის მიხედვით დამოუკიდებლად აწარმოებს ნასახელარ ზმნებს. ამ თვალსაზრისით ისინი პირველადი ზმნებია, განსხვავებით პრეფიქსიანი (ინიანი და ენიანი) ვნებიტებისაგან, რომლებიც, როგორც წესი, მოქმედებითი გვარის ზმნებისაგან (მათი სასუბიექტო და საობიექტო ვერსიისაგან) კონვერსიის გზით მიღებული მეორეული ფორმებია.

ამ კლასის ზმნებს ძირითადად ერთგვარი, „რეგულარული“ წარმოება აქვთ, მაგრამ მაინც გამოიყოფა 2 ჭკუფი წყვეტილში S<sub>3</sub> პირის ნიშნისა და III სერიის თემის სხვაობის მიხედვით.

1. I ქვეტაში შედის აბსოლუტური უმეტესობა ებიანი ზმნებისა, რომელიც მიჰყვება ერთ წესს: წყვეტილის ნიშანი არის -ე, II კავშირებითისა კი შესაბამისად -ო. S<sub>3</sub>-ის ნიშანი წყვეტილში არის -ა. ეს ზმნები, როგორც წესი, -ებ თემის ნიშანს განივითარებენ თურმეობითში: ვაკეთებ—გავაკეთე-გამიკეთებია. სხვა კლასის ზმნათაგან განსხვავებით ეს ნიშანი მათ ანალოგიით უჩნდებათ აგრეთვე II თურმეობითსა და III კავშირებითშიც, მიუხედავად იმისა, რომ მათი თემა ეყრდნობა ენიანი ვნებითის. II სერიის თემას.

II თურმეობითი/III კავშირებითი; S<sub>3</sub>O<sub>1</sub>

ძველი: ა-ვ-ე-შენ-ე/-ო  
გარდამავალი: ა-ვ-ე-შენ-ებ-ი-ე/-ო  
ახალი: ა-ვ-ე-შენ-ებ-ი-ნ-ე/-ო

II თურმეობითი/III კავშირებითი S<sub>1</sub>O<sub>3</sub>

ა-მ-ე-შენ-ა/-ო-ს  
ა-მ-ე-შენ-ებ-ი-ა/-ო-ს  
ა-მ-ე-შენ-ებ-ი-ნ-ა/-ო-ს

ახალში, როგორც ვხედავთ, ჩართულია -ნ<sup>6</sup>. უნარო ფორმები დღესაც იხმარება დასავლურ დიალექტებში.

<sup>6</sup> ვაშბოთ, „განივითარებენო, რადგანაც თემატური სუფიქსი არა აქვთ სტატუტური ვნებიტების აწმყოს იმ ფორმებს, რომლებიც საფუძვლად დაედო გარდამავალ ზმნათა I თურმეობითის ფორმათა წარმოებას (მაიკეთის, (ე)-უკეთის).

<sup>6</sup> ზოგიერთი ენათმეცნიერი II თურმეობითის ფორმებს კაუზატიური წარმოშობით ხსნის და, ამგვარად, გამოყოფს კაუზატივის -ინ მწარმოებელს, რაც მართებული არ უნდა იყოს.

ამგვარად, განსხვავებით სხვა კლასის ზმნებისაგან, რომელთა I თურმეობითის ფუძე განსხვავდება II თურმეობითისა და III კავშირებითის ფუძისაგან აწმყოს თემატური ნიშნითაც, ამ ზმნებში აწმყოს თემატური ნიშანი I თურმეობითის ანალოგიით გავრცელებულია II თურმეობითისა და III კავშირებითშიც, რაც სისტემის გათანაბრებისადმი ტენდენციის გამოვლინების ერთ-ერთი მაგალითია.

ამავე ქვეჯგუფს განეკუთვნება კაუზატივის (შუალებითი კონტაქტის) ფორმებიც: აშენებინებს, აკეთებინებს და მათი მსგავსი. ამათთვის III სერიაში ვიღებთ შემდეგ ფორმებს:

$S_3O_1$	—————	$S_1O_3$
ავუშენებინებოვარ	—————	ამიშენებინებოა
ავუშენებინებინე	—————	ამუშენებინებინა
ავუშენებინებინო	—————	ამუშენებინებინოს

2. მეორე ქვეტიპს ქმნიან ისეთი ებიანი ზმნები, რომელთაც უმარცვლო ძირები აქვთ. განსხვავებით სხვა ებიან ზმნათაგან, წყვეტილის III პირში მათ აქვთ -ო ნიშანი (როგორც ფიქრობენ, მიღებული ვა კომპლექსისაგან: ვაქვე, აქვე, აქვე-ა→აქვა→აქო. აღმოსავლურ დიალექტებში დღესაც გვხვდება ევიანი ფორმები I და II პირში: ვაქვეფი, წავიდეფი. ისინი III სერიაში არ განავითარებენ -ებ თემის ნიშანს: მათი რიცხვი სულ 14-ით ამოიწურება: აგებს—აგ-ო—უგია; დებს—დად-ო—(და)უდ(ე)ია. აგდებს—აგდ-ო—(და)უგდია; აქებს—აქ-ო—უქია; ანთებს—ანთ-ო—უნთია; აღებს—აღ-ო—უღია; ახებს—(შე)ახ-ო—(შე)უხია; აცხებს—აცხ-ო—(მო)უცხია; აწებს—(ჩა)აწ-ო—(ჩა)უწია; ავნებს—ავნ-ო—უვნია; ავსებს—(გა)ავს-ო—(გა)უვსია; აელებს—(და)ავლ-ო—(და)უვლია; არგებს—(მო)არგ-ო—(მო)ურგია; იწყებს—(და)იწყ-ო—დაუწყია.

ამათ წყვეტილის მაწარმოებლად -ე ნიშანი აქვთ.

ცალკე უნდა გამოვყოთ რამდენიმე ზმნა: აგნებს, აგზნებს, ახლებს, აკლებს და ასწრებს. ესენი წყვეტილის  $S_1$  და  $S_2$  პირებში ფუძეში გვიჩვენებენ ე და ა გახმოვანებას, რის გამოც წყვეტილის ნიშნად აქვთ -Ø/-ი: მი-ვ-ა-გენ/ი, აღვა-გზენ/ი, ვახელ/ი, (და)ვ-ა-კელ/ი, (მო)ვ-ა-სწარ/ი. მაგრამ სასაუბრო მეტყველებაში სხვა ზმნათა ანალოგიით ამათაც „რეგულარული“ ფორმები უჩნდებათ წყვეტილის ნიშნით: მი-ვ-ა-გნ-ე, და-ვ-ა-კლ-ე, მო-ვ-ა-სწრ-ე. აღსანიშნავია, რომ ამ უკანასკნელთან  $S_3$  პირში -ა ნიშანიც დასტურდება: მაგ.: „ამ საქმის გარიგებაში დაგვესწრა-ა სამთავენელი ყანჩელი იოსები“ (იხ. სამართლის ძეგლები, ტ. IV, გვ. 197, 170, 1703 წლის საბუთი).

აღსანიშნავია, რომ II კავშირებითში მოსალოდნელი ა-ს ნაცვლად (რომელიც Ø სუფიქსიან წყვეტილს შეესაბამება) გვაქვს -ე ნიშნიანი წყვეტილის შესაბამისი -ო:დავაკლ-ო, მოვასწრ-ო.

გამონაკლისია აგრეთვე ზმნა ვუშვ-ებ, რომელსაც წყვეტილში აქვს -ი ნიშანი (გა)ვ-უშვ-ი,  $S_3$  გა-უ-შვ-ა. შესაბამისად, კავშირებითში -ა ექნება: გა-ვ-უ-შვ-ა.

VI კლასი. -ობ თ ე მ ი ს ნ ი შ ნ ი ა ნ ე ბ ი. ამ ზმნათაგან ზოგი ნაწარმოებია ე. წ. უნიშნო ვნებითაგან კაუზატიური ა-ობ კონფიქსის საშუალებით (იხ. ზემოთ) (ვთბები—ვათბობ, ვხმები—ვახმობ, ვშრები—ვაშრობ და სხვ.). უმეტესობას კი პრეფიქსიანი ვნებითი აქვს: აწრთობს—იწრთობა; ამკობს—იმკობა; აყრდნობს—ეყრდნობა.

1. ძირითად ქვეჯგუფს ქმნის ზმნები, რომელთაც წყვეტილის ნიშნად „რე-გულარული“ -ე აქვთ, ხოლო S<sub>3</sub>-ის ნიშნად, როგორც წესი, -ო.

I თურმეობითში განსხვავებით სხვა ზმნათაგან, მათზე ანალოგია არ მოქმედებს: ისინი არ განავითარებენ -ობ თემის ნიშანს: ვაპობ—(და)ვაპე—(და)-აპო—(და)-უპია; ვგმობ—დავგმე—დაგმო—დაუგმია და სხვ. II კავშირებითის ნიშანი წყვეტილის -ე-ს შესაბამისად არის -ო.

2. მეორე ქვეჯგუფს სულ 6 ფუძეკუმშვადი ზმნა ქმნის. მათ ძირის ბოლოკიდურად აქვთ ნ ან რ სონანტი. აწმყოში ფუძე შეკუმშული აქვთ, წყვეტილში — სრული გახმოვანება. სამს ა გახმოვანება, სამს — ე გახმოვანება. შესაბამისად წყვეტილის ნიშანი არის უკვე არა -ე, არამედ Ø/-ი. S<sub>3</sub>-ის -ა/-ო და II კავშირებითის -ა/-ო სუფიქსები კუმშავს ფუძეს:

- |                         |                                  |
|-------------------------|----------------------------------|
| ა) ვუთხრობ — ვუთხარ/ო   | უთხრა-ა — უთხრა-ა-ს <sup>1</sup> |
| ვიპყრობ — ვიპყარ/ო      | იპყრა/ო — (და)იპყრა-ა-ს/ო-ს      |
| ვიცნობ — ვიცან/ო        | იცნა(ა)/ო — იცნა-ა-ს/ო-ს         |
| ბ) ვაურდნობ — ვაურდენ/ო | აურდნ-ო — აურდნ-ო-ს              |
| ვამყნობ — ვამყენ/ო      | ამყნ-ო — ამყნ-ო-ს                |
| ვიგრძნობ — ვიგრძენ/ო    | იგრძნ-(ა)/ო — იგრძნ-ო-ს          |

-ა||-ო სუფიქსიან პარალელურ ფორმათაგან დღეს -ო სუფიქსია გაბატონებული.

ცალკე გამოიყოფა ვ-შ-ობ (ვ-შვ-ობ) ზმნა, რომელსაც წინათ სრული, ე გახმოვანება ჰქონდა წყვეტილში (ვ-შევ), დღეს კი ერთვის -ი სუფიქსი, რომელიც ამოადგებს ე-ს: ვ-შვ-ი.

VII კლასი. -ამ თ ე მ ი ს ნ ი შ ნ ი ა ნ ე ბ ი. ამ ზმნათა რიცხვი მეტად მცირეა, სულ 15-იოდე ზმნაა. ყველა მათგანს წყვეტილში აქვს -ი დაბოლოება, კავშირებითში კი შესაბამისად -ა სუფიქსი. ყველა მათგანი საკმაოდ თავისებურია ვნებითის ფორმათა წარმოების თვალსაზრისით, ზოგს სულ არა აქვს შესაბამისი ვნებითის ფორმა (მაგ., ვარტყამ, ვარქვამ, ვართვამ, ვუსვამ), ზოგს აბლაუტის წესით აქვს ვნებითის ფორმა ნაწარმოები (ვდგამ—დავდგი—დავდგივ). ზოგს კი ი/ი პრეფიქსიანი ვნებითი აქვს, მაგრამ განსხვავებით პრეფიქსიანი ვნებითის წყვეტილის რეგულარული -ე ნიშნისა (ვიხატები—დავიხატ-ე) ამათ წყვეტილში აქვთ ი სუფიქსი (ვაბამ-დავებ-ი, ვნთქამ—ჩავინთქ-ი, ვართხამ—გავერთხ-ი, ვუსვამ—წავესვ-ი, ვასხამ—დავესხ-ი; ესვამ ზმნის S<sub>1</sub> და S<sub>2</sub> ფორმები შევისვ-ი არ იხმარება, S<sub>3</sub> — შეისვა).

ერთ ზმნას სხვა ძირის ვნებითი აქვს ვხვამ—დავხვი—დავჯედ (ამისი შესაბამისი მოქმედებითი ნაწარმოებია კაუზატიური წესით: და-ვ-ა-ჯ(დ)-ინ-ე), ხოლო აღიქვამ ზმნა ვნებითის წყვეტილს აღწერთად აწარმოებს: აღქმულ ვაქენ(ი).

აღსანიშნავია წავუსვი ზმნა, რომელიც დიალექტებში აღიდგენს ე ხმოვანს წავუსვევ-(ი). ჩავნთქ-ი ფორმას კი აქვს პარალელური -ე სუფიქსიანი ფორმა: ჩავნთქ-ე.

I თურმეობითში, როგორც წესი, -ამ თემისნიშანი განუვითარდებათ, მაგ-

7 ეს ფორმა დღეს იხმარება „თქმის“ მნიშვნელობით და ენაცვლება აწმყოს ვეუზნები. ფორმას: (მო)ვუთხრობ ზმნის აწმყოს ფორმას დღეს ლიტერატურულში აქვს „ვუთხრობ“ ზმნის მნიშვნელობა. ასეთ შემთხვევაში მას წყვეტილის S<sub>3</sub>-ში აქვს ნიშანი -ო და კავშირებითის სუფიქსიდაც -ო: მო-ვუთხარი — მოუთხრა-ო — მოუთხრა-ო-ს. აღსანიშნავია, რომ მითხრობია ფორმას გურულში აქვს მითქვამს, თქმა ზმნის მნიშვნელობა.

რამ, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ძლიერი ტენდენცია იჩენს თავს -ამ-ის გარეშე ხმარებისა: ვაბამ—დამიბამს—დამიბია; ვარტყამ—დამირტყამს—დამირტყია. მით უფრო გრS<sub>1</sub> და გრS<sub>2</sub> პირებში: დავუბამ-ვარ—დაუბ-ი-ვარ; დაუბ-ამ-ხარ—დაუბ-ი-ხარ.

VIII და IX კლასები. -ემ და -ოფ თ ე მ ი ს ნ ი შ ნ ი ა ნ ე ბ ი. ეს კლასები თითო ზმნითაა წარმოდგენილი.

1. -ემ—მი-ვ-ს-ც-ემ—მი-ვ-ვ-ც/ო—მი-ს-ც-ა: წყვეტილი, როგორც ვხედავთ. ათემატური აქვს. ამავე დროს ეს მოქმედებითი გვარის ერთადერთი ზმნაა, რომელსაც I და II პირში ე- პრეფიქსი აქვს შენარჩუნებული (როგორც ჩანს, წარმოშობით საობიექტო ქცევის ნიშანი). III პირში მას კარგავს S<sub>3</sub>-ის -ა სუფიქსი მი-ს-ც-ა (ისევე, როგორც ვარკჟ ზმნაში იკარგება ა- პრეფიქსი: ვ-ა-რკჟა—ა-რკჟა—პრკჟა).

სცემს ზმნაში („დარტყმის“ მნიშვნელობით), როგორც ა. შანიძე აღნიშნავს<sup>8</sup>, ემ ფუძეშია გადასული (წყვეტილი: ვცემე—სცემე) და იგი ერთთემიანია, მაგრამ ძველ ქართულში ამ მნიშვნელობითაც ორთემიანი იყო: „აზგანი სცა“.

2. -ოფ თემატური სუფიქსი ღღეს ერთადერთ ყოფა ზმნას აქვს. აწმყოში მას შეკუმშული აქვს ფუძე, რომელიც, თავის მხრივ, -ავ სუფიქსს შეიცავს ყ-ავ-ოფ—ყ-ვ-ოფ—ყ-ოფ. წყვეტილში კი სრული სახითაა წარმოდგენილი: ვყავ-ო—ყავ/ო—ყ-ო (←ყვ-ა←ყავ-ა).

I თურმეობითში მარტივი ფუძითაა წარმოდგენილი: მიყ-ვია (ძველში -ოფ-ითაცაა დადასტურებული: გ-ი-ყ-ოფ-ი-ე-ს).

შენიშვნებში ტაბულასთან დაკავშირებით. 1. ტაბულაში ზმნური ფუძე (ძირი) აღნიშნულია ტირეთი (—). ფუძისეული (ძირისეული) ცვალებადი სმოვანი კვადრატულ ფრჩხილებშია ჩასმული: [ ].

ზმნურ ფუძეთა მთლიანი შედგენილობა ან ბოლოკიდური თანხმოვანი ნაჩვენებია მხოლოდ საჭიროების შემთხვევაში. ცნობილია, რომ ქართული ზმნური ფუძეებია (ძირებას) თავკიდური და ბოლოკიდური პოზიცია ყოველთვის თანხმოვანს უქირავს. ამასთან, არის როგორც მარცვლიანი (აბსოლუტური უმრავლესობა), ისე უმარცვლო (იშვიათი) ფუძეები. ქართული ზმნური ფუძეების სტრუქტურული მოდელების შესახებ იხ. ფ. ერთელაშვილის ნაშრომი „ზმნური ფუძეების ფონემატური სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები ქართულში“, 1970 წ.

2. მასდარი და მიმღეობა აწმყოს თემას ეყრდნობა.

3. ტაბულაში I სერიიდან მხოლოდ აწმყოს ფორმებია წარმოდგენილი, რადგანაც I სერიის ყველა მწკრივი ეყრდნობა აწმყოს თემას: უწყვეტელი — დ-ი; აწმყოს კავშირებითი — დ-ი. მყოფადი ზმნისწინიანი აწმყოს ფორმაა. შესაბამისად ხოლმეობითი და მყოფადის კავშირებითიც ზმნისწინიანი ფორმებია.

4. წყვეტილში საგანგებოდ აღვნიშნავთ S<sub>3</sub> პირის მხოლოდ -ო ნიშანს. ყველა დანარჩენ შემთხვევაში იგულისხმება, რომ არის -ა.

5. გარდამავალი ზმნის I თურმეობითის ფორმა წარმოადგენს სტატიკური ვნებითება აწმყოს საობიექტო ქცევის ინვერსიულ ფორმებს (ზმნისწინდართულს), მაგრამ, რადგანაც სტატიკური ზმნების უღლების სისტემის წარმოდგენა დიდ ადგილს დაიჭრდა, ამიტომ ტექნიკური თვალსაზრისით I თურმეობითის წარმოებისათვის ამ ტაბულაში უფრო მოსახერხებლად ვცანით მყოფადის ფორმების გამოყენება. ამის საფუძველს კი იძლეოდა ის, რომ ღღეს I თურმეობითის ფორმები შეიძლება წარმოვადგინოთ გარდამავალი ზმნის საობიექტო ქცევის ფორმებზე დაყრდნობით: მყოფადის ფუძეს (გა-უ-კეთ-ებ, გა-(მ)-ი-კეთ-ებ) S<sub>1</sub> და S<sub>2</sub> პირებში დაერთვის -ი სუფიქსი+შეშველი ზნა (-ი-ვარ, -ი-ხარ). S<sub>3</sub> პირში კი -ი სუფიქსი და S<sub>3</sub> პირის -ა ნიშანი (-ი-ა): გა-ვ-უ-კეთ-ებ-ი-ვარ, გა-მი-კეთ-ებ-ი-ა.

<sup>8</sup> ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, § 457, გვ. 307.





ტაბულა 2

გარდაბალი ზმნის თემა	№	საწყისი	აწმყო	წყვეტილი	II კავშირებითი	I თურმეობითი		II თურმეობითი	შესაბამისი ვნებითის ტაბე	აწმყო	წყვეტილი	II კავშირებითი
						S <sub>1</sub> , S <sub>2</sub>	S <sub>3</sub>					
IV	9	— C-უ-ა	— C-უ-ე	— C-ე	— C-ო	აე-ვარ	აე-ს	ე-—-ე		—-ე-ი	—-ე	—-ო
	10	რთ } რგ } რწყ }	— C-ე-ი-ს <sub>გ</sub> -ო	— C-ე-ი-ს <sub>გ</sub> -ო	— C-ო-ა	აე-ხარ	აე-ს	ე-—-ე-ი-ღ	ი-, ე-	[ღ]-ე-ე-ბ-ი	[ა]-ღ-ი-ი	[ღ]-ღ-ი-ა
	11	[ღ]C-ე-ა	[ა]-ღ-ი-ი	[ღ]-ა	[ღ]-ა	ი-ვარ	ი-ა	ე-—-ღ-ი-ი				
	12	წყ-ღ-ა	— ა-ე	— ა-ო	— ა-ა	ი-ხარ		ე-—-ი-ი		—-ი-ე-ბ-ი	—-ი	—-ა
V	13	— C-ე-ბ-ა	— C-ე	— C-ე		ე-ბ-ი-ვარ	ე-ბ-ი-ა	ე-—-ე-ბ-ი-ნ-ე	ი-, ე-	—-ე-ბ-ი	—-ე	—-ო
	14	C-ე-ბ-ა	— C-ე	— C-ე	— C-ო	ე-ბ-ი-ხარ	ი-ა	ე-—-ე-ს <sub>გ</sub> -ო	-ღ		—-ღ-ი	—-ღ-ე
	15	[ღ]ს-ბ-ა	[ღ]ს-ღ-ი	[ღ]ს-ღ-ი	[ღ]ს-ღ-ი	ი-ვარ		ე-—-ღ-ი-ი	ე-		ღ-ი-ი	—-ო-ა
	16	[ღ]ს-ე-ბ-ა	[ღ]ს-ღ-ი	[ღ]ს-ღ-ი	[ღ]ს-ღ-ი	ი-ხარ		ე-—-ღ-ი-ი		—-ღ-ბ-ი		
	17	ე-ე-ბ-ა	ე-ე-ე-ბ-ი	ე-ე-ე-ბ-ი	ე-ე-ე-ბ-ი			ე-—-ე-ი-ს <sub>გ</sub> -ო	ი-, ე-		ი-ი	—-ი



5.2. II თურმეობითის ფორმები ენაიანი ვნებითის წყვეტილის ფორმებს ემთხვევა, მათი ანეერსიის გზითაა მიღებული. ცბრილში ენაიანი ვნებითის წყვეტილის წარმოება ნიკეძულა, მაგრამ ჩვენ მაინც უფრო მოსახერხებლად მივიჩნევთ II თურმეობითის წარმოების წესი გამოვეყენება გარდამავალი ზმნის წყვეტილის ფუძეზე დაყრდნობით.

მაგ. წყვეტილი		II თურმეობითი	
S <sub>1</sub> O <sub>3</sub>	S <sub>2</sub> O <sub>1</sub>	S <sub>1</sub> O <sub>3</sub>	S <sub>2</sub> O <sub>1</sub>
ჩა-ე-წერ-ე	ჩა-მ-წერ-ა	ჩა-ე-ე-წერ-ე	ჩა-მ-ე-წერ-ა
გა-ე-წვიტ-ე	გა-მ-წვიტ-ა	გა-ე-ე-წვიტ-ე	გა-მ-ე-წვიტ-ა
გა-ე-შალ-ე	გა-მ-შალ-ა	გა-ე-ე-შალ-ე	გა-მ-ე-შალ-ა
გა-ე-ქერ-ი	გა-მ-ქერ-ა	გა-ე-ე-ქერ-ი	გა-მ-ე-ქერ-ა
და-ე-აბ-ი	და-მ-აბ-ა	და-ე-ე-აბ-ი	და-მ-ე-აბ-ა
და-ე-ხატ-ე	და-მ-ხატ-ა	და-ე-ე-ხატ-ე	და-მ-ე-ხატ-ა
გა-ე-აშრ-ე	გა-მ-აშრ-ო	გა-ე-ე-აშრ-ე	გა-მ-ე-აშრ-ო

როგორც ვხედავთ, წყვეტილის ფორმაში ფუძის წინ პირის ნიშნის შემდეგ ჩართულია ე-პრეფიქსი (ვენებითის ნიშანი), სუფიქსი კი მეორდება. ამგვარად, II თურმეობითის მაწარმოებლად პირობითად შეიძლება ჩაეთვალოს ე- — ე, ე- — -ე.

გამონაკლისს წარმოადგენს ის ებიანი ზმნები, რომლებიც I თურმეობითში -ებ თემის ნიშანს განივითარებენ. ისინი II თურმეობითშიც აგრძელებენ ამ ხაზს: გა-ე-ე-კეთ-ებ-ინ-ე. ამგვარად, აქ მაწარმოებლად გამოვა ე- — ებ- -ინ-ე, სადაც S<sub>2</sub> პირში -ე სუფიქსი იყვება -ა სუფიქსის დართვის გამო.

5.3. III სერიიდან ცბრილში არ არის წარმოდგენილი III კავშირებითი, რაღაც მას იგივე თემა აქვს, რაც II თურმეობითის და ფორმის თელსაზრისით ისეთსავე მიმართებაშია მასთან, როგორც II კავშირებითი წყვეტილთან. გარდა ამისა, აღსანიშნავია ისიც, რომ III კავშირებითის ფორმები თანამედროვე სალიტერატურო ქართულში თითქმის აღარ იხმარება. მათი ფუნქცია მთლიანად იკისრა II თურმეობითმა.

6. აღსანიშნავია, რომ -ენ სუფიქსიან ზმნათაგან ვნებითის ფორმა ყველას არ ეწარმოება, ხოლო თუ ეწარმოება, ღებონენსური შინაარსისაა (იკინებო); -ევ სუფიქსიან ზმნებს ზოგჯერ ღებონენსური ენებოთები ეწარმოება: ამლევ—იმლევ.

Д. Н. МЕЛИКИШВИЛИ

## СИСТЕМА СПРЯЖЕНИЯ АКТИВНОГО ГЛАГОЛА В СОВРЕМЕННОМ ГРУЗИНСКОМ ЯЗЫКЕ

Резюме

В спряжении современного грузинского глагола активного залога представлены две основные системы: система аффиксации и система аблаута: формы презенса и аориста, которые являются основными формами для образования соответственно I и II групп времен и наклонений различаются или посредством тематических аффиксов (-ი -ი, -ავ -av, -ამ -am, -ებ -eb, -ობ -ob: აკეთებ-აკეთე აქet-eb—აკ t-) или же чередованием гласного глагольной основы (ვრებ—გრიხე grax—gr'x).

Аблаут по сравнению с системой аффиксации ныне распространяется лишь на небольшую группу глаголов, которые в разговорной речи проявляют тенденцию к прибавлению тематического суффикса к основе презенса (ღრეკ—ღრიკ-ავ drak—dr'ik-av). Подобная тенденция уравновешивания системы проявляется и в случае атематических глаголов (ლეს-ლეს-ავ les-les-av).

Таким образом, система аффиксации вытесняет систему аблаута и постепенно становится единственной господствующей системой в спряжении грузинского глагола.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი ქართული ენის კათედრა  
წარმოდგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა შ. ძაქვიჯვრამა

## დალი ფხაკაძე

აბსოლუტურ ზენათა პირველი თურმეობითის ფუნქციები  
ძველსა და საშუალ ქართულში

ინდოევროპულ ენებში დროთა უძველეს და ძირითად ჯგუფებად მიჩნეულია: აწმყო, აორისტი და პერფექტი<sup>1</sup>. ასეა, მაგალითად, ძველ სლავურ ენებში<sup>2</sup>, მათ შორის რუსულშიც<sup>3</sup>. აქ აწმყოს, აორისტისა და იმპერფექტის ფორმებს უპირისპირდებოდა „რთული წარსული დრო“ (сложное прошедшее время)<sup>4</sup>, რომელსაც პერფექტის მნიშვნელობა ჰქონდა. პერფექტული დროები პასიური ფორმებიდან მომდინარეობდნენ და ამიტომ სინთეზური, აღწერითი წარმოებისა იყვნენ. მაგალითად, ძველ სლავურში, შესაბამისად ძველ რუსულშიც, ცნობილია პერფექტის წარმოება, ე. წ. „აზ“ ფუძიანი წარსული დროის მიმღეობისა და აწმყოს ფორმის დამხმარე ზმნის საშუალებით:

1. неслъ-а-о	е-смь	несл-ы-и-а	е-смь
2. неслъ-а-о	е-си	несл-ы-и-а	е-си
3. неслъ-а-о	е-сть	несл-ы-и-а	е-сть <sup>5</sup>

სინთეზური წარმოებისაა პერფექტი ინგლისურშიც. იგი ყოველთვის დამხმარე ზმნის (have, had, shall) საშუალებით მიიღება<sup>6</sup>.

აღწერითად ნაწარმოები პერფექტული მნიშვნელობის ფორმები მოეპოვებათ მთის კავკასიურ ენებსაც<sup>7</sup>.

პერფექტულ დროთა ფუნქციაა უჩვენოს არა მოქმედების პროცესი, არამედ მოქმედების შედეგი, ან უმდგომარეობა მოქმედების დასრულების შემდეგ. ერთ-ერთი ევროპული ენის ძველი ბერძნულის ჩვენამდე მოღწეულ ძეგლებში პერფექტი (მართალია, უკვე მკვდარი ფორმა და თვით ძველი ბერძნულისათვისაც კი გადმონაშთი), უმეტესად მიუთითებს ისეთ მოქმედებაზე, რომელიც უნდა გვესმოდეს, როგორც წარსულში დაწყებული მოქმედების რეზულტატი. როგორც მიუთითებენ, პერფექტი: „აღნიშნავს აწმყო მდგომარეობას, რომელიც შესრულებული მოქმედების რეზულტატს წარმოადგენს“<sup>8</sup>.

ინგლისურშიც პერფექტი მიუთითებს ისეთ მოქმედებაზე, რომელიც შედეგის სახით გვაქვს მოცემული<sup>9</sup>.

შედგობითი მოქმედების აღმნიშვნელი ფორმა მოიპოვება ბასკურშიც<sup>10</sup>, რომელიც, ზოგი მკვლევრის აზრით, კავკასიურ ენებს და მათ შორის ქართულსა გენეტიურადაც უკავშირდება<sup>11</sup>.

პერფექტული ფორმები არა მარტო ფუნქციის თვალსაზრისით არიან მდგომარეობის აღმნიშვნელი, არამედ მდგომარეობის აღმნიშვნელ სტატიკურ ფორმათაგანაც მომდინარეობენ. „ეარაუდობენ, რომ პერფექტი მდგომარეობის გამომხატველი ფორმებისაგან წარმოიშვა, ხოლო აწმყო და აორისტი მოქმედების გამომხატველი ფორმებისაგან“<sup>12</sup>.

მოქმედების შედეგის სახით წარმოდგენის თვალსაზრისით პერფექტული ფორმები იმავეთვე უპირისპირდებიან აწმყოს და აგრეთვე აორისტსაც, რო-

მელიც პერფექტის მსგავსად წარსული დროის თხრობითი კილოს ფორმაა, მაგრამ მოქმედების შედეგის ჩვენება არ შეუძლია. იგი გამოიყენება მხოლოდ წარსულში. მომხდარი რაიმე ფაქტის აღსანიშნავად<sup>13</sup>, მაშინ, როდესაც პერფექტული ფორმა ყოველთვის შედეგის, ანუ მდგომარეობის, აღნიშვნასთან არის დაკავშირებული.

პერფექტულ ფორმებთან მოქმედების შედეგი დროის გარკვეულ მონაკვეთთან არის მიმართებული — უმეტესად აწმყოსთან, რადგან ზოქმედების შედეგის აღნიშვნა უბნობის მომენტს ემთხვევა<sup>14</sup>.

ძველ ბერძნულში პერფექტს აწმყოს მნიშვნელობა აქვს და შემდეგ იგი აწმყოს სისტემაში გაერთიანდა. აწმყოს მნიშვნელობით გამოიყენება პერფექტი შემდეგ მაგალითებში: “Ἦρη, τίςτε βέβηχα — პერა, რატომ წამოსულხარ ἢ წამოხვედი და ხარ აქა? პერფექტი წინადადებაში იოლად შეეწყობა აწმყოს, მაგ., ἦ’ῆμαι καὶ ψέψηθα (არის ტოფ. Pax. 335).

ინგლისურში აწმყო დროზე მიუთითებს Presens, Perfect, Tense — აწმყოს პერფექტი. იგი მიუთითებს ისეთ აწმყო დროზე, რომელიც წარსულში შესრულებული ან დაწყებული მოქმედების შედეგია<sup>15</sup>. ასეთივე ფუნქცია აქვთ ძველი სლავურისა და რუსულის „რთული წარსულის“ (პერფექტის) ფორმებსაც. აწმყო დროზე მიუთითებს პერფექტი მთის კავკასიურ ენებშიც, მაგალითად ზუნიძურში. „ყოტუნ ბუგო“ — გაქრილი არის — მოქმედების რეზულტატს მიუთითებს აწმყოში. აწმყოსთან კავშირი ნათლად ჩანს ასეთივე წარმოების სტატიკურ ზმნებთან; როგორიცაა, მაგალითად: ჭაუნ ვ-უგო — დგას, ვ-ეგუნ ვ-უგო — წევს, ტიჟუნ ვ-უგო — სძინავს<sup>16</sup>.

საინტერესოა, რომ ქართულ ენასაც მოეპოვება რეზულტატური მოქმედების აღმნიშვნელი მწკრივი I თურმეობითის სახით. განსაკუთრებით ნათლად თურმეობითის ეს ფუნქცია ძველ ქართულში ჩანს აბსოლუტურ ზმნებთან...<sup>17</sup>

პირველი თურმეობითი (ერთპირიანი ზმნებისა) პასიურ დროთა წარმონაქმნია, რადგანაც მიღებულია წარსულდროიანი ვნებითი გვარის მიმღობისა და აწმყოს ფორმის დამხმარე სტატიკური ზმნისაგან.

მოვსულ ვარ	მოსულ ვართ
მოსულ ხარ	მოსულ ხართ
მოსულ არს	მოსულ არიან

ქართულში აბსოლუტურ ზმნათა პირველი თურმეობითი აღწერით წარმოებას გვიჩვენებს (ისევე როგორც სტატიკური აწმყოს ფორმები)<sup>18</sup>.

პირველი თურმეობითის (როგორც აბსოლუტურ, ასევე რელატიურ ფორმათა) ანალიზური წარმოება აღინიშნება არა მარტო ქართულ, არამედ ქართველურ ენებშიც. შენიშნულია, რომ „ქ“ სუფიქსი მეგრულში იმავე მნიშვნელობის ოდენობაა, რაც დამხმარე ზმნა ერთპირიან ფორმათა პირველ თურმეობითში და სტატიკური ვნებითის აწმყოში<sup>19</sup>. ჭანურში პირველი თურმეობითი ნაწარმოებია „დორენ“ მეშველი ზმნის საშუალებით; უფრო მეტიც, „თუ ქართულში ანალიზურ წარმოებას ორგანული ცვლის, ჭანურში გვაქვს მხოლოდ ერთი სახის აღწერითი წარმოება“<sup>20</sup>.

პირველი თურმეობითი აღწერითი წარმოებისა და პირველსა და მეორე პირში მეშველ ზმნას (ხჷი, ხი) დაირთავს ქვემოსვანურის ერთ-ერთ დიალექტში — ლენტეხურში<sup>21</sup>.

ამრიგად, პირველი თურმეობითის მეშველზმნიანი, აღწერითი წარმოება ყველა ქართველური ენისათვის არის დამახასიათებელი. წარმოების თვალსაზრისით აბსოლუტურ ზმნათა პირველი თურმეობითი ძალიან ახლოს დგას (თუკი სავსებით არ უტოლდება) ევროპული ენების პერფექტთან.

მსგავსება პერფექტულ ფორმებთან თავს იჩენს ფუნქციის თვალსაზრისითაც. საინტერესოა, რომ ძველი ქართული ენის, როგორც ნათარგმნ, ასევე ორიგინალურ, ძეგლებში აბსოლუტურ ზმნათა პირველი თურმეობითის ძირითადი ფუნქციაა მოქმედების შედეგის ჩვენება. მოქმედების შედეგი უმეტესად აღნიშნულია აწმყოში<sup>22</sup>. აბსოლუტურ ზმნათა პირველი თურმეობითი გვიჩვენებს ისეთ მოქმედებას, რომელიც მიჰდინარეობდა წარსულში და აწმყოში ამ მოქმედების დასრულების შედეგად მდგომარეობის სახეს იძენს. ამგვარი შედეგობითი მოქმედების ჩვენება შესაძლებელია სამსავე პირთან. აბსოლუტურ ზმნათა პირველი თურმეობითის ფორმების აწმყოსთან ფუნქციური კავშირი განსაკუთრებით კარგად ჩანს ძველ ქართულში, სადაც პირველი თურმეობითი აშკარად შედეგობითი აწმყოს მნიშვნელობით გვევლინება და ერთსა და იმავე დროს მიუთითებს როგორც მოქმედების შედეგზე, ასევე ახლანდელ დროზე. აღსანიშნავია ისიც, რომ „შედეგობითი მოქმედება“, ანუ მოქმედების აღნიშვნა შედეგის, ანუ მდგომარეობას, სახით, ყოველთვის სრული ასპექტის, დასრულებული მოქმედების მნიშვნელობის მქონეა ევროპულ ენებში. ასეა ეს ძველ ქართულშიც. პირველი თურმეობითი, ამ შემთხვევაში აბსოლუტური ზმნებისა, ყოველთვის სრულასპექტიან ფორმად უნდა მივიჩნიოთ, რადგან ის მდგომარეობის აღმნიშვნელი ფორმაა.

ძველი ქართული ენის ზოგი ძველი შედარებული იქნა პარალელურ ბერძნულ ტექსტთან. აღმოჩნდა, რომ აბსოლუტურ ფორმათა პირველი თურმეობითის პარალელურად ბერძნულში ხან პრეზენსია, ხან პერფექტი და ხანაც აორისტი. ეს ალბათ იმით უნდა აიხსნას, რომ ყველა ეს ფორმა პირველ თურმეობითთან ერთგვარ ფუნქციურ სიახლოვეს ამჟღავნებს.

პრეზენსი (praesens) ძველ ბერძნულში გადმოსცემს განგრძობით მოქმედებას, რომელსაც ადგილი აქვს აწმყოში. ამგვარი მოქმედება ყოველთვის უსრულია.

გარდა ამისა, ზოგიერთი მწერლის ენაში (მაგ. ჰესიოდესთან) პრეზენსი გამოიყენება ისეთი მოქმედების აღსანიშნავად, რომელსაც ადგილი ჰქონდა წარსულში, მაგრამ აწმყოსათვისაც არსებობს მათ ნაწარმოებებში<sup>23</sup>.

აღსანიშნავია, რომ ხშირად აწმყოს შეუძლია აორისტი. შეცვალოს. ამ შემთხვევაში იგი აღნიშნავს წარსულში მომხდარ მოქმედებას, რომელიც მეტი დამაჯერებლობისათვის აწმყოში არის გადმოტანილი. ასეთი მოქმედების გადმოცემა ექისრება praesens historicum-ს, რომელიც ფორმით არ განსხვავდება ჩვეულებრივი აწმყოსაგან, მაგრამ შინაარსი განსხვავებული აქვს. მაგ. Τισαφάρης δ. αβδλ. ει τὸν Κῆρον παῖς τὸν ἄβελδὸν ὁ δὲ πειθεταί τε καὶ σὺλλαμβάνει (ქსენოფონტე, Ἀναξαις, 1, 7, 16. ცილი დასწამა, დაუწერა, უბრძანა აელო. ფორმით ყველა praesens-ია).

რაც შეეხება პერფექტს (perfectum), იგი უჩვენებს შესრულებული მოქმედების რეზულტატს და წარსული დროის სრულასპექტიან ფორმას წარმოადგენს<sup>24</sup>. სხვა ენაზე (მაგ. რუსულად) თარგმნისას პერფექტი ხშირად აწმყოთი

გადმოდის. მაგ.: *ἔσθηξα* — я стoю (ვდგავარ), *τῆσθηξα* — я мeртв (მკვდარი ვარ), *ἔμνησα* — я вoиcсь (მეშინია).

პირველი თურმეობითის პარალელურად მისი გამოყენება სრულიად გასაგებია. ორივე უჩვენებს მოქმედების რეზულტატს აწმყოსათვის.

ბერძნული აორისტის (aoristus) შესაბამე უნდა ითქვას, რომ უპირველეს ყოვლისა იგი არის წარსული დროის ს რ უ ლ ა ს პ ე ქ ტ ი ა ნ ი ფორმა, რომელსაც ზოგჯერ შედეგობითი მნიშვნელობაც ენიჭება<sup>25</sup>. თურმეობითის პარალელურად მისი ხმარება ალბათ აიხსნება იმით, რომ ორივე წარსული დროის სრულასპექტიანი ფორმაა.

ძველსა და საშუაალ ქართულში მოქმედების შედეგს აჩვენებენ შემდეგი მაგალითები:

აწ საღამე კეშმარიტად ვშუაა, რამეთუ მე და ბებრებულ ვარ (ბიბლ. წიგნი მოსესი, 4. 30).

*Ἦρα γε ἀλήθως ἔχουμαι;* ჭყბ ძე *γε γήραχα* (vet. test. 12, 13)—perf.

... მე და ვშთოთმილ ვარ წინასწარმეტყველი ერთი უფლისა (ბიბლ., წიგნი მეფეთა, 1, 744).

... ჭყბ *ἵπικ. ἐλέμεαι* *πρωτότης* τῶν Κυρίου (vet. test. 267, 22)—perf.

... რამეთუ კელი შეახე მას ზედა, და შეგინებულ არს (ბიბლ., წიგნი მოსესი, 150).

... თბ ვბერ *εχχαιρῆσαι* σου *ἐπιβέβληχας* ἐν αὐτοῖς (vet. test. 56, 25)—perf.

შენღამი, უფალო, აღიხილენ თუალნი ჩემნი, რომელი დამკვიდრებულ ხარ ცათა შინა (ფსალ. 122, გვ. 357).

*Ἦδὲρ τῶν ἀναβιμῶν.* *πρὸς σὲ ἦρα τὸν ἐφθαλμοῖς μου τὸν χαισῶναισντα* *ἐν τῶ ὀραγῶ* (ψ. 122, გვ. 142)—prae.

განმტკიცებულ არს გული მისი და არა შეიშინოს, ვიდრემდე იხილოს მტერთა მისთაჲ (ფსალ., 111, ზ., 315).

*ἔσθηξα* *αὐτῶν* ἡ *καρδία* *αὐτῶν*, ὅ *μη* *φισήμῃ*, *ἔσς* *ὅς* *ἐπῆμῃ* *ἐπὶ* *τοῖς* *ἐχθροῖς* *αὐτῶν* (ψ. 111, 8)—prae.

... უფალო მონაჲ ჩემი დაცემულ არს სახლსა შინა ჩემსა განრღუეული და ძნიალ იგუემების იგი (მათე, DE, 8, 6).

*Κύριε, ὁ παῖς μου βέβληχαι* ἐν τῇ *οἰκίᾳ* *παραδουαῖς*, *θειωῶς* *βασανιζόμενος* (M. 8.6).

ხოლო ეამი მოწვენულ არს, ნუ მიხუალთ შედგომათ მათა (ლუკ. DE, 21, 8).

*καὶ ὁ καιρὸς ἦ γυαχε* *μη* *πopezmῆτε* *ὀπισω* *αὐτῶν* (Λ. 21,8).

ხოლო ჩუენ შესაძინელსა და კაცთმოუჟარებასა ღმრთისასა განმტკიცებულ ვართ (ძვ. ქართ. აგ. ძეგლ., 1, გვ 275, 35).

ეამი მოახლოებულ არს, ძმანო, და დღე მოწვენილ არს და საღმობაჲ შობადისაჲ (კიმენი, 1, 279, 35).

და მოსრულ ვარ ქადაგებად სახელისა მისისა (ათ. ივერ. მონასტ. ხელ.: გვ. 115. 197).

საშუაალ ქართულში აბსოლუტურ ზმნათა პირველი თურმეობითის ფორმათა წარმოებაში ზოგიერთი ცვლილება იჩენს თავს. კერძოდ, ანალიზურ ფორმებს ხშირად სინთეზური ცვლის. ფორმა უტრო მოქნილი და დინამიკური ხდება. მატულობს მათი რიცხვი.

საშუაალ ქართულში პირველი თურმეობითის ფორმებთან უკვე ისახება უნახაობის მნიშვნელობა. აღნიშნული ცვლილებების მიუხედავად მოქმედე-

ბის შედეგის ჩვენება საშუალო ქართულშიც წამყვან მნიშვნელობად რჩება, ამიტომ საშუალო ქართულის მაგალითებს ძველი ქართულის გვერდით განვიხილავთ. მაგალითები:

საშუალო ქართული: მაგრამ ჩემსა რა გიამბობს, გამოქრილვარ ასრე თუ რად! (ვეფხ. 300).<sup>1</sup>

მე ვისგან მქონდეს პატონი, აწ მასვე მოუღსენია (ვეფხ. 36.181).

კაბუკთ ძებნად წამოვსულვარ, ვერსად ვპოვე ჩემი მერე! (ამირ. დ. 248).

... მტერისა და მესისხლისათუს მიწყით დაპყრობილ ვარ (ეისრ. 138,5).

ვათენება მოახლოებულა, მაგრამ თქვენის გულისთვის წავალო (ყარ. 284).

შენ ესრე აღაღებულხარ, რომე შენი თავი ყოველთა ზედა უმაღლეს და უმატიონსე გგონია (ს. ორბ. ტ. II, 1, 39).

საილუსტრაციო მაგალითებიდან, ვფიქრობთ, ნათლად ჩანს, რომ პირველი თურმეობითის ფუნქცია არის მოქმედების შედეგის ჩვენება აწმყოში, აწმყო დროზე მითითება. ამრიგად, ძველ ქართულში აწმყო დროის ჩვენებას ორი მწკრივი კისრულობდა თითქოს: ეს გარემოება აპრიორი გულისხმობს, რომ ამ ორ აწმყოს შორის რაღაც განსხვავება არსებობდა. ეს, მართლაც ასეა და ძირითადი განსხვავება ამ ორ ფორმას შორის ასპექტის გამოხატვის სისტემასთან უნდა იყოს დაკავშირებული. როგორც ცნობილია, ძველ ქართულში ასპექტის გამოხატვა ეკისრებოდა არა პრევერბს, როგორც ეს თანამედროვე ქართულისათვის არის დამახასიათებელი, არამედ ნაკვეთებს<sup>2</sup>. ასპექტის გამოხატვის თვალსაზრისით ერთმანეთს უპირისპირდებოდნენ აწმყოსა და ნამყოს მწკრივები. პირველი სერიის, ანუ აწმყოს, მწკრივები უსრული ასპექტისა იყვნენ, ხოლო მეორე სერიის, ანუ ნამყოს, მწკრივები — სრული ასპექტისანი. ორივე სერიაში მოგვეპოვება მწკრივები, რომლებიც ერთმანეთს უპირისპირდებიან მხოლოდ ასპექტის მიხედვით. ესენია: ნამყო უწყვეტელი და ნამყო წყვეტილი, აწმყოს კავშირებითი და ნამყოს კავშირებითი, I ბრძანებითი და II ბრძანებითი. ე. ი. აწმყოს პარალელური სრულასპექტიანი ფორმა II სერიაში არ არსებობდა. ამასვე აღნიშნავს ზ. ჭუმბურიძე<sup>27</sup>.

სავარაუდოა, რომ უსრულასპექტიანი აწმყოს პარალელურად სრულასპექტიანი აწმყოს გამოხატვა სწორედ პირველ თურმეობითს ეკისრებოდა, რადგანაც იგი, როგორც შედეგობითი მნიშვნელობის მწკრივი, მუდამ სრულ ასპექტზე მიუთითებს. მაშინ ფორმათა შორის გვექნება ასეთი დაპირისპირება: აწმყო და პირველი თურმეობითი, უწყვეტელი და ნამყო სრული, აწმყოს კავშირებითი და ნამყოს კავშირებითი.

პირველი თურმეობითის ფორმები ძველსა და გარდამავალი ხანის ქართულში წარსული დროის მნიშვნელობითაც შეიძლება შეგვხვდეს. ამ შემთხვევაში ისინი გადმოსცემენ ისეთ დასრულებულ მოქმედებას, რომელსაც წარსულში ნამდვილად ჰქონია ადგილი. წარსულის მნიშვნელობის აღქმას არაიშვიათად ხელს უწყობს მომდევნო ზმნაც, რომელიც დროის მიხედვით უბნობის მომენტთან უფრო ახლოს ივარაუდება.

განსრულ არს ეშმაკი ასულისაჲან შენისა (მარკ. DE, 7, 29) // გამოჲდა (მარკ. C, 7, 29).

ἐξελήχθη τὸ βαπτισμὸν ἐκ τῆς θυσίας (Mark. 7,29)—plusg.

იოვანე ნათლის-მცემელი მკუდრებით აღდგო // მიღ არს, და მისთვის იქმნებიან ძალენ ესე (მარკ. DE 6, 14).

Ἰωάννης ὁ βαπτιστῆς ἐκ τῆς θυσίας, καὶ διὰ τούτου ἐνεργήσῃ αὐτὸν ἐν τῷ ἁγίῳ (M. 6,14)—perf.



არამედ გიხაროდენ, რამეთუ სახელები თქუენი აღწერილ არს ცათა შინა (ლუკ. C, 10,20) // დაიწერა ლუკ. DE 10, 20).

χαίρετε, ὃς ἔστι ἐν ὑμῖν ἄνθρωπος ὁμοιωμένος τῷ υἱοῦ τοῦ ἀνθρώπου (Λ. 10.20)—plusgu.

... ცოდვასა შინა შობილ ხარ შენ ყოვლადე და შენცა გუმოძღვრი ჩუენ? (იოვ. C 9, 34).

ἀπεκρίθησαν αὐτῷ ἐν ἀμαρτίαις ὅς ἐγεννηθήεις ἄνθρωπος, καὶ ὅς ἐδίδασκεις ἡμᾶς (Jovv. 9, 34)—aorist.

საშუალი ქართული:

დედისაგან კეკლუცად შობილ ვარ და ძიძისაგან წმიდად გაზრდილ ვარ (ვისრ. 189, 15).

გამღიერებულა, შენი ფიცი გაუტეხია (ვისრ. 139, 5).

წარსულის შედეგობითი ფორმები თავისი მნიშვნელობით ძალიან ახლოს დგანან აორისტთან. პარალელურ რედაქციებში ისინი ხშირად აორისტით არიან კიდევაც გადმოცემული. აორისტისა და პირველი თურმეობითის ამგვარი მონაცვლეობა საზეცნიერო ლიტერატურაში ცნობილი ფაქტია. ზოგჯერ თურმეობითს აორისტულ პერფექტსაც უწოდებენ<sup>28</sup>. წყნეთის შინაარსის მწკრივად მიიჩნევენ პირველ თურმეობითს ყ. ფეიქრიშვილი<sup>29</sup>. ნამყო სრული-სა და I თურმეობითის მონაცვლეობა შეინიშნება ქართული ენის დიალექტებშიც. ფართოდაა გავრცელებული ეს მოვლენა, მაგალითად, ინგილოურში: დამიწერია = დაეწერე<sup>30</sup>. ნამყო სრულიდან მომდინარეობენ თურმეობითის ფორმები მეგრულსა და ქანურში<sup>31</sup>. მიჩნეულია, რომ აორისტისა და თურმეობითის ფორმათა ამგვარი დამთხვევა თვით ქართული ენის ბუნებიდან უნდა მომდინარეობდეს<sup>32</sup>.

პირველი თურმეობითი და აორისტი, მართლაც, ჰვანან ერთმანეთს: დრო ორივეგან წარსულია, ასპექტი სრული. მაგრამ პირველი თურმეობითი შედეგობითი მოქმედების მაჩვენებელია და ამ თვალსაზრისით იგი იმთავითვე ემიჯნება აორისტს (როგორც ემიჯნება აწმყოს და აგრეთვე ხოლმეობითსაც).

მართალია, აორისტიც, როგორც უკვე (დასრულებული) მოქმედების გამომხატველი ფორმა, ერთგვარი შედეგობრიობის გაგებას შეიცავს, მაგრამ, მთავარია ის, რომ თურმეობითი, პერფექტული ფორმების დარად, მოქმედების შედეგს გვიჩვენებს არა საზოგადოდ, არამედ დროის გარკვეული მომენტისათვის. აორისტის შემთხვევაში კი დროზე მითითება, რა თქმა უნდა, ძირითადი არ არის.

ამ ორ ფორმას შორის განსხვავება შესაძლებელია ასპექტის გამომხატვის თვალსაზრისითაც იჩენდეს თავს. პირველი თურმეობითი იმთავითვე სრულ-ასპექტიანი ფორმაა, რადგანაც იგი მოქმედებას შედეგის სახით წარმოგვიდგენს და, ამდენად, მიუთითებს მოქმედების დასრულებაზე. როგორც ცნობილია, ძველი ქართული აორისტი სრულასპექტიან ფორმადაა მიჩნეული; მაგრამ ჩანს, რომ აორისტი, უპირველეს ყოვლისა, იყო ნამყო დროის თხრობითი კილოს ფორმა, რომელსაც ასპექტის გამომხატვის უნარიც ჰქონდა. როგორც ქართული, ასევე სხვა ენების მონაცემები გვიდასტურებენ, რომ აორისტი აწმყოსა და იმპერფექტის მწკრივებს უპირისპირდებოდა მხოლოდ როგორც ერთგზისი, ერთჯერადი მოქმედების აღმნიშვნელი ფორმა<sup>33</sup>.

ამრიგად, ძირითადი დაპირისპირება სრული და უსრული მოქმედების მიხედვით კი არ ხდება, არამედ ერთგზისი და განგრძობითი მოქმედების მიხედ-

ვით<sup>34</sup>. მაგ., აწენებდა და აშენა ფორმებიდან არც ერთი არ იძლევა ბოლომდე მოყვანილი მოქმედების მინაარსს, მაგრამ პირველი უსრულია იმიტომ, რომ გრძელდება, და მეორე უსრულია იმიტომ, რომ შეწყდა. აორისტი სრული ასპექტის მნიშვნელობასთან იმიტომაც აღმოჩნდა ახლოს, რომ იგი ერთგზისი მოქმედების მაჩვენებელია.

შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ აორისტი ქართულშიც არ იყო ყოველთვის სრულასპექტიანი ფორმა და დასრულებული მოქმედების აღნიშვნის მნიშვნელობა მან შედარებით გვიან მიიღო; მაშინ ნამყო დროის სრულასპექტიანი ფორმა მხოლოდ თურმეობითი იქნებოდა და ამ მხრივ დაპირისპირება თურმეობითსა და აორისტს შორის ასპექტის თვალსაზრისითაც იჩენდა თავს.

ძველ ქართულში აბსოლუტურ ზმნათა პირველი თურმეობითის ფორმებთან დაკავშირებით თავს იჩენს ერთი საკითხიც. რა დამოკიდებულება არსებობს აღნიშნულ ფორმათა პირველ თურმეობითსა და შედგენილ შემასმენელს შორის, რომლებიც ფორმის თვალსაზრისით ძალიან ჰგვანან ერთმანეთს.

მათი წარმოების მოდელი იმდენად ერთგვაროვანია, რომ ძველ ქართულში ისინი არც კი ყოფილან გამიჯნული. ამის გამოც არის, რომ ისეთი ფორმები, როგორცაა: მოცემულ არს, შეხებულ არს, ყოფილ არს (იყო). ივ. იმნაიშვილს ხან აწმყოს და ხან წყვეტილის ჩვეულებრივ ფორმებად მიაჩნია, რომლებიც წინადადებაში შედგენილი შემასმენლის როლს ასრულებენ<sup>35</sup>. პირველი თურმეობითის და შედგენილი შემასმენლის ფორმათა დიფერენციაციას შედარებით გვიანდელ (XII—XIII სს.) მოვლენად თვლის დ. მელიქიშვილიც<sup>36</sup>. მისი აზრით, ეს ფორმები მაშინ გაიმიჯნენ, როდესაც პირველი თურმეობითის ანალიზურმა ფორმებმა სინთეზურ წარმოებაზე იწყეს გადასვლა. სწორედ ამ დროიდან შედგენილი შემასმენლის სახელური ნაწილი ბრუნვის ნიშნით იქნა გაფორმებული.

ჩვენი აზრით, შედგენილი შემასმენელი და ის სტატიკური შედეგობითი ფორმა, რომელიც შემდეგ პირველი თურმეობითის პარადიგმაში გაერთიანდა, თავიდანვე გამიჯნული უნდა ყოფილიყვნენ. წარმოების მოდელი ამ ორ ფორმას ერთნაირი აქვს. მათი მსგავსებისათვის ამოსავალი ფაქტორია დამხმარე ზმნის გამოყენება ორივე ფორმასთან. მსგავსებას ისიც უწყობს ხელს, რომ სინთეზურ წარმოებაზე გადასვლასთან დაკავშირებით, როგორც პირველი თურმეობითის, ასევე შედგენილი შემასმენლის ფორმებთან მესამე პირში დამხმარე ზმნა თავ ზმნას შეუხორცდა (თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ პირველი თურმეობითის აბსოლუტურ ფორმებთან სინთეზური წარმოება სამივე პირთან არ არის გატარებული). მაგრამ აქ განსხვავებაც მკაცრად არის დაცული. პირველი თურმეობითის წარმოებაში მონაწილეობას იღებს ვნებითი გვარის წარსული დროის მიმღეობა (როგორც ეს ახასიათებს ევროპულ ენათა პერფექტულ ფორმებსაც), ხოლო შედგენილი შემასმენლის მოდელი ძველ ქართულში აგებულია სახელისა და დამხმარე ზმნის საშუალებით<sup>37</sup>.

მართალია, დღეისათვის არსებობს შედგენილი შემასმენლის ერთი ნაწილი, რომელთა წარმოებაში სახელურ ნაწილად გამოიყენება გასუბსტანტივებულო მიმღეობა. მაგალითად, მასწავლებელია, მხატვარია, მწერალია და დღეს ეს ფორმები არაერთარ შინაარსობრივ განსხვავებას არ იძლევიან ისეთ ფორმებთან შედარებით, როგორცაა: პეტრე კოლმეურნეა, ეს სურათი კარგია, დაფა დიდია და სხვა, მაგრამ ასეთი ფორმები გვიანდელი წარმონაქმნებია. თანაც ძალიან მნიშვნელოვანია ის გა-

რემოება, რომ ფორმებში: მწერალია, მასწავლებელია და ა. შ. მიმღეობას და-კარგული აქვს თავისი პირვანდელი მნიშვნელობა და სემანტიკურად იგი სახელს უტოლდება.

მეორე და არანაკლებ მნიშვნელოვანი განმასხვავებელი ნიშანი არის ფუნქცია. ეს ორი ფორმა ფუნქციითაც განსხვავდება ერთმანეთისაგან. პირველი თურმეობითის ანალიზურ ფორმათა ძირითადი მნიშვნელობა არის მოქმედების შედეგზე მითითება, სადაც არცთუ უკანასკნელ როლს უნდა ასრულებდეს სწორედ ვნებითი გვარის მიმღეობა. არა გვგონია, რომ შედგენილ შემასმენელს, მიუხედავად პირველი თურმეობითის გარკვეული მსგავსებისა აბსოლუტურ ფორმებთან შეეძლო ეტვირთა ასეთივე ფუნქცია.

ასეა თუ ისე, ჩანს, ეს ფორმები ძველ ქართულშიაც არ ყოფილან იმდენად მკვეთრად გამოჩნულნი, რომ იშვიათად, მაგრამ მაინც ერთმანეთში არ არეულიყო. ბიბლიასა და ოთხთავში არის რამდენიმე შემთხვევა, სადაც ქართული პირველი თურმეობითის ანალიზურ ფორმათა საპირისპიროდ ბერძნულში შედგენილი შემასმენელი გვხვდება. მაგალითად:

... და იხილა რამეთუ მეცელ ქმნულ არს, და უპატიო იქმნა დედოჯალი მისი მის წინაშე (ბიბლ., წიგნი მოსესი, 126).

... και ει εν ου γαστρι εξει, και ηεμασθη η καρια εσθουσιον αυτης (vet. test. 104.).

... მაშინ პრქუა მათ იესუ: შეწყუხებულს არს სული ჩემი ვიდრე სიკუდილდმოე (მ. ც, 26.38).

τοτε λεγει αυτοις περιλαπδς εσιν η ψυχη μου ειναι εναντιον (M. 26.38).

... ამენ გეტუჲ თჳუნ. რამეთუ არავინ წინასწარმეტყუელი შეწყყნარებულ არს თჳსსა სოფელსა (ლუკ. ც, 4.24.).

ამ ფორმათა პარალელურად ხმარების მიზეზი ალბათ ისიც არის, რომ პირველი თურმეობითის მსგავსად აწმყო დროზე მითითება შესაძლებელია შედგენილი შემასმენლის საშუალებითაც, რადგან შედგენილი შემასმენლის წარმოებაში აწმყოს ფორმის დამხმარე ზმნა გამოიყენება.

რა თქმა უნდა საკითხი უფრო დეტალურ შესწავლას მოითხოვს, მაგრამ, ვფიქრობთ, ამჟამად ზემოთ მოყვანილი საბუთებით დავკმაყოფილდეთ.

რაკი პირველი თურმეობითი მდგომარეობის აღმნიშვნელი სტატიკური ფორმაა, ამიტომ ბუნებრივია ჩნდება ერთი კითხვაც: რა დამოკიდებულება არსებობს აწმყოს სტატიკურ ფორმებსა და პირველ თურმეობითს შორის. განსხვავდებიან თუ არა ისინი ერთმანეთისაგან?

ჯერ ერთი, სტატიკურ და პერფექტულ ფორმათა ერთმანეთის გვერდით არსებობით ქართული გამონაკლისთა რიცხვში არ დგას.

სტატიკური და პერფექტული ფორმები ცალ-ცალკე დასტურდება ევროპულ ენებშიც. გარდა ამისა, სტატიკურობა და პერფექტულობა, ვფიქრობთ, აბსოლუტურად იდენტური ოდენობები მაინც არ არის. მართალია, ორივე მდგომარეობას აღნიშნავს, მაგრამ, როგორც ამას ბ. ჯორბენაძეც აღნიშნავს: „მდგომარეობა შეიძლება ორგვარი იყოს, აღნიშნავდეს მხოლოდ მდგომარეობას, ან აღნიშნავდეს მდგომარეობას, როგორც მოქმედების შედეგს“<sup>38</sup>.

მართლაც, სტატიკური აწმყოს ფორმები აღნიშნავენ სტატუსს საერთოდ: დგას, ზის, წევს, ძევს და სხვა. აქ ძირითადია საგნის მდგომარეობას აღნიშვნა აწმყოსათვის, უზნობის მომენტისათვის. ანგარიში არ ეწევა იმას, უძლოდა თუ არა ამ მდგომარეობას წინ რაიმე მოქმედება. პერფექტული ფორმებისათვის კი

ძირითადია მდგომარეობის, როგორც მოქმედების შედეგის აღნიშვნა: *დაწო-  
ლილ არს, აღდგომილ არს, მოსულ არს და სხვა*. მოქმედების  
შედეგობრიობა გულისხმობს წარსულისა და აწმყო დაპირისპირებას, სადაც  
წარსული არის მოქმედების, ხოლო აწმყო შედეგის, ანუ  
მდგომარეობის არე და უზნობის მომენტისათვის გათვალისწინებულია  
ერთი და მეორეც. აღსანიშნავია ისიც, რომ თანამედროვე ქართულში გამო-  
იყოფა სტატიკურ ზმნათა ნაწილი (ა-ფენ-ი-ა, ა-ბ-ი-ა, ა-სხ-ი-ა ტიპისა), რომ-  
ელთაც აშკარად პერფექტული მნიშვნელობა აქვთ, მაგრამ აღნიშნული ფორმე-  
ბი სწორედ ამ თვალსაზრისით უპირისპირდებიან სტატიკურ ფორმებს.

პირველ თურმეობითს ძველ ქართულში შედეგობითი მოქმედებას ჩვენე-  
ბის გვერდით კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფუნქცია აკისრია. ეს არის *გახან-  
გრძლივებული*, ან *განმეორებელი* მოქმედების ჩვენება.

პირველი თურმეობითით გადმოცემული გახანგრძლივებული მოქმედება  
ისეთივე მნიშვნელობისაა, როგორისაც ე. წ. „ზოგადი აწმყო“, მაგ., „ჩიტო  
დაფრინავს“-ის რიგისა. აქ მთავარია საზოგადოდ გახანგრძლივებული მოქმე-  
დების ჩვენება და არა ამ მოქმედების დაკავშირება დროის რომელიმე მონა-  
კვეთთან. მაგ.:

*თქმულ არს*: არა განსაცადო უფალი ღმერთი შენი (ლ. C, 4.12).

*ἐἶρηται, οὐκ ἐκπεράσεις Κύριον τὸν Θεόν σου* (Λ. 4. 12)—*praes.*

ამ მაგალითში შედეგობითი ფორმის საშუალებით გადმოცემულია მოქმე-  
დება დროზე მითითების გარეშე. „თქმულ არს“ — საზოგადოდ ასე არის ნათ-  
ქვამი, ასე ამბობენ. ასეთივე მნიშვნელობის არის მომდევნო მაგალითიც:

... მერმე წერილ არს: არა განსაცადო უფალი ღმერთი შენი (მათე, C, 4.10).

*παλιν ὑέγραπται, οὐκ ἔκπεράσεις Κύριον τὸν Θεόν σου* (M. 4. 10).

ზოგჯერ მოქმედება, რომელიც ხანგრძლივი დროის მანძილზე ივარაუდე-  
ბა, წყდება და კვლავ აღდგება, რის გამოც გვაქვს მრავალგზისი, განმეორებუ-  
ლი მოქმედება... ამგვარი მნიშვნელობის გადმოცემისას პირველ თურმეობითს  
ხშირად ახლავს სპეციფიკური სიტყვები — მრავალგზისი, ნიადაგ და სხვა, რომ-  
ლებიც მრავალგზისობის ფუნქციას ხაზს უსვამენ და აძლიერებენ.

ძველი ქართული: სერგი მთავარმა თქვა: მრავალგზის მოსროულ ვარ  
მე სენაკსა შენსა (კიმენი, I. 72,30).

საშუალო ქართული: მე ნიადაგ მასზე მწყალობელი ვყოფილვარ და  
ლდე-ყოელ კეთილი მიქნია (ს. ს. ორბ., ტ. 2, 178).

ამრიგად. თუ მოქმედების შედეგი მოცემულია დროზე მითითების გარე-  
შე, გვექნება გახანგრძლივებული მოქმედება, ხოლო თუკი ასეთი მოქმედება  
შეწყვეტილად და კვლავ აღდგენილად ივარაუდება, გვექნება იტერატიული,  
ანუ განმეორებული მოქმედება.

პირველი თურმეობითის მიერ მოქმედების მრავალგზისობის ჩვენების  
უნარი აღნიშნულია სპეციალურ ლიტერატურაში, მაგრამ გარდამავალ ზმნებ-  
თან დაკავშირებით<sup>39</sup>. ამ ფუნქციის გამოყოფას აქ ზურგს უმაგრებს თურმეო-  
ბითის მაწარმოებელი *o* ფორმანტი, რომელიც ზოლმეობითიდან მომდინარედ  
მიიჩნევა<sup>40</sup>. მაგრამ, როგორც ნაჩვენებია იყო, განგრძობითი და მრავალგზისი  
მოქმედებას ჩვენება შესაძლებელია აბსოლუტური ზმნების თურმეობითის  
საშუალებითაც და, შესაძლებელია, რომ *o* ფორმანტი ამ ფორმათა წარმოება-  
შიც მონაწილეობს.

გამოთქმულია ვარაუდი, რომ მიმღეობის იღ სუფიქსი რთული სუფიქსია და ისეთივე აგებულებისაა, როგორისაც მასდარის იღ სუფიქსი<sup>41</sup>, სადაც ი ზმნური ნაწილის კუთვნილებაა, ხოლო ლ სახელურის (მაგ., საწყისებში: ტირ-ილი-ი, წუხ-ი-ლი-ი და სხვა). თუკი -ი- სუფიქსი საწყისში ზმნურ ნაწილს ეკუთვნის, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ასეთივე მნიშვნელობისა იქნება იგი მიმღეობაშიც, ე. ი. სავარაუდებელია, რომ მიმღეობაშიც ი ზმნური ნაწილის კუთვნილებაა და, შესაძლებელია, ეს სუფიქსი დიურატიულობას მიუთითებს. რაც შეეხება -ულ- სუფიქსს, იგი -ილ- სუფიქსის ფონეტიკურ სახესხვაობას წარმოადგენს<sup>42</sup>.

აბსოლუტური ზმნის პირველი თურმეობითის ზმნური ნაწილი არის სტატიკური დამხმარე ზმნა აწმყოს ფორმით. შეიძლება თუ არა დამხმარე ზმნა თავისი ამ ორი ნიშნის მიხედვით — სტატიკურობით და აწმყოსეულობით — განგრძობითი მოქმედების მაჩვენებლად მივიჩნიოთ? ვფიქრობთ, შეიძლება!

დამხმარე ზმნაშიც ხომ აღდგება ხოლმეობითიდან მომდინარე ი ფორმანტი (ვარ-ი, ხარ-ი, არ-ი-ს), რომელიც მოქმედების განგრძობითობაზე მიუთითებს.

ამრიგად, პირველმა თურმეობითმა შეიძლება იტვირთოს არა მარტო აწმყოს მნიშვნელობა, არამედ ხოლმეობითისაც, მაგრამ პირველი თურმეობითი ხოლმეობითთან ფუნქციური მსგავსების გვერდით გვიჩვენებს ძირითად განსხვავებასაც. ფუნქციური განსხვავება პირველ თურმეობითსა და ხოლმეობითს შორის კი იმაში გამოიხატება, რომ ხოლმეობითი დინამიკას გულისხმობს. მას, როგორც დინამიკურ ფორმას, შეეძლო ეტვირთა განმეორებული მოქმედების ჩვენება; თურმეობითის შემთხვევაში კი განმეორებული მოქმედება გადმოცემულია სტატიკური, შედეგობითი ფორმის საშუალებით.

მეორე მნიშვნელოვანი განსხვავება ხოლმეობითსა და თურმეობითს შორის ასპექტის გამოხატვაშიც იჩენს თავს. როგორც ჩანს, ხოლმეობითით გადმოცემული მრავალგზისი მოქმედებაც არ იძლევა მაინცაღანაინც ბოლომდე მოყვანილი მოქმედების მნიშვნელობას. მრავალგზისობა აქ გაგებულია, როგორც ჩვეული, დამახასიათებელი მოქმედება. დასრულებულად უნდა წარმოვიდგინოთ მოქმედების თითოეული კომპონენტი და არა მთლიანი მოქმედება. გარდა ამისა, როგორც ჩანს, ხოლმეობითის თავდაპირველი მნიშვნელობა დიურატიული მოქმედების ჩვენება იყო<sup>43</sup>, რაც სრულასპექტიანობას გამოირიცხავს.

პირველი თურმეობითით გადმოცემული მრავალგზისი მოქმედება კი პ ე რ ფ ე ქ ტ უ ლ ი ხ ა ს ი ა თ ი ს ა ა. იგი იმთავითვე შემოფარგლულია წარსულითა და აწმყოთი, რაც ამ მოქმედების დასრულებულად წარმოდგენის საშუალებას იძლევა.

XII—XIII საუკუნეებიდან აბსოლუტურ ზმნათა თურმეობითი შეიძლება შეგვხვდეს უ ნ ა ხ ა ვ ი მოქმედების მნიშვნელობითაც.

საანალიზო მასალაში უნახავი მოქმედების მაჩვენებელ ფორმათა შორის გამოვლინდა შემდეგი ნიუანსები: ა) მოქმედების შედეგი გარკვეული დროით არის დაშორებული სუბიექტისაგან, მას ამ მოქმედების შესახებ ცნობები მოეპოვება სხვისი გადმოცემის შედეგად ან წერილობითი წყაროებიდან. შესაბამისი ზილული ფორმა წყვეტილით იქნებოდა გადმოცემული.

შ ე მ ო ს უ ლ ა ჩვენს ქვეყანას ამბობს არაბ. ცოტა უმითა... (ამირ. დარ. 73, 517).

მარიამ მაგდანელი ფლორენცაული თავადის ქალი ყოფილა (ს. ს. ორბ., ტ. 1, 218).

წილის ტერზიას რიგის ქალწული შექმნილა (ს. ორბ., ტ. 1, 218).

ექვსასი კაცისაგან ორმოცი კაციდა ვადარჩენილა... (ყარ. 543).

ბ) სუბიექტი მოქმედების შესახებ დასკვნას აქეაუბს ფაქტების შეჯამების შედეგად:

ჩვენი საქმე ესრე გასრულა, რომელ აქათგან აღარ დაიშალვის (ვისრ. 287,20).

უნახაობის მნიშვნელობით პირველი თურმეობითი გვხვდება მხოლოდ მესამე პირის ფორმებთან, რაც გვაფარაულებინებს, რომ უნახაობის გაგება თავდაპირველად სწორედ მესამე პირის ფორმებთან უნდა ჩასახულიყო. ეს გარემოება მჭიდროდ უნდა იყოს დაკავშირებული აბსოლუტური ზმნების I თურმეობითის სინთეზურ წარმოებაზე გადასვლასთან. როგორც ცნობილია, სინთეზურ წარმოებაზე გადასვლა პირველად სწორედ მესამე პირის ფორმებთან დაიწყო<sup>1</sup>.

შეიძლება დავასკვნათ:

1. აბსოლუტურ ზმნათა პირველი თურმეობითი ძველ ქართულში პერფექტული ნიშნებით ხასიათდება. ეს ეხება როგორც წარმოებას, ასევე ფუნქციებს.

2. ძველ ქართულში პირველი თურმეობითის ძირითადი ფუნქციაა მოქმედების შედეგის სახით ჩვენება. ამგვარი „შედეგობითი მოქმედება“ ყოველთვის სრული ასპექტის მნიშვნელობისაა. ამ თვალსაზრისით თურმეობითი უპირისპირდება როგორც აწმყოსა და ხოლმეობითს, ასევე აორისტსაც.

3. მეორე მნიშვნელოვანი ფუნქცია, რომელიც I თურმეობითს ძველ ქართულში აქვს, არის გახანგრძლივებული. განმეორებული მოქმედების ჩვენება.

მოქმედების გახანგრძლივებულად ან ზოგჯერ განმეორებულად წარმოდგენა პერფექტული ფორმების დამახასიათებელი ნიშანია. ამ ფუნქციის აღქმას ერთგვარად ხელს უწყობს ფორმის ანალიზური წარმოებაც. I თურმეობითის აბსოლუტური ფორმების შემთხვევაში განგრძობითი მოქმედება ფორმალურადაც აღნიშნულია ხოლმეობითის • ფორმანტის საშუალებით, რომელიც შეიძლება აღდგეს ფორმის როგორც ზმნურ, ასევე სახელურ ნაწილშიც.

4. XII—XIII საუკუნიდან პირველი თურმეობითის ფორმებთან კიდევ ერთი მნიშვნელობა ჩნდება. ესაა უნახავი, ანუ თურმეობითი მოქმედების ჩვენება. ამ ფუნქციით მხოლოდ მესამე პირის ფორმები გვხვდება. უნახაობის მნიშვნელობის ჩამოყალიბება სინთეზურ წარმოებაზე გადასვლასთან უნდა იყოს დაკავშირებული.

#### შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ა

<sup>1</sup> П. Шантрен, Историческая морфология греческого языка, М., 1953, გვ. 128; А. Н. Савченко, Категория среднего залога в индоевропейском языке (автореферат). Л., 1960; ბ. ჭობენაძე, ზმნის გვარის ფორმათა წარმოებისა და ფუნქციის საკითხები ქართულში, თბილისი, 1975, გვ. 23.

<sup>2</sup> А. Мейс, Общеславянский язык, М., 1951, გვ. 207.

<sup>3</sup> П. Я. Черныш, Историческая грамматика русского языка, М., 1952, გვ. 215, 255.

<sup>4</sup> А. Мейс, დასახ. ნაშრომი, გვ. 211.

<sup>5</sup> П. Я. Черныш, დასახ. ნაშრომი, § 100, გვ. 225.

<sup>6</sup> Е. В. Белова, Л. Р. Тодд, Учебник английского языка, М., 1946, გვ. 268.

<sup>7</sup> ბარბ. ჩიქობავა, ილ. ტყეშელაშვილი, ხუნძური ენა, თბილისი, 1962, გვ. 330, ანდა, ტ. გუდავა, ბავშვური ენა, თბილისი, 1971, გვ. 135—137.

- <sup>8</sup> Г. Нидерле, Грамматика греческого языка, ч. II, синтаксис, М., 1887, გვ. 167.
- <sup>9</sup> Е. В. Белова, Л. Р. Тодд, დასახ. ნაშრომი, გვ. 267, 268.
- <sup>10</sup> რ. ლაფონი, ბასკური ენა და ბასკურ-კავკასიური ჰიპოთეზა, არნ. ჩიქობავას წინა. სიტყვაობითა და რედაქციით, თბილისი, 1976, გვ. 48.
- <sup>11</sup> ამ აზრს იზიარებენ: ნ. მარია, პ. შუხარდტი, ტრომბეტო, ვინკლერი, ულენბეი, დიუ-მეზილი, ბოლუა და ლაფონი (იხ. რ. ლაფონი, დასახ. ნაშრომი, გვ. 71).
- <sup>12</sup> ბ. ჟორბენაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 23.
- <sup>13</sup> А. Мейе, Общеславянский язык, გვ. 198, 206.
- <sup>14</sup> უნდა აღინიშნოს, რომ პერფექტულ ფორმათა საშუალებით მოქმედების შედეგის მიმართება შესაძლებელია ნამყოსთან და ზოგჯერ მომავალთანაც. ნამყოს შედეგობითი ფორმები მოეპოვება ევროპულ ენათაგან, მაგა ლითად, ინგლისურს (Past Perfect Tense), კავკასიურთაგან — ხუნძურს (ყოტუა-ბუჯანა). ლათინურმა პერფექტული მომავალი დროც გაანეითარა. ასეთი მნიშვნელობისაა, მაგალითად, dixero ტიპის ზმნები.
- <sup>15</sup> Е. В. Белова, А. Р. Тодд, დასახ. ნაშრომი, გვ. 263.
- <sup>16</sup> არნ. ჩიქობავა, ილ. ცერცვაძე, ხუნძური ენა, გვ. 331. აქვე უნდა ითქვას, რომ აღწერილი ფორმებისათვის საერთოდ ნიშანდობლივია აწმყო დროზე მითითება, ამას გვიდასტურებს თუნდაც ლეზგიური ზმნა, რომელსაც აწმყო დროში მხოლოდ აღწერილი ფორმები მოეპოვება (იხ. გ. თოფურიია, ლეზგიური ზმნის ძირითადი მორფოლოგიური კატეგორიები, თბილისი, 1959, გვ. 22).
- <sup>17</sup> დ. მელიქიშვილი, იოანე პეტრიწის ფილოსოფიურ შრომათა ენა და სტალი, თბილისი, 1975, გვ. 18. მკვლევარს აქ მითითებული აქვს, რომ პირველ თურმეობითს (აბს. ზმნებისა) ძველ ქართულში ჩვეულებრივ რეზულტატური მნიშვნელობა აქვს და „თურმეობითობა“, ანუ უნახავი მოქმედების ჩვენება, ამ პერიოდისათვის მათთვის ჯერ კიდევ არ არის დამახასიათებელი.
- <sup>18</sup> ქართული ზმნის პოლიპერსონალობის გამო აღწერილი წარმოება შესაძლებელია შეგვხვდეს არა მარტო აბსოლუტურ ფორმებთან, არამედ ორიპირიან, გარდუევალ რელატიური იგებულების ზმნებშიც („შევეყარებეივარ“ ტიპისა). არც გარდამავალი ფორმებისთვის ჩანს გამორიცხული შემეგლიზმნის წარმოება („შემიყრიხართ“).
- <sup>19</sup> ქ. ლომთაძე, „ქ“ სუფიქსისათვის მეგრულში, თბილისი, იკე, I, 1946, გვ. 131.
- <sup>20</sup> არნ. ჩიქობავა, ქანურის გრამატიკული ანალიზი, თბილისი, 1936, გვ. 141.
- <sup>21</sup> ვ. თოფურიია, შრომები, I, თბილისი, 1967, გვ. 130.
- <sup>22</sup> აქვე უნდა აღინიშნოს, რომ I თურმეობითის ფორმები უმეტესად პერსონაეის მეტყველებაში გვხვდება და, შესაძლებელია, ესეც ხელს უწყობს მოქმედების აღქმას აწმყოში.
- <sup>23</sup> Г. Нидерле, Грамматика греческого языка, § 241, გვ. 165.
- <sup>24</sup> Г. Нидерле, დასახ. ნაშრომი, გვ. 167.
- <sup>25</sup> იქვე, გვ. 175. უნდა დავაზუსტოთ, რომ ბერძნულში არსებობს აორისტი I და აორისტი II. მათ შორის ძირითადი განსხვავება წარმოებაში იჩენს თავს. მეორე, ანუ ძლიერი, აორისტი მხოლოდ თანხმოდანდუძიანი ზმნებისათვის არის დამახასიათებელი. იგი იწარმოება აუგმენტაციით და მარტივ ფუძეზე ნამყო უსასრულოს (imperfectum) დაბოლოების დართვით. აორისტი I კი იწარმოება ხმოდანდუძიანი ზმნებისაგან, ფუძეზე სპეციფიკური მწარმოებელი სუფიქსის დართვით (უფრო დაწვრილებით იხ.: ა. ურუშიაძე, ძველი ბერძნული ენა, თბილისი, 1971, გვ. 226) შედეგობითი მნიშვნელობა დამახასიათებელია აორისტი I-სათვის.
- <sup>26</sup> ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, თბილისი, 1973, გვ. 266—267.
- <sup>27</sup> ზ. ქუმბურიძე, ასპექტისა და მოქმედების სახის მიმართებისათვის ქართულში, „ორიონი“, თბილისი, 1967, გვ. 339.
- <sup>28</sup> თ. ქორღანიძე, ქართული გრამატიკა, ტფილისი, 1887, გვ. 56.
- <sup>29</sup> ე. ფიქრიშვილი, მესამე სერიის ფორმათა მნიშვნელობა და გამოყენება ახალ ქართულში, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, IV, 1971, გვ. 56.
- <sup>30</sup> გრ. იმნაიშვილი, ქართული ენის ინგილოური დიალექტის თავისებურებანი, თბილისი, 1966, გვ. 117.
- <sup>31</sup> გ. როგავა, დრო-კილოთა მეოთხე ჯგუფის ნაკვეთები ქართველურ ენებში, იკე, IV, 1953, გვ. 27.
- <sup>32</sup> ივ. ქავთარაძე, უნახაობის კატეგორიის ისტორიისათვის ქართულში, იკე, VIII, 1956, გვ. 85.

- <sup>33</sup> გ. შ ა ჭ ა ვ ა რ ი ა ნ ი, ასპექტის კატეგორია ქართველურ ენებში, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, თბილისი, 1971, გვ. 126.
- <sup>34</sup> А. Мейе, Общеславянский язык, გვ. 198.
- <sup>35</sup> ივ. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი, ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, ტ. 1, თბილისი, 1971, გვ. 351.
- <sup>36</sup> დ. მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი, სტუდენტთა XXIII სამეცნიერო კონფერენციის თეზისები, თბილისი, 1961, გვ. 167.
- <sup>37</sup> ივ. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი, სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ქართულში, თბილისი, 1960, გვ. 645.
- <sup>38</sup> ბ. ჯ ო რ ბ ე ნ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 23.
- <sup>39</sup> არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებში, I, თბილისი, 1938, გვ. 95.
- <sup>40</sup> არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა..., გვ. 95 დ. გ ე წ ა ძ ე, გარდამავალი ზმნების III ჩგუფის დრო-კილოთა ფორმები ძველ ქართლში (საკანდიდატო დისერტაცია, ინახება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტში).
- <sup>41</sup> არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, მასდარისა და მოძღვობის ისტორიული ურთიერთობისათვის ქართულში, ივე V, თბილისი, 1953, გვ. 42.
- <sup>42</sup> არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბილისი, 1942, გვ. 65.
- <sup>43</sup> გ. შ ა ჭ ა ვ ა რ ი ა ნ ი, ასპექტის კატეგორია ქართველურ ენებში, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, IV, თბილისი, 1971, გვ. 124.
- <sup>44</sup> დ. მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი, სტუდენტთა XXIII კონფერენციის თეზისები, გვ. 187.

Д. Т. ПХАКАДЗЕ

## О ФУНКЦИЯХ I РЕЗУЛЬТАТИВНОГО В ДРЕВНЕ- И СРЕДНЕ-ПРУЗИНСКОМ ЯЗЫКАХ

### Резюме

1. Описательное образование абсолютных форм I результативного позволяет проследить основную и, надо полагать, первоначальную функцию этого ряда в древнегрузинском языке — указание на результат действия. Такая результативная функция всегда связана с завершенностью действия и, в свою очередь, противопоставляется формам как настоящего времени, так и аориста и II многократного.

2. Из основной функции I результативного развилась, по-видимому, и функция завершенной к моменту действия продленности или многократности. Эта функция является характерной для перфектных образований во многих языках, что дает возможность сравнить древнегрузинские абсолютные формы I результативного с перфектными формами европейских и горских кавказских языков.

3. Впоследствии, примерно в XII—XVII вв. формы I результативного приобретают еще одну функцию — неприсутственности, заочности действия. В письменных памятниках указанного периода формы I результативного с таким значением употребляются сравнительно редко. Следует полагать, что возникновение функции заочности совпадает по времени с образованием синтетических форм I результативного.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი ქართული ენის კათედრა  
წარმოდგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა  
შ. ძიძიგურმა



М. М. САХОКИЯ

## К ВОПРОСУ ОБРАЗОВАНИЯ И КЛАССИФИКАЦИИ СЛОЖНЫХ ГЛАГОЛОВ В ДРЕВНЕПЕРСИДСКОМ ЯЗЫКЕ

Основные типы сложных глаголов древнеперсидского языка рассматривались нами в специальной статье с точки зрения их отнесенности к слову<sup>1</sup>. Здесь мы обобщаем выводы, касающиеся вопроса классификации и образования сложных глаголов, представленных во всех имеющихся эпиграфических памятниках древнеперсидского языка. Выводы получены в результате изучения названных единиц как по структурно-грамматическим, так и семантическим признакам. Мы также касаемся отдельных особенностей и характерных черт древнеперсидского сложного глагола. Ввиду того, что подобное исследование проводится в отношении данного языка впервые, мы включаем в сферу нашего изучения все составные сказуемые, построенные по модели «имя + глагол». Этот принцип обусловлен и тем обстоятельством, что древнеперсидский, являясь еще языком с вполне действующей флективной системой, вместе с тем находился в начальном процессе разрушения флексии и построения аналитической грамматической структуры (что полностью осуществилось на уровне среднеперсидского языка). Поэтому определение сложного глагола как единицы в языке с двойственной системой, особенно с точки зрения семантики, нам представляется затруднительным. Мы находим, что на данном языковом этапе семантические границы сложного глагола должны быть шире, чем в языке с чисто аналитической структурой языка. На фоне флективных образований некоторые единицы, являющиеся словами в плане содержания в контексте, в плане выражения могут оставаться словосочетаниями. Многие выражения, не являясь истинными сложными глаголами в других языках, могут оказаться таковыми в древнеперсидском языке. В силу этого противоречия мы включаем в систему сложных глаголов некоторые спорные единицы. Однако при учете всего лексического арсенала языка, а также синтаксического широкого контекста, возможно причислить названные условные единицы к группе сложных глаголов.

Как видно из таблицы, все сложные глаголы древнеперсидского языка можно классифицировать одновременно по структурно-грамматическим и семантическим признакам следующим образом: 1. переходные/непереходные (последние распадаются на пассивные, статические и медпальные); 2. моделированные/парономазии/аналитические формы (парадигмы глагольного спряжения).

Рассмотрим принцип выделения и характерные черты каждой группы<sup>2</sup>.

1. Почти единственным вспомогательным глаголом моделированных переходных глаголов выступает глагол „kar“—«делать» (н. перс. *kardan*)<sup>3</sup> и один раз *dā*—«создавать». Уже это обстоятельство, как нам кажется, дает основание считать данные лексические единицы моделированными, т. е. адекватными слову семантическими единицами.

К такому выводу можно придти при сравнении с новоперсидским состоянием, где участие множества—почти всех — простых глаголов в образовании сложных глаголов служит одним из оснований рассмотрения последних как фразеологических единиц<sup>4</sup>. (Следует оговорить, конечно, что такое положение приобретает несколько условный характер, если учесть ограниченность древнеперсидского текстологического материала).

Не исключено также, что можно усмотреть разную степень и д и о м а т и ч н о с т и, противопоставляя (исходя из схемы Ю. А. Рубинчика<sup>6</sup>) новоперсидским глаголам глаголы такого лексического состава, как «сделать царем», «сделать начальником», «сделать битву», «сделать восстание» (т. е. «восстановить»), «лучшим сделать» (т. е. «улучшить») — с одной стороны, и «посадить на кол», «сделать сидевшими на верблюдах», «поставить на место» (т. е. «восстановить»), «причинить зло» и «сделать добро» — с другой. Однако при определении моделирования мы руководствуемся следующими критериями: а) наличием однотипных лексических элементов при одном и том же компонирующем глаголе, как: *xšāyaθiyam akupauš* — «сделать царем» и *maθištam akupavam* — «сделать начальником»; такие единицы создают определенный «семантический круг», в данном случае — «назначения на должность»; б) наличием однотипных по составу именных компонентов при одном и том же глаголе — имеются в виду композиты отглагольного значения, включающие глагольный элемент и создающие серию близких по семантике вдвойне сложных глаголов: *ušabarim akupavam* — «посадить на верблюдов» (кстати, подобные выражения в других языках — «посадить на коня», «посадить на мула» и т. д. вряд ли превращаются в сложные глаголы; в качестве последних они составляют специфику древнеперсидского языка), *uzmauāpatiy akupavam* — «посадить на кол»; в) наличием оппозиционных пар переходный/непереходный для одних и тех же глаголов (причем под непереходным тут подразумеваются все имеющиеся подгруппы: пассивные, статические и медиальные), например: *xšāyaθuyiyam akupauš* и *xšāyaθiya abava* — «сделал царем» и «стал царем», *hamiθiya abava* — «восстал» и *hamiθiya akupauš* — «восставшим сделал», *uzmauāpatiy akupauš* — «посадил на кол» и *uzmauāpatiy akariyāta* — «были посажены на кол»; г) наличием антонимов в пределах одной и той же группы сложных глаголов, например: *zuga akupavam* — «причинить зло» и *ucaḡam kupaūtv* — «сделать добро».

2. Наиболее типичным образцом моделированного переходного сложного глагола по семантическому соотношению компонентов мы считаем глагол: *hamarānam cartanaiy* — «свершать битву» (в инфинитиве).

В отношении группы «моделированные пассивные непереходные» интересно отметить следующее: основным вторым компонентом пассивных непереходных глаголов является протстип новоперсидского глагола *šodan* — глагол „*bav*“ — «становиться», образующий оппозиционные пары с переходными глаголами, использующими вспомогательный глагол „*kaḡ*“ — «делать». Однако грамматическим синонимом специального глагола „*bav*“ выступает форма синтетического пассива (с формантом *uā*) от того же глагола „*kaḡ*“ — «делать». Имеются два образца подобного образования:

Структурно-грамматическая классификация сложных глаголов древнеперсидского языка

Переходные (активные)		Непереходные			
Таргамы	<p>                     { xšāyaθiyam akunauš                      xšāyaθiyam adadā                      maθištam akunavam                      hamaranam cartanaiy                      uzmaγāpatiy akunavam                      dastayš akunauš                      zura akunavam                      ušabarim akunavam                      hamīçiyam akunauš                      uvāipašiyam akutā                      frašaram akunauš                      usaram kunautuv                      paθipadam akunavam                 </p>	<p>                     со специальными глаголом                      "bav"                      xšāyaθiya abava;                      hamīçiya abava                      с глаголом                      "bad"                      казаться                      duruxtam                      θadayā                 </p>	<p>                     Пассивные                      с пассивной формой гла-                      гола "делать" "kar"                      uzmaγāpatiy                      akariyatā;                      duškartam                      akariyā                 </p>	<p>                     Статические                      xšāyaθiya amiγ                      maθišta āha                      xšnuta amiγ                      utava āhy                      uxšnauš amiγ                      frašam āha                      paθābartam āha                      ašnaiy āham                 </p>	<p>                     Меридальные                      xšāyaθiya                      agaubata                      duruxtam                      kunavataiy                 </p>
Литонно-литини	<p>                     nipīštam akunauš                 </p>	<p>                     kalam abava                      (Sg+) azdā                      abava                 </p>	<p>                     Посесивы:                      SgSd Sacc { frāmana āha                      kāma āha                      janta biyā                 </p>	<p>                     θakata āha                 </p>	
					<p>                     kalam abava                      (Sg+) azdā                      abava                 </p>
Аналитические формы (парадигмы)					

«быть посаженным на кол» и «быть сделанным не по-доброму»: *uzmauāpatiy akariyāta* (DBIII 92) — «они стали (были) посажены на кол»: *uta aniyašca āha tyā duškartam akariyā* (XPh 41—42) — «и другое было, что было сделано (сделалось) не по-доброму». Первый компонент второго глагола является композитом с содержанием имени отглагольного: *duš* — «плохо» + *karta* — «сделанное». Первому примеру противопоставляется активный глагол *uzmauāpatiy akupaṇam* — «я посадил их на кол». Допустимая же оппозиционная пара для последнего — \**uzmauāpatiy abavata* в текстах не засвидетельствована. Отсюда вытекает грамматико-семантическая эквивалентность: *akariyāta* = *abavata*. Таким образом, форма синтетического пассива от активного вспомогательного глагола-форманта (морфемы) выступает как моделирующее средство, лишенное первичного лексико-грамматического значения. Дальнейшее развитие персидского языка путем построения аналитической системы отвергает данное средство моделирования как наследие флективной системы и выражение актива/пассива основывает на строгой оппозиции специальных вспомогательных глаголов (мы опускаем здесь случаи взаимозаменяемости по залогу новоперсидских глаголов *kardan* — «делать» и *šodan* — «становиться», составляющие одну из трудностей сложных глаголов новоперсидского языка<sup>6</sup>. Нам кажется, что в основном взаимозаменяемость эта обусловлена характером персидского именного компонента новоперсидского сложного глагола. В результате унификации, т. е. замены разнотипности образования одним типом, выразителем залоговой оппозиции становится в новоперсидском не морфологическая форма глагола, а его семантика).

Глагол *duškartam akariyā* по корневому составу компонентов является параноматическим, однако наличие оппозиции актив/пассив дает веское основание для причисления обоих глаголов к глаголам, образованным по принципу моделирования: активный переходный зига *akupavam* вместе со своим антонимом из той же группы: *ucaṣam kupautuv* — «делать добро». Последний по корневому составу также параноматичен, только здесь имеет место фонетическое изменение — чередование согласных „с < k“, представленное в инфинитиве глагола «делать» — *cartanaiy*: „caṣ“ заменяет корень „kaṣ“. Положение о моделированности рассматриваемых глаголов поддерживает аналогичное глаголу *duškartam akariyā* образование *uzmauāpatiy akariyāta* и, наконец, соображение, что глагол «делать», выступающий постоянно в качестве вспомогательного, очевидно, следует исключить из процесса образования параномазий.

3. В качестве третьего вспомогательного глагола непереходных пассивных глаголов мы выделяем глагол „*bad*“ — «казаться», представленный в единственном примере: *mātaiy duruxtam badaya* (DNb 52—53) — «Да не тебе ложью покажется!» Этот образец относится к группе синтаксических единиц, которые мы называем «инверсионными» (рассматриваем круг аффективных глаголов древнеперсидского языка в плане грузинской «инверсии»<sup>7</sup>). В другой «инверсионно-дативной» форме-фразе сложный глагол того же значения получен при помощи едиальной формы глагола „*kaṣ*“ при том же именном компоненте: *mātaiy avašciy duruxtam*

„განთიადში“ დ. გამეზარდაშვილი გვედავებოდა: „თ. მაკავარიანმა დაამტკიცა (მხოლოდ)... ის, რომ ინიციალ „გ.-გ.“... იყენებდა გრ. ყიფშიძე“. პასუხში მივუთითეთ „ანალიტიკური ბიბლიოგრაფია“ ტ. III, ნაკვ. I, გვ. 444, სადაც ყოველგვარი გამოწაკისის გარეშეა ახსნა: „გ.-გ. იხ. ყიფშიძე გრიგოლ“. იქვე გვედავებოდა: „თ. მაკავარიანმა დაამტკიცა არა ის, რომ მ. ყიფიანის... ნეკროლოგის ავტორი არის გრ. ყიფშიძე“. პასუხში მივუთითეთ: „გადამტკიცებელი ანალიტიკური ბიბლიოგრაფია“, ტ. III, ნაკვ. I, ბიბლიოგრაფიული 757: „(ყიფშიძე გრიგოლ) „გ.-გ.“ მის. ზაალის ძე ყიფიანი (ნეკროლოგი). ივ., 1891, 5 მარტი, № 48, გვ. 1—2“.

სამი გზა ჰქონდა აქ ჭეშმარიტების მაძიებელ მკვლევარს, რომელსაც ვთხოვდით, გადაეფურცლა „ანალიტიკური ბიბლიოგრაფია“: 1. დაეძიებინა, რომელი ცნობა არ მოიპოვება ჩემ მიერ დასახელებულ წყაროში; 2. ელაპებინა, რამ არ იცოდა და ჩვენგან გაიგო ეს ამბავი; 3. გაჩუმებულიყო. ვნახოთ, რა გზას ირჩევს დ. გამეზარდაშვილი: ალ. კალანდაძე „მეცნიერულ ეთიკას ღალატობს და წყაროებს შესაფერისად არ იყენებს... მას მართებდა ბოლოში მოეხალა მკითხველის წინაშე“. მეცნიერული ინფორმაციისათვის ამგვარ მადლობებს ერთხელ და ორჯერ როდი გვიძღვის ოპონენტი.

„განთიადში“, სანამ ჩვენგან ამ მისთვის უსიამოვნო ამბავს გაიგებდა, დ. გამეზარდაშვილი პატივისცემით იხსენიებდა თამარ მაკავარიანს, „ანალიტიკური ბიბლიოგრაფიის“ გათავსებულს შემდეგ კი: „თ. მაკავარიანს ამ ნეკროლოგის ავტორის ვინაობა კვლევის საგნად არ გაუზნდა და, რადგან ამ ინიციალებზე გრ. ყიფშიძეს ადრევე ჰქონდა გამოქვეყნებული სხვა სტატიები... ამის გამო, ეს ნეკროლოგიც მის ღაწერილად მიიჩნია“.

რაკი სპეციალისტებისა არ სყრა, ლოკვეტრია, დ. გამეზარდაშვილი თვითონ ოპონენტებს ეკლავით, მაგრამ ზოგადი მოსაზრებით ემაყოფილებდა: „დღის წესრიგში ღვება საკითხი: აღნიშნული ნეკროლოგის ავტორი ნამდვილად გრ. ყიფშიძეა“ განაგრძობს რა ამ მიმართულებით მსუველობებს, ოპონენტი წერს: „გამორიცხული არა არც ის, რომ ეს ინიციალები სხვებსაც გამოეყენებინათ. უნადან „ივერიაში“ არა ერთი და ორი გიორგი, გრიგოლ და სხვა ისეთი გვარისა და სახელის პუბლიცისტი მოღვაწეობდნენ, რომელთა ინიციალებად „გ.-გ.“ გამოდგებოდა“.

თ. მაკავარიანმა და სხვა სპეციალისტებმა, რა თქმა უნდა, ეწეა ეს „გიორგი“ და „გრიგოლ“.

ლი“ გაითვალისწინეს, ხოლო ვისაც არ სჩე-  
რა, ერთი მგავალითი ხომ მაინც უნდა დასახე-  
ლოს და დასაბუთებდაც სცადოს?! თუ, მართლა  
ამდენი „გვიორგი“ და „გრიგოლი“ იყო „ივე-  
რიის“ რედაქციაში, ისიც ისეთა, რომ ნეკრო-  
ლოგი დაეწერა, ერთი მაინც ვერ უნდა დავასა-  
ხელოთ?

დ. გამეზარდაშვილი ირწმუნება, ქ. შ. წ. კ. გ.  
საზოგადოების ბიბლიოთეკისეულ „ივერიის“  
ეგზემპლარში ამ საკითხზე არაფერია მითითე-  
ბულიო, გადაუფურცლავს ჩვენ მიერ რეკო-  
მენდებული „ანალიტიკური ბიბლიოგრაფია“,  
წაუკითხავს „ივერიის“ ეგზემპლარზე მიწერი-  
ლი № 9. უ-ა შენიშნავს: „ნათუ უხერხულო-  
ბასაც არ გრმნობს პატივცემული ოპონენტის?“  
მაგრამ მე სრულებით არ მიგულისხმებია, რომ  
გადაფურცვლა იკმარებდა თ. მაკვაირიანმა და  
მისმა კოლეგებმა, ამ საქმის ბრწყინვალე სპე-  
ციალისტებმა, აღნიშნული ცნობა გაანალიზეს  
უმდიდრესი მასალის ფონზე („გიგა“, „გ. გო-  
დორია“ გრ. ყიფშიძის ინიციალებად მიჩნეულია  
ს. მგალობლაშვილის, თ. სახოკიას, ი. მანსე-  
ტაშვილის, ი. მუენარგიას და სხვათა მიერ).  
„ივერიის“ 1889 წ. № 260 (6.XII) ფელე-  
ტონს — „ქართველთა შორის“, რომელსაც  
ხელს აწერს „გ. გ.“, დართული აქვს შემ-  
დეგი შენიშვნა: „იხილეთ წინასიტყვაობა და-  
წერილი უსლარის თხზულებისათვის... და ჩვე-  
ნი წერილი ამ საგნის შესახებვე, ეურნალი  
„ივერია“, 1882 წ. № 14. სწორედ ამ ნომრის  
ქ. შ. წ. კ. გ. ს. ბიბლიოთეკისეულ ეგზემპლარს  
აწერია: „გ. უ-ძე“, რასაც დ. გამეზარდაშვილიც  
არ უარყოფს. როგორც ვხედავთ, ბიბლიოგრა-  
ფიის კვლევა-ძიება სერიოზულ ანალიზს ით-  
ხოვს! ოპონენტს კი ისე გამოჰყავს, თითქოს,  
თ. მაკვაირიანი მკითხველს ჰპირდებოდეს, ჩა-  
ხედავს თუ არა „ივერიის“ აღნიშნულ ეგზემ-  
პლარს, ტენის გაუნძრევლად ამოიკითხავს  
„გ. გ.“-ს.

დ. გამეზარდაშვილს ავიწყდება თავისი ვა-  
რადები და ნეკროლოგის ავტორად ასახე-  
ლებს... ი. კავკავაძეს, რომლის ინიციალებსაც  
„გიორგისთან“ და „გრიგოლთან“ საერთო  
არაფერი აქვს და არც არა გამოუქვეყნებია  
„გ. გ.“-ს ხელმოწერით. საბუთები? „მე ღრმად  
ვარ დარწმუნებული“, „აბა, სხვის ვის შეეძ-  
ლო“, „საკეცოა... გრ. ყიფშიძის ეკისრა“,  
„ილია მიხ. ყიფიანის დიდი პატივისცემელი  
იყო!“, „მის გარეშე ნეკროლოგს არავინ და-  
წერდა!“ და ა. შ.

როგორც ვხედავთ, ერთ მხარეზეა ათობით  
ლოკუმენტო, თანამედროვეთა ერთხმივი დას-  
ტური, უტყუარი ფაქტები, მეორეზე — დ. გა-  
მეზარდაშვილას ეჭვები და ვარაუდები.

„საქართველოს მოამბეზე“ მსჯელობას პირ-

დაპირ მოპყვება: „მ. ყიფიანმა 1886 წ. ... „ივე-  
რიაში“ თანამშრომლობაც (?) დაიწყო“. ამას-  
თან დაკავშირებით ოპონენტს ესთხოვეთ ეპა-  
სუნხა, სად იმყოფებოდა მ. ყიფიანი ამ 25 წლის  
მანძილზე? რა მონაწილეობას იღებდა ქართულ  
მწერლობაში, კრიტიკაში, ეურნალისტიკაში?  
რატომ ვერ ვხედავთ მას „კრებულში“, „მნა-  
თობში“, „იმედში“, ე. „ივერიაში“? წარმო-  
სადგენია, „სფიკიდონისა და თადეოსის ბა-  
სის“ ავტორს მთელი სიცოცხლის განმავლობა-  
ში ლიტერატურის, ესთეტიკის, კრიტიკის, ბე-  
ლინსკის მიმართ არავითარი ინტერესი არ გა-  
მოეჩინა?

ოპონენტს დიდ უსიამოვნებას აყენებს ი. კავ-  
კავაძის გამოსათხოვარი წერილი, სადაც მ. ზ.  
ყიფიანის ლიტერატურულ მოღვაწეობაზე ერთი  
სიტყვაც არაა. ეს იყო ნეკროლოგში გაპარული  
შეცდომის „ელეგანტური გასწორება“ (ჩვენი  
მოამბერის გამოთქმა!). ილიამ განსვენებული  
დაახასიათა, არა როგორც ლიტერატორი, არა-  
მედ როგორც „მხნე კაცი“, „გამარჯელი“ პრაქ-  
ტიკული მოღვაწე. საკმაოდ თამამად მიგვანიშნა  
მისი ნიჭის შეზღუდულ შესაძლებლობებზე —  
„მან იგი სიკეთე ჰქმნა, რისი შემძლებე-  
ლიც იყო“ (ხაზი ჩვენია. — ა. კ.). „საქმობ-  
და, ირვებოდა, მხნეობდა“; „სტეტანწმინდაშიც  
ვახერხებთ სკოლის გამართვასო“.

ოპონენტს, რომელიც უყურადღებოდ ერთ  
კორექტურულ შეცდომასაც არ უშვებს, ეს არ-  
სებით შეიკითხვა თითქოს არც გაუგონია. გა-  
მოდის, რომ თვითონ მიხ. ყიფიანს მეოთხედი  
საუკუნე არ გახსენებია თავისი ჩიტორელიძეობა  
და მეოთხედი საუკუნის შემდეგაც ი. კავკავაძემ  
გაახსენა ეს. იქნებ, წერდა და არ აქვეყნებდა?  
არა! თვით დ. გამეზარდაშვილის აღიარებით,  
ახალდაარსებულ გაზეთს მან შესთავაზა არა ლი-  
ტერატურული მასალა, არამედ „პატარა ინფორ-  
მაციები ამინდისა და ტემპერატურის მდგომარ-  
ეობაზე“ (მგრამ კვიებზე!), ისიც არა ჩიტორე-  
ლიძის ფსევდონიმით, არამედ ინიციალებით  
„მ. უ.“.

დ. გამეზარდაშვილი საქმეს ისე წარმოსახავს,  
თითქოს, „ივერიის“ ჩიტორელიძეზე მსჯელობა  
მისი დამსახურება იყოს. „ამ გარემოებაზე ყუ-  
რადლება არ გაუმახვილებია (?) არც ერთ  
მკვლევარს, ვინაიდან ამ სტატიის მიხ. ყიფიანი-  
სეულობა მათ არ იცოდნენ, თორემ საკითხი აღ-  
რევე გადაწყდებოდა“. საქმეში ჩახედული კაცი  
გაოცდება: როგორ თუ არ იცოდნენ ჩიტორე-  
ლიძის ამ ფელეტონის არსებობა, ან სად და რით  
დაამტკიცა დ. გამეზარდაშვილმა მისი „მიხ. ყი-  
ფიანისეულობა“? განა გრ. ყიფშიძემ, პ. ინგო-  
როყვამ, ალ. კალანდაძემ უფრო ადრე არ იცოდ-  
ნენ „ივერიის“ ჩიტორელიძის ამბავი?! ამ გა-  
რემოებას საკმაოდ შეეცხებთ საბასუხო წერილ-



შიც („ლიტერატურული საქართველო“, 1977, 26.VII), მაგრამ ოპონენტი არ გვასახელებს იმისთვის, რომ ბრალი დაგედოს, თითქოს ჩვენ „საგანგებოდ დავუშაღეთ მკითხველს ეს მთავარი და გადამწყვეტი მნიშვნელობის ფაქტი“.

3. ინგოროყვი 1927 წ. „ივერიაში“ დაბეჭდილი ჩიტორელიძის წერილების საფუძვლიანი ანალიზის საფუძველზეც შეიტანა „სფირიდონის და თადეოზის ბაასი“ ი. ჭავჭავაძის თხზულებათა IV ტომში<sup>10</sup>, როცა გრ. ყიფშიძე 1914 წ. გამოცემაში ცალკე გამოყოფდა „ბაასს“, როგორც ილიას ნაწარმოებს, განა არ იცოდა, რომ ამ ფსევდონიმით „ივერიაშიც“ იბეჭდებოდა წერილები? ოპონენტი კი ისე უთითებს „განთიადში“ დაბეჭდილ თავის წერილებზე, თითქოს მართლა აქედან იწყებოდეს ამ საკითხის ისტორია. თვალს არ უჭერებთ, როცა კითხულობთ: მიხ. ყიფიანი „გარკვევით აღნიშნავს, რომ მე მეკუთვნის „საქართველოს მოამბეში“, სფირიდონ ჩიტორელიძის ფსევდონიმით დაბეჭდილი სტატიაო“, სინამდვილეში, ფელეტონურ ხერხებსა და უტრირებებზე რომ არაფერია ეთქვათ, მიხ. ყიფიანი კი არ ამბობს, ჩიტორელიძე მიხ. ყიფიანიაო, არამედ ჩიტორელიძე ამბობს, ჩიტორელიძე ჩიტორელიძეაო. ნუთუ ოპონენტმა მართლა არ იცის, რომ უცნობით უცნობის დამტკიცება შეუძლებელია?! სწორედ ეს იუმორისტული რებუსი მიაჩნია დ. გამეზარდაშვილს თავის აღმოჩენილ არგუმენტად.

როგორც მემუარებებიდან ვიცით (ი. მანსუეტაშვილი, ს. მგალობლიშვილი, გ. ლასხიშვილი, ი. ვართაგავა და სხვ.), ილია ისე ასწორებდა „ივერიაში“ შემოსულ მასალას, რომ ზოგჯერ ავტორებს თავიანთი ნაწერების ცნობაც უპირდათ. ეს განსაკუთრებით შეეხება ვახუთის გამოსვლის პირველ წელს, შემდგომ ამ მოვალეობას გრ. ყიფშიძე ასრულებდა. ამით უნდა აიხსნას, რომ ჩიტორელიძის პირველი წერილი ძირფესვიანად გადაკეთებული ჩანს ილიას მიერ. ხელნაწერი მას შავ მასალად გამოუყენებია, თემები შეუტანია, პასაჟები ჩაურთავს. მომდევნო ფელეტონს რედაქტორის მზრუნველობა მოკლებია, გრ. ყიფშიძესაც ამაო შრომად ჩაეთვლია მათი სწორება და ისინი ბევრად არ განსხვავდებიან კორესპონდენციებისაგან მკენებელ კვიებზე: აშკარად ჩანს, რომ რედაქციის მუშაკები მათში ურთავენ სხვადასხვა საკითხებს. ენრობრივად ისინი უფრო კორესპონდენციებია, ვიდრე ფელეტონები. ამიტომაც არ მიგვაჩნია სწორად მათი ერთი რომელიმე ავტორისათვის მიკუთვნება. პირველი წლის ბოლომდე მიხ. ყიფიანი „ივერიას“ აწვდის თემატურად და ლიტერატურულად უსუსურ კორესპონდენციებს („მცენარეთა მკანებელი

კიის დასახოცი წაშალი“, „რეპუბლიკა“, ვლადიკავკაისის პაისა და ტემერატურის ცხრილი, გენერალ ჯომარჯიძის საპატრო ნადიმის აღწერა, „ტრიხნინი — ღორის ავადმყოფობა“). ერთი სიტყვით, არ ჩანს ოცდახუთი წლის ღმრთის არავითარი ლიტერატურული ნაყოფი, არავითარი ინტერესი კრიტიკის, ესთეტიკის, ხელოვნების, მწერლობისადმი.

1886 წ. ნოემბერში იბეჭდება „წერილები ვადალითგან“, „სფირიდონისა და თადეოზის ბაასის“ სტანდარტულ ჩარჩოში, 1863 წ. ნიმუშის მიხედვით. კომპოზიციურ-შინაარსობრივად გამაშუავების გამო მთლიანობა დარღვეულია. ცალკეულ ადგილებს ატყუია რედაქტორის ხელი. საყურადღებოა პოლემიკა რეკლამისთან ხელსუბების ეთნოგრაფიაზე. არაფერია ნათქვამი ლიტერატურულ კრიტიკაზე, ესთეტიკაზე, მწერლობაზე, ე. ი. პ რ ი ნ ც ი პ უ ლ ი ა რ ს ი თ საერთო არაფერია აქვს „სფირიდონისა და თადეოზის ბაასთან“.

მომდევნო ნომრის გაგრძელებაში საყურადღებოა საუბარი თეატრზე, ეკ. გაბაშვილის ენაზე, დ. სოსლანზე, ქართულ ანბანზე, ილია ხონელზე. კავკაეში მყოფ მ. ყიფიანს ამ მოვლენებთან საერთო არაფერი აქვს. რედაქტორი იყენებს შესაძლებლობას ი. ხონელთან და დ. სოსლანთან კამათისათვის. ასეთივე ხასიათისაა უსართებ მსგელობა. არც სტილით, არც შინაარსით ამ პასაჟებს მსგავსება არ ექმნება მ. ყიფიანის ნაწერებთან და მომდევნო ფელეტონებთან. მეორე წერილი იბეჭდება სამი წლის შემდეგ (1889, № 85), ისიც შეტყეული სათაურით: „წერილები სხვადასხვა რაგინდა რაზე“ (და არა „წერილები ვადალითგან“).

ამ წერილს არც სტილით, არც შინაარსით საერთო არაფერია აქვს არც „სფირიდონისა და თადეოზის ბაასთან“, არც „ივერიაში“ პირველ ფელეტონთან. იწყება ისეთივე სტანდარტული შესავლით, თითქოს პირველად გამოდიოდეს ვახუთში.

ავტორია არა საქართველოს გარეშე მცხოვრები, არამედ თბილისის ყოველდღიური ამბებით დაინტერესებული პირი. არსებითად, ეს არის კორესპონდენციები თავადაზნაურთა არჩევნებზე, ქალაქში ხმაურზე, სამკურნალო წყლებზე, ოჯახებზე, ქორწინებაზე, ღვინოებზე. საიდან უნდა სცოდნოდა ეს ამბები კავკაის მუღმივ მაცხოვრებელ მ. ყიფიანს? აქაც სრულიებით არაფერია მწერლობაზე, კრიტიკაზე, ბელინსკიზე. ყველაფრიდან ჩანს თბილისელის ყოველდღიური საზრუნავი (თბილისის საქალაქო მეურნეობის სატიკერებზე, მტკვრის წყლის დასუფთავებაზე, მტკვრის წყლის გამოყენებაზე, ხაქაპურზე, კუპატზე, ლობიოზე, ჩიხრთმანზე, „პიეოზე“, ჩადრებზე, ქალების სითამამებზე), —

„სფირიდონისა და თადეოზის ბაასის“ არავითარი ნასახი!

მეოთხე წერილი ორი ნაწილისგან შედგება. პირველი (1889, № 88) ეძღვნება ხალხურ მუსიკას (ეკამათება ი. გოგებაშვილს), თეატრს (ნ. ვაბუნია, რატილის ხორა). შეესებულება „სარედაქციო ნარჩენებით“. ზოგიერთი ადგილი გამოყენებულია რედაქციის მიმდინარე პოლემიკის შესაფარავად. აქაც არც ერთი სიტყვა მწერლობაზე, კრიტიკაზე, ბელინსკიზე... მართლაც რომ წერილებია „სხვადასხვა რაგინდა რაზე!“

„წიგნი ვადალმითან“ (1889, № 273) თავიდან ბოლომდე უსაგნო ლაპარაკია. უკანასკნელი, სათურით: „წერილი მეგობართან“ გამოქვეყნდა 1890 წ. (№ 178—179). მასშიც ლაპარაკია თბილისის საპირფარეოებზე — ავკალის წყლის გამოყვანაზე (ჭიებზე!), რკინიგზის სადგურში სივიწროვებზე (ვაგონში გოჭები შემოჰყავთ, „არაყსა სმენ“, „სელოდრის ბოქვად გადაიქცა“, ვაგონში სიტყვია! „მაროჯნი“. ძნელია ბათუმისკენ მგზავრობა. ხელიგანი ბიჭები თბილისში, მენახშირეები, კინტოები. წყალში მრავალი ქიაა).

თავიდან ბოლომდე ასე — არაფრისგან არაფერი! არც ერთი სიტყვა ხელოვნებაზე, ლიტერატურაზე, კრიტიკაზე! გაგრძელებაშიც (№ 179) მთლიანად „რატილის ხორა“: კონცერტებზე ხალხი არ დადის. არავითარი მწერლობა, კრიტიკა! რა შუაშია აქ კავკასიის გადასახლებული მ. ყიფიანი? რა შუაშია „სფირიდონისა და თადეოზის ბაასი“? ამრიგად, „ივერიაში“ სფ. ჩიორელიძის ხელმოწერით ოთხი წლის მანძილზე დაიბეჭდა სამი ფელეტონი (გაგრძელებებით ექვსი წერილი), სრულიად სხვადასხვა თემებზე, უმთავრესად, საყოფაცხოვრებოზე; არც ერთში არაა მწერლობა და კრიტიკა, ეძღვნება ქალაქის უოველდღიურ საპირფარეოს. არც სხვაგან, არც „ივერიაში“ მ. ყიფიანს არასდროს არ დაუბეჭდავს თუნდაც ერთი საშუალო ხარისხის ლიტერატურულ-კრიტიკული წერილი. „ივერიაში“ მას არაფრით არ გამოუჩენია თავი; არ მოუხვეჭავს რიგითი პუბლიცისტიკა და ჟურნალისტის სახელიც კი; არაფერი არ შეუმატებია არც თავისტიკის, არც ჩვენი მწერლობისა და ჟურნალისტისტიკისთვის.

რა საბუთებიც არ უნდა წარუდგინონ, მოკამათე დაუნებით იმეორებს, „ივერიაში“ ნეკროლოგის შეცდომა უპასუხოდ რად დატოვესო, ფაქტები კი ერთხმად დადაბეგნ, რომ მ. ყიფიანის ავტორობის მისტიფიკაციამ გავრცელება პოვა ორიოდ დღით — 1863 წ. ივლისში და 1891 წ. მარტში, რის შემდეგაც გადაქრით უარყოფილ იქნა მათივე უნებლიე გამავრცელებლების მიერ (ა. ფურცელაძე, გრ. ყიფშიძე).

სწორედ „ივერიაში“ ნეკროლოგმა ერთხელ დასაძლამოდ ბოლო მოუღო ამ ქორს. დაკრძალვის დღეს გამოქვეყნდა ილიას წერილი, რომელშიც მ. ყიფიანის მწერლობა-კრიტიკოსობაზე ერთი სიტყვაც არაა ნათქვამი. ასევე, ამ საკითხზე ერთ სიტყვას ვეღარ იპოვით იმ დროს „ივერიაში“ დაბეჭდილ ვრცელ წერილებში მ. ყიფიანის შესახებ (ლაზარაძის — „წერილი კავკავიადამ“<sup>11</sup>, კოტე ყიფიანის გამოსათხოვარი სიტყვა<sup>12</sup>, ანდ. კობაიძის წერილი<sup>13</sup> და სხვ. არაფერია ნათქვამი მ. ყიფიანის მოღვაწეობაზე არც კავკასიის გამოსვლ მისდამი მიძღვნილ სპეციალურ წიგნში. ი. ხონელის შემდეგ აღარც „ნოვოე ობოზრენიეში“ წამოსცდენიით სიტყვა მ. ყიფიანის ლიტერატორობაზე. 90—900-იანს წლების ჟურნალ-გაზეთებში არ წყდება მ. ყიფიანის მეგობარ-ნათესავთა წერილები, უკვდავოფის ღონისძიებათა განხილვა, მაგრამ როგორც მწერალსა და კრიტიკოსზე არავინ სიტყვას არ ძრავს. 1901 წ. ლ. ბოტაძემ ვრცელი წერილი უძღვნა მ. ყიფიანის გარდაცვალების ათწლისთავს და ისევ არაფერი მის მწერლობასა, ჟურნალისტობასა და ლიტერატურობაზე<sup>14</sup>. საყიფიანოს მისი სახელობის სტაჰენდოებიც დაუარსებია, ბევრი ქება-დიდება, მაგრამ მწერლობაზე აქაც არაფერია<sup>15</sup>. სწორედ ამ დროს, 1901 წელსვე, „ივერიაში“ იბეჭდება გრ. ყიფშიძის ვრცელი გამოცემა — „ჟურნალ-გაზეთობა XIX საუკუნეში“. ავტორი ჩამოთვლის „საქართველოს მოამბის“ თანამშრომლებს, მ. ყიფიანის ხსენებაც არაა. ჩამოთვლის, ვინც „ამ უკანასკნელი 15 წლის განმავლობაში „ივერიაში“ თანამშრომლობდნენ“. მ. ყიფიანი არც ამაგრაქ სიაში იხსენიება<sup>16</sup>. არჩ. ჭორაძემ „საქართველოს მოამბის“ თანამშრომელთა ჩამოთვლაში კორექტორიც არ ავიწყდება, მ. ყიფიანი კი არც მას მოგონებია. მ. ჭანაშვილი „ნაშრომში“ ჩამოთვლის „საქართველოს მოამბის“, „ივერიაში“ თანამშრომლებს, მ. ყიფიანი არც ერთგან არაა.

რომელი ერთი დეასახელოთ! განა წარმოსაღგენია „სფირიდონისა და თადეოზის ბაასის“ ავტორი ასე შეთქმულებივით ყველს დავიწყებოდა! მას შემდეგ დაწერილა თუნდაც ორი სტრიქონი რომ გვეპოვა მ. ყიფიანის სასარგებლოდ, კიდევ რაღაც მნიშვნელობა ექნებოდა, მაგრამ, პირიქით, აქედან მოკიდებული აბსოლუტურად ყველაფერი ი. ჭაქვაიძის ავტორობას გადასატურებს. სწორედ 1891 წლიდან, ი. ჭაქვაიძის მთავრობებულ იუბილესთან დაკავშირებით, „ქართულთა საგამომცემლო ამხანაგობამ“ ხელი მოჰკიდა მისი ლიტერატურული მემკვიდრეობის გამოცემას. 1892 წ. გამოვიდა ოთხი ტომი. ჩვენამდე მოაღწია სასტამბოდ გამზადებულმა V ტომმა, რომელშიც

შეტანილია „სფირიდონისა და თადეოზის ბაასი“. ამ საკითხს ჩვენს გამოკვლევებშიც ვეხებოდით<sup>17</sup>, მაგრამ, რადგან დ. გამეზარდაშვილი „განთიადში“ ისე წარმოადგინა საქმე, თითქოს V ტომს რაღაც შემთხვევითი ხასიათი ჰქონდეს, საბუთებით ცხადეყავით, რა დიდი პასუხისმგებლობით ხორციელდებოდა აღნიშნული გამოცემა. 1914 წ. მ. გედევანიშვილისეული გამოცემის ცნობით, „ქართულთა ამხანაგობის“ გამოცემა სახელმძღვანელოდ იყო მიღებული, რადგანაც იგი იბეჭდებოდა მგოსნის სიცოცხლეში და მის მიერვე შესწორებულია“ (ხაზი ჩვენია. — ა. კ.)<sup>18</sup>. დ. გამეზარდაშვილს კი გადაუწყვეტია, საქმე ისე წარმოადგინოს, თითქოს, არც სარედაქციო კოლეგია მუშაობდა, არც გამგეობა, არც ამხანაგობა, ყველაფერი ფორმალბა იყო. საბედნიეროდ, არავითარი საფუძველი არ არსებობს, ასეთ გულგრილობა დავსწამოთ ჩვენს საამაყო მოღვაწეებს (ანგარიშები სისტემატურად ქვეყნდებოდა პრესაში)<sup>19</sup>. „ამხანაგობა“ ავტორებთან დებდა ხელშეკრულებას, რომელიც ითვალისწინებდა გამოცემის საქმეში ავტორის უშუალო მონაწილეობას (შერჩევა, რედაქცია და ა. შ.)<sup>20</sup>. ამ საქმეს „იერიის“ ცნობით, სათავეში ედგნენ: ჩიენი საზოგადო მოღვაწენი, ცნობილი თავიანთი ცოდნითა, გამოცოდლებითა და ფრთხილის მოქმედებით“ (ხაზი ჩვენია — ა. კ.) გამგეობის სხდომებს ი. ჰავეკავაძეც ესწრებოდა და რედკოლეგია სისტემატურად იკრიბებოდა.

მაშ, რატომ გაუწირავს ჩვენს ოპონენტს ეს ამოღენა საქმე, ეს ათობით სახელმძღვანელო მამულიშვილი? მხოლოდ იმიტომ, რომ მათ ი. ჰავეკავაძის თხზულებათა V ტომში შეიტანეს: „საქართველოს მოამბეში“ ს. ჩიტორელიას ფსევდონიმით დაბეჭდილი „სფირიდონისა და თადეოზის ბაასი“ და ეს მოხდა ნეკროლოგის გამოქვეყნებისთანავე, „XIX საუკუნეში“!

კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ი. ჰავეკავაძის ფონდში დაცულია ხელნაწერი კრებული № 164, გადაწერილი 1892 წლამდე, რომელშიც მეორე თხზულებად მოთველებულია „სფირიდონისა და თადეოზის ბაასი“ (გვ. 17—79). ეს კრებული შემოსულია წ. კ. გ. ს. მუხუშის ი. ჰავეკავაძის პირალი არქივიდან (№ 5168) 1907 წ. სადაც ის ექვთ. თაყაიშვილს მიუღია. ეს გარემოება თავისთავად მეტყველებს, რამდენად სარწმუნოა ის.

მოკამათებ ისე წარმოადგინა საქმე, თათქოს ეს იყოს შემთხვევითი პირების შეკონიწეებული ხელნაწერი, რომელიც ნდობას არ იმსახურებდეს: „რაც შეეხება იმ წარწერას, რომელიც... ასმეორე გვერდის არმიაზეა... იმას მოწმობს, რომ იგი ხელთ ჰქონია ვინმე რ. ყ.“-ს,

რომელიც შეიძლება მართლაც გრ. ყიფშიძე იყოს“ (სტილი დ. გამეზარდაშვილისაა). დ. გამეზარდაშვილი განაგრძობს: „ამ ერთადერთი შენიშვნის ავტორის... კრებულის რედაქტორობას ვერ დავწამებდით“ (როგორც მოგწონთ დარბაისლური მსჯელობის კილო;) (ხაზი ჩვენია).

ამასთან დაკავშირებით ჩვენ ვწერდით: „მოკამათეს ეს კრებული არ გაუსინჯავს, თორემ, როგორ იტყოდა, ერთადერთი შენიშვნააო. ის მინი ვინახა, რაც ნახეარი საუკუნის წინათ პ. ინგოროყვამ დახატინა: „ხელნაწერს ამჩნევია რედაქტორის ხელი“... „ილიას ჩვენების მიხედვით არის შედგენილი“.

„ერთადერთი შენიშვნა“ კი არა, კრებული თავიდან ბოლომდე გულდასმითაა რედაქტირებული სტამბაში გასაგზავნად. მას, სულ ცოტა სამი პირის ხელი ეტყობა: გადამწერის, რედაქტორისა და ავტორის. თავიდან ბოლომდე ვასდევს რედაქტორის ლურჯი ფანქარი (გვ. 1. 10, 25, 29, 51, 56, 68, 91, 101...). ფელეტონების პირველ გვერდზე იმავე ფანქრით განსაზღვრულია რუბრიკა: „კრიტიკა და პოლემიკა“, 91-ე გვერდზე: „პუბლიცისტიკა“, 101-ე გვ. „პოლემიკა“, 102-ე გვ. მელნით: „პოლემიკური ხასიათი აქვს ძრიელ, გ. ყ.“ 56-ე გვ. ლურჯი ფანქრით: „შემდეგ, 1888 წელს, 25 წ. შემდეგ სწერს „პომეროსისა“ და ა. შ. მიუხედავად ამისა, ცდილობს მკითხველს ისეთი შთაბეჭდილება შეუქმნას, თითქოს, 1892 წ. კრებულისათვის ავტორგრაფის მნიშვნელობის მინიჭება „მხოლოდ და მხოლოდ ალ. კალანდაძის დიდი სურვილის ნაყოფი იყოს“. სინამდვილეში, პ. ინგოროყვამ ნახევარი საუკუნით ადრე დაასაბუთა ეს დებულება და ლირსეული შეფასება მისცა 1892 წ. ხელნაწერ კრებულს: „ამავე დროს („ქართულთა საამომოცემო ამხანაგობას“) განზრახული ჰქონია ილიას დანარჩენი ნაწერების გამოცემაც და შესდგომია იმ წერილების შეგროვებას, რომლებიც ხელმოუწერლად ან ფსევდონიმებით დაიბეჭდა, ცხადია, თვით ილიას ჩვენებებითა და ხელმძღვანელობით. აი, ამ კრებულში... თვით ილიას სიცოცხლეშივე შეტანილია, როგორც ილიას თხზულება, „სფირიდონისა და თადეოზის ბაასი“... „არ ჩასთვალა საპიროდ რედაქტორმა (ჩანს, თვით ილიამ. ხაზი ჩვენია. — ა. კ.)... ხელნაწერს ამჩნევია რედაქტორის ხელი“<sup>21</sup>.

აღნიშნულ კრებულს რომ ავტორგრაფის რწმუნება აქვს, ეს ურყევი არგუმენტებით ცხადეყობს საქმის სპეციალისტმა ნ. ტაბიძემაც<sup>22</sup>. „კომენტარი ზედმეტია“ — ასეთი „საბუთით“ იშორებს დ. გამეზარდაშვილი მის უსიამოვნო დაკენას. „საქმე გვაქვს მეტად არაკომპეტენტურ-

რად გაცემულ (სტილი დ. გამეზარდაშვილი-საა. — ა. კ.) დასკვნებთან“ („პ. ინგოროყვას მიერ ყოველგვარი დასაბუთების გარეშე გამოთქმული ვარაუდი“). როცა თავის სასარგებლოდ მიაჩნია. არ კითხულობს, „დასაბუთებულა“, თუ არა.

3. ინგოროყვა აღნიშნავდა: „ამ ცნობას გადმოგვცემს გრ. ყიფშიძე, რომლის ჩვენება ამ შემთხვევაში განსაკუთრებით ავტორიტეტულ წყაროდ უნდა ჩითვალოს, როგორც ილიას უახლოესი თანამშრომლისა“. ნუთუ წარმოსადგენია ყოველივე ამის შემდეგ საწინააღმდეგოდ ხმის ამოღება? რაკი დარწმუნდა, „რომ „ერთადერთი“ კი არა, მთელი კრებული ასეა რედაქტირებული, დ. გამეზარდაშვილი იძულებული გახდა ელიარებინა: „ეს კრებული გადაუკითხავს გრ. ყიფშიძეს“, მაგრამ ფაქტებს წინაშე დაბნეულობა იქამდე მიდის, რომ იქვე ამასაც ამბობს: ილია გრ. ყიფშიძეს რედაქტორობას არ ანდობდაო. ბოლოს და ბოლოს ხელთ რჩება მის მიერვე მოგონილი ლეგენდა, თითქოს, ილიას არ ეწადა კრიტიკულ-პუბლიცისტური წერილების გამოცემა. ისიც მიღწევია, რომ პოლემისტმა, როგორც იქნა, სცნო, რომ ხელნაწერი ჩასწორებულია გრ. ყიფშიძის მიერ. ეს ნიშნავს იმის კატეგორიულ აღიარებას, რომ 1892 წ., მაშასადამე, ნეკროლოგის დაბეჭდვისთანავე, გრ. ყიფშიძისთვის ცნობილი გამხდარა, რომ „სფიროდონისა და თადეოზის ბაასი“ ი. ჰავეკავაძეს ეკუთვნის. თითქოს ყველაფერი გადაწულა, მაგრამ ცოტა ქვემოთ, ოპონენტს დაეაწოდება ეს მნიშვნელოვანი აღიარება და შეკითხვების დაგვაყრის: „რას უღიღა გრ. ყიფშიძე 25 წელიწადს?“ „რატომ 1914 წლამდე არ გამოარკვია?“ და ა. შ.

3. ინგოროყვამ, ნ. ტაბიძემ, ჩვენ — ყველამ, ვინც ეს ხელნაწერი მეცნიერული ინტერესით შეისწავლა — დავამტკიცეთ, რომ ის რედაქტირებულია თვით ილია ჰავეკავაძის მიერ და ამიტომ ავტორგრაფის რწმუნება აქვს. ოპონენტის ხელაღებით ლამონის ამის უარყოფას: „კრებულს არსად არ ატყვია ი. ჰავეკავაძის ხელი, არც ერთი შენიშვნა თუ ჩასწორება მის მიერ არ არის შესრულებული“ (ხაზი ჩვენია. — ა. კ.); არც თავისი საბუთები მოპყავს, არც სხვისი საბუთების გაბათილებას ეცილობს.

ოპონენტი დასკვნის ჩვენს მითითებას, ილია ისეთ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ამ გამოცემას, რომ მოკლე ავტობიოგრაფიაშიც მოიხსენიებს-მეთქი. დაცინვის მაგიერ, ყურადღებით რომ წაეკითხა ეს ადგილი, შესაძლოა, აღარ გამოეგონებინა ლეგენდა — ი. ჰავეკავაძემ „უარი თქვა თავისი კრიტიკულ-პუბლიცისტური მემკვიდრეობის გამოცემაზე“. ავტობიოგრაფიაში

ილია გამომცემლობის მიმართ გარკვეულ უკმაყოფილებას გამოთქვამს აღნიშნული ტომების (კრიტიკა, პუბლიცისტიკა!) გამოუცემლობის გამო: „ქართველთა ამხანაგობამ დაიწყო ბეჭდვა ჩემის ნაწერებისა და დაბეჭდა მხოლოდ 4 ტომი. ვარაუდით კი ათი-თორმეტი ტომი უნდა დაებეჭდა. დაბეჭდილი 4 ტომში მოპყვა ლექსები, მოთხრობები, ამბები და სცენები“ (ხაზი ჩვენია). პოლემისტის ფანტაზიას ეს არ სჯობია?

ვინ დაიჭერებს, რომ სტამბაში გაგზავნილი მე-5 ტომი ილიას ყურადღებით არ წაეკითხოს (IV ტომი გამოცემული იყო, გამოცემის შეწყვეტაზე კი ჯერ ლაპარაკიც არ ყოფილა!). კალიგრაფიული მონაცემები სავსებით მხარს უჭერს ამ დასკვნას. კრებული, კერძოდ, „სფიროდონისა და თადეოზის ბაასი“, ჩასწორებულია ი. ჰავეკავაძის ხელით, მას გუთუნის „Ст. публиц. о назначении журнала“ და ამ ხელით შესრულებული სხვა სწორებანი. ამას ცხადყოფს მათი კალიგრაფიული შეპირისპირება ავტორგრაფთან (უბის წიგნაკი № 95, № 192 და სხვ.): „Ст.“ (კრებული, № 164, პირველ გვერდზე და № 95, წიგნაკში); „Р“ (пур. № 64 და № 95); „Л“ (№ 114 და № 95); „о рынши ловле“; შეერთება: „пур.“ (№ 164 და № 95); „Л“ (№ 164 და № 95); „о“ (№ 164 და № 192, გვ. 1); „назначение“ (№ 164) და „возрождение“ (№ 199, გვ. 1) და ა. შ. ანალოგიურ ფაქტებს ემატება პ. ინგოროყვა და ნ. ტაბიძეც.

მისასალმებელია, რომ უნებლიეთ დ. გამეზარდაშვილმაც აღიარა, აღნიშნულ კრებულს (№ 164) ილიას ხელი ატყვიაო. ის წერს: „თუ კრებული ილიას მიერა რედაქტირებული, გუნა მხოლოდ ზოგიერთი შენიშვნის კალიგრაფიული ანალიზი იძლევა ამის თქმის საფუძველს?“ (ხაზი ჩვენია).

ყეითილი! თქვათ, კრებული არაა ილიას მიერ რედაქტირებული, „ზოგიერთი შენიშვნის კალიგრაფიული ანალიზი“ „იმის თქმის საფუძველს“ ხომ იძლევა, რომ ილიას სცოდნია „სფიროდონისა და თადეოზის ბაასი“ მის V ტომში რომ შეიტანეს და თანხმობა მიუცია? ამის აღიარების შემდეგ რაღა აზრი აქვს პოლემიკას? თუ იმის დამტკიცებას ელაშობთ. რომ ი. ჰავეკავაძემ მ. ყიფიანის თხზულების მითვისება იკარგა და ამაში სხებმაც მხარი დაუჭირეს? გ. თუმანიშვილმა ჯერ გაზ. „ზაკავასკია რუჩი“, მერმე „დახასიათებებსა და მოგონებებში“ კატეგორიულად და ავტორიტეტულად განაცხადა: „აქ („საქართველოს მოამბეში“. — ა. კ.) პირველად გამოქვეყნდა ი. ჰავეკავაძის „გლახის ნაამბობი“ და „კაცია ადამიანი?“, მისი საუკეთესო ლექსები... და კრი-

ტიკულ-იუმორისტული ფელეტონები „სფირ-  
დონისა და თადეოზის ბაასი“. როგორც ხედავთ,  
იგი ი. ჭავჭავაძის კრიტიკულ-პუბლიცისტური  
მემკვიდრეობიდან მხოლოდ ამ ერთ ნაწარმოებს  
იხსენიებს და, რათა მკითხველს არავითარი ეჭვი  
არ დაუტოვოს, ხაზს უსვამს, მ. ყიფიანს არ  
მაიფიქრებთ: „ჭავჭავაძის ჟურნალმა გარს შე-  
მოიკრება მოწინავე ინტელიგენციის ნალები...  
მიხ. ყიფიანი“ და იქვე, რათა ყველაფერს  
წერტილი დაუსვას, საგანგებოდ მიუთითებს —  
ამ ჟურნალში მ. ყიფიანს ეკუთვნის მხოლოდ  
„ჩვენი დროის გმირის“ თარგმანი<sup>23</sup>.

თუკი შეიძლება ანგარიში ჩავავადოთ „ივე-  
რიის“ ნეკროლოგიდან მომდინარე ორად ორი  
სიტყვა საზღვარგარეთ გადახვეწილი, რბილად  
რომ ვთქვათ, დეპრესირებული ნა. ყიფიანისა,  
რომელიც თვითონ აღიარებს, „ხელში არა მაქვს  
არავითარი მასალა“, რა უფლებით არ ვერძოთ  
მათ, ვინც მთელი ცხოვრება ამ ამბების შუა-  
გულში გაატარებს და „ყოველგვარი მასალა  
ხელთ ჰქონდათ“?<sup>24</sup>

გ. თუმანიშვილის მოგონებაში სარწმუნო  
მოწმის მიერ გაცოცხლებულია „ჩიტორელიძის“  
მთელი ისტორია. წერილი დაბეჭდა გაზეთში,  
მერმე „დახასიათებებსა და მოგონებებში“, რო-  
მელიც იმ დროს ხელიდან ხელში გადადიოდა  
და რამდენჯერმე გამოიცა. ავტორს მისდიოდა  
როგორც მოწონების გამოხმაურებანი, ისე კრი-  
ტიკული შენიშვნები, რომელთაც ანგარიშს  
უწევდა. 1900 წ. გამოცემაში დაბეჭდა ვრცელი  
წერილი ი. ხონელზე, 1913 წ. ახალ გამოცემაში  
კი მიუთითებს: ი. ხონელზე წერილი აქ არ შე-  
ვითანე, „რადგან ხონელის ზოგიერთმა მახლო-  
ბელმა მასში ძველი პოლემიკის გამოძახილი  
პოვაო“<sup>25</sup>. გ. თუმანიშვილი ანგარიშს უწევდა  
გაზეთის პუბლიკაციაზე შენიშვნებსაც. როგორ  
მოსხდა, რომ არც გაზეთში გამოქვეყნების შემ-  
დეგ, არც პირველ გამოცემაში, არც მეორეში  
არავინ გამოესარჩლა მ. ყიფიანს მისი აურაცხე-  
ლი, მზრუნველი ნათესავ-მეგობრებისაგან? „ივე-  
რიის“ ნეკროლოგიდან ხომ დიდი დრო არ იყო  
გასული. რატომ ხმა არ ამოიღეს კოტე, ვასილ,  
სოლომონ ყიფიანებმა? განა კოტე ისეთივე ნა-  
თესავი არ იყო მ. ყიფიანისა, რაც ნიკოლოზი?  
ანტ. ფურცელაძემ, რომელიც უკამათოდ არავინ  
ტოვებდა, რატომ შეარჩინა ეს გ. თუმანი-  
შვილს? მწერალმა. ჟურნალისტმა, პოლემისტმა,  
„რედაქციების დამწიკებელმა“<sup>26</sup> კოტე ყი-  
ფიანმა რატომ არაფერი თქვა?! (ის ხომ არავინ  
არაფერს შეარჩენდა! მან ხომ, ერთადერთმა  
უთხრა გამოსათხოვარი სიტყვა განსვენებულ  
მ. ხ. ყიფიანს).

ჩვენ ვწერდით: „იციის რა, რომ ბელინსკის  
„ესთეტიკური მოძღვრების“ ათვისება მოითხოვ-  
და ღრმა განათლებასა და ეკუდიციას, დ. გამე-

ზარდაშვილი პირადად თხზავს მ. ხ. ყიფიანის  
მიმზიდველ ბიოგრაფიას, თითქოს მ. ყიფიანს  
განათლება მიეღოს პეტერბურგის უნივერსიტეტ-  
ში და ახლო ურთიერთობა ჰქონოდას დობრო-  
ლუბოვთან. ამ ფაქტსაც დ. გამეზარდაშვილი  
თავისებურად აღიარებს: „განთიადში“ კი არ  
მიწერია, არამედ წიგნშიო“. დ. გამეზარდაშვილი  
იმასაც კი ამტკიცებდა, ნ. დობროლუბოვი მ. ყი-  
ფიანს წერილებს სწერდაო. როგორ იტყვია ახ-  
ლა მოაქვთ? თავს იმართლებს: ა. ნიკოლაძის  
წიგნმა შემიყვანა შეცდომაშიო. მაგრამ ჩვენი  
ოპონენტი მკვლევარია, მკვლევარმა კი: 1) რაც  
საკუქვია, იმაში ეჭვი უნდა შეიტანოს; 2) მიუ-  
თითოს წყარო, რომლითაც სარგებლობს; 3) თვი-  
თონ გამოიკვილოს. დ. გამეზარდაშვილს წყა-  
როც არ მიუთითებია, ისე ლაპარაკობდა, თით-  
ქოს მისი საკუთარი აღმოჩენა ყოფილიყო, ხო-  
ლო რაცა საქმე არ გამოვიდა, ა. ნიკოლაძეს  
გადააბრალა. მაგრამ ახლა მაინც ხომ უნდა  
ეთქვა, ვისგან ვაიგო, რომ მ. ყიფიანს არასო-  
დეს უნივერსიტეტში არ უსწავლია. ვაიგო ჩვენი  
ნარკვევიდან („მნათობი“, 1962, № 11, „საქარ-  
თველოს მოამბე“, 1963, გვ. 44—45). რაკი აღარ  
შეუძლია უარყოს, რომ მ. ყიფიანს რუსეთში  
არასოდეს უსწავლია და არც დობროლუბოვს  
იცნობდა, საქმის ვითარებას ისე წარმოადგენს,  
თითქოს მე მოვითხოვდე: საკითხი „წინდაწინ-  
ვე იმის სასარგებლოდ გადაწყვეტოთ, ვინც  
უფრო დიდი მოღვაწეა“, როცა ავტორობის სა-  
კითხს ეწყვეტთ, აუცილებელია ვიცოდეთ, ვინა  
ეს ავტორი, მისი ბიოგრაფია, განათლება, პი-  
როვნება, შესაძლებლობანი; უნდა გავითვალის-  
წინოთ, რა ლირსებობისა სადავო ნაწარმოები, შე-  
ქძლო თუ არა საეარაუდო ავტორს მისი და-  
წერა. მით უფრო, როცა საამისო მასალები მო-  
გვეპოვება. ასე რომ არ ყოფილიყო, მაშინ არც  
მ. ყიფიანის ბიოგრაფიის შეთხზვა დაკვირდ-  
ბოდათ.

დ. გამეზარდაშვილის აღიარებთ, „ბაასის“  
ავტორმა მიუთითა „ესთეტიკურ პრინციპზე“,  
მისი მიზანი „ბ. ბელინსკის ესთეტი-  
კურ შეხედულებების პროპაგან-  
და“ (ხაზი ჩვენი). „ბაასის“ ავტორს ღრმად  
შესწავლილი აქვს ბელინსკის ტომები — „ჩი-  
ტორელიძე იყენებს ბელინსკის წერილს „ააი  
რუსი ლიტერატორი“, აგრეთვე სხვა თხზუ-  
ლებს. ერთი სიტყვით, „წყალივით იცის ბე-  
ლინსკი“. „ბაასის“ ავტორი გარკვეულია რუ-  
სული ენის გამო შეიშოველთა და კარაზინელ-  
თა ბრძოლის საკითხებში და ა. შ. „ბაასი“ 60-  
იანი წლების ყველაზე ლიტერატურული  
წერილია, გამოირჩევა პროფესიული კრიტიკუ-  
ლი ანალიზით, ნატიფი გემოვნებით, ასეთი წე-  
რილის დაწერას 1861 წ. ფართო განათლება  
სჭირდებოდა.

კატეგორიულად ესთხოვით და ესთხოვთ ჩვენს ოპონენტს, გეიჩვენოს სად უხსენებია მ. ყიფიანს ბ. ბელინსკი, ესთეტიკა! სად არის მისი ლიტერატურულ-კრიტიკული წერილები, მსჯელობანი პოეზიაზე, მხატვრულ თარგმანზე; ერთი პატარა საბუთი, რომ გადაუფურცლავს ბელინსკის ტომები. ოპონენტს ისიც არ ავინწყდება, რომ ყიფიანმა, „ხუთვერსიანი რუკა“ შეადგინა, გრძელი ამონაწერები მოაქვს მათემატიკის დარგში დამსახურებებზე, მაგრამ სადაა კრიტიკა, ესთეტიკა, ბელინსკი, რასაც საკითხის ანალიზისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს. ეს „რუკა“ და გეომეტრია კი იმის საბუთია, რომ მათ ავტორს სხვა ინტერესები ჰქონდა. ყოველივე ამას აჯობებდა ერთი კრიტიკული წერილის დასახელება, ერთხელ სადმე ბელინსკის მოხსენება, თუნდაც ხელნაწერში, მოგონებამში; პატარა ცნობა მაინც, რომ გადაეფურცლოს ბელინსკი. მაგრამ ასეთს ვერ პოულობს და ვერც იპოვის. მას, ვისაც თავის ცხოვრებაში ერთი ლიტერატურულ-კრიტიკული წერილი არ დაუწერია, როგორც კრიტიკოსსა და მწერალს, ი. ჰავეჰაჰეს ვერ ამოუკუყენებთ გვერდში. მოჰაჰეჰემ იცოდა, თუ მკითხველი გაიგებდა, რომ მ. ყიფიანი დაბალი განათლებით იყო (მიწისმზომელთა „სამიჯნაო სკოლა“ დაამთავრა) და მთელი სიცოცხლე ამ ვიწრო სპეციალობას მოახმარა, ეჭვი შეეპარებოდა მის ესთეტიკობაში. ამიტომ იყო საჭირო გამოგონება, თითქოს „ბაასი“ 1861 წ. პეტერბურგიდან გამოგზავნოს მ. ყიფიანს.

„ბაასი“ არავითარი ადგილი არ ექებნება მ. ყიფიანის მოღვაწეობაში. ნუთუ 1861 წ. ივნისში იგი ორი დღით გახდა ბრწყინვალე კრიტიკოსი და ესთეტიკოსი? მოკამათე ახლა იმის მტკიცებაზე გადავიდა, ამ წერილზე „საქართველოს მოამბემ“ მოახდინა გავლენაო. მაგრამ 1861 წ. ივნისში 1863 წ. დაარსებული „საქართველოს მოამბე“, ან თუნდაც ილიას წერილი „ციცკარში“, როგორ მოახდენდა გავლენას? მაშ, რა გამოდის? მ. ყიფიანი ი. ჰავეჰაჰეძემდე გამხდარა ახალი ესთეტიკის მუხარახტრე, ბელინსკის პირველი პროპაგანდისტი ჩვენში.

ამავე დროს „სფირიდონისა და თადეოზის ბაასი“ ორგანული ნაწილია ი. ჰავეჰაჰეს კრიტიკულ-ესთეტიკური მემკვიდრეობისა, განასახიერებს მის მისწრაფებებს, ხასიათს, სტილს. ბ. ბელინსკის ასეთი ღრმა ცოდნა, ქართული ლიტერატურული სინამდვილისადმი მისი მისადაგების ერუდიცია მაშინ მხოლოდ მას ჰქონდა, ვინც პირველმა დაამკვიდრა ჩვენში ბელინსკის ესთეტიკისადმი პატივისცემა, ვინც მთელი ოთხი წელი სწავლობდა ბელინსკისა და მისი თანამებრძოლების ესთეტიკას, ვისაც სისხლსა და ხორციში ჰქონდა გამჭვარი ეს პრინციპები,

ვისზედაც გადამწყვეტი გავლენა მოახდინა ბელინსკის მემკვიდრეობამ. ბელინსკის თარგმანები „ბაასში“ შესრულებულია იმავე სტილით, იმავე წყაროებიდან, როგორც ილიას წერილში „შეშლილის“ თარგმანზე და „ბასუხში“.

პ. ინგოროყვამ დამაჯერებლად დაამტკიცა, რომ „ბაასი“ თავიდან ბოლომდე ი. ჰავეჰაჰეს ხელნაწერებზეა აღმოცენებული. „სფირიდონისა და თადეოზის ბაასი“, — წერდა ის 1926 წ., — ეს არის შემდეგი განვითარება იმავე თემისა, რომელიც წარმოდგენილია ილიას ხელნაწერ შევებში „ციცკარი“ 1857 წლიდან — 1862 წლამდინა“. ეგება სწორედ საკითხების იმ წრეს, რომელიც აინტერესებდა ილიას 1861—1863 წლებში. ხელოვნების დანიშნულება და მიზნები, რეალისტური მიმართულების იდეოლოგია, ახალი ქართული სალიტერატურო ენის პრობლემები (ქართული თერმინოლოგია, უცხო სიტყვების ხმარების კითხვა და სხვ.)<sup>27</sup>.

„ეს ესკიზები („ციცკარი“ 1857 წლიდან — 1862 წლამდინა“) საფუძვლად დასდებია ორს წერილს, ... „საქართველოს მოამბეზედ“ და „სფირიდონისა და თადეოზის ბაასის“... პირველში აღარ ჩერდება თანამედროვე მწერლობის ცალკე მაგალითების კრიტიკულ განხილვაზე და იძლევა საერთო ხასიათის საპროგნოზო სტატიას... ამ წერილისათვის აუღია შესავალი ესკიზებისა. ... რომელიც გადაუშუშავებია და შეუვსია... რაც შეეხება... დიალოგს „სფირიდონისა და თადეოზის ბაასი“ იგი წარმოადგენს „ციცკარის“ მწერლების განხილვას... ამ ესკიზებში გამოთქმულ იდეებს ილია არა ერთგზის დაბრუნებია „საქართველოს მოამბის“ შემდეგაც“<sup>28</sup>.

„დასასრულ არაა ინტერესს მოკლებული აღნიშნულ შეხვედრა ამ კონსპექტისა „სფირიდონისა და თადეოზის ბაასთან“. ამიტომ... შეუქიფებია ამ დიალოგის ილიასადმი ექთენილების საკითხის“ (ხაზი ჩვენია).

რა გამოდის? — მ. ყიფიანს ან მიუთვისებია ილიას ხელნაწერები (რომლებმაც, საბედნიეროდ, ჩვენამდე მოაღწიეს), ან ილიას თვითონ უწყალობებია მისთვის თავისი თხზულება.

მას შემდეგაც კი, როცა ი. გრიშაშვილმა „ივერიის“ ნეკროლოგზე მითითებით სადავოდ აქცია ეს ფსევდონიმი, პ. ინგოროყვა გადაპრითწერდა: თუ „სფირიდონისა და თადეოზის ბაასს“ სხვას მივავთვებთ, მაშინ უნდა ეთქვათ, რომ: „იგი ძირეულად გადაუშუშებულა ილიას მიერ და ეს გადაუშუშებია ახალი ნაწარმოების დაწერას უდრიდა“ (ხაზი ჩვენია).

რა გამოდის? ი. ჰავეჰაჰემ თავისი ხელნაწერების საფუძველზე დაწერა ახალი ნაწარმოები

„ბასი“ და აჩუქა მ. ყიფიანს! რისთვის უნდა მომხდარიყო ასეთი უცნაური შემთხვევა? სწორედ ამის გამო, არავის არ სურდა ერწმუნა, რომ „ბასი“ ი. ჭავჭავაძის არეალის გარეშე იმყოფება. მეცნიერებმა ხელი ჩასქიდეს დასკვნას: „ილიას მიერ ძირფესვიანად გადაშუშავებულიაო“. ამიტომ ეწერდი 1962 წ. — მეცნიერები, ამ ნაწარმოებს, მაინც ი. ჭავჭავაძის კრიტიკულ-ესთეტიკურ მემკვიდრეობასთან განუყოფელ კავშირში განიხილავენ-მეთქი.

მაგრამ ხსენები რად გვინდა, როცა თვით დ. გამეზარდაშვილი წერს: „არ გვაქვს ისეთი დამთხვევები, რომლებიც საფუძველს იძლეოდნენ ეთქვათ — სიტყვა-სიტყვით გადაწერილ ფრაზებთან გვაქვს საქმე“.

„ი. ჭავჭავაძის ხელი... ბტყვია... „სფირიდონისა და თადეოზის ბასი“. უნდა ევიარაუდოთ, რომ მისი საბოლოო რედაქტორული დამუშავება (ხაზი ჩვენია. — ა. კ.) ი. ჭავჭავაძემ შეასრულა“<sup>22</sup>. რა გამოდის? შინაარსი „გვერდს გვერდზე“ ამოწერილია ილიას ხელნაწერებიდან, თუმცა ილიასია, „საბოლოო რედაქტორული დამუშავება“ ი. ჭავჭავაძემ შეასრულა. მაშ, თქვენვე აღიარებთ, მ. ყიფიანს რაღა რჩება?! მზად ვართ, მის. ყიფიანი პლაგიატორად, წერა-კითხვის უცოდინრად გამოვიყვანოთ, ოღონდ ნამდვილ ავტორს თავის ნაწარმოებზე უარი ვუთხარათ.

3. ინგოროვას შემდეგ „სფირიდონისა და თადეოზის ბასი“ ი. ჭავჭავაძის ავტორაფებს, ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად, შევედარეთ ჩვენ და ნ. ტაბიძემ. ზუსტად ერთ და იმავე დასკვნებამდე მივედით.

ნუ დავივიწყებთ, რომ „სფირიდონისა და თადეოზის ბასი“ მხატვრული ნაწარმოებაცაა. მასში შექმნილია ორი სახე — ხასიათი: ჩამორჩენილი, დაბალი გემოვნების მკითხველის — თადეოზისა, რომელიც ლუარსაბ თათქარიძის ორეულია, და ქართველი ლიტერატორის — (ავტობორტრეტი) თერვდალეული სფირიდონისა.

დილოგებში მწერალი ხასიათებს, ტიპებს ქმნის მხოლოდ სიტყვიერი მასალით, რაც მაღალი ლიტერატურული, მხატვრული ოსტატობის ნიშანია. „ბასი“ დიდი პროზაიკოსის ნახელავია. მას აზის ბეჭედი — „კაცია ადამიანი ის?“ ავტორისა. არამწერალი ასეთს ვერ დაწერს. მისი ირონია და იუმორი განუყოფელია „სხარტულასაგან“.

რაკი მ. ყიფიანი უნივერსიტეტდამთავრებული არ აღმოჩნდა, ოპონენტი ახლა ცდილობს, დაკნინოს „სფირიდონისა და თადეოზის ბასის“ კრიტიკულ-მხატვრული მნიშვნელობა. „ი. ჭავჭავაძის კრიტიკულ-ესთეტიკური მემკვიდრეობის გასაგებად და მისი მთელი სისტე-

ლით წარმოსადგენად არაკეთიარობნი შევწინდებოდა არაკეთიარობნი... „ბასის“. მასში არაფერია ისეთი, რომელიც უფრო სრულად და უფრო გასაგებად არ ჰქონდეს... ი. ჭავჭავაძის თავის წერილებში“ (ხაზი ჩვენია). ეითომ, ამისთანა სუსტ ნაწარმოებს მის. ყიფიანიც კი დაწერდაო. ერთი სიტყვით, სადავო ნაწარმოებს ეუახლოვებთ საეარაუდო ავტორის დონეს. 1957 წელს კი დ. გამეზარდაშვილი სულ სხვას ამბობდა: „ჩიტორელიც ეყრდნობოდა ბელინსკის, გერცენის (?), ჩერნიშევსკისა (?) და დობროლუბოვის (?) შეხედულებებს, ქართული სრულადილისა და ქართველი ხალხის სასოციალური ინტერესების გათვალისწინებით... მიუთითა ესთეტიკურ პრინციპებზე“<sup>23</sup> და ა. შ. ახლა გადაიქცა უფარგისად, როდესაც ილიას სასარგებლო არგუმენტები წარმოადგინეს?! მოუესმინოთ მ. დუღუჩავას: „სფირიდონისა და თადეოზის ბასით“ ი. ჭავჭავაძის თხზულებანი შეიგოს კიდევ ერთ დიდად საინტერესო მეცნიერულ-კომპლარული ნაწარმოებით, რაშველი შუქს ჰვენს არა მარტო მამათა და შვილთა ბრძოლის ერთ-ერთ არსებით ეპიზოდს, არამედ მწერლის ლიტერატურულ-ესთეტიკური და სოციალური შეხედულებების არაერთ მხარესა“.

არჩ. ჭორჭაძე წერდა: „ამ რამდენიმე თვის წინათ... საძირკველი ჩაეყარა... დიდმნიშვნელოვან საქმეს... ექიმმა პიბ. გუდევანიშვილმა იყისრა ი. ჭავჭავაძის თხზ. სრული კრებულის გამოცემა... მ. გუდევანიშვილმა მოიწვია მცოდნე პირნი, მწერალნი და საზოგადო მოღვაწენი, შედგა სარედაქციო კომისია და ყოველი საკითხი — სალიტერატურო თუ ტექნიკური, რომელიც ე გამოცემას ეხება, ამ კომისიის მონაწილეობით, რჩეობით არჩევილი და ხელმძღვანელობით წყდება. ამგვარად, ჩვენს წინაშე არჩეულ ლებრივი გამომცემლობა“ (ხაზი ჩვენია).

გაწეული მუშაობით ემყოფილი მ. გუდევანიშვილი წერს: „დიდა ღვაწლი სარედაქციო მუშაობის კომისიისა, რომლის წევრები: ე. აბაშიძე, იოს. გუდევანიშვილი, ივანე გომართელი, ივ. ზურაბიშვილი, გ. ლასხიშვილი, ფანცხავა, ნ. ჩიგოვიკი და ივ. ჭავჭავაძე იარ ზოგავენ არც დროს, არც შრომას, არც ენერგიას ამ გამოცემის კეთილად წარმართვისათვის, კომისიის ყველა წევრი, გარდა მონაწილეობისა შრომაში, კისრულობდა... განსაკუთრებულ რაქმე დავალებას და ეწეოდა საქმეს გარჩით, კალმით თუ სპეციალური ელონით“ (ხაზი ჩვენია).

ყველა საკითხი, სალიტერატურო თუ ტექნიკური, რომელიც ამ გამოცემას ეხებოდა, ამ კომისიის მონაწილეობით, რჩე-

ვადარიგებით, ხელმძღვანელობით წყდებაოდა“. ყველაფერი ისე ცხადადა ნათქვამი, უკეთეს ვერ ინატრებ. მაგრამ დ. გამეზარდაშვილმა მაინც შესაძლებლად ჩათვალა, მთელი პასუხისმგებლობა ვრ. ყიფშიძისათვის დაეკისრებინა.

გამოცემის შენიშვნებში აღნიშნულია, რა მკაცრად იხილავდა რედაქცია თითოეულ საკითხს, ყოველ წერილმანს; ჩამოყალიბებულია მასალის შესწავლის და შემოწმების პრინციპები. დღეს ამ გამოცემას და მის შესვეურთ ჟურნალი დაფასება აქვთ მოპოვებული!<sup>32</sup>

ამ გამოცემის ვრცელ ბიოგრაფიულ ნარკვევში ვრ. ყიფშიძე წერს: „საქართველოს მოამბეში“ დაიბეჭდა ილიას ბევრი წერილი, წერილი ლექსების გარდა, „კაცია ადამიანი?“, ფსევდონიმით ჟიმშერაძე... „გლახის ნაამბობი“... და საგანგებოდ გამოყოფს: „თვითონ ილიასავე ეკუთვნის ამ ეუბრალო ში წერილებში ჩიტორედიქს“ ფსევდონიმით ხელმოწერილი“ (ხაზი ჩვენია).

ეს დაიწერა გულმოდგინე კვლევა-ძიების საფუძველზე, ერთ დროს დაშვებული შეცდომის გამოსასწორებლად, თორემ ვრ. ყიფშიძე აქ ფსევდონიმების საკითხს საგანგებოდ არ ეხება. ამ გამოცემაში ვრ. ყიფშიძე არაფერს ამბობს არც „იეგერიის“ ჩიტორედიქსზე“.

როგორც ვნახეთ, „სფირიდონისა და თადეოზის ბაასის“ ავტორობის საკითხი 1892 წელს გადაწყვიტა „ამხანაგობის“ რედკოლეგიამ და აღარავის სადავოდ არ გაუხდია. 1914 წ. გამოცემულს, მაინც დიდი სიფრთხილე გამოუჩინიათ ამ მხრივ. წინასიტყვაობაში კითხვობით: „გამომცემლობამ, ყველაფერი საშუალება მიიღო შეეგროვებინა ყველა მასალა, რომელიც ეხებოდა დიდებული მგონის... ცხოვრებასა და ღვაწლს. ამრიგად შეგროვილი საღი-ტერატურო და დიდძალი მასალა დაედო საფუძვლად ილიას ბიოგრაფიასა, შედგენილი ვრ. ყიფშიძის მიერ“ (ხაზი ჩვენია).

ვრ. ყიფშიძის მიერ შედგენილი ბიოგრაფიის შესაფასებლად დიდი მნიშვნელობა აქვს ლიტერატურულ მუზეუმში დაცულ, სარედაქციო დარჩავენი გავლილ ავტოგრაფს (№ 110), რომელიც ცხადყოფს, თუ რა დიდი კრიტიკული მიდგომით განუხილავს რედაქციას ეს საქმე. ათასწავის ჩასწორებულ ხელნაწერში „ჩიტორელიძის“ შესახებ ცნობა ყველას მიერ უყოყმანოდაა დარკვებული. ცნობილია, რომ ზოგიერთები ამ ბიოგრაფიისგან მოითხოვდნენ საზოგადოებრივ-ლიტერატურულ ანალიზსა და განხილვას, რის გამოც რედაქციის წევრები მკაცრ კრიტიკულ მიდგომას იჩენდნენ მის მიმართ: შლიდნენ, რაც წასაშლელი იყო, და ტოვებდნენ,

რაც შემოწმებით დადასტურდა. როგორც ირკვევა, ეს ხელნაწერი, რედკოლეგიის ყველა წევრს უსწორებია, მაგრამ „სფირიდონისა და თადეოზის ბაასის“ რომ ილიას ეკუთვნოდა, არავის ეკვი არ შეუტანია. მოპაექრეს უხვად მოაქვს ამონაწერები, თუ როგორ ასწორებდნენ ამ ხელნაწერს, მაგრამ ვერ გრძნობს, ეს რომ ჩვენს სასარგებლოდ მეტყველებს. ბიოგრაფია სარეცენზიოდ გ. ლასნიშვილისათვის გადაუციათ. „ჩიტორელიძე“ ცნობა მასაც დაუტოვებია. როგორც ვხედავთ, ეს მთელი თაობის დასვენა და ანდრძია.

კვლევა-ძიებამ ნათელყო ივ. ჭავჭავაძის განსაკუთრებული როლი 1914 წ. გამოცემის მომზადებაში. ჩვენს წერილში მოყვანილი მასალებიდან უდავო გახდა, რომ ივ. ჭავჭავაძის პირადად ასრულებდა რედკოლეგიის დავალებს, სისტემატური მიწერ-მოწერა ჰქონდა სხვა წევრებთან. 1913 წ. 15/III მ. გედევანიშვილს სწერდა: „დღედნები გამოვატანე კიტა აბაშიძეს და ის გადმოგცემთ... საბიბლიოგრაფიო ცნობებს მოკლე ხანში მოგაწვდით“.

შეუძლებელია არ გაგვაოცოს დ. გამეზარდაშვილის დამოკიდებულებამ ივ. ჭავჭავაძის მიმართ. „მეტად არასახარბილო სამსახურს გავუწევდით მის სახელს(?), თუკი მას გავხდით პასუხისმგებელს ყველა ამ შეცდომის გამო(?), რომლებიც ამ გამოცემებში არის გაპარული“. სხვა არაფრის თქმა არ შეიძლებოდა ივ. ჭავჭავაძის დამსახურებათა თაობაზე? ოპონენტი უფრო შორსაც მიდის: „არც იმის თქმა გვეუხერხებულება(?), რომ ი. კავკავაძის თხზულებათა გამოცემის საქმეში ივ. ჭავჭავაძის სული და გული ვერ იქნებოდა“. რედკოლეგია მოგვიანებით შეიყვანესო, პეტერბურგში ცხოვრობდაო, თბილისში იშვიათად ჩამოდიოდაო. თითქოს მასალებიდან არ ჩანდეს, რა ღვაწლიც დასდო ამ საქმეს ივ. ჭავჭავაძისადმი. აღამიანები, მოღვაწეები მხოლოდ ისინი ხომ არ არიან, ვისაც ჩვენთვის გამოსადეგი რამ წამოსცდენა (ი. ხონელი, ნ. ყიფიანი).

„ლიტერატურულ საქართველოში“ პირველად გამოაქვეყნეთ უნიკალური დოკუმენტი — ი. გედევანიშვილის წერილი ივ. ჭავჭავაძისადმი (1913, 21.1), რომელშიც ნათქვამია: „პატრივი მაქვს გაუწყუთ ილიას ფსევდონიმები: მ. ჟიმშერაძე, ჩიტორელიძე, ფირუზა, ახალმოსული, ზუმბერიძე, ჟიმბერაძე“. ამით უდავო შეიქნა, რომ რედაქციას ყველა წევრისათვის დაუგზავნია ილიას ფსევდონიმთა სიები გასაკონტროლებლად; შეუწოვებიათ, და ჩიტორელიძე უცვლელად დაუტოვებიათ. ამის შემდეგ რაღა უნდა დარჩენოდა დ. გამეზარდაშვილს, გარდა სიხარულისა, რომ ყველაფერი ილიას სასარგებლოდ გადაწყდა? მაგრამ



■ წერილს, ისე, როგორც საერთოდ საბუთებს, ძსზე დადებითი შთაბეჭდილება არ მოუხდეთა.

გამოვიდა 1914 წ. გამოცემა. მიხ. ყიფიანის ნა-  
უკსაგ-მეგობრებს არც ამჯერად აღმალეებით  
მა. იმის წინააღმდეგ, რომ „სფირიდონისა და  
მადლოზის ბაასი“ ილიას მიაკუთვნეს. კოტე და  
ვასილ უფიანები მაინც რამ გააჩუმა? ისინი  
აომ უშუალოდ მონაწილეობდნენ ამ გამოცემა-  
სა და ბიოგრაფიის სრულყოფაში? მით უფრო,  
რომ ამ ბიოგრაფიაში მ. ყიფიანიც იხსენიება,  
ჰაჯრამ არა როგორც მწერალი და „ჩიტორელო-  
ზე“, არამედ, როგორც „გამგე გამიყენის საქმი-  
აა“ თერგის ოლქში (გვ. XXVII). (სქოლიოში  
ვკრ. ყიფშიძე მიუთითებს: „ნაამბობი ვ. ყიფი-  
ანოსა“, ე. ი. ყიფიანებმა კარგად იცოდნენ, რაც  
ეწერა ამ ბიოგრაფიაში). ასე რომ, მ. ყიფიანი  
დააიფყადათო, — ვერ ვიტყვით. სოლომონ ყი-

ფიანმა და მისმა ოჯახმა რატომ არ ამოილო  
ხმა? კ. ყიფიანმა? საერთოდ, საყიფიანომ? იქ-  
ნებ „ივერიაზე“ მსჯელობისას გაახსენდა  
გრ. ყიფშიძეს მ. ყიფიანი? (გვ. XXXII). არა.  
არც იქ გახსენებია, ან კი, რა ასეთი მტრობა უნ-  
და ჰქონოდა გ. თუმანიშვილს, გრ. ყიფშიძეს,  
მ. და ი. გედევანიშვილებს, კ. აბაშიძეს, გ. ლას-  
ხიშვილს, ი. ჭავჭავაძისა და სხვებს მ. ყიფი-  
ანისა და მისი ნათესავების!

ასეთ მტკიცე საფუძვლებსა და ტრადიციას  
ემყარებოდა პ. ინგოროყვა. როცა 1926 წ. „სფი-  
რიდონისა და თადეოზის ბაასი“ ი. ჭავჭავაძის  
თხზულებათა IV ტომში დაბეჭდა, რაც სათა-  
ნადოდ დაასახუტა. ვისაც სქოლიოს არც ერთ  
წერილში მხედველობიდან არ რჩება, ასეთ  
არგუმენტებს გვერდი არ უნდა აუაროს, თო-  
რემ წიგნის დასახელებაში კორექტურული შეც-  
დომა არგუმენტებს ვერას დააკლებს.

შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ა

1 დ. გამეზარდაშვილი, ქართული ლიტერატურისა და კრიტიკის ისტორიიდან, 4, თბილისი, 1978, გვ. 477—526.

2 ეს მით უფრო აუცილებელია, რომ დ. გამეზარდაშვილმა ვაზ. „ლიტერატურულ საქარ-  
თველოში“ (1978, № 22) გამოაქვეყნა „წერილი რედაქციას“, რომლითაც საზოგადოებას  
აუწყებს თავისი „IV ტომის“ გამოსვლას და არგუმენტაციის გარეშე ბრალდებებსაც გვი-  
ყენებს.

3 „საქართველოს მოამბის“ ფსევდონიმებს ილია საცოლესაც არ უმხელდა: „ჩემ პირველ  
ქურნალში, მოთხრობაში „გლახის ნაამბობი“ ეს აზრი სწორად გადმოსცა ჟიმშერაძემ“  
(ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. X, გვ. 223).

4 ი. ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული, ტ. IV, ტფილისი, 1926, გვ. 428,  
430, 432.

5 ა. ქორჭაძე, თხზ., V, ტფილისი, 1913, გვ. 85.

6 გ. ლეონიძის სახ. სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმი, 5914-ბ, გვ. 12, 5915.

7 სხვათა შორის, არც ეს ნეკროლოგი გამოირჩევა კონკრეტულობით. მიხ. ყიფიანის ლი-  
ტერატურულ-კრიტიკულ მოღვაწეობაზე არც აქაა არაფერი, გარდა ამ ორი სტრიქონისა.

8 „ივერია“, 1891, № 53.

9 ალ. კალანდაძე, „საქართველოს მოამბე“, თბილისი, 1963, გვ. 41, 42, 43, 46.

10 ი. ჭავჭავაძე, ნაწერების სრული კრებული, ტ. IV, ტფილისი, გვ. 428.

11 „ივერია“, 1891, № 53.

12 იქვე, 1891, № 54.

13 „ივერია“, 1891, № 57.

14 „ივერია“, 1901, № 54.

15 „ცნობის ფურცელი“, 1901, № 473.

16 „ივერია“, 1901, № 129.

17 „საქართველოს მოამბე“, 1863, გვ. 47—48.

18 ი. ჭავჭავაძე, თხზ., I, ტფილისი, 1914, გვ. IV.

19 „ივერია“, 1892, № 89, გვ. 3; № 217, გვ. 1—2 („ამხანაგობას მტკიცე ნიადაგზე დაუყე-  
ნებია საქმეები“); № 54, გვ. 1; № 66, გვ. 1; № 94, გვ. 1—2.

20 „ივერია“, 1892, № 227, გვ. 2; 1893, № 106; 1892, № 82, გვ. 1.

21 ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. IV, გვ. 393.

22 „კრიტიკა“, 1977, № 3.

23 Г. Туманов, Характеристики и воспоминания, кн. III, 1907, гв. 179.

24 კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, გ. თუმანიშვილის ფონდი, № 428 (40),  
41 (427), 42 (429) და სხვა.

25 კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, გ. თუმანიშვილის ფონდი, № 42 (429). გამოხმაურებანი „დახასიათებებსა და მოგონებებზე“ — № 119, 123, 122, 164, 257, 262 და სხვ.

26 კ. ყ ი ფ ი ა ნ ი, მოგონებები და წერილები, თბილისი, 1964, გვ. 21, 59—62.

27 ი. კ ა ვ კ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებ. 1926, ტ. IV, გვ. 433.

28 ი. კ ა ვ კ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებ. 1926, ტ. IV, გვ. 439—440.

29 დ. გ ა მ ე ზ ა რ დ ა შ ვ ი ლ ი, ნარკვევები, II, გვ. 384.

30 დ. გ ა მ ე ზ ა რ დ ა შ ვ ი ლ ი, ნარკვევები, II, გვ. 387.

31 „საქართველოს კომუნისტი“, 1964 წელი, № 3, გვ. 87.

32 „ლიტერატურული მემკვიდრეობა“, ტფილისი, 1935; „სალიტერატურო გაზეთი“, 1933, № 819; „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1957 წ., № 128; „ლიტერატურული გაზეთი“, 1958 წ., № 9; გ. ხ ვ ე დ ე ლ ი ძ ე, შიხ. გედევანიშვილი, თბილისი, 1960.

33 „ეურნალისტიკის თეორიისა და ისტორიის საკითხების“ მე-6 ნომერში დაბეჭდილია ი. ლორთქიფანიძის წერილი, რომელიც ცალკე პასუხს არ ითხოვს, რადგან: 1. არ შეიცავს ახალ ცნობას ან მსჯელობას; 2. არ ეხება მოწინააღმდეგეთა არგუმენტებს, ლაპარაკობს თავისთვის. 3. არ მიუთითებს წყაროებს; არ იცის, რომ „ზუმბურაძის“ ფსევდონიმით ილიას არა დაუბეჭდავს რა. ჰგონია, რომ „ორიოდ სიტყვა თ. რ. შ. ერისთავის კობლოვის „შეშლილის“ თარგმანზედა „ზუმბურაძის“ ხელმოწერით გამოქვეყნდა და ამ მაგალითზე მკითხველს ლექციას უტარებს „ატრიბუციის“ პრობლემებზე: „ისტორიამ ილიას ამ წერილთან ერთად მრავალი სხვა დამადასტურებელი ცნობა შემოგვინახა იმის დასამტკიცებლად, რომ აღნიშნული წერილის ავტორი ილია ჭავჭავაძე იყო, მაგრამ დავეუშვათ, ჩვენამდე არ მოედღა არავითარ ცნობას, დამადასტურებელ საბუთს ამ სტატიის დანწერზე? მაშინ შევლევართა წინაშე წამოიჭრებოდა თავსატეხი ამოცანა: ... დადგენილიყო მისი ავტორის ვინაობა“ („ტექსტოლოგიის საკითხები“, № 1).

„ატრიბუტივის“ წინაშე ასეთი „თავსატეხი ამოცანები“ არ წამოიჭრებოდა, რომ სცოდნოდა აღნიშნული წერილი „ცისკარში“ დაიბეჭდა არა „ზუმბურაძის“ ფსევდონიმით, არამედ „თ. ილია ჭავჭავაძის“ ხელმოწერით. „ატრიბუტივის“ ანბანში ჩახედვამდე ქართულ ეურნალ-გაზეთებში ჩაიხედდით: მით უფრო, როცა ამ შეცდომას მოჰყვება მეგონება: „ანონიმურ ნაწარმოებთა ავტორობის დადგენა ფილოსოფიურ (?) მეცნიერების ურთულესი დარგია“. 4. გვერდების შესავსებად ისე მოჰყავს „გ. გ-ს“ ნეკროლოგი, „ივერიაის“ ჩიტორელიძის ფელტონები, თითქოს მისი აღმოჩენა იყოს და არა საყოველთაოდ ცნობილი მასალა. 5. „ატრიბუტივზე“ აბსტრაქტული ლაპარაკით, არსებითად, უარყოფს კონკრეტული მეცნიერული კვლევების საჭიროებას. 6. ა. ფურცელაძის, გ. თუმანიშვილის, გრ. ყიფშიძის, ი. გედევანიშვილისა და სხვათა ჩვენებებს „ანგარიშს უსწორებს“ მენტორული განაჩენით: არც ერთი „სანდო საბუთი არ არის“. 7. არასწორ ინფორმაციას აწვდის მკითხველს პ. ინგოროყვას პოზიციის გამო. 8. არ იცის, რა მნიშვნელობა აქვს საკითხის ისტორიას. 9. შეცდომაში შეჰყავს მკითხველი, თითქოს, ილიას წერილი შ. ხ. ყიფიანზე „გამოსათხოვარი სიტყვა იყო“, რომელიც ი. ჭავჭავაძემ „დიდუბის ეკლესიაში წარმოთქვა“, რის საბუთად მიუთითებს ი. ჭავჭავაძის თხზულებათა IV ტომს (1955, გვ. 248), სადაც ამის თაობაზე არავითარი ცნობა არ მოიპოვება. დაკრძალვაზე „გამოსათხოვარი სიტყვა“ წარმოთქვა მხოლოდ კოტე ყიფიანმა. 10. არ გაუგონია, რომ თავის თავზე, როგორც მესამე პირზე საუბარი ჩვეულებრივი ფელეტონური ხერხია, კარგად ცნობილი თუნდაც „სალაგბო ფურცლებიდან“, „სხარტულიდან“ და ა. შ.

# მეცნიერის იუბილე

## პანს ფოგტი



გამოჩენილ ნორვეგიელ ენათმეცნიერს პანს ფოგტს 75 წელი შეუსრულდა.

მის ხანგრძლივ სამეცნიერო მოღვაწეობაში ქართული ენის კვლევას განსაკუთრებული ადგილი უკიარავს: პანს ფოგტის ნაშრომთა ნახევარზე მეტი ქართულ-ქართველურ ენებს ეძღვნება, დანარჩენებში დასმული საკითხებიდანაც არაერთი განხილულია ქართველური ენათმეცნიერების სინათლეზე.

პანს ფოგტმა ოსლოს უნივერსიტეტი დაამთავრა, ხოლო ლინგვისტური წრეთა პარიზში მძილო ინდოევროპული ენათმეცნიერების გამოჩენილ წარმომადგენელთა — მეიეს, ვანდრიესის, მარუზოს და სხვათა ხელმძღვანელობით. იქვე შეისწავლა ერთ-ერთი საინტერესო ინდოევროპული ენა — სომხური, და პარიზშივე შეუდგა ქართული ენის შესწავლას. შემდეგ, ოცდაათიანი წლების დასაწყისში, ხანგრძლივი მოკლინებით ჩამოღის თბილისში და თეორიულად ეუფლება ქართველურ ენათმეცნიერებას: ძველ ქართულს სწავლობს აკაკი შანიძის ხელმძღვანელობით, მუშაობს ახალ ქართულზე და სვანურ-მეგრულ ენებზე (ილ. აბულაძესთან, ვ. თოფურიასთან და მ. ხუბუასთან).

სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ევროპულ სამეცნიერო ჟურნალებში ბეჭდავს წერილებს ქართული ენის შესახებ, აქვეყნებს საფუძვლიან ნაშრომს „ახალი ქართული ენის გრამატიკის ნარკვევა“ (1938), რისთვისაც მას ლექტორის სამეცნიერო ხარისხი მიენიჭა.

კავკასიის ენობრივი არეალისადმი მისი ინტერესი სომხურ-ქართულით არ ამოწურულა; პ. ფოგტი იკვლევს კავკასიის მეორე ინდოევროპულ ენას — ოსურს, რომლის ბევრი თაიისებურებაც, სომხურის მსგავსად, იბერიულ-კავკასიურმა ენობრივმა გარემოცვამ გააჩინა, და უბიხურს — კავკასიიდან თურქეთში გადაბეჭვილი უბიხების ენას (1963 წელს გამოაქვეყნა უაღრესად საყურადღებო „უბიხური ლექსიკონი“ ფონოლოგიური შესავლითა და ტექსტებითურთ).

პანს ფოგტის სამეცნიერო ინტერესები სფეროში შემოდის ამერიკის ინდიელთა ერთ-ერთი ენაც (კალისკელი), აგრეთვე ბურუშასკი (ვერშიკული), რომელიც იბერიულ-კავკასიურ ენათა სტრუქტურასთან საგულისხმო პარალელებს ავლენს.

ზოგადი ენათმეცნიერების იმ პრობლემებისთვისაც, რომლებსაც პ. ფოგტმა რამდენიმე საინტერესო წერილი მიუძღვნა (ენათა კონტაქტების, ფონოლოგიის, გლოტოქრონოლოგიის, სახელისა თუ ზმნის მორფოლოგიის საკითხები), საიმედო პოზიტიურ საფუძველს წარმოადგენს ქართულისა და აგრეთვე კავკასიის სხვა ენათა მასალის საფუძვლიანი ცოდნა.

ოსლოს უნივერსიტეტში პანს ფოგტი წლების განმავლობაში უძღვებოდა ზოგადი ენათმეცნიერებისა და ძველი ფრანგულის კურსებს, ხელმძღვანელობდა რომანული ფილოლოგიის კათედრას, ფილოლოგიის ფაკულტეტს და 1964—1969 წლებში იყო ამ უნივერსიტეტის რექტორი. ამასთანავე, იგი ნორვეგიის ლინგვისტური საზოგადოების ერთ-ერთი ხელმძღვანელთაგანია (ჯრტხანს — მისი პრეზიდენტიც). მთელი ამ დროის განმავლობაში პ. ფოგტი განაგრძობდა ქართულისა და ქართველური ენების ინტენსიურ კვლევას.

გარდა ევროპა საკითხებისადმი მიძღვნილი გამოკვლევებისა (მათი ნაწილი ქართულადაც არის თარგმნილი და, ამრიგად, ხელმისაწვდომია სტუდენტთა ახალგაზრდობისათვის), პანს ფოგტმა 1958 წელს გამოაქვეყნა საეტაპო ნაშრომი „ქართული ენის ფონემატური სტრუქტურა“

(ქართულად ითარგმნა 1961 წელს), ხოლო 1971 წელს გადამუშავებული სახით გამოსცა „ქართული ენის გრამატიკა“, რომელიც საუკეთესოა იმ თეორიულ ნაშრომთა შორის, რაც კი ქართული ენის შესახებ გამოქვეყნებულა დასავლეთში.

ჰანს ფოგტის სამეცნიერო მოღვაწეობის საერთაშორისო აღიარებას გამოხატავს მისი არჩევა დანიის სამეფო მეცნიერებათა აკადემიის წევრად და ამერიკის ლინგვისტური საზოგადოების საპატიო წევრად, აგრეთვე, საფრანგეთში — საპატიო ლეგიონის ორდენით დაჯილდოება.

1966 წელს პ. ფოგტისათვის საპატიო დოქტორის წოდების მინიჭებით აღნიშნა თბილისის უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭომ მისი დიდი დამსახურება ქართული ენის კვლევის საქმეში.

ჰანს ფოგტს საქართველოსთან არამხოლოდ სამეცნიერო ინტერესები აკავშირებს.

ვეფხისტყაოსნის საიუბილეო დღეებში პ. ფოგტი საგანგებოდ ჩამოვიდა საქართველოში და მხურვალე მონაწილეობა მიიღო ქართველი ხალხის დღესასწაულში. კორნელი კეკელიძის ხსოვნისადმი მიძღვნილ წერილში გულწრფელად გამოხატა ამ დიდი მეცნიერის დაკარგვით გამოწვეული გულისტკივილი. ქართული გრამატიკის მეორე გამოცემა ჰანს ფოგტმა მიუძღვნა თავისი მეგობრის პროფ. ილია აბულაძის ხსოვნას. ნორვეგიის საენათმეცნიერო ეურნალში იგი ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის გამოცემას გამოეხმაურა ვრცელი რეცენზიით, რომელშიც ერთხელ კიდევ დაადასტურა თავისი მეგობრული გრძნობები ქართველი ხალხის, ქართული კულტურის, ქართველი კოლეგების მიმართ...

ქართველი კოლეგები ჭანმრთელობას და მხნეობას უსურვებენ პატივცემულ იუბილარს — სასიქაღულო მეცნიერს და გულითად მეგობარს.

გიჰინა ფოჩხუა

ჟურნალ „საქართველოს ხსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნეს“ ენისა და ლიტერატურის სერიის სარედაქციო კოლეგია გულითადად ულოცავს დაბადების 75 წლისთავს გაჰოჩენილ ნორვეგიულ ენათმეცნიერს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორს, ქართული კულტურის დიდ მეგობარს ჰანს ფოგტს, უსურვებს მას ჭანმრთელობას, ხანგრძლივ სიცოცხლეს და წარმატებებს თავის კეთილშობილურ საქმიანობაში.

**ძ რ ო ნ ი კ ა დ ა ო ნ გ ო რ მ ა ც ი ა**

**მ ე ზ ნ ის ტ ა ო ს ნ ის ა კ ა დ ე მ ი უ რ ი ტ ი მ ს ტ ის დ ა მ დ ბ ე ნ კ ო მ ის ი ა ზ ი \***

1077 წ. 30 სექტემბერი

ს ხ ლ ო მ ა ს დ ა ე ს წ რ ნ ე ნ : ა . ბ ა რ ა მ ი ძ ე , ო . გ ი გ ი ნ ე ი შ ვ ი ლ ი , გ . კ ა რ ტ ო ზ ი ა , ო . კ ი კ ვ ი ძ ე , ს . ც ა ი შ ვ ი ლ ი , შ . ძ ი ძ ი გ უ რ ი .

გ ა ნ ი ხ ი ლ ე ს ს ტ რ ო ფ ე ბ ი : 763; 784; 784,1; 785; 786; 787; 788 (პროექტი მოამზადეს გ. კარტოზიამ, გ. არაბულმა, ე. გვრიტიშვილმა, ლ. კიკნაძემ, ბ. მასხარაშვილმა, ე. ტურაბელიძემ).

783 მე ი გ ი ვ ა რ , ვ ი ნ ს ო ფ ე ლ ა ა რ ა მ ო ვ ჰ კ რ ე უ კ ი ტ რ ა დ ბ ე რ ა დ ,  
ვ ი ს ს ი კ ლ ი დ ი მ ო ყ უ რ ის ა თ ტ ის თ ა მ ა შ ა დ დ ა მ ი ჩ ა ნ ს მ დ ე რ ა დ ;  
ჩ ე მ ს ა მ ზ ე ს ა დ ა ე უ თ ხ ო ვ ე , გ ა უ შ ტ ი ვ ა რ , დ ა ე დ გ ე მ ე რ ა დ !  
დ ა მ ა ს თ უ დ ა ე ს თ მ ო ბ , ს ა ხ ლ ა ჩ ე მ ს ა ვ ე ლ ა რ დ ა ე ს თ მ ო ბ ვ ი ს ს ა ვ ე რ ა დ ?

ს ა ი უ ბ ი ლ ე ო გ ა მ ო ც ე მ ა ს თ ა ნ (ს ტ რ . 777) შ ე დ ა რ ე ბ ი თ პ რ ო ე კ ტ შ ი შ ე მ დ ე გ ი ც ე ლ ი ლ ე ბ ა ა : გ ა უ შ ტ ი ვ ა რ (გ ა ე უ შ ვ ი ვ ა რ) . პ რ ო ე კ ტ ი მ ი ლ ე ბ უ ლ ი ქ ნ ა .

ს ტ რ ო ფ ის შ ი ნ ა ა რ ს ი : მ ე ი ს ვ ა რ , ვ ი ნ ც კ ე ე ყ ა ნ ა ს ბ ე ბ ე რ კ ი ტ რ ა დ ა რ მ ი ე ო ჩ ნ ე ე (ა რ ა ფ რ ა დ ვ ა გ დ ე ბ) , ვ ი ს ა ც მ ე გ ო ბ რ ის ა თ ე ის ს ი კ ე დ ი ლ ი გ ა რ თ ო ბ ა დ დ ა თ ა მ ა შ ა დ მ ი მ ა ჩ ნ ა ; ჩ ე მ ს მ ზ ე ს (თ ი ნ ა თ ი ნ ს) დ ა ე უ თ ხ ო ვ ე , გ ა მ ი შ ე ა , რ ა ტ ო მ დ ა ვ რ ჩ ე ე თ უ მ ა ს დ ა ე თ მ ო ბ , ჩ ე მ ს ს ა ხ ლ ს ვ ე რ დ ა ე თ მ ო ბ ?  
რ ე დ ა კ ტ ი ა ა ღ ნ ე მ ა ვ ე ს , რ ო მ ს ტ რ ო ფ ის დ ა ბ ო ლ ო ბ ა ბ უ ნ დ ო ვ ა ნ ა . ვ ა რ ი ა ნ ტ ე ბ ი ს ა მ უ ა ლ ე ბ ა ს ა რ ი ძ ლ ე ე ვ ა გ ა ე ი ვ ო თ ტ ა ე პ ის ა ზ რ ი . კ ე რ ძ ო ლ , გ ა უ ჯ ე ბ ა რ ი ა ვ ი ს ს ა ფ ო რ მ ა .

784 ა წ ა ნ დ რ ო ს ა ჩ ე მ ს ა მ ო გ ც ე მ , რ ო ს ტ ა ნ ს წ ი ნ ა დ ა წ ე რ ი ლ ა ;  
შ ე ნ შ ე გ ე ე დ რ ე ბ , დ ა გ ი უ ი რ ო ს , ე თ ა გ მ ა რ თ ე ბ ს ჩ ე მ ს ა ზ რ დ ი ლ ა .  
მ ო ვ კ ლ დ ე , თ ა ე ს ა ნ უ მ ო ი კ ლ ა ე , ს ა ტ ა ნ ა ს გ ა ნ ნ უ ი ქ კ მ ნ ი ლ ა ,  
დ ა ა მ ა ზ ე დ ა ი ტ ი რ ე ბ დ ი , დ ა ი დ ე ბ დ ი თ ე ა ლ თ ა მ ი ლ ა \* .

ს ა ი უ ბ ი ლ ე ო გ ა მ ო ც ე მ ა ს თ ა ნ (ს ტ რ . 778) შ ე დ ა რ ე ბ ი თ პ რ ო ე კ ტ შ ი შ ე მ დ ე გ ი ც ე ლ ი ლ ე ბ ა ა : ი ქ (ი ქ მ) .

ო . გ ი გ ი ნ ე ი შ ვ ი ლ ის ა ზ რ ი თ , მ ე ო რ ე ტ ა ე პ შ ი ზ მ ნ ის მ ე ო რ ე პ ი რ ის ფ ო რ მ ა (გ მ ა რ თ ე ბ ს) უ ნ დ ა შ ე ი ც ვ ა ლ ო ს ზ ო გ ა დ ი მ ნ ი შ ე ნ ე ლ ო ბ ის ჰ ქ ო ნ ე მ ე ს ა მ ე პ ი რ ის ფ ო რ მ ი თ (მ ა რ თ ე ბ ს) .

ს . ც ა ი შ ვ ი ლ ი მ ხ ა რ ს უ ქ ე რ ს ა მ მ ო ს ა ზ რ ე ბ ა ს .

რ ე დ ა კ ტ ი ის ს ხ ვ ა წ ე ე რ ე ბ ს მ ი ა ჩ ნ ა თ , რ ო მ ა ნ გ ა რ ი შ ი უ ნ დ ა გ ა ე წ ი ო ს ხ ე ლ ნ ა წ ე რ თ ა უ მ რ ა ე ლ ე ს ო ბ ის ჩ ე ე ნ ე ბ ა ს დ ა დ ა რ ჩ ე ს გ მ ა რ თ ე ბ ს ფ ო რ მ ა , რ ო მ ე ლ ი ც ა მ კ ო ნ ტ ე ქ ს ტ შ ი ს ა ე ს ე ბ ი თ გ ა ს ა გ ე ბ ა .

დ ა დ ლ გ ი ნ ე ს : დ ა რ ჩ ე ს წ ა კ ი თ ხ ე ა გ მ ა რ თ ე ბ ს (წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ნ ი — ო . გ ი გ ი ნ ე ი შ ვ ი ლ ი დ ა ს . ც ა ი შ ვ ი ლ ი) .

ს ტ რ ო ფ ის შ ი ნ ა ა რ ს ი : ა ხ ლ ა ჩ ე მ ს ა ნ დ რ ო ს მ ო გ ც ე მ , რ ო ს ტ ე ე ა ნ თ ა ნ მ ი წ ე რ ი ლ ს ; შ ე ნ ს თ ა ე ს მ ა ს ჩ ა ე ბ ა რ ე ბ , (ი ს ე) მ ი გ ი ლ ო ს , რ ო გ ო რ ც ჩ ე მ ს გ ა ზ რ დ ი ლ ს შ ე გ ე ფ ე რ ე ბ ა . თ უ მ ო ვ კ ე დ ე , თ ა ე ს ნ უ მ ო ი კ ლ ა ე , ს ა ტ ა ნ ის (ე შ მ ა ყ ის) ს ა ქ მ ე ს ნ უ ი ზ ა მ , ა მ ა ზ ე ი ტ ი რ ე , თ ე ა ლ ე ბ უ მ ი ლ ი დ ა ი დ ე (ტ რ ე მ ლ ე ბ ი ლ გ ა რ ე) .

784,1 ს ა წ ო ლ ს ზ ის პ ი რ მ ე ა ე თ ა ნ დ ი ლ , გ ა ე ს ა ნ დ რ ო ძ ის ა მ წ ე რ ე ბ ა დ ;  
თ ე ა ლ ნ ი მ ე ლ ნ ის ა წ ა მ წ მ ი თ უ რ თ , წ ა რ ბ ი გ ი შ რ ის ა ფ ე რ ე ბ დ ;  
ა ხ ლ ა ა შ ლ ი ა უ ლ ვ ა შ ი , ი ა ე ხ ე უ ე ის წ ე ტ ე რ ე ბ ა დ ;  
დ ა ა რ ა ბ ე თ ს რ ო ს ტ ე ე ა ნ ის თ ე ის მ ზ ე ლ ა მ ის დ ა ნ ა წ ე ტ ე რ ე ბ ა დ .

1956 წ ლ ის გ ა მ ო ც ე მ ა ს თ ა ნ (ს ტ რ . 959) შ ე დ ა რ ე ბ ი თ პ რ ო ე კ ტ შ ი ც ე ლ ი ლ ე ბ ა ა რ ა რ ის . პ რ ო ე კ ტ ი მ ი ლ ე ბ უ ლ ი ქ ნ ა .

ს ტ რ ო ფ ის შ ი ნ ა ა რ ს ი : პ ი რ მ ზ ე ა ე თ ა ნ დ ი ლ ი ს ა წ ო ლ შ ი ზ ის , ა ნ დ რ ო ძ ის მ წ ე რ ა ლ ი ჩ ა ნ ს ; თ ე ა ლ ე ბ ი მ ე ლ ნ ის (ფ ე რ ი) წ ა მ წ ა მ ე ბ ი თ უ რ თ (დ ა) წ ა რ ბ ე ბ ი გ ი შ ე რ ს უ ვ ა ე ს ; უ ლ ვ ე შ ი ა ხ ლ ა დ ა შ ლ ი ა , წ ე ე რ ე ბ ა დ ი ა ე ხ ვ ე ე ა (ხ უ ლ უ ჭ ი წ ე ე რ ი ა ქ ე ს) ; ა რ ა ბ ე თ შ ი რ ო ს ტ ე ე ა ნ ის თ ე ის მ ზ ე ჩ ა ს ე ლ ა ს ლ ა მ ო ბ ს .

785 დ ა ე დ ა წ ე რ ა დ ა ნ დ რ ო ძ ის ა , ს ა ბ რ ა ლ ო ს ა ს ა უ ბ რ ის ა დ ;  
\* ქ ე მ ე ფ ე ო , გ ა ე ი პ ა რ ე ძ ე ბ ნ ა დ ჩ ე მ გ ა ნ ს ა ე ბ რ ის ა დ ;

\* გ ა გ რ ძ ე ლ ე ბ ა . დ ა ს ა წ ყ ის ი ს . მ ა ც ე ნ ე , ე ნ ის ა დ ა ლ ი ბ რ ა ტ უ რ ის ს ო რ ი ა , 1974, № № 3, 4; 1975, № № 1, 3, 4; 1976, № № 1, 3, 4; 1977, № № 3, 4; 1978, № № 1, 2, 3, 4.

ვერ დავედგებო შეუყრელად ჩემთა ცეცხლთა მომღებრისად;

და შემინდეუ და წამატანე მოწყალება ღმრთაებრისად.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 799) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: ანდერძისა (ანდერძისად).

გ. კარტოზია: პროექტში, ხელნაწერთა უზრავლესობის ჩვენების თანახმად, აღდგენილია ნანათესაობითარი ვითარებითის შეუთანხმებელი (უღონო) ფორმა (ანდერძისა), რომელიც ჩვეულებრივია როგორც ძველი, ისე მომდევნო ხანის ქართულიწიგნისთვის.

ი. გიგინეიშვილი: ვფიქრობ ასევე უნდა მოვიტყუთ სარიტმოს სიტყვათა შემთხვევაშიც. (საუბრისა, საძებრისა, მომღებრისა, ღმრთაებრისა). ჩემთვის, კერძოდ, გაუგებარია ღმრთაებრისად ფორმა (მოწყალება ღმრთაებრისად).

გ. კარტოზია: ბოლოკიდური -ღ-ს (ვითარებითის ნიშნის) მოშლა I-II-III ტაქეებში კიდევ შეიძლებოდა, ხელნაწერთა ჩვენება რომ არ გვიშლიდეს ხელს, მაგრამ სწორედ მეოთხე ტაქეში არ შეიძლება ღ-ს მოშორება. ღმრთაებრისად საზღვრულიწიგნისი მსაზღვრელია და ნანათესაობითარი ვითარებითის სრული დაბოლოება აქ აუცილებელია. ღმრთაებრისად = ღმრთაებრი მოწყალებისად, ე. ი. ღმრთაებრი მოწყალების მსგავსად. შტრ. სდის ზღვათა შესართავისად (178, 1241) = სდის (ცრემლი) ზღვათა შესართავი ცრემლისად, ე. ი. ზღვათა შესართავი ცრემლის მსგავსად. ლიტერატურაში (კ. კეკელიძე) გარკვეულია, რომ ნანათესაობითარ ვითარებითის შექმნა მსგავსების გადმოცემა.

ი. გიგინეიშვილი: ნანათესაობითარი ვითარებითის ფორმები თვითონ მოითხოვენ ახსნას. კერძოდ, გასარკვევია, შესართავისად ნიშნადა თუ არა შესართავის მსგავსად-ს.

დაადგინეს: დარჩეს პროექტის წაკითხვა.

ი. გიგინეიშვილი: მეორე ტაქეში ნაცვლად გავიპარე ფორმისა უფრო მართებულია მთელ რიგ ხელნაწერებში დაღასტურებული გავიპარე (= მივიპარე). ხელნაწერთა ნაწილში გავიპარე-ის შეცვლა გავიპარე-თი იმით უნდა აიხსნებოდეს, რომ გავიპარე შეცდომით მყოფადად იქნა გაგებული.

ა. ბარამიძეს და გ. კარტოზიას მიანიშნავთ, რომ წყვეტილის ფორმა (გავიპარე) ტექსტში საესებით შესაძლებელია და გამოცემაში ტრადიციულად ქცეული წაკითხვის შეცვლა საჭირო არ არის. გ. კარტოზიამ, კერძოდ, აღნიშნა, რომ ასევე წყვეტილის ფორმებს ხმარობს ავთანდილი თავის წერილში ყმათა მიმართ: „ოტასა ხანსა ვარჩიე გავრა სმასა და მღერასა, პურად და საქმლად მივენდე ჩემსა მშუილდსა და ცერასა“ 164ჟ-ჟ.

დაადგინეს: მიღებულ იქნეს წაკითხვა: გავიპარე (წინააღმდეგნი — ა. ბარამიძე, გ. კარტოზია).

სტროფის შინაარსი: დაჯდა ანდერძის, სიბრალულის აღმძვრელი სათქმელის დასაწერად: „აჲ, მეფე, მივიპარე იმის საძებრად, ვისი ძებნაც მე მმართვეს; ვერ დავედგები (დავრჩები), თუ არ შევეყარე ჩემი ცეცხლის მომღებს (ტარიელს); მამატიე და წალობა გამატანე ღვთაებრივის (ღვთაებრივი მოწყალების) მსგავსად.

786 ვიცი, ბოლოდ არ დამიგმობ ამ ჩემსა გაზრახულსა.

კაცი ბრძენი არ გასწირავს მოყუარესა მოყუარულსა;

მე სიტყუასა ერთსა გჳადრებ, პლატონისგან სწავლა-თქმულსა;

და ესირუე და ორპირობა ავნებს კორცსა, მერმე სულსა.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 780) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

ი. გიგინეიშვილი: მესამე ტაქეში სწავლა-თქმულსა ორცნებიანი კომპოზიტია (=სწავლა და თქმული). პლატონისგან სწავლა და თქმული უხერხული გამოთქმაა: ამ უხერხულობის ასაცილებლად ზოგი ხელნაწერი, სწავლებულსა-ს კითხულობს, მ. წერეთელი და პ. ინგოროყვა კი — სწავლა და თქმულსა.

გ. კარტოზია: სწავლა-თქმული შეიძლება ერთცნებიანი კომპოზიტად გავიგოთ (=სწავლა და თქმული) და შერწყმულად (უღდვისოდ) დაწერათ.

დაადგინეს: მიღებულ იქნეს წაკითხვა პლატონისგან სწავლა-თქმულსა.

სტროფის შინაარსი: ვიცი, ბოლოს არ დამიგმობ ამ ჩემს გაზრახულსა. ბრძენი კაცი არ გაწირავს (მიატოვებს) მოყვარულ მეგობარს. მე ერთ სიტყვას მოგახსენებ, პლატონის მიერ სამოძღვროდ (კეუის სასწავლებლად) თქმულს: „სირუე და ორპირობა ჭერ ხორცს ავნებს, შემდეგ სულს“.

787 რათგან თავია სირუე ყოვლისა უბადობისა,

მე რად გავწირო მოყუარე, მამა უმტყიცი ქმობისა?!

არა ვიცი, ცოდნა რას მარგებს ფილოსოფოსთა ბრძნობისა!  
და მით ვისწავლებით, მოგუეცეს შერთვა ზესთ მწყობრთა წყობისა.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 781) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: ვიქ (ვიქმ.) პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: რადგან სიცრუეა ყოველგვარი უკეთურობის სათავე (საწყისი), მე რატომ გაეწირო (მეგატოეო) მეგობარი, ძმობაზე უფრო მტკიცე გრძნობით დაკავშირებულ ძმა?! თუ არ შევასრულებ (განეხორციელებ), რაში გამომადგება ფილოსოფოსთა სიბრძნის ცოდნა იმიტომ განეისწავლებით, რომ მოგვეცეს საშუალება შევეუერთლეთ ზეციურ წესრიგს (პარმონიას). (დაწერილებით იხ. კომენტარში).

788 წაგიკითხავს, სიუჟარულსა მოციქულნი რაგუარ წერენ?  
ვით იტყუიან, ვით აქებენ? ცან, ცნობანი მიაფერენ.  
ესიუჟარული აღგუამაღლებსა, ვით ექუანნი, ამას ეღერენ,  
და შენ არ ჟერ ხარ, უსწავლელნი კაცნი ვითმცა შევაჭერენ!

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 782) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

ა. ბარამიძე: მესამე ტაეპის სარითმო სიტყვად ზოგ ხელნაწერსა და ა ს გამოცემებში გვაქვს ე რ ა ნ ე, რომელიც უფრო აღრინდელ ფორმად არის მიჩნეული.

ბ. გიგინეიშვილი: ე ლ ე რ ა, მართლაც, აღრინდელი ე რ ა ფორმიდან მომდინარეობს, მაგრამ არ არის გამორიცხული, რომ რუსთველის დროისათვის ამ სიტყვაში ღ უკვე განვითარებული ყოფილიყო.

გ. კარტოზია: ე ლ ე რ ა ფორმის არსებობას „ვეფხისტყაოსანში“ საიუბილეო გამოცემის 481-ე სტროფი მოწმობს, სადაც სარითმო სიტყვად ე ლ ე რ ა-ს მიჩნევას სხვა ტაეპთა სარითმო სიტყვები (მღერა, დღე რა) უჭერენ მხარს.

დაადგინეს: დარჩეს წაკითხვა ე ლ ე რ ე ნ.  
მესამე ტაეპის ბოლოს მძიმის ნაცვლად დაისვა წერტილი.

სტროფის შინაარსი: წაგიკითხავს, სიუჟარულზე მოციქულები (ქრისტეს მოწაფეები) როგორ წერენ? როგორ ამბობენ. როგორ აქებენ? გაიგე და გონება მიაპყარი (გონება შეუხამე). ესიუჟარული აღგვაამაღლებს“, როგორც ექვნიები ამას ეღერენ. შენ არ გჭერა, განუსწავლელნი როგორ დეაჭერო!

1077 წ. 7 ოქტომბერი

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ბ. გიგინეიშვილი, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, შ. ძიძიგური. განიხილეს სტროფები: 789; 790; 791; 792; 793; 794 (პროექტა მოამზადეს ც. კიკვიძე, ნ. ავალიშვილმა, ლ. გუგუშვილმა, ლ. თუმშალოშვილმა, ნ. ცეციტაშვილმა).

789 ვინ დამბადა, შეძლებაცა მანვე მომცა ძღვეად მტერთად;  
ვინ არს ძალი უხილავი შემწედ ყოვლთა მიწიერთად,  
; ხ ს ახ ლ ვ არს ა და უს ახ ლ ვ რებს, ზის უკუდავი ღმერთი ღმერთად,  
და იგი გაჰქდის წამისყოფით ერთსა ასად, ასსა ერთად.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 783) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: გაპქდის (გახდის).

რედაქციის წევრებმა იმსჯელეს იმის შესახებ, თუ როგორია მეორე-მესამე-მეოთხე ტაეპების შემადგენელ წინადადებათა სინტაქსური ურთიერთობა (რომელია მთავარი და რომელი — დამოკიდებული).

ბ. გიგინეიშვილი: აქ მთავარია მეოთხე ტაეპში წარმოდგენილი წინადადება, მეორე და მესამე ტაეპები კი დამოკიდებულ წინადადებას წარმოადგენენ. მესამე ტაეპში ორი დამოკიდებული წინადადებაა: ვინ სახლვარსა დაუსახლვრებს, (ვინც) ზის უკუდავი ღმერთი ღმერთად. დამოკიდებული წინადადებების მთავრისაგან გამოსაყოფად მესამე ტაეპის ბოლოს მძიმის შემდეგ ტირეც უნდა დაიწეროს.

შ. ძიძიგური: თუ მესამე ტაეპის მეორე ნახევარსაც დამოკიდებულ წინადადებად ჩაეთვლით, მაშინ გაუგებარია ამ წინადადებაში მეორე ქვემდებარის არსებობა: ვინ ც ზის უკუდავ ღმერთი ღმერთად.

ბ. გიგინეიშვილი: უ კ უ და ვ ი ღ მ ე რ თ ი, როგორც დანართი, შეიძლება გამოიყოს მძიმეებით ან ტირეებით.

გ. კარტოზია: პუნქტუაციური ცვლილებები საჭირო არ არის, რადგან რთულ ქვეწყობილ წინადადებას აქ მეორე-მესამე ტაეპები წარმოადგენს (მთავარი წინადადებაა მესამე ტაეპის მეორე ნახევარი), მეოთხე კი სინტაქსურად დამოუკიდებელი წინადადებაა.

დაადგინეს: შეიცვალოს პუნქტუაცია მესამე ტაეპში: ვინ საზღვარსა დაუსაზღვრებს, ზის — უკუდავი ღმერთი — ღმერთად, — იგი გაჰკდის... (წინააღმდეგი — გ. კარტოზია).

სტროფის შინაარსი: ვინც გამაჩინა, მანვე მომცა ძალა მტრის დასამარცხებლად; ვინც უხილავი ძალაა ყველა ამქვეყნიური არსების დამხმარედ, ვინც (ყოველ არსებულს) საზღვარს განუსაზღვრავს, ვინც — უკუდავი (მარადიული) ღმერთი — ზის ღმერთად, — ის თვალის დახამამებაში ერთს მრავლად აქცევს, მრავალს — ერთად.

790 რაცა ღმერთსა არა სწადდეს, არა საქმე არ იქმნების.

მზისა შუქთა ვერმჭურტეელი ია კმების, ეარლი ჳნების;

თჳალთა ტურფა საჳრტეელი უცხოდ რადმე ეშუდინების;

და მე ვით გავსძლო უმისობა, ან სიცოცხლე ვით მეთნების!

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 784) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

ც. კიკვიძე: მესამე ტაეპის სარიტმოს სიტყვა ნაირ-ნაირი ფორმით არის წარმოდგენილი ხელნაწერებში. პროექტში დატოვებულია ბოლოდროინდელი გამოცემების (study) წყაობზე ე შე დ ი ნ ე ბ ი ს. იგი ამოსავლად შე დ ე ნ ა „მოთმენა, ატანა, შეთვისება“ ზმნის გულისხმობს, რომელიც ღდეს ქიზიყურში დასტურდება (იხ. ს. მენთეშაშვილი, ქიზიყური ლექსიკონი, თბ., 1942; აგრ. ც. კარბელაშვილი, კრებ. შოთა რუსთველი, თბ., 1966).

ი. გიგინეიშვილი: ეს ზმნა ქიზიყს გარდა სხვაგანაც გვხვდება კახურ კილოში (მალარო, ველისციხე, თელავი და მისი მიდამოები...) შ ტ ვ ე ნ ა-ს სახით: ვერ მაიშტინა||შაიშტინა („ვერ იგუა“), ვერ შტვენულობს||ვერ იშტვენს „ვერ იფერებს, ვერ იგუებს“. ქიზიყურისაგან განსხვავებით, აქ ვ გადასმულია და დ შენაცვლებულია მკვეთრი ტ-თი. პოემის ტექსტში ე შ უ დ ი ნ ე ბ ი ს უნდა დარჩეს.

პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: რაც ღმერთს არ სწადს, არავითარი საქმე არ მოხდება. მზის შუქის ვერშემხედველი ია ხმება, ეარლი ჳკნება; ლამაზი სანახაურო თვალებს საუცხოოდ ეთვისება (ეგუება); მე როგორ გავძლო უმისობა (უტარიელობა), ან (უმისოდ) სიცოცხლე როგორ მომეწონება!

791 რაზომცა სწყრები, შეშინდეე შეცლა თქუენისა მცნებისა.

ძალი არ მქონდა ტუეექმნილსა მე მაგისისა თნებისა;

აწ წასლეა იყო წამალი ჩემთა საჳმილთა გზნებისა,

და სადა გინდ ვიყო, რა მგამა, ყოფამცა მქონდა ნებისა!

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 785) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: როგორც უნდა წყრებოდეთ, შეშინდეთ თქვენი ბრძანების შეცვლა. (ტარიელით) დატყვევებულს მე მაგის შესრულების ძალა არ მქონდა; ახლა (მხოლოდ) წასვლა იყო ჩემი ცუცხლის მოდების (=ტანჯვის) წამალი, სადაც უნდა ვიყო, რა მუნაღელება, (ოღონდ) ჩემს ნებაზე ვიყო!

792 არას გარგებს სიმბიმილი, უსარგებლო ცრემლთა დენა;

არ გარდავა გარდუვალად მომავალი საქმე ჴენა;

წესი არის მამაციისა მოჳირვება, ჳირთა თმენა,

და არვის ძალუც ჳორციელსა განგებისა გარდავლენა.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 786) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: არაფერს გარგებს მწუხარება, ცრემლის უსარგებლო დენა; მოსახდენი ჴეციური საქმე აუცილებლად მოხდება, მამაკაცს მართებს გაუძლოს გასაჳირს, მოითმინოს, ხორციელს არავის შეუძლია განგების (ღვთის ნების) შეცვლა.

793 რაცა ღმერთსა გაუგია თავსა ჩემსა გარდასავლად,

გარდამჳდეს და შემოვიქცე, აღარ დამრჩეს გული ივლად;

თქუენეე გნახნე მხიარულნი დიდებით და დავლამრავლად;

და მას რა ვარგო, დიდებულ და კმარის ესე ჩემად დავლად.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 787) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.



სტროფის შინაარსი: რაც ღმერთს დაუდგენია ჩემს თავზე მოსახდენად, გადამხდეს და შე-  
მოვბრუნდე, აღარ დამრჩეს გული დაფერფლილად; თქვენვე განხოთ მზარული დიდებით და  
მდიდრად; თუ მას რაიმეს ვარგებ, ეს საქმარისია ჩემს დიდებად და ბედნიერებად.

794 მეფეო, ესე თათბირი, მოქალა, ვინ დამიწუნოსა  
მეფეო, ნუთუ წასლვამან თქვენ ჩემმან დაგაჰმუნოსა?  
ვერ ვეცრუები, ვერ უზამ საქმესა საძაბუნოსა,  
და პირისპირ მარცხუნეს, ორნივე მივალთ მას საუკუნოსა.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 788) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: უზამ  
(ეუზამ).

ა. ბარამიძისა და ი. გიგინეიშვილის წინადადებით მეორე ტაქსის ბოლოს კითხვის ნიშანი  
შეიცვალა მძიმით.

ი. გიგინეიშვილი: მეოთხე ტაქსს D1D: ხელნაწერები სხვაგვარად წარმოგვიდგენენ: პირის-  
პირ მარცხუნეს, ორნივე მივალთ რა საუკუნოსა (A2-ში გვაქვს: რა მივალთ). ეს წაითხვა უე-  
რო მართებულა. ტაქსის აზრია: პირისპირ შემარცხუნეს, როდესაც საიქროში მივალთ ორივე.

შ. ძიძიგური: რა კავშირი არ არის აუცილებელი. ჭვეწობილ წინადადებაში წინადადებათა  
უკავშირო შეერთება „ვეფხისტყაოსანს“ ახასიათებს.

ი. გიგინეიშვილი: მაშინ წინადადებათა შორის ორწერტილი მინც უნდა დაისვას.

დაადგინეს: შეიცვალოს მეოთხე ტაქსში პუნქტუაცია: პირისპირ მარცხუნეს; ორნივე მი-  
ვალთ მას საუკუნოსა.

პროექტ, ამ ცვლილებით მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: მეფეო, მოქალა, თუ ვინმემ ეს რჩევა (გადაწყვეტილება) დამიწუნოს!  
მეფეო, შეიძლება ჩემმა წასვლამ თქვენ დაგამწუხროთ, (მაგრამ) ვერ მოვატყუებ, ლაჩრულად  
ვერ მოვექტევი (ტარიელს), პირისპირ შემარცხუნეს; ორივე მივალთ სამარაღისო სამყოფს  
(საიქროს).

1877 წ. 14 ოქტომბერი

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გიგინეიშვილი, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ს. ცაიშვი-  
ლი, შ. ძიძიგური.

განხილეს სტროფები: 795; 796; 797; 798 (პროექტი მოამზადეს ც. კიკვიძემ, ნ. ავალი-  
შვილმა, ლ. გუგუშვილმა, ლ. თუშალიშვილმა, ნ. ცქიტიშვილმა).

795 არდავიწყება მოყურისა აროდეს გუიზამს ზიანსა;  
ეჰგომბ კაცსა აუგიანსა, ცრუსა და ლალატინასა  
ვერ ვეცრუები, ვერ უზამ მას ჭელმწიფესა მზიანსა.  
და რა უარეა მამაცსა სულდიდსა, წასლვაგაჰიანსა!

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 789) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: უზამ  
(ეუზამ).

ც. კიკვიძე: მეორე ტაქსში ა უ გ ი ა ნ ს ა -ს ნაცულად, ი. გიგინეიშვილის აზრით, უნდა  
იყოს უ ა უ გ ო ს ა, რაც ხელნაწერთა დიდ ნაწილშია წარმოდგენილი (დაწვრილებით იხ. მისი,  
გამოკვლევები „ვეფხისტყაოსნის“ ენის და ტექსტის კრიტიკის საკითხების შესახებ, I, თბ.,  
1975, გვ. 73—87). ერთადერთი დაბრკოლება ამ წაკითხვის მიღებისათვის, ეფიქრობ, ისაა, რომ  
უ ა უ გ ო ქართულში „ეისრამიანაჲმ“ არ დასტურდება. აქაც მას მხოლოდ „კარვის“, „უნაქ-  
ლოს“ მნიშვნელობა აქვს. ასევე ესმით ეს სიტყვა საბას, ვახტანგს. მხოლოდ არჩილთან იხმარება  
უ ა უ გ ო ურცხვის, უსირცხვილოს მნიშვნელობით.

ი. გიგინეიშვილი: დაბრკოლებად ეს არ შეიძლება ჩაითვალოს. უ ა უ გ ო -ს თავიდანე  
ორივე მნიშვნელობა ჰქონდა: ა) კარგი, უნაკლო და ბ) ურცხვი, უსირცხვილო. ამ უქანასკნელი  
მნიშვნელობით არჩილამდე რომ არ გვხვდება, შემთხვევითი ჩანს. უ ა უ გ ო > ა უ გ ი ა ნ ი  
უფრო გასაგებია, ვიდრე აუგიანი > უაუგო.

ს. ცაიშვილი: ა უ გ ი ა ნ ი საესებით ბუნებრივი ფორმაა. შტრ. ეტ-ის ჩანართ სტროფში:  
თავს უთხრა: „მოკლე, გიჯობსო სიციოცხლეს ა უ გ ი ა ნ ს ა...“ (1871). ამიტომ ტექსტში ა უ გ ი ა  
ნ ს ა უნდა დარჩეს.

დაადგინეს: მიღებულ იქნეს წაითხვა უ ა უ გ ო ს ა (წინააღმდეგი — ს. ცაიშვილი).

სტროფის შინაარსი: მეგობრის არდავიწყება ზიანს არასოდეს არ მოგვიტანს. ვგომბ უსირ-  
ცხვილო, ცრუ და ლალატის ჩამდენ კაცს ვერ მოვატყუებ, (ასეთ საქმეს) ვერ ვუზამ იმ მზიურ  
ხელმწიფეს (ტარიელს). რაა გულზეიად (გორიზ), დამგვიანებელ მამაკაცზე უარესი?

796 რა უარება მამაცსა ომშიგან პირის მხმეველსა,  
 შემდრკალსა, შეშინებულსა და სიკუდილისა მეჭუღელსა!  
 კაცი ჭაბანი რითა სჯობს დიაცსა ქსლისა მბეჭველსა?  
 და სჯობს სახელისა მოხრეკა ყოველსა მოსახუბველსა!

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 790) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.  
 გ. კარტოზია: მეორე ტაეპში შე მ დ რ კ ა ლ ს ა ფორმას მხოლოდ რამდენიმე ხელნაწერა  
 (A<sup>2</sup>A<sup>8</sup>A<sup>12</sup>B<sup>1</sup>B<sup>2</sup>B<sup>3</sup>) წარმოგვიდგენს, ხელნაწერთა უმრავლესობაში შე დ რ ე კ ა ლ ა ნ შე დ რ ე კ ი თ წერია. სწორედ ამ წაკითხვათაგან უნდა შეირჩეს ძირითადი ვარიანტი.  
 ი. გვიგინიშვილი: შე დ რ ე კ ი თ შე შ ი ნ ე ბ უ ლ ს ა კარგი წაკითხვაა.

დაადგინეს: დარჩეს შე მ დ რ კ ა ლ ს ა (წინააღმდეგი -- გ. კარტოზია).  
 სტროფის შინაარსი: რაა უარესი ომში (შიშით) პირდაღმევილ მამაკაცზე, რომელიც შემ-  
 დრკალა, შეშინებულია და (ნიადაგ) სიკვდილზე ფიქრობს! ლაჩარი კაცი რით სჯობს მქსოველ  
 ღედაკაცს? ყოველ მოსაპოვებელს, სახელის მოპოვება სჯობს!

797 ვერ დაიჭირავს სიკუდილსა გზა ვიწრო, ვერცა კლდოვანი;  
 მისგან ყოველი გასწორდეს, სუსტი და ძალგულოვანი;  
 ბოლოდ შეყარნეს მიწამან ერთგან მოყმე და მცხოვანი.  
 და სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა სიკუდილი სახელოვანი!

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 791) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.  
 ა. ბარამიძე: მისგან ყოველი გასწორდეს პროზაიზმშია, უკეთესი წაკითხვაა:  
 მისგან გასწორდეს ყოველი.  
 რედაქციამ მიიღო წაკითხვა მისგან გასწორდეს ყოველი, რომელიც ხელ-  
 ნაწერთა უმრავლესობაშია წარმოდგენილი.

სტროფის შინაარსი: სიკვდილს ვერ დაიჭერს ვერც ვიწრო, ვერც კლდოვანი გზა; მისგან  
 (სიკვდილისგან) გათანასწორდება ყველა, სუსტი და ძლიერი; ბოლოს შეყრის ერთად მიწა  
 ახალგაზრდასა და მოხუცს. ნაძრახ სიცოცხლეს სახელოვანი სიკვდილი სჯობს!

798 მერმე ვიშიშვი, მეფეო, თქუენად კადრებად ამისად:  
 სტების და სტების, სიკუდილსა ვინ არ მოელის წამისად,  
 მოვა შემყრელი ყოველთა ერთგან დღისა და ღამისად,  
 და თუ ვერა გნახე ცოცხალმან, სიცოცხლე გქონდეს ვამისად.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 792) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექ-  
 ტი მიღებულ იქნა.  
 სტროფის შინაარსი: მერმე ვშიშობ, მეფეე, თქვენთვის ამის თქმას: ცდება და ცდება (ის),  
 ვინც სიკვდილს ყოველწამს არ მოელის; მოვა ყველას ერთად შემყრელი (სიკვდილი) დღისით  
 თუ ღამით, ცოცხალმა თუ ვერ გნახე, (თქვენ) იცოცხლეთ ხანგრძლივად!

1077 წ. 21 ოქტომბერი

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გვიგინიშვილი, გ. კარტოზია, ე. კიკვიძე, ს. ცაიშვილი.  
 განიხილეს სტროფები: 799; 800; 800,1; 800,2 (პროექტი მოამზადეს ე. კიკვიძემ, ნ. ავა-  
 ლიშვილმა, ლ. გუგუშვილმა, ლ. თუშმალიშვილმა, ნ. ცქერტიშვილმა); 801; 802 (პროექტი მო-  
 ამზადეს გ. კარტოზიამ, გ. არაბულმა, ე. გერიტიშვილმა, ლ. კიკნაძემ, ბ. მასხარაშვილმა,  
 ე. ტურაბელიძემ).

799 თუ საწუთრომან დამამკოს, ყოველთა დამამკობელმან,  
 ღარიბი მოკუღდე ღარიბად, ვერ დამიტროს მშაოზელმან.  
 ველარ შემსუდრონ დაზრდილთა და ვერცა მისანდობელმან, --  
 და მუნ შემიწყალოს თქენმანვე გულმან მოწყალე-მლობებელმან.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 793) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექ-  
 ტი მიღებულ იქნა.  
 სტროფის შინაარსი: თუ წუთისოფელმა მომსპოს, ყველას გამანადგურებელმა, (თუ) უცხო  
 ქვეყანაში გადახვეწილი უცხოეთშივე მოკვდე, ნშობელმა (თუ) ვერ დამიტროს, (თუ) დაზრ-  
 დილებმა და ვერც ერთგულებმა (ვისაც მიენდობი) ველარ შემსუდრონ, -- მაშინ შემიწყალოს  
 თქვენმა მოწყალე და ღმობიერმა გულმა.

800 მაქუს საქონელი ურიცხუი, ვერვისგან ანაწონები,  
 მიეც გლახაკთა საქურჰლე, ათავისუფლე მონები,

შენ დაამდიდრე ყოველი, ობოლი, არას მქონები:

და მილჭუიან, მომიგონებენ, დამლოცვენ, მოვავგონებ.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 794) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: მაქვს უთვალავი ქონება, ვერაინ რომ ვერ აწონის, დაურჩევ ღარიბ-ღატაკებს განძი, გაათავისუფლე მონები, შენ გაამდიდრე ყველა, ობოლი, არაფრის მქონე; იზრუნებენ ჩემთვის, მომიგონებენ, დამლოცავენ, მოვავგონდები.

800,1 ღმერთსა მევედრებდეს მრავალი გლახაკი გულმჭურვალები;

დამკსნას კორცთა და სოფელსა, ნუმცა რად შევიცვალები;

ქულა ცეცხლი ჭოჯოხეთისა ნუმცა მწუჯეს, იგი ალები;

და მომცეს მკუთრივე მამული მუნ ჩემი სასურვალები.

1956 წ. გამოცემასთან (სტრ. 976) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

რედაქციამ მესამე ტაეპის შიგნით შიშიმე გადასვა: ქულა ცეცხლი ჭოჯოხეთისა, ნუმცა მწუჯეს იგი ალები; I—II—III ტაეპების ბოლოს წერტილ-შიშის ნაცვლად დაისვა შიში. პროექტი ამ ცვლილებით მიღებულ იქნა.

მიუხედავად იმისა, რომ 800,1 და მომდევნო 800,2 სტროფი არის ყველა დაუზიანებულ ხელნაწერში, რედაქცია, ისევე როგორც პოემის გამომცემელთა დიდი უმრავლესობა, ამ სტროფებს ჩანართად მიიჩნევს, რადგან: ა) პოეტურად მეტად მდარეა; ბ) აზრობრივად გაუმართავია (კერძოდ, გაუგებარია მეორე ტაეპში ნუმცა რად შევიცვალები); გ) სტროფები უხეში იმიტაცია ავთანდილის ანდერძისა და ნესტან-დარეჯანის წერლის ზოგი სტროფისა.

სტროფის შინაარსი: ღმერთს შემვედრებს მრავალი გულმჭურვალე გლახაკი, გამათავისუფლოს ხორცისა და წუთისოფლისაგან, სხვა მხრივ ნუ შევიცვლები. აგრეთვე ჭოჯოხეთის ცეცხლი, ის (ჭოჯოხეთის) ალი ნუ დამწუჯეს, იქ ჩემთვის სასურველი მკვიდრი (სამუდამო) მამული მომცეს.

800,2 დამკსნას ბნელსა და ნათელი შემმოსოს ზესთა ზენისა;

მუნ დამიუნჯოს, წამალი სადა ძეს სულთა ლხენისა;

ჩემი არ ჰქონდეს შეძლება სოფლისა მლილთა კბენისა;

და ფრთენი მომესხნენ და ძალი მომეცეს აღმაფრენისა.

1956 წ. გამოცემასთან (სტრ. 977) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: ბნელსა (ბნელი), ზესთა ზენისა (ზესთა-ზენისა); მუნ დამიუნჯოს, წამალი სადა ძეს (მუნ ღამუნჯოს წამალი, სადა ძეს); მესამე ტაეპის ბოლოს წერტილ-შიშიმეა შიშის ნაცვლად.

პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: ბნელისაგან მიხსნას და ზეციური ნათელი შემმოსოს, იქ შემინახოს (მიმიჩინოს) ადგილი, სადაც ძვეს სულის შეების წამალი; ჩემი შექმე (კბენა) არ შევძლოს. წუთისოფლის მატლს (ჩრჩილს); ფრთები გამომესხას და აღმაფრენის ძალა მომეცეს.

801 რაცა თქვენთუჩს არ ვარგიყოს საქურქლესა დასადებლად,

მიეც ზოგო ხანავათა, ზოგი ქილთა ასაგებლად;

ნურა ნუ გჰურს საქონელი ჩემი ჩემთუჩს წასაგებლად!

და შენგან კიდე არეინ მიეის ცეცხლთა ცხელთა დამავსებლად.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 795) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: რაც თქვენთვის საგანძურში შესანახად არ ვარგოდეს, გაეცი ზოგი ხანავების (დავრდომილთა, უპოვართა, ობოლთა, უცხო მგზავრთა თავშესაფრების), ზოგი კი ხილების ასაგებად; ჩემს საქონელს ნურადფრს ნუ დაიშურებ ჩემთვის დასახარჯავად (ჩემი სულის საოხად)! შენ გარდა არაინ მყავს, რომ ჩამიქროს ცხელი ცეცხლი.

802 ამას იქით ჩემგან ჩემი ამბავიცა არ გეცნევის,

ამად გვედრებ სულსა ჩემსა, წიგნი გჯადრებს, არ გეთნევის,

ირას არგებს, ეშმაკისა საქმეთაგან დაძლევის,

და შემინდევ და შემივედრე, მკუღარსა რალა გარდმეკდევის!

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 796) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: ამას შემდეგ ჩემგან ჩემი ამბავი არ გეცნობება, ამიტომ გაბარებ ჩემს სულს, წერილი მოგახსენებს, არ მოგვეფრება, (პირფერობა ჩემს სულს) არათერში გამოადგე-

ბა, ეშმაკის საქმეები დაძლეეს, შემინდეს და მიიბარეს ჩემი თავი (უპატრონე ჩემს სულს), მკვლარს რა პასუხი მომეთხოვება!

## 1977 წ. 26 ოქტომბერი

სხდომას დაესწრნენ: ი. გიგინეიშვილი, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ს. ცაიშვილი.

განიხილეს სტროფები: 803; 804; 805; 805,1 (პროექტი მოამზადეს გ. კარტოზიამ, გ. არაბულმა, ე. გვრიტიშვილმა, ლ. კიკნაძემ, ბ. მასხარაშვილმა, ე. ტურაბელიძემ).

803 გვედრებ, მეფეო, შერმადინს, მონას ჩემსა რჩეულსა, —  
ნაკად აქუს ჭირი სამისოდ ამ წელიწადსა წელეულსა, —  
ნუგეშინისეც წყალობით, ჩემგან წყალობაჩქეულსა,  
და ნუ დაადინებ თქალთაგან ცრემლსა, სისხლითა ფრქვეულსა.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 797) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: მეფე, გაბარებ შერმადინს, ჩემს რჩეულ მონას (ყმას, ვასალს), — თავისთვის ქარბად აქვს გასაჭირი (ზღვრი გასაჭირი ადგას) წლევიანდელ წელიწადს, — ნუგეში ეცი წყალობით, ჩემგან წყალობას დაჩეულს, თვალებიდან ნუ დაადენინებ სისხლიან (სისხლთან ერთად დაფრქვეულ) ცრემლს.

804 გასრულდა ჩემი ანდერძი, ჩემგან ნაწერი ქელითა.

აჰა, გამზრდელო, მოგშორდი, წავე გულითა ხელითა.  
ნუ სკმუნავთ ჩემთვის მეფენი, ნუ ხართ მოსილნი ბნელითა,  
და სუფევითმცა ხართ თავითა, მტერთაგან საკრძალებელითა!

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 798) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: დამთავრდა ჩემი ანდერძი, ჩემი ხელით დაწერილი. აჰა, გამზრდელო, მოგშორდი, წავედი გახელებული გულით. ნუ წუხხართ ჩემ გამო მეფენი (= როსტევენი და თინათინი), ნუ იქნებით ბნელით მოცულნი (დამწუხრებულნი), იმეფეთ (იხელმწიფეთ) მტრებისთვის მოსარიდებლებმა (სამოშრებმა)!

805 მისცა ანდერძი შერმადინს, რა გაათავა წერითა,  
უთხრა: „ჰკადრეო მეფესა საქმითა მეცნიერითა,  
შენ დაგამეტებს ვერაფერს მსახურებითა ვერითა“.

და მოეხუთა და ატირდა ცრემლითა სისხლთა ფერითა.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 799) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

ი. გიგინეიშვილსა და ს. ცაიშვილს შიამნით, რომ შესაძლებელია მსახურებითა უნდა შეიცვალოს რაღაც ხელნაწერში წარმოდგენილი წაკითხვით — ს ა მ ს ა ხ უ რ ი თ ა . მ ს ა ხ უ რ ი ბ ა „ვეფხისტყაოსანში“ სხვაგან არ გვხვდება, ყველგან ს ა მ ს ა ხ უ რ ი იხმარება; ამასთან კეთილმოყვების თვალსაზრისით ს ა მ ს ა ხ უ რ ი თ ა ვერითა უკეთესია.

გ. კარტოზიამ აღნიშნა, რომ ბელნაწერთა ჩვენება გადაწყვეტით ვერც ერთი წაკითხვისათვის ვერ მიგვანიჭებინებს უპირატესობას, გამოცემათა ტრადიციით კი მ ს ა ხ უ რ ე ბ ა-ს უკერძო მხარს. მ ს ა ხ უ რ ე ბ ა ჩვეულებრივი წარმოებაა ძველ ქართულში. რაც შეეხება კეთილმოყვინებას, მ ს ა ხ უ რ ე ბ ი თ ა ვ ე რ ი თ ა-ც როდია ურიგო წაკითხვა (ასონანსური შიდარიტმა!)

დაადგინეს: ტექსტის განხილვა გადაიდოს შემდგომი სხდომისთვის.

მომდევნო სხდომაზე (1977.7.XI) რედაქციამ იმსჯელა ამ ტექსტის შესახებ. ა. ბარამიძემ, კერძოდ, აღნიშნა, რომ, რამდენადაც ს ა მ ს ა ხ უ რ ი ჩვეულებრივი სიტყვაა პოემაში, აბოცო მოსალოდნელი მისი გადაკეთება მ ს ა ხ უ რ ე ბ ა ფორმით; პირიქით კი შეიძლება მომხდარიყო.

დაადგინეს: მიღებულ იქნეს წაკითხვა: ს ა მ ს ა ხ უ რ ი თ ა (წინააღმდეგნი — ა. ბარამიძე, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე).

სტროფის შინაარსი: მისცა ანდერძი შერმადინს, წერა რომ დამთავრა, უთხრა: „მეფეს გონიერულად (საქმის ცოდნით) მიართვიო, შენ ვერაფერს გაჭობებს ვერაფეთარი სამსახურითო“. მოეხუთა (ავთანდილი შერმადინს) და ატირდა სისხლისფერი ცრემლით.

805,1 ყმა შეეკაზმა წასაელად, ცრემლითა მოეწყო ველი.

მზე წავიდოდა, დეცა არაბეთს ბინდი ყოველი;

ქამს შეპუნება მაღლისა, ვინცა არს ქირსა მოველი;

და მიზიგთას მივა ღმრთისაგან გამარჯვებისა მთხოველი.

1956 წ. გამოცემასთან (სტრ. 983) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

მესამე ტაეპში რედაქციამ მიიღო წაკითხვა ვინცა რახ ქირსა მოვლი. ტაეპის ბოლოს დაისვა ორწერტილი.

სტროფის შინაარსი: მოუმე შეიკაზმა წასასვლელად (გასამგზავრებლად), (მისი) ცრემლოთ მოირწყო ველი. მზე (ათანდილი) მიდოდა, არაბეთი სრულმა სიზნელემ მოიკცა (არაბეთის ბინდი დაეცა); საჭიროა უზენაესის მორიდება, ვინც რა ქირს უნდა მოელოდეს; მისვითში (მე-ჩეთში) მიღის ღმრთისათვის გამარჯვებას მთხოველი.

#### 1077 წ. 4 ნომბერია

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიფე, ი. გიგინეიშვილი, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ე. მეტრეველი, ს. ცაიშვილი, შ. ძიძიგური.

განიხილეს სტროფები: 806; 807; 808 (პროექტი მოამზადეს გ. კარტოზიამ, გ. არაბულმა, ე. გვრიტიშვილმა, ლ. კიკვიძემ, ბ. მასხარაშვილმა, ე. ტურაბელიძემ).

806 ილიცაეს, იტაჟის: „მაღალო ღმერთო ქმელთა და ცათაო, ზოგჯერ მომცემო პატივთა, ზოგჯერ კეთილთა მზათაო, უცნაურო და უთქმელო, უფალო უფლებათაო, და მომეც დათმობა სურვილთა, მფლობელო გულისთქმითაო!

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 800) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

ე. მეტრეველი: მაღალი ძველ ქართულში დამოუკიდებლად იხმარება და ღმერთის გამოხატველია. ამ სტროფში სწორედ ასეთი შემთხვევაა საგულებელი. ამიტომ მაღალი-ს შემდეგ მძიმე უნდა დაისვას.

გ. კარტოზია და ს. ცაიშვილი მხარს უჭერენ ამ წინადადებას.

რედაქციის სხვა წევრები წინააღმდეგი არიან მაღალი-ს შემდეგ მძიმის დასმისა. მათ შიანიათ, რომ მაღალი აქ ღმერთის მსაზღვრელია. ც. კიკვიძემ, კერძოდ, აღნიშნა, რომ ძველ ქართულ ტექსტებში, ჩვეულებრივ, როცა მაღალი და ღმერთი ერთად იხმარება, მაღალი მსაზღვრელი სახელია და არ არის გასუმსტანტრეებელი.

დაადგინეს: დარჩეს წაკითხვა: მაღალო ღმერთო.

სტროფის შინაარსი: (ათანდილი) ლოცულობს, ამბობს: „მიწისა და ცის მაღალო ღმერთო, ხან ტანჯვის, ხან კი მზა სიკეთის მომცემო, შეუცნობელო და გამოუთქმელო, უფლებათა უფალო (მეუფეთა მეუფეო), შემადლებინე სურვილების (ვნებუნას) მოთმენა, გულისთქმის გამგებელო!

807 ღმერთო, ღმერთო, გეაჩუბი, რომელი ჰვლობ ქუენათ ზესა, შენ დაჰბადე მიჯნურობა, შენ აწესებ მისსა წესსა, მე სოფელმან მომამორეა უკეთესსა ჩემსა მზესა, და ნუ ამოფხვრი სიყუარულსა, მისგან ჩემთჳს დანათესსა!

საიუბილეო გამოცემასთან (801) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: ზესა (ზესსა).

პროექტი მიღებულ იქნა. რედაქციის წევრებს მართებულად მიაჩნიათ პირველ ტაეპში ზესა ფორმის აღდგენა. ზესსა, რომელიც ზოგიერთ გამოცემაში (ს I ა) გულებდა, რითმის გამართვისთვის მოხმობილი კონიექტურაა და საჭირო არ არის.

სტროფის შინაარსი: ღმერთო, ღმერთო, გვედრებე (შენ), რომელიც ბატონობ (მთელ სამყაროს) ქვეყნულიდან ზესსენლამდე, შენ გააჩინე მიჯნურობა, შენ ადგენ მის წესს, მე წუთისოფელმა მომამორა ჩემს უკეთეს (ყველაზე კარგ) მზეს (თინათინს), ნუ ამოფხვრი მის მიერ ჩემთვის დათესილ სიყუარულს!

808 ღმერთო, ღმერთო მოწყალეო, არეინ მეის შენგან კიდე, შენგან ვითხოვე შეწვენასა, რაზომსაყა გზასა ველიდე: მტერთა ძლევა, ზღუათა ლეღა, ღამით მავნე გამარიდე! და თუდა დავრჩე, გამსახრებდე, შენდა მსხტეაბლსა შევსწირვიდე“.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 802) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

ი. გიგინეიშვილი: მეორე ტაეპის ბოლოს ორწერტილი მძიმით უნდა შეიცვალოს. II და III ტაეპი სინტაქსურად არის ერთმანეთთან დაკავშირებული (= რამდენი უნდა ვიარო, მტერთა ძლევა, ზღუათა ლეღა, ღამით მავნე ამაცილე).

ე. მეტრეველი და შ. ძიძიგური მხარს უჭერენ ამ წინადადებას.

რედაქციის სხვა წევრებს მიანჩნით, რომ მეორე ტაეპი დამოუკიდებელ წინადადებას წარმოადგენს და მის შემდეგ მძიმის დასმა სავირო არ არის. ოღონდ ტაეპის ბოლოს ორწერტილის ნაცვლად წერტილ-მძიმე უნდა დაისვას.

დაადგინეს: მეორე ტაეპის ბოლოს დაისვას წერტილ-მძიმე.

სტროფის შინაარსი: ღმერთო, მოწყალეო ღმერთო, შენ გარდა არაფერ მყავს, შენ გთხოვ დახმარებას, რამდენიც უნდა ვიარო (რამდენიც უნდა დავუო გზაში): ამარიდე მტრებისგან ძღვეა, ზღვის ლელა, ღამით მავნე! თუ გადაერჩი (თუ ცოცხალი დაერჩი), გემსახურები, მსხვერპლს შემოგწირავ ხოლმე.

#### 1977 წ. 11 ნომბერი

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გვიგინიშვილი, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ე. მეტრეველი, ს. ცაიშვილი, შ. ძიძიგური.

განხილეს სტროფები: 809; 809,1; 810; 811; 812 (პროექტი მოამზადეს ვ. კარტოზიამ, გ. არაბულმა, ე. გვრიტიშვილმა, ლ. კიკნაძემ, ბ. მასხარაშვილმა, ე. ტურაბელიძემ); 813; 814; 815 (პროექტი მოამზადეს ც. კიკვიძემ, ნ. ავალოშვილმა, ლ. გუგუშვილმა, ლ. თუშმალიშვილმა, ნ. ცქიტიშვილმა).

809 რა ილოცა, ცხენსა შეჯდა, მალვით კარნი გაიარნა,

შერმადინცა დააბრუნვა, თუცა ვაჟნი აღიადნა;

მონა ტირს და მკერდსა იცემს, საბრალომან ცრემლნი ღჭარნა;

და პატრონისა ვერაშქერტმან ყმაჟან რამცა გაიხარნა!

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 803) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებათა: თუცა-ვაჟნი აღიადნა (საბრალომან ცრემლნი ღჭარნა), საბრალომან ცრემლნი ღჭარნა (სისხლმან მისმან კლდენი ღარნა).

სხდომაზე აღინიშნა, რომ პროექტის წაკითხვა დატულია სამი რედაქციის (ABC) ხელნაწერებში, საიუბილეო გამოცემის წაკითხვა, რომელიც დ. კარაქაშვილის მეორე გამოცემის (H) შემდეგ დაქვედრდა პოემის ტექსტში, D რედაქციის ნუსხებში გვაქვს.

ა. ბარამიძეს, გ. კარტოზიას, ც. კიკვიძეს მიანჩნით, რომ D რედაქციის ნუსხათა წაკითხვა მეორეულა და გამოწვეულა მეორე ტაეპში არაზუსტი რითმის გამართვის საჭიროებით. არაზუსტი (არაიდენტური) რითმის შემთხვევები პოემაში სხვაგანაც გვხვდება. რაც შეეხება შინაარსს, თუცა ვაჟნი აღიადნა სავსებით გასაგებია, გამართული ფრაზაა. არ არის შემთხვევითი, რომ D რედაქციის ნუსხები უპირისპირდებიან სხვა რედაქციის ხელნაწერებს. D რედაქციის ძალიან ატყავს გაიანდელი სწორების კვალი.

ი. გვიგინიშვილი, ე. მეტრეველი, ს. ცაიშვილი, შ. ძიძიგური მოითხოვენ საიუბილეო გამოცემის წაკითხვის აღდგენას. მათი აზრით, D რედაქციის წაკითხვა ბევრად სჯობს დანარჩენი რედაქციების წაკითხვას როგორც ფორმის (რითმის), ასე შინაარსის თვალსაზრისით. D რედაქციის ხელნაწერები ხშირად უპირისპირდებიან სხვა რედაქციის ნუსხებს, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ D რედაქციის ცალკეულ წაკითხვებს ანგარიში არ გავწიოს. სხვა ხელნაწერებიც არის ნასწორები, მაგრამ D რედაქციის ნუსხებს უფრო ეტყობა რედაქტორ-გადამწერთა აქტიური ჩარევის კვალი.

დაადგინეს: მეორე და მესამე ტაეპში აღდგეს ძველი წაკითხვა: შერმადინცა დააბრუნვა, საბრალომან ცრემლნი ღჭარნა; მონა ტირს და მკერდსა იცემს, სისხლმან მისმან კლდენი ღარნა (წინააღმდეგნი — ა. ბარამიძე, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე).

სტროფის შინაარსი: რომ ილოცა, ცხენზე შეჯდა, მალულად გააარა ქალაქის კარი, შერმადინიც დააბრუნა, საბრალომ (ავთანდილმა) ცრემლები დაღვარა; მონა (შერმადინი) ტირას და მკერდში იცემს (ხელს), მისმა სისხლმა კლდეები დაღარა; პატრონის ვერაშქედელი ყმა რას გაიხარებს!

809,1 მოსტქეპას და იტყუის: ავაჟ, მზეო, შენი ადგილი ჩრდილდების;

შენ მოგეშორევე, დაღამდა, ჩემთჳის აღარა დილდების;

მე მანდით მესრის ისარი, ერთიცა არ ამცილდების;

და გამყარა ლხინსა სოფელმან, აწ თჳალთა ცრემლი მშლილდების“.

1956 წ. გამოცემასთან (სტრ. 982) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებათა: ვაჟ (ვა), მოგეშორევე (მოგეშორე), დაღამდა, ჩემთჳის (დაღამდა ჩემთვის), მესრის (მესქე-ის), მშლილდების (შილდების).

ე. გიგინეიშვილის წინადადებით მესრის ისარი შეიცვალა წაითხვიო: მესრის ისარსა. პროექტი ამ ცვლილებით მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: მოთქვამს და ამბობს: „ვაი, მზეო, შენი ადგილო ბნელდება; შენ მოგშორდი, დაღამდა, ჩემთვის არ თენდება; მე მანდვან მესერიან ისრებს, ერთიე არ მცლება, წუთოსოფელმა ლსენას მომშორა, ახლა თვალეზიდან ცრემლი ღვარად მდის“.

810 ან ამბავი სხუა დავიწყო, — ყმასა წავკვევ წამავალსა.

არ შეუქმნა დარბაზობა მას დღე როსტანს გულგამწყარალსა;

რა გათენდა, ქუში ადგა, ჰგავს, თუ ადენს პირით ალსა,

და კმობა ბრძანა ვაზირისა, მიიყვანდეს შიშით მკრთალსა.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 804) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა, ოღონდ პირველი ტაჟის ბოლოს წერტილის ნაცვლად დასვა მძიმე და ტრეჟი.

სტროფის შინაარსი: ახლა სხუა ამბავს დავიწვებ, — მიმავალ მოყმეს (ავთანდილს) წაყუევი (= მიმავალ მოყმეზე საუბარს შეეყუევი), — იმ დღეს გულგამწყარალ როსტევეანს დარბაზობა არ ჰქონია; რომ გათენდა, უგუნებო ადგა, თათქოს პირიდან ცეცხლს (ალს) ყრიდა, ვეზირის მოყენა ბრძანა, მიიყვანეს შეშინებული (შიშით შემკრთალი).

811 რა ვაზირი მოწიწებით დარბაზს ნახა შემოსრულა,

როსტან უთხრა: „არა მაქსოვს გუშინდელი შენგან თქმული.

მაწყინე და გამარისხე, ვერ დავიღე დიდხან სული,

და აზომ რომე გაგათრეე შენ, ვაზირი გულისგული.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 805) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: როდესაც დარბაზში მოწიწებით შემოსული ვეზირი დაინახა, როსტევეანმა უთხრა: „გუშინდელი შენი ნათქვამი არაფერი მახსოვს. მაწყინენე და გამარისხე, დიდხანს ვერ დავწყნარდი, ასე რომ გაგლანძღე შენ, უგულითადესი ვეზირი.

812 თულა გაქსოვს, რა უნდოდა, ისრე ავად რად გაგადე?

მართლად უთქვამს მეცნიერთა: წყენაო ჰირთა ბადეა;

ესეგუარსა ნუოდეს იქ, საქმე ხოლე გაიცადე,

და აწ მითხარ, თუ რას იტყოდი, თქვი და სიტყუა გააქუღადე“.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 806) შედარებით პროექტში ცვლილებაა: იქ (იქმ). პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: თუ გახსოვს, რა უნდოდა (ავთანდილს), ისე ცუდად რატომ მოგეკეცი? სწორად უთქვამთ ბრძენთ: „წყენა არისო ჰირთა ბადე (წყენას ჰირი მოაქეს)“. ამისთანას ნურასოდეს იზამ, საქმე (კარგად) განკვერიტე ხოლმე, ახლა მითხარი, რას ამბობდი, თქვი და ნათქვამი გაიმეორე.

813 კტლა მოაქსენა ვაზირმან სიტყუა ნაგუშინდელევი,

რა გაიგონა, შესთქალა პასუხი არნაგრძელევი:

„შენ თუ უშმაგო მგონიარ, ვარძეა ურია მე ლევი!

და კტლა მაგის მეტად ნუ მასმენ, თუარა მე სრულად გელევი!“

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 807) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ე. გიგინეიშვილს მიანიია, რომ მეოთხე ტაჟში უნდა იკითხებოდეს: კტლა ამის მეტსა ნე მასმენ.

სტროფის შინაარსი: ისეე მოახსენა ვეზირმა გუშინდელი ნათქვამი, (როსტევეანმა) რომ გაიგო, მოკლე პასუხი შეუთვალა (ავთანდილს): „შენ თუ უშმაგი არ მგონიარ, ურია ლევი ვიყო ამის მეტად კვლავ ნუ გამაგონებ, თორემ მე სულ დაგთმობ (გაგწირავ)!“

814 რა გამოვიდა, ვაზირმან ძებნა, ვერ პოვნა მინანი,

მართ გაპარვასა უთხრობდეს მონანი, ცრემლთა მდინანი.

მან თქუა: „მე დარბაზს ვერ შევალ, მაქსოვან დღენი წინანი,

და ვინცალა ჰქადრებს, მან ჰქადროს; რაცა თუქვი, მასცა ვინანი“.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 808) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: რა გამოვიდა, ვეზირმა ძებნა დაუწყო, ვერ ნახა ავთანდილი (მინანი-

ქარი), (ავთანდილის) გაპარვას უამბობდნენ თვალცრემლიანი მონები. მან (ცეზირმა) თქვა: „მე-  
დარბაზში ვერ შევალ, მახსოვს წინა დღეები, ვინც გაბედავს, მან შეპბედოს; რაც ვთქვი, იმა-  
საც ვნანობ“.

815 რა ვაზირი არ შევიდა, კჳლა მეფემან კაცი გზავნის;  
კაცმან ცნის და გარეთ დადგის, წასლვა ვერეინ გაამქლავნის;  
როსტანს გჳტი შეუვიდა, კჳმუნვა ამით გაათავნის;

და თქვა: „უცილოდ გაიპარა, ვინ მარტომან ასთა აენის“.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 809) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

ა. ბარამიძე: მესამე ტაეპში ეკუთვნის ნაცვლად უნდა მივიღოთ რიგ ხელნაწერში წარმოდ-  
გენილი ეკუთვნის.

რედაქციამ დატოვა ეკუთვნის აღინიშნა, რომ ეკუთვნის და ეკუთვნის თანაბრად დასაშვებო-  
ფორმებია (სახელი და მასდარი), მაგრამ ეკუთვნის-ფორმას რედაქციითა უმრავლესობა უკუერს  
მხარს.

სტროფის შინაარსი: ვეზირი რომ არ შევიდა, მეფემ კვლავ კაცები აგზავნა: (გაგზავნილი)  
კაცები იგებდნენ (ავთანდილის გაპარვის ამბავს) და გარეთ დგებოდნენ, (ავთანდილის) წასე-  
ლას ვერავინ ამხელდა; როსტევის ეკუთვნის შეეპარა, ამით მწუხარება გაამრავლა; თქვა: „ნამღვი-  
ლად გაიპარა (ის), ვინც მარტო ასს ამარცხებდა ხოლმე (ავთანდილი)“.

ა. ბარამიძის აზრით, გაათავნის (ავთანდილი) ნაწარმოებია რიცხვითი სახელიდან ათი..

#### წერილი რედაქციას

გთხოვთ, თქვენი ჟურნალის უახლოეს ნომერში ადგილი დაუთმოთ ჩემს შემდეგ გან-  
ცხადებას:

1978 წელს „მეცნიერებამ“ გამოსცა ჩემი წიგნი „ევეგნი ბოლხოვინოვი — პირველი  
რუსი რუსთველოლოგი“, რომელსაც დამატების სახით ერთეულ ფოტოტიპურად  
დაბეჭდილი ე. ბოლხოვინოვის «Историческое изображение Грузии в политическом,  
церковном и учебном еи состоянии» (СПб., 1802), რომელიც ბიბლიოგრაფიულ იშვიათო-  
ბად იყო ქცეული.

ჩემს გამოკვლევაში გამოკვეთილია ევეგნი ბოლხოვინოვის როგორც პირველი რუსი  
რუსთველოლოგის სახე, მისი დამსახურება „ვეფხისტყაოსნის“ კვლევისა და პოპულარიზაციის  
საქმეში. ამ ნაშრომის გამოსვლას მოწონებით შეხვდა ჩვენი პრესა. ე. ბოლხოვინოვის წიგ-  
ნის ისტორიული ნაწილის შესახებ კი ჩემს ნაშრომში ზოგადად ნათქვამია, რომ იგი შეიცავს  
ფაქტობრივ უზუსტობებს. ვფიქრობთ, რომ საჭირო იყო მისი ზოგიერთი მოძველებულ წყა-  
როზე დაწყობილი, არსებითად კი მცდარი ცნობის (გვ. 65—66, 70) საფუძვლიანი კრიტიკა-  
კომენტარი, რასაც განუხორციელებს ამავე საკითხებისადმი მიძღვნილ ჩემს ნაშრომში, რომე-  
ლიც მალე გამოქვეყნდება.

პატივისცემით ბურამ შარაძე



**დ. იმნაიშვილი**



ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა თვალსაჩინო ენათმეცნიერი-კავკასიოლოგი, დაღესტნური და ნახური (ჩაჩნურ-ინგუშური) ენების ცნობილი მკვლევარი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ თანამშრომელი, ფზოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი დავით სილობისტროს ძე ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი.

დ. იმნაიშვილი დაიბადა 1914 წელს ლანჩხუთის რაიონის სოფელ შუხუთში, ღარიბი გლეხის ოჯახში. 1931 წელს დაამთავრა ლანჩხუთის პედაგოგიური ათწლედო, ხოლო 1937 წელს — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. 1937—1941 წლებში სწავლობდა ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის ასპირანტურაში კავკასიური ენების სპეციალობით (არნ. ჩიქობავას ხელმძღვანელობით). 1941 წლიდან იგი მუშაობდა ენათმეცნიერების ინს-

ტიტუტში უფროს მეცნიერ თანამშრომლად.

დ. იმნაიშვილი სკკპ წევრი იყო 1946 წლიდან.

დ. იმნაიშვილი ავტორია 50-მდე სამეცნიერო შრომისა, მათ შორის ისეთი მნიშვნელოვანი და დიდად ფასეული მონოგრაფიებისა, როგორცაა: „დიდოური ენა პინუხურ და ხვარშიულ ენებთან შედარებით“ (1963 წ.) და „ნახური ენების ფონეტიკის ისტორიულ-შედარებითი ანალიზი“ (1977 წ.). მის შრომებში საფუძვლიანადაა შესწავლილი და გარკვეული ამ ენათა ფონეტიკის, გრამატიკული სტრუქტურის, სინტაქსისა თუ ლექსიკის არა ერთი ძირითადი საკითხი.

დ. იმნაიშვილი სპეციალისტია იმ წრეს ეკუთვნოდა, რომელთათვის ყოველთვის დამახასიათებელი იყო მეცნიერული სისუსტე და კეთილსინდისიერება, კვლევის მეთოდის დახვეწილობა და ნაშრომა მძალაი მეცნიერული დონე. მისი გამოკვლევები ფართოდაა ცნობილი როგორც სამკოთა კავშირის, ისე უცხოეთის კავკასიოლოგიურ ცენტრებში. იგი სამართლიანად ითვლება მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა ერთ-ერთ წამყვან სპეციალისტად.

განსაკუთრებულად დ. იმნაიშვილის დამსახურება ახალგაზრდა კადრების მომზადების საქმეში ჩაჩნეთ-ინგუშეთის ავტონომიური რესპუბლიკისათვის. მისი კონსულტაციებითა და უშუალო ხელმძღვანელობით მომზადდა 5 სპეციალისტი და ორ ათეულამდე საკანდიდატო დისერტაცია ჩაჩნურ და ინგუშურ ენებში.

წავიდა ჩვენგან ნიჭიერი სპეციალისტი, ნაყოფიერი მკვლევარი, რომელსაც კიდევ ბევრი შეეძლო გაეკეთებინა ჩვენი ქართული მეცნიერებისათვის.

საპარტეზელოს სსრ მცენებრებათა აკადემიის  
ენისა და ლიტერატურის ბანოშვილვაა,  
ენათმეცნიერების ინსტიტუტი.

# ა ნ ა ლ ი ფ ი ბ ნ ე ბ ი

## გ ა მ ო მ ც ე მ ლ ო ბ ა „ მ ი ც ნ ი რ ა მ ა “

გურამ შარაძე, ივგენი ბოლხოვტინოვი პირველი რუსი რუსთველოლოგი.

რედაქტორი სარგის ცაიშვილი. რუსთველოლოგიის ისტორია XIX საუკუნეში იწყება ე. ბოლხოვტინოვის წიგნით «Историческое изображение Гречини...», რომელიც გამოცა რუსეთთან საქართველოს შეერთების პირველი წლის თავზე (სპბ., 1802).

ე. ბოლხოვტინოვი (1767—1837) თავისი დროისთვის გამოჩენილი რუსი მეცნიერი და კულტურის მოღვაწე იყო. ქართველი კონსულტარტების დახმარებით დაწერილ მის წიგნში ქართული ლიტერატურის სხვა ძეგლებთან ერთად განხილულია შოთა რუსთველის „ვეფხისტყაოსანი“, კერძოდ, მოცემულია პოემასთან და მის ავტორთან დაკავშირებული რიგი ისტორიულ-ლიტერატურული საკითხები და ზოგიერთი ადგილის რუსული თარგმანი.

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს ე. ბოლხოვტინოვის მეცნიერული მოღვაწეობის, კერძოდ, რუსთველოლოგიის ისტორიაში მისი წიგნის მნიშვნელობის შეფასების ცდას.

106 გვ., ფასი 1 მან. 60 კაპ., ტირაჟი 2400.

მ. გაბაძაშვილი, რუს-ურბნისის კრებობის ძეგლისწერა (ფილოლოგიურ-ტიქსტოლოგიური გამოკვლევა).

რედაქტორი მ. დოლაძე.

მონოგრაფია ეძღვნება ქართული სამართლის უძველესი და უმნიშვნელოვანესი ძეგლის რუს-ურბნისის კრების „ძეგლისწერის“ ფილოლოგიურ-ტიქსტოლოგიური საკითხების შესწავლას. ნაშრომში დადგენილია „ძეგლისწერის“ ძირითადი წყაროები, მოცემულია ცდა ავტორის ვინაობის შესახებ ტრადიციულ შეხედულებათა სისწორის აღდგენისა, ახლებურადაა გადაჭრილი ძეგლთან დაკავშირებული ზოგიერთი საინტერესო საკითხი. კანონების კომენტარში ახსნილია საეკლესიო სამართლის ზოგიერთი დებულების ისტორიული საფუძველი.

ნაშრომს გარკვეული მნიშვნელობა აქვს ბიზანტია-საქართველოს ლიტერატურული ურთიერთობის კვლევის საქმეში.

196 გვ., ფასი 1 მან 45 კაპ., ტირაჟი 1400.

ნარკვევები XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, II.

რედაქტორები: გ. აბაშიძე, გ. ასათიანი „ნარკვევში“ გაერთიანებულ ნაშრომები XIX საუკუნის ქართული მწერლობის ნაკლებდამუშავებულ, საყურადღებო საკითხთა განხილვას ეძღვნება.

კრებულში გაშუქებულია ქართული რომანტიზმისა და რეალიზმის ცალკეული საკითხები. რომელთა შესწავლას გარკვეული მნიშვნელობა აქვს ახალი ქართული ლიტერატურის განვითარების თავისებურებებთან შესახებ მართებული წარმოდგენის შესამუშავებლად.

„ნარკვევები“ გათვალისწინებულია როგორც ლიტერატურის სპეციალისტებისათვის, ასევე ქართული მწერლობის ისტორიის საკითხებით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრისათვის.

192 გვ., ფასი 1 მან. 05 კაპ., ტირაჟი 1500.

ფოლკლორის თეორია და ისტორია, ქართული ფოლკლორი, VIII.

რედაქტორი მ. ი. ჩიქოვანი.

კრებული ქართული ზეპირსიტყვიერების ენობრივი ისტორიისა და სტრუქტურას ეძღვნება. მასში განხილულია ზღაპართმცოდნეობის, მითოლოგიის, პარემიოლოგიისა და ისტორიული პოეტიკის საკითხები. წიგნი ნაგარადღევია ხალხური შემოქმედების სპეციალისტებისა და სტუდენტებისათვის.

160 გვ., ფასი 95 კაპ., ტირაჟი 1000.

ტიქსტოლოგიური წერილები.

რედაქტორი ს. ყუბანეიშვილი.

კრებულში წარმოდგენილ წერილებში განხილულია ქართველი კლასიკოსების შემოქმედებითი ლაბორატორიის, ატრიბუციის, ტექსტოლოგიის თეორიის საკითხები და მე-19 და მე-20 საუკუნეების ქართველ რედაქტორ-გამომცემლების საქმიანობა.

158 გვ., ფასი 90 კაპ., ტირაჟი 1000.